



COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “შამაიში და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ”

(საჩივარი № 36378/02)

ბადაყვივტილება

სტრასბურში

*საკოლო გახდა*  
*27/12/2005*

2005 წ. 12 აპრილი

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ  
გადასინჯვას

საქმეში შამაგვი და სხვა 12 პირი საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოს პალატამ (ყოფილი მეორე სექცია), შემდეგი შემადგენლობით:

ბატონები: *ჟ.-პ. კოსტა*, თაავმჯდომარე,  
*ა.ბ ბაკა*,  
*ლ. ლუკაიდესი*,  
*კ. ჟუნგვიერტი*,  
*ვ. ბუტკევიჩი*,  
*მ. უგრეხელიძე*  
*ა. კოვლერი*, მოსამართლეები  
და ქალბატონი *ს. დოლე*, სექციის განმწესრიგებელი,

2005 წ. 15 მარტს ჩატარებული განხილვის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმეს საფუძვლად დაედო საჩივარი (№36378), რომელიც მიმართულია საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ, რომელთა 13 მოქალაქემ, ბატონებმა: აბდულ-ვაჰაბ შამაგვი, რიზვან (რეზვან) ვისიტოვი, ჰუსეინ აზიევი, ადლან (ასლან) ადაევი (ადიევი), ჰუსეინ ხაჯიევი, რუსლან გელოგაევი, აჰმედ მაგომადოვი, ხამზატ ისაევი, რობინზონ მარგოშვილი, გიორგი კუშტანაშვილი, ასლანბეკ ხანჩუკაევი, ისლამ ხაჩიევი იგივე რუსტამ ელიხაჯიევი იგივე ბექსან მულკოევი და თემურ (რუსლან) ბაიმურზაევი იგივე ჰუსეინ აღხანოვი (§§ 54 და 55 ქვემოთ), წარმოშობით ჩეჩნები და ქისტები (“მოსარჩელები”), სასამართლოში, 2002 წ. 4 და 9 ოქტომბერს, ადამიანის უფლებების და ძირითადი უფლებების კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის თანახმად, წარადგინეს საჩივარი. ბატონების ხანჩუკაევის და ადაევის საჩივარები სასამართლოში შემოვიდა 2002 წ. 9 ოქტომბერს. ამ საჩივარებს თან ერთვის სხვა მომჩივნების მიერ 2002 წ. 4 ოქტომბერს გამოგზავნილი საჩივარები.

2. მომჩივნებიდან შვიდს, დაშვებადობის სტადიაზე, მიეცათ უფლება ესარგებლათ შეზღუდული იურიდიული დახმარებით, სასამართლოზე მათ უფლებების დაცვა “კონსტიტუციის 42-ე მუხლის” თანახმად დაევადათ ქალბატონებს *ლ. მუხაშაფრიას* და *მ. დამუკაშვილს* თბილისის ასოცირებულ ადვოკატებს, “(უფლებამოსილებები მიღებულია 2002 წ. 9 და 22 ნოემბერს). ამ შვიდი მოსარჩელის უფლებებს ასევე წარმოადგენდა ქალბატონი *ნ. კინწურაშვილი*, იმავე ორგანიზაციის ადვოკატი (უფლებამოსილებება თარიღდება 2003 წ. 4 აგვისტოთი) ადვოკატებს დახმარებას უწევდა ქალბატონი *ვ. ვანდოვა*, როგორც მრჩეველი.

3. საქართველოს მთავრობას წარმოადგენდნენ ჯერ ბატ. *ლ. ჭელიძე*, ხოლო შემდგომში ქალბატონი *თ. ბურჯალიანი*, ეს უკანასკნელი 2004 წ. 9

აგვისტოდან შეცვალა ქალბატონმა ე. გურეშიძემ, საქართველოს მთავრობის გენერალურმა წარმომადგენელმა სასამართლოში. რუსეთის მთავრობას წარმოადგენდა ბატ. ლაპტევი, რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელი სასამართლოში.

4. მოსარჩელები განსაკუთრებით ამტკიცებდნენ იმას, რომ რუსეთის ხელისუფლებისათვის მათი გადაცემა ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებს. ისინი ითხოვდნენ მათი ექსტრადირების პროცედურის შეჩერებას და რომ რუსეთის ხელისუფლებას წარმოედგინა ინფორმაცია რუსეთში მათი მომავალი ბედის შესახებ და იმას, რომ კონვენციის მე-2, მე-3, მე-6 მუხლების შესაბამისად სასამართლოს განეხილა მათი სარჩელები.

#### ა) მისაღებობა

5. მოსარჩელების წარმომადგენლებმა, რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, 2002 წ. 4 ოქტომბერს, 15 საათსა და 35 წუთიდან 16 საათსა და 20 წუთამდე პერიოდში, წყვეტილი ფაქსის საშუალებით, 11 მოსარჩელის სახელით (ბატონების ადავის და ხანჩუკაევის გამოკლებით, იხ. პარაგრაფი 1, ზემოთ) სასამართლოს წარუდგინეს სარჩელი.

6. იმავე დღის 17 საათსა და 00 წუთზე (თბილისის დროით 20 საათი და 00 წუთი), იმის გამო, რომ განყოფილების ხელმძღვანელმა თავი შეიკავა, მეორე განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილემ (რეგლამენტის მე-12 მუხლი) გადაწყვიტა, რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად ეცნობებინა საქართველოს მთავრობისათვის, რომ მხარეების ინტერესებიდან გამომდინარე და სასამართლოში საქმესთან დაკავშირებული პროცედურების კარგად წარმართვისათვის, სასურველი იქნებოდა, არ მოეხდინათ 11 მოსარჩელის ექსტრადირება რუსეთში სანამ სასამართლოს საკასაციო განყოფილებას არ მიეცემოდა საშუალება განეხილა სარჩელი იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რასაც საქართველოს მთავრობა მიაწვდიდა. ეს უკანასკნელი მიიწვიეს იმ მიზნით, რათა მისთვის გაეცნოთ მოსარჩელების ექსტრადირების მოტივები და ამავე დროს თუ რა ზომები იქნებოდა მიღებული მათ მიმართ რუსეთის მთავრობის მხრიდან მათი ექსტრადირების შემთხვევაში. ასევე გადაწყდა სასწრაფოდ ეცნობებინათ რუსეთის მთავრობისათვის სარჩელის შეტანის შესახებ და თუ რა იყო მისი საგანი (რეგლამენტის მე-40-ე მუხლი).

7. 18 საათსა და 00 წუთზე სასამართლოს მდივანი ტელეფონით დაუკავშირდა სტრასბურგში მივლინებით მყოფ საქართველოს მთავრობის გენერალურ წარმომადგენელს, იმ მიზნით, რომ მისთვის ეცნობებინათ სარჩელის შეტანის და სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ. რამდენიმე წუთის შემდეგ, მისი თანაშემწე დაუკავშირდა თბილისის სასამართლოს და სთხოვა მისთვის ეკარნახათ სარჩელის შემტანთა გვარები. ეს გვარები მას გადაეცა.

8. 18 საათსა და 50 წუთზე რუსეთის მთავრობამ ტელეფაქსის საშუალებით მიიღო მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება და ამავე დროს, ის გადაწყვეტილება, რაც მიღებულ იქნა საქართველოს მიმართ.

9. რაც შეეხება საქართველოს მთავრობას, შეუძლებელი გახდა მისთვის გადაწყვეტილების ფაქსით გადაგზავნა. ხაზის მეორე მხარეს იუსტიციის სამინისტროს ტექნიკური პერსონალი, რომელსაც აშკარად აკლდა მონდომება, ხან უშუქობას იმიზეზებდა, ხან აპარატში ქალაქის უქონლობას.

10. ტელეფონის საშუალებით კვლავ მოხდა საქართველოს მთავრობის გენერალურ წარმომადგენელთან დაკავშირება. მან შეგვატყობინა, რომ სასამართლოს შეტყობინება გადაეცა საქართველოს მთავრობას. იგი დაგვპირდა, რომ ყველაფერს გააკეთებდა დაკავშირებასთან არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, მაგრამ აქვე ბუნდოვნად საჩივარა, რომ ეს მასზე არ იყო დამოკიდებული.

11. იმის გამო, რომ დაკავშირების მცდელობა ჩაიშალა, 19 საათსა და 45 წუთზე, სასამართლოს მდივანი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა იუსტიციის მინისტრის მოადგილეს, რომელსაც ევალეზა ექსტრადიციის საკითხები და ამავე დროს სასამართლოში საქართველოს მთავრობის გენერალური წარმომადგენლის ბიუროს ზედამხედველობა, რათა მისთვის გაგვენდო წარმოქმნილი პრობლემები და შეგვეხსენებინა სასამართლოს გადაწყვეტილება. მას ემცნო, რომ კავშირის არარსებობის პირობებში ეს შეტყობინება სასამართლოს გადაწყვეტილების ოფიციალური შეტყობინების ტოლფასი იყო. იუსტიციის მინისტრის მოადგილემ მხედველობაში მიიღო გადაწყვეტილების შეტყობინება და დაგვპირდა, რომ შეეცდებოდა კავშირის აღდგენას.

12. 19 საათსა და 56 წუთზე დაკავშირების ამო მცდელობის შემდეგ, 19 საათსა და 59 წუთზე (თბილისის დროით 22 საათი და 59 წუთი) მოხერხდა სასამართლოს გადაწყვეტილების წერილის გადაგზავნა. ექსტრადიციის აქტების მიხედვით, რუსეთის ხელმძღვანელობისათვის 5 მოსარჩლის გადაცემა მოხდა თბილისის აეროპორტში 19 საათსა და 10 წუთზე (თბილისის დროით 22 საათი და 10 წუთი).

13. სარჩელი გადაეგზავნა სასამართლოს მეორე განყოფილებას (რეგლამენტის 52-ე მუხლი §1). ამასთან დაკავშირებით, საქმის განსახილველად შეიქმნა სათათბირო პალატა (კონვენციის რეგლამენტის 27-ე მუხლი §1), რომელიც რეგლამენტის 27-ე მუხლი § 1-ის შესაბამისად იქნა დაკომპლექტებული. 2002 წ. 8 ოქტომბერს მეორე განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილემ ამ უკანასკნელს შეატყობინა იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მან მიიღო 2002 წ. 4 ოქტომბერს და მოწონებულ იქნა პალატის მიერ.

14. 2002 წ. 22 ოქტომბერს საჩივრის ფორმულარი ცამეტი მოსარჩელის სახელით მიმართული საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ წარმოდგენილ იქნა მათი წარმომადგენლების მიერ რეგლამენტის 47 მუხლის შესაბამისად.

15. 2002 წ. 23 ოქტომბერს, სასამართლომ მოუწოდა რუსეთის მთავრობას მისთვის მიეწოდებინა იმ ადგილის სახელი და მისამართი, სადაც მოსარჩელები სასჯელს იხდიდნენ მათი ექსტრადირების შემდეგ. 2002 წ. 1 ნოემბერს რუსეთის მთავრობამ სასამართლოს მოსთხოვა წერილობითი გარანტიები, რომ ეს ინფორმაცია კონფიდენციალური დარჩებოდა და არ მოხდებოდა მისი უმართებულოდ გახმაურება.

16. 2002 წ. 5 ნოემბერს სასამართლომ თბილისში პატიმრობაში მყოფი 8 მოსარჩელისათვის დროებითი ზომები გააგრძელა 2002 წ. 26 ნოემბრამდე.

სასამართლომ ასევე გადაწყვიტა შეესწავლა მოსარჩელეთა საჩივრები ეს ოფიციალური კონვენციის მე-5-ე მუხლის §§ 1,2 და 4-ის კუთხით და ლეს სპეციალის მათი დაკავების საქმეში, რომელთა წამოყენების დროს ისინი ეყრდნობიან მე-6 და მე-13 მუხლებს, ხოლო ამ განხილვის შემდეგ წარედგინა სარჩელი მოპასუხე მხარეების მთავრობებისათვის (რეგლამენტის 54-ე მუხლის §2 ბ). ამასთანავე, სასამართლომ გადაწყვიტა სარჩელისათვის მიეცა პრიორიტეტული ხასიათი (რეგლამენტის 41-ე მუხლი), ხოლო განყოფილების ხელმძღვანელისათვის დაეკისრებინა პირადი პასუხისმგებლობა რუსეთის მთავრობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვაზე. რუსეთის მთავრობას კიდევ ერთხელ მოუწოდეს ეცნობებინა ექსტრადირებული მოსარჩელების საპატიმრო ადგილის მისამართი, ისევე, როგორც მათი ადვოკატების კორდინატები.

17. 2002 წ. 14 ნოემბერს, მკაცრი კონფიდენციალურობის პირობებში, რუსეთის მთავრობამ წარმოადგინა დაწესებულების მისამართი, სადაც ექსტრადირებული მოსარჩელები იხდიდნენ პატიმრობას.

18. სასამართლოს მოთხოვნით, 2002 წ. 19 ნოემბერს, რუსეთის მთავრობამ სასამართლოს წინაშე აიღო ვალდებულება ცამეტივე მოსარჩელის მიმართ. სახელდობრ მან მისცა გარანტია, რომ:

- ა) მათ მიმართ არ გამოიყენებდნენ სიკვდილით დასჯას;
- ბ) მათი უსაფრთხოება და ჯანმრთელობა დაცული იქნებოდა;
- გ) მათთვის ყოველგვარი შეფერხების გარეშე გარანტირებული იქნებოდა მკურნალობა და სამედიცინო კონსულტაცია;
- დ) მათთვის ყოველგვარი შეფერხების გარეშე გარანტირებული იქნებოდა იურიდიული დახმარება და კონსულტაცია;
- ე) მათთვის ყოველგვარი შეფერხების გარეშე გარანტირებულად ხელმისაწვდომი იქნებოდა სასამართლო, ისევე როგორც მასთან თავისუფალი მიმოსვრა;
- ვ) სასამართლოს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ექნება მოსარჩელებთან დაშვება, აქ იგულისხმება მათთან თავისუფალი მიმოსვრა და შესაძლო მივლინებები ინსპექციის მიზნით.”

19. 2002 წ. 20 ნოემბერს, ქალბატონმა ნ. დევდარიანმა, საქართველოს რესპუბლიკის მედიატორმა, წარმოადგინა თხოვნა პროცედურებზე მისი, როგორც მესამე მხარის დაშვებასთან დაკავშირებით (კონვენციის 36§2 მუხლი).

20. 2002 წ. 23 და 25 ნოემბერს, საქართველოს მთავრობას მოეთხოვა დროებითი ზომების მოხსნა, იმ მოტივით, რომ მას რუსეთის მთავრობიდან გააჩნდა საჭირო გარანტიები მოსარჩელების ბედთან დაკავშირებით მათი ექსტრადირების შემთხვევაში. ამ ბოლო რიცხვში მან წარმოადგინა მოსარჩელების ფოტოსურათები. 2003 წ. 26 აგვისტოს, საქართველოს მთავრობამ ასევე წარმოადგინა იმ საკნების სურათები, სადაც სასჯელს იხდიდნენ არაექსტრადირებული მოსარჩელები. ექსტრადირებული მოსარჩელების ფოტოსურათები რუსეთის ხელისუფლებამ მოგვაწოდა 2002 წ. 23 ნოემბერს, 22 იანვარს და 2003 წ. 15 სექტემბერს.

21. რუსეთის მთავრობის მიერ 2002 წ. 19 ნოემბერს შემოთავაზებული გარანტიების გათვალისწინებით და რადგან მიგვაჩნია, რომ მის მიერ ვალდებულებების შესრულების საკითხი, ისევე როგორც საქართველოში ექსტრადირების პროცედურებთან დაკავშირებული საკითხების შეფასება მოხდება სარჩელის შემდგომი შესწავლის დროს, 2002 წ. 26 ნოემბერს, სასამართლომ გადაწყვიტა არ გაეგრძელებინა 2002 წ. 4 ოქტომბერს მიღებული დროებითი ზომა. საქმის დელიკატურობიდან და მისი პოლიტიკური რეზონანსიდან გამომდინარე,

ამავე დროს მთავრობების თხოვნის გათვალისწინებით, სასამართლომ ასევე გადაწყვიტა მთლიანობაში დაეცვა საქმის კონფიდენციალურობა საზოგადოებრივ გახმაურებასთან დაკავშირებით, როგორც ამას ითვალისწინებს მისი რეგლამენტის 33-ე მუხლის §§ 3 და 4 (განმარტება ჯერ კიდევ ძალაშია).

22. 2002 წ. 6 ნოემბერს, ბატონებმა გელოგაევმა, ხაჩიევმა და ბაიმურზაევმა, სამმა მოსარჩელემ, თხოვნით მიმართეს სასამართლოს შეეჩერებინათ მათი ექსტრადიცია, რომელიც გათვალისწინებული იყო 2002 წ. 28 ნოემბრისათვის. იმავე დღეს, განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა გადაწყვიტა არ მოეწოდებინა საქართველოს მთავრობისათვის მიეღო დროებითი ზომები.

23. 2003 წ. 24 იანვარს ქალბატონმა ე. თევდორაძემ, საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა, თხოვნით მიმართა სასამართლოს მისთვის მიეცა ნებართვა პროცედურაში ჩარეულიყო როგორც მესამე მხარე (კონვენციის 36§2 მუხლი).

24. 2003 წ. 17 ივნისს, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება ჩაეტარებინა სხდომა სარჩელის მისაღებობასთან დაკავშირებით და რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, მიეთითებინა რუსეთის მთავრობისათვის, მხარეების ინტერესებიდან და სასამართლოში პროცედურების კარგად ჩასატარებლად, განსაკუთრებით სხდომის მომზადების დროს, მიეცათ თავისუფალი დაშვების უფლება ექსტრადირებულ მოსარჩეებთან ქალბატონ მუხაშაერიასა და ქალბატონ ძამუკაშვილისათვის. ამავე დროს სასამართლომ არ მიიღო ნ. დევდარიანის და ე. თევდორაძის თხოვნა (კონვენციის 36§2) მათი მესამე მხარის სტატუსით ჩარევის შესახებ (§§ 19 და 23 ზემოთ).

25. 2003 წ. 16 სექტემბრის გადაწყვეტილებით, სხდომის შემდეგ, რომელიც ეძღვნებოდა მისაღებობის საკითხებს (რეგლამენტის 54-ე მუხლის § 3) საკასაციო სასამართლოს განყოფილებამ სარჩელის მისაღებად გამოაცხადა და საქმის არსებით განხილვას თან დაურთო რუსეთის ხელისუფლების ორი წინასწარი გამონაკლისი. ამ საქმის ფაქტების დასადგენად სასამართლომ ასევე გადაწყვიტა საგამოძიებო მისიით ჩასულიყო რუსეთსა და საქართველოში, კონვენციის 38§1ა) მუხლი) და რეგლამენტის 42§2 მუხლის შესაბამისად (რომელიც ჯერ კიდევ ძალაშია).

## **ბ) პროცედურა არსებით განხილვასთან დაკავშირებით**

26. ამ ორ ქვეყანაში საგამოძიებო სამუშაოების ჩასატარებლად პალატამ გამოყო სამი რწმუნებული ბატონები ე.-პ. კოსტა, ა.ბ. ბაკა და ვ. ბუტკივიჩი. მისია საქართველოში უნდა შესრულებულიყო 2003 წ. 28-დან 31 აგვისტომდე. 2003 წ. 3 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობის თხოვნის გამო, გადაწყდა მისი გადადება, რადგან საქართველოში მიმდინარეობდა 2003 წ. 2 ნოემბრის საკანონმდებლო ორგანოს არჩევნების კამპანია.

27. საგამომძიებლო მისიის ჩატარებასთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობასთან გაიმართა დიდი მიმოწერა, უნდა გამოიყოს შემდეგი ფაქტები.

28. 2003 წ. 30 სექტემბერს სასამართლომ შეატყობინა რუსეთის მთავრობას, რომ მისი დელეგაცია ჩადიოდა რუსეთში 2003 წ. 27 ოქტომბერს ექსტრადირებული მოსარჩელების მოსასმენათ და ამავე დროს მოენახულებინათ მათი საკნები ქალაქ B-ს საგამომძიებლო იზოლატორში (§53 ზემოთ). იქიდან გამომდინარე, რომ შემდგომ მიწერ-მოწერაში რუსეთის მთავრობას არ გამოუხატავს არანაირი წინააღმდეგობა, მისია ორგანიზებულ იქნა.

29. 2003 წ. 20 ოქტომბერს, რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა, 2003 წ. 14 ოქტომბრის ბრძანებულება, რომელიც გამოსცა სტავროპოლის რეგიონალურმა სასამართლომ, რომლის მიხედვით სასამართლოს არ ეძლეოდა ბატ. შამაევთან, ვისიტოვთან, ადაევთან და ხაჯიევთან შესვლის უფლება იმ მოტივით, რომ მათი სისხლის სამართლის საქმე ჯერ კიდევ არ იყო განხილული სასამართლოს მიერ. სასამართლოს დელეგაციას შეეძლო ამ პიროვნებების მონახულება მხოლოდ მათი გასამართლების და საბოლოო განაჩენის გამოტანის შემდეგ. ამ ბრძანებულების მიხედვით სასამართლომ დაადგინა, რომ შამაევს, ვისიტოვს და ადაევს არასდროს შეუტანიათ საჩივარი სასამართლოში. ბატონი ხაჯიევი იწყებს იმის მტკიცებას, რომ მან სასამართლოში სარჩელი შეიტანა საქართველოს წინააღმდეგ, რათა დაემტკიცებინა, რომ მისი ექსტრადიცია უკანონო იყო და დაუინებით მოითხოვს სასამართლოს მოსამართლეებთან შეხვედრას.

30. იგივე გზავნილში იღო 2003 წ. 15 ოქტომბრით დათარიღებული წერილი, რომელსაც ხელს აწერდა ბატ. კარტაშოვი, სტავროპოლის სამხარეო სასამართლოს მოსამართლე, რომელიც უარს ეუბნებოდა ევროსასამართლოს მოესმინა მეხუთე მოსარჩელე ბატ. აზიევისთვის. ის ეყრდნებოდა იმას, რომ მის საქმეში მოსმენა გათვალისწინებული იყო 2003 წ. 29 ოქტომბრისათვის და რომ “რუსეთის სისხლის სამართლის პროცედურებთან დაკავშირებული კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა ევროპული სასამართლოს მოსამართლეების კონტაქტის საკითხის განხილვის შესაძლებლობას ბატ. აზიევთან სასამართლო მოსმენამდე ან მის გარეთ”.

31. ამ დოკუმენტებზე დაყრდნობით რუსეთის მთავრობა იცავდა იმ აზრს, რომ ევროპის სასამართლოს საგამომძიებლო მისიის შესრულება გამოიწვევდა შიდა სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევას და მოითხოვა მისი გადატანა იმ დრომდე, როდესაც მოხდებოდა მოსარჩელეთა საქმეში საბოლოო განაჩენის გამოტანა. გარდა ამისა, ასეთი მიდგომა თანხმობაში იქნებოდა სუბსიდიურად მოქმედ პრინციპებთან ნაციონალურ და ევროპულ პროცედურებს შორის.

32. ამ ინფორმაციების გათვალისწინებით სასამართლო იძულებული გახდა შემდგომისათვის გადაედო მისი მისია რუსეთში. მიუხედავად ამისა, მან მაინც შეახსენა რუსეთის ხელისუფლებას კონვენციის 34-ე და 38-ე მუხლების § 1 ა)-ს პირობები.

33. 2004 წ. 7 იანვარს რუსეთის მთავრობას შესთავაზეს მისიის ახალი თარიღი (2004 წ. 23-29 თებერვალი) მას მიეცა წინადადება, საჭიროების შემთხვევაში, დაესახელებინა ნებისმიერი თარიღი მისი შეხვედრების მიხედვით 2004 წ. 9 იანვრამდე. სასამართლომ შეახსენა, რომ სარჩელი სარგებლობდა

პრიორიტეტული განხილვის უფლებით. ხელისუფლება ასევე ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ თუ მას გაუჩნდებოდა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები მოსარჩელეთა საპატიმრო დაწესებულებაში მისიის ორგანიზების საქმეში, მაშინ ხელისუფლებას შეეძლო შემოეთავაზებინა უფრო უსაფრთხო ადგილი, სადაც მოხდებოდა მოსარჩელების დაგაყვანა.

34. 2004 წ. 8 იანვრის წერილში რუსეთის ხელისუფლებამ გააკრიტიკა სასამართლოს ოფიციალური ცნობა მისი 2003 წ. ოქტომბრისათვის დაგეგმილი მისიის გადავადებასთან დაკავშირებით და შეახსენა, რომ რუსეთის კონსტიტუციის მიხედვით, სასამართლო ხელისუფლება (სამხარეო სასამართლო, ამ შემთხვევაში) სარგებლობს დამოუკიდებლობით და რომ გარდა ამისა, კონვენცია ემყარება სუბსიდიურად მოქმედ პრინციპებს.

35. 2004 წ. 13 იანვარს იგი ამტკიცებს, რომ ექსტრადირებულ მოსარჩელეთა სისხლის სამართლის საქმე განიხილება სტავროპოლის სამხარეო სასამართლოში და რომ სანამ საბოლოო და აღსრულებადი გადაწყვეტილება არ იქნება გამოტანილი, სასამართლოს დელეგაცია ვერ შეხვდებოდა დაინტერესებულ მხარეს. თუმცა მან არ გამორიცხა, რომ სტავროპოლის სამხარეო სასამართლო შეიძლება დაბრუნებოდა თავის წინა 2003 წ. 14 ოქტომბრის გადაწყვეტილებას და ურჩია სასამართლოს მიემართა მისთვის ასეთი თხოვნით. ხელისუფლებამ განმარტა, რომ სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე, მოსარჩელებთან კონტაქტის საკითხი ექსკლუზიურად სამხარეო სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, და რომ არვის, მათ შორის საერთაშორისო იურიდიულ ორგანოს, არ აქვს უფლება შეცვალოს ან გააუქმოს მისი გადაწყვეტილება.

36. გარდა ამისა, რუსეთია ხელისუფლებამ მოსთხოვა სასამართლოს მის მიმართ იგივე მოდგომა შეემუშავებინა, რაც მას გააჩნდა საქართველოსთან მიმართებაში (§ 26 ზემოთ) და ამავე დროს გადაედო მისი საგამოძიებო მისია რუსეთში 2004 წ. 14 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებიდან გამომდინარე. იგი ასევე ამტკიცებდა, რომ თებერვალში სასამართლოს შეიძლება შექმნიყო პრობლემები ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული აქტების საშიშროების ან ცუდი კლიმატური პირობების გამო.

37. 2004 წ. 19 იანვარს, მისი 2002 წ. 19 ნოემბრის ვალდებულებების შესხენების შემდეგ, სასამართლომ შეატყობინა რუსეთის ხელისუფლებას, რომ იგი აპირებდა თავისი მისიის ჩატარებას 2004 წ. მაისის დასაწყისში. ისევე დაისვა საკითხი მოსარჩელების უსაფრთხო ადგილზე დაგაყვანის შესაძლებლობასთან დაკავშირებით. სასამართლომ საჩივარა, რომ თუ ამჯერად არ ექნებოდა გარანტიები და არ იქნებოდა მიღებული ყველა საჭირო ზომა მოკვლევის ჩასატარებლად, მაშინ იგი იძულებული იქნებოდა გაეუქმებინა თავისი მისია და გამოეტანა სათანადო დასკვნები კონვენციის საფუძველზე.

38. ამის პასუხად, 2004 წ. 23 იანვარს, რუსეთის ხელისუფლება ისევ ამტკიცებს, რომ მოსარჩელებთან შეხვედრა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება საბოლოო და აღსრულებადი იქნებოდა. იგი ამტკიცებდა, რომ მისი 2002 წ. 19 ნოემბრის ვალდებულებები სასამართლოს წინაშე, სახელდობრ იმ ნაწილში, რომელიც ეხება მოსარჩელებთან თავისუფალ დაშვებას, ეხებოდა მხოლოდ გამოძიების ფაზას და არა გასამართლებას. ნებისმიერ შემთხვევაში, სასამართლო მოსმენა



სტავროპოლის სამხარეო სასამართლოში იქნებოდა საჯარო და არავის აეკრძალებოდა “არც დასწრება, არც სასამართლო დავის მოსმენა და არც განსასჯელთა ყურება”.

39. რაც შეეხება სასამართლოს მიერ შეთავაზებულ თარიღებს, იმის მტკიცებით, რომ იგი ყველა ზომას მიიღებდა მისიის სათანადოდ ჩატარებისათვის, რუსეთის მთავრობამ უარყო ისინი იმ საბაბით, რომ 1-დან 11 მაისამდე პერიოდი ემთხვეოდა რუსეთში მეორე მსოფლიო ომში გამარჯვების აღნიშვნას. მოსარჩელეთა სხვა უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის იდეა ასევე უარყოფილ იქნა უსაფრთხოების მომიზეზებით.

40. მომდევნო წერილში, რომელიც თარიღდება 2004 წ. 5 თებერვლით, რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მისი მხრიდან მიღებული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა სასამართლოს დელეგაციის მისაღებად, მათ შორის საჰაერო ესკორტიც, თუმცა მაინც არ გამოორიცხავს ტერორისტული აქტის შესაძლებლობას. საპასუხოდ სასამართლომ შესთავაზა საგამოძიებო მისიის ორგანიზება 2004 წ. 12 მაისის შემდეგ, მას შემდეგ რაც რუსეთში დასრულდება სადღესასწაულო დღეები, იმ პირობით, თუ იგი წინასწარ უპირობოთ აიღებს ვალდებულებას, რომ ამ რიცხვში სასამართლოს ექნება თავისუფალი დაშვება მოსარჩელებთან. მას შემდეგ, რაც სასამართლოს განსახილველად წარუდგენდნენ ამ ვალდებულებას, იგი დაიწყებდა ტერორისტების შესაძლო თავდასხმის რისკის შეფასებას, რომელიც ნახსენებია წერილში.

41. 2004 წ. 2 და 11 თებერვალს რუსეთის ხელისუფლებამ ითხოვა საქართველოში საგამოძიებო მისიის გადატანა, 2004 წ. 14 მარტის საპრეზიდენტო არჩევნების მიზეზით. 2004 წ. 5 და 13 თებერვალს შესაბამისად სასამართლომ უარყო ეს მოთხოვნები.

42. 2003 წ. 31 ოქტომბერს და 2004 წ. 9 თებერვალს საქართველოს ხელისუფლებამ დაასახელა მოწმეები, რომელთა მოსმენა სასამართლოს მხრიდან მას საჭიროდ მიაჩნდა. ასევე მოიქცა რუსეთის ხელისუფლებაც 2004 წ. 23 იანვარს, მაგრამ 2004 წ. 19 თებერვალს მან უკან გამოიტანა მოწმეთა სია იმ მოტივით, რომ სასამართლოსგან მან ვერ მიიღო თანხმობა სხვადასხვა პროცედურული სახის მოთხოვნაზე (§§ 36 და 41 ზემოთ და 243 ქვემოთ). მოსარჩელებმა მოწმეები არ დაასახელეს.

43. 2004 წ. 23-დან 25 თებერვლამდე თბილისში, საქართველოს უზენაეს სასამართლოში ჩატარდა ექვსი არექსტრადირებული მოსარჩელის და 12 მოწმის მოსმენა. ქალბატონებმა მუხაშაურიამ და კინწურაშვილმა, ისევე როგორც ორივე ხელისუფლების დელეგაციებმა, მონაწილეობა მიიღეს ამ მოსმენაში. ორი მოსარჩელე, ბატონები ხაჩიევი და ბაიმურზაევი არ გამოცხადებულან იმის გამო, რომ 2004 წ. 17 თებერვლიდან საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ისინი დაკავალად არიან გამოცხადებული. ასევე არ გამოცხადდა ორი მოწმე, ბატონები რ. მარკელია და ა. ცქიტიშვილი, იმის გამო, რომ ისინი საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფებოდნენ.

44. მოსმენის ბოლო დღეს სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა ქალბატონების, არაბიძის, ხიჯაკაძის და გაბაიძის მოსმენა, რომლებიც მოსარჩელე მხარის წარმომადგენლები არიან ქვეყნის შიგნით მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, მაგრამ ადვოკატებმა ვერ მოახერხეს მაშინვე

გამოცხადება. ამის გამო მათ შეკითხვები გამოეგზავნათ წერილობითი ფორმით, რომელზეც პასუხები სასამართლომ მიიღო 2004 წ. 17 აპრილს (§212 ქვემოთ).

45. 2004 წ. 8 მარტს სასამართლომ მიმართა ორივე ხელისუფლებას მიეწოდებინათ ინფორმაცია ბატონების ხაჩიევის და ბაიმურზაევის გაუჩინარებასთან დაკავშირებით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, დაესახელებინათ მათი პატიმრობის ადგილი რუსეთში და მიეწოდებინათ ინფორმაცია მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. 2004 წ. 13 და 29 მარტს ხელისუფლებებმა წარმოადგინეს ინფორმაცია გაუჩინარების შესახებ (§101 ქვემოთ).

46. 2004 წ. 17 მარტს სასამართლომ რუსეთის ხელისუფლებას შეატყობინა, მისიის ჩატარების ზუსტი თარიღები (2004 წ. 5-8 ივნისი). ამავე დროს შეახსენა, რომ ამ მისიის განხორციელებას ყველა წინა მცდელობამ მარცხი განიცადა. მან მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას 2004 წ. 8 აპრილამდე ეცნობებინა მისთვის თუ ამჯერად იგი გარანტიას აძლევდა დელეგაციას, რომ მას ექნებოდა პირდაპირი და უპრობლემო დაშვება 2002 წ. 4 ოქტომბერს ექსტრადირებულ 4 მოსარჩელესთან (ბატონი ადაევი, მეხუთე მოსარჩელე ამ დროისათვის განთავისუფლებული იყო: იხილეთ პარაგრაფი 107 ქვემოთ), ასევე იმ ორ მოსარჩელესთან, რომლებიც რუსეთში დააპატიმრეს თბილისიდან გაუჩინარების შემდეგ (§100 და შემდგომები, ქვემოთ). გაამახვილა რა თავისი ყურადღება კონვენციის 38-ე მუხლის § 1 ა)-ზე სასამართლომ შეახსენა ხელისუფლებას, რომ იმ შემთხვევაში თუ იგი არ მიიღებდა სრულ დადასტურებას და თუ არ იქნებოდა მიღებული ყველა საჭირო ზომა მისიის შესასრულებლად, იგი იძულებული გახდებოდა მიეტოვებინა მცდელობა მიეღო დაშვება მოსარჩელებთან და დაიწყებდა განაჩენის რედაქტირებას იმ ელემენტებზე დაყრდნობით, რაც მას მოეპოვებოდა.

47. 2004 წ. 21 აპრილს, სტავროპოლის სამხარეო სასამართლომ გადაწყვიტა უარი ეთქვა სასამართლოსთვის ბატონ აზიევთან დაშვებაზე. ეს გადაწყვეტილება ეყდნობოდა იგივე მოტივებს რასაც 2003 წ. 14 ოქტომბრის ბრძანებულება (§29 ზემოთ).

48. 2004 წ. 8 აპრილს რუსეთის ხელისუფლებამ შეატყობინა სასამართლოს, რომ მიუხედავად მისი გადაწყვეტილებისა ეთანამშრომლა სასამართლოსთან შეუძლებელი იყო ბატონების შამაევის, ხაჯიევის, ადაევის და ვისიტოვის მოსმენა იმის გამო, რომ პროცედურა გადატანილი იყო საკასაციო ინსტანციაში. მას არანაირად უხსენებია ბატონი აზიევი და არც ის ორი გაუჩინარებული მოსარჩელე (§43 ზემოთ), რომლებიც 2004 წ. 19 თებერვალს რუსეთში დააპატიმრეს.

49. იმის გამო, რომ ყველა მცდელობა იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ხელისუფლებას შეეცვალა თავისი თავშეკავებული პოზიცია ამო აღმოჩნდა. 2004 წ. 4 მაისს, სასამართლომ გადაწყვიტა გაუქმებინა თავისი საგამომიებო მისია რუსეთში და შედგომოდა განაჩენის რედაქტირებას მის ხელთ არსებული მასალების მიხედვით (ანალოგიისთვის იხილეთ კვიპროსის საქმე თურქეთის წინააღმდეგ №8007/77, 1983 წ. 4 ოქტომბრის კომისიის მოხსენება, გადაწყვეტილებები და მოხსენებები (DR), გვ. 73, § 52).

50. 2004 წ. 4 მაისს სასამართლომ შესთავაზა მხარეებს წარმოედგინათ მათი საბოლოო დასკვნები საქმის არსთან დაკავშირებით (რეგლამენტის მუხლი

59 § 1). ისევე როგორც თბილისში ჩატარებული მოსმენის ოქმში მათ მიერ შეტანილი შესწორებები რეგლამენტის დანართის 8 A 8 მუხლი § 3). 2004 წ. 11 ივნისს საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა მისი წერილობითი შენიშვნები საქმის არსთან დაკავშირებით. მას შემდეგ, რაც ორჯერ გადააცილეს ამ მიზნით გამოყოფილ ვადას, რუსეთის ხელისუფლებამ, ისევე როგორც მოსარჩევეებმა, ასევე წარმოადგინეს თავიანთი შენიშვნები შესაბამისად 2004 წ. 20 ივლისსა და 9 აგვისტოს. 2004 წ. 11 ივნისს და 9 აგვისტოს ორივე ხელისუფლებამ წარმოადგინა მოსმენის ოქმში შეტანილი შესწორებები.

51. 2004 წ. 7 და 13 სექტემბერს ხელისუფლებებმა წარმოადგინეს თავიანთი შეხედულებები მოსარჩელეთა მოთხოვნის სამართლიანი დაკმაყოფილებისათვის, რეგლამენტის 60§3 მუხლის შესაბამისად.

## საქმის რეალური ვითარება

### 1. საქმის გარემოებანი

52. მოსარჩევეები, ბატ, აბდულ-ვაჰაბ შამაევი, რიზვან (რეზვან) ვისიტოვი, ჰუსეინ აზიევი, ალდან (ასლან) ადაევი (ადიევი), ჰუსეინ ხაჯიევი, რუსლან გალოგაევი, აჰმედ მაგომადოვი, ხამზად ისაევი, რობინზონ მარგოშვილი, გიორგი კუშტანაშვილი, ასლანბეკ ხანჩუკაევი, ისლამ ხაჩიევი იგივე რუსტამ ელიხაჯიევი იგივე ბექხან მეღკოევი და თემურ (რუსლან) ბაიმურზაევი იგივე ჰუსეინ ალხანოვი (§§ 54 და 55 ქვემოთ), ესენი არიან რუსი და ქართველი ეროვნების პირები, რომლებიც დაბადებული არიან შესაბამისად 1975, 1977, 1973, 1968, 1975, 1958, 1955, 1975, 1967, 19(...), 1981, 1979 (ან 1980) და 1975. ბატონმა კუშტანაშვილმა არ ისურვა თავისი დაბადების თარიღის გამხელა (19...).

53. ბატ. შამაევი, ვისიტოვი, აზიევი, ადაევი და ხაჯიევი საქართველოდან რუსეთში ექსტრადირებული 2002 წ. 4 ოქტომბერს, 2002 წ. 17 და 18 ოქტომბერს მოთავსებულ იქნენ წინასწარი გამოძიების იზოლაციაში ("SIZO", ქვემოთ), რომელიც მდებარეობს ჩრდილოეთ კავკასიაში, სტავროპოლის მხარის ქალაქ A - ში (§17 ზემოთ). მათი პატიმრობის ადგილი 2002 წ. 4 და 17-18 ოქტომბერში უცნობი რჩება. 2003 წ. 26 ივლისს, ბატ. შამაევი, ხაჯიევი, ვისიტოვი და ადაევი გადაყვანილ იქნენ სტავროპოლის მხარის ქალაქ B-ს წინასწარი გამოძიების იზოლაციაში. სასამართლოს მოთხოვნის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ შეატყობინა ამ იზოლაციის მისამართი და ადასტურებდა იმას, რომ აზიევიც იქ ჰყავთ პატიმრობაში (ასევე იხ. §242 ქვემოთ). მას არ დაუზუსტებია მისი გადაყვანის თარიღი.

54. რადგანაც ვერ მოხერხდა რუსეთში ექსტრადირებული მოსარჩევეების მოსმენა (§49 ზემოთ), სასამართლო. ოთხ მათგანთან დაკავშირებით, დაეყრდნო იმ გვარებს, რომლებიც მიაწოდეს ქალბატონებმა მუსხაშავრიამ და ძამუკაშვილმა. მეხუთე მოსარჩელეს გვარი, ბატ. ჰუსეინ ხაჯიევი, მოხსენიებულია სარჩელის ფორმულარში, რომელიც სასამართლოში შევიდა 2003 წ. 27 ოქტომბერს (§235 ქვემოთ).

55. რაც შეეხება არაექსტრადირებულ მოსარჩელებს, მ. მარგოშვილი თავისუფლებაში იმყოფება გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ 2003 წ. 8 აპრილიდან (§94 ქვემოთ). ბატ. გელოგაევი გათავისუფლებულ იქნა 2004 წ. 6 თებერვლის სასამართლო გადაწყვეტილებით (§99 ქვემოთ). ბატ. ხანუკაევი, ისაევი, მაგომადოვი და კუშტანაშვილი გათავისუფლებულ იქნენ 2005 წ. 5, 6 იანვარს და 18 თებერვალს (§98 ქვემოთ). ამ ექვსი მოსარჩელის პიროვნება დადგენილ იქნა სასამართლოს მიერ (§§110-115 ქვემოთ). ბატ. ხაჩიევი და ბაიმურზაევი დაპატიმრებულ იქნენ რუსეთის ხელისუფლების მიერ 2004 წ. 19 თებერვალს, თბილისიდან მათი გაუჩინარების შემდეგ 2004 წ. 16 და 17 თებერვალს. ამჟამად ისინი უნდა იყვნენ ესენტუკის საპატიმროში (§101 ქვემოთ). იმის გამო, რომ რუსეთში ვერ მოხერხდა მოსმენის ჩატარება (§§ 46 და შემდგომი ზემოთ), სასამართლო იხელმძღვანელებს იმ სახელებით, რომლები მოგვაწოდეს მათმა წარმომადგენლებმა სარჩელის შემოტანის დროს.

56. საქმესთან დაკავშირებული ფაქტები, როგორც ისინი მხარეებმა წარმოადგინეს და თბილისში მისიით ყოფნის დროს დაადგინა სასამართლომ შემდეგნაირად იყოს ჩამოყალიბებული.

#### **A. ექსტრადიციის პროცედურასთან დაკავშირებული ფაქტები**

1. პერიოდი, რომელიც წინ უსწრებს მიმართვას სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღების შესახებ.

57. 2002 წ. 3 და 5 აგვისტოს შორის მოსარჩელებმა გადმოკვეთეს რუსეთ-საქართველოს საზღვარი გირევის საკონტროლო პოსტის მახლობლად საქართველოში. ზოგიერთი მათგანი იყო დაჭრილი და თან ჰქონდათ ავტომატები და ყუმბარები. ქართველი საზღვრის დამცავებისგან დახმარების მიღების შემდეგ მათ ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი. მათ ჩაუტარდათ პირადობის დადგენასთან დაკავშირებული კონტროლი. პიროვნებების სახელები, რომლებიც ამტკიცებდნენ რომ მათ ერქვათ აბდულ-ვაჰაბ შამაევი, რიზან (რეზან) ვისიტოვი, ჰუსეინ აზიევი, ადლან (ასლან) ადაევი (ადიევი), ჰუსეინ ხაჯიევი (ხოსინ ხაჯიევი, ხაჯიევი), რუსლან მირზოევი, ადლან (აღლან) უსმანოვი, ხაზმად ისიევი, რუსლან ტეპზაევი, სეიბელ (ფეიზულ) ბაისაროვი, ასლან ხანოევი, ტიმურ (რუსლან) ბაიმურზაევი (ბაემურზაევი) და ისლამ ხაჩიევი ამ საშუალებით დადგინდა. მათგან მხოლოდ პირველ ხუთს გააჩნდა რუსული პასპორტები.

58. მოსარჩელები მაშინვე გადაიყვანეს თბილისის სამოქალაქო ჰოსპიტალში, სადაც დაჭრილებს ჩაუტარდათ ოპერაცია. 2002 წ. 5 აგვისტოს, ბატ. ტეპზაევის (მარგოშვილი), ვისიტოვის, ბაისაროვის (კუშტანაშვილი), აზიევის, შამაევის, ხაჯიევის და ისიევის (ისაევი) მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მათ მიერ საბაჟო წესების დარღვევის, იარაღის შემოტანის (სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლი §4), იარაღის უკანონო ტარების, შენახვისა და გადატანის (იმავე კოდექსის 236-ე მუხლის §1, 2 და3) და საზღვრის უკანონო გადმოკვეთის ბრალდებით (იმავე კოდექსის 344-ე მუხლი). 2002 წ. 6 აგვისტოს უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა საქმე გადასცა თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოს,

რომელმაც გადაწყვიტა აღნიშნული პირებისათვის მიესაჯა 3 თვით წინასწარი პატიმრობა. დადგენილების მიხედვით ბატ. შამაგვი დაპატიმრებულ იქნა 2002 წ. 3 აგვისტოს, ხოლო დანარჩენი ექვსის დაპატიმრება მოხდა 6 აგვისტოს.

59. 2002 წ. 6 აგვისტოს, ბატ. ხანოევის (ხანჩუკაევი), ბაიშურზაევის, ხაჩიევის, უსმანოვის (მაგომადოვი), მირზოევის (გელოგაევი) და ადაევის ბრალდების საფუძველზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 2002 წ. 7 აგვისტოს ვაკე-საბურთალოს რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლონ მათ 3 თვით წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა. დადგენილებებიდან გამომდინარეობს, რომ ბატ. უსმანოვი (მაგომადოვი) და მირზოევი (გელოგაევი) დაკავებულ იქნენ 2002 წ. 7 აგვისტოს, ბატ. ადაევი 5 აგვისტოს, ხოლო დანარჩენი სამი მოსარჩელე 6 აგვისტოს.

60. ამ გადაწყვეტილებების თანახმად, 2002 წ. 6 და 7 აგვისტოს მოსარჩელები გადაიყვანეს თბილისის № 5 საპრობილეში, მარგოშვილის გამოკლებით, რომელიც ციხის ცენტრალურ საავადმყოფოში მოათავეს. გაურკვეველი ვადის შემდეგ ბატ. ადაევიც საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი პარაგრაფი 142 ქვემოთ). დაპატიმრების დადგენილებიდან გამომდინარე ყველა მოსარჩელე რუსეთის მოქალაქეა.

61. 2002 წ. 1 ნოემბერს ბატ. მარგოშვილის, ისაევის და კუშტანაშვილს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დროებით პატიმრობა კიდევ 3 თვით გაუგრძელა, იმავე სასამართლომ ასევე სამი თვით გაუზარდა წინასწარი პატიმრობის ვადა ბატ. ხანჩუკაევს, გელოგაევს, ხაჩიევს, მაგომადოვსა და ბაიშურზაევს.

62. 2002 წ. 6 აგვისტოს ბატ. ვ.ვ. უსტინოვი, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი ჩავიდა თბილისში, სადაც იგი შეხვდა თავის ქართველ კოლეგას. მან თავის კოლეგას გადასცა მოსარჩელეთა ექსტრადიციის მოთხოვნის წერილი. ამ მოთხოვნის საქართველოში შესწავლის შემდეგ და იმის გამო, რომ ამ მოთხოვნის განსამტკიცებლად წარმოდგენილი დოკუმენტები არასაკმარისად იქნენ მიჩნეული ქართული და საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ბატ. ნ. გაბრიჩიძემ, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, სიტყვიერი უარი თქვა მოსარჩელების ექსტრადიციაზე (§§ 182 და შემდგომი ქვემოთ). იმავე შეხვედრის ფარგლებში, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მოსთხოვა რუსეთის მხარეს წარმოედგინა სათანადო დოკუმენტები ექსტრადიციის მოთხოვნის დასასაბუთებლად, რასაც თან დაერთვებოდა გარანტიები მოპრობასა და მათი უფლებების დაცვასთან დაკავშირებით ექსტრადიციის შემთხვევაში.

63. საქმიდან გამომდინარეობს, რომ იმავე დღეს, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა იგივე მოთხოვნები წერილობით ჩამოაყალიბა. მან, 2002 წ. 6 აგვისტოს, თავის რუს კოლეგას შეატყობინა, რომ ყველა მოსარჩელის მიმართ საქართველოში აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე, რომ ექვსი მათგანი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა და რომ დანარჩენი ექვსი მალე წარდგებოდა სასამართლოს წინაშე, რომელიც გადაწყვეტდა მათი დაპატიმრების საკითხს. მან განუცხადა, რომ ექსტრადიციის მოთხოვნას თან არ ერთვოდა ინფორმაცია აღნიშნული პიროვნებების ვინაობის, მოქალაქეობის, საცხოვრებელი ადგილის დადგენასთან დაკავშირებით, არც საკანონმდებლო დოკუმენტები და ტექსტები იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რაშიც მათ ბრალი

ედებოდათ რუსეთში, არც სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტები მათი დაპატიმრების შესახებ. საქართველოს გენერალურმა პროკურორმა დაასკვნა, რომ ამ გარემოებებიდან გამომდინარე “ამ პიროვნებების ექსტრადიციის საკითხი არ შეიძლება გამხდარიყო მისი განხილვის საგანი.”

64. 2002 წ. 12, 19 და 30 სექტემბერს რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავიანთ ქართველ კოლეგებს მიაწოდეს მათ მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები:

1. 2002 წ. 8 აგვისტოთი დათარიღებული დადგენილება თითოეული მოსარჩელის საქმის განხილვა ჩეჩნეთში მოქმედი ფედერალური გენერალური პროკურატურის სამსახურის მიერ.

2. მოსარჩელეთა საერთაშორისო ძებნაში გამოცხადების შეტყობინება გამოცემული 2002 წ. 15 აგვისტოს რუსეთის ხელისუფლების მიერ.

3. სასამართლო დადგენილებების დამოწმებული ასლები თითოეული მოსარჩელის წინასწარ პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებით, მიღებული 2002 წ. 16 აგვისტოს გროზნოს სტაროპრომიხლოვსკის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის მწარმოებელი გამოძიებლის მიმართვის საფუძველზე ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლის შესაბამისად.

4. რუსეთში მოსარჩელეთა წინააღმდეგ აღძრული საქმის ამონაწერები, მათთვის წაყენებულ ბრალდებასთან ერთად.

5. ფოტოსურათები.

6. პასპორტის ასლები სურათებთან ერთად.

7. ფორმულარი № 1 ასლები და

8. სხვა ინფორმაცია მათი მოქალაქეობის და ვონაობის შესახებ.

65. საქართველოს ხელისუფლებამ სასამართლოს მიაწოდა მხოლოდ იმ დოკუმენტების ასლები, რაც ჩამოთვლილია 1,2 და 3 პუნქტებში. მე-4 პუნქტში ჩამოთვლილ დოკუმენტებს რუსეთის ხელისუფლებამ “კონფიდენციალურის” კლასიფიკაცია მისცა მართლმსაჯულების უკეთ აღსრულების მიზნით.

66. საქართველოს ხელისუფლების მიერ სასამართლოსათვის გადაგზავნილი 2002 წ. 6 აგვისტოს დადგენილებების მიხედვით, მოსარჩელებს რუსეთში შემდეგი ბრალდებები წაუყენეს: საზოგადოებრივი წესრიგის დამცველი ორგანოების მუშაკებზე ფიზიკური ძალადობა, დანაშაული ითვალისწინებს მუდმივ პატიმრობას ან სიკვდილით დასჯას (სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლი, §260 ქვემოთ), უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ორგანიზაცია და ამ ფორმირებებში მონაწილეობა დამამძიმებელი გარემოებებით (იმავე კოდექსის 208§2 მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას), იარაღით ვაჭრობა დამამძიმებელი პირობებით (სისხლის სამართლის კოდექსის 222-ე მუხლის § 2-ის შესაბამისად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 2-დან 6 წლამდე) და რუსეთის ფედერაციის საზღვრის უკანონო გადაკვეთა, დამამძიმებელი გარემოებებით, 2002 წ. ივლისში (იმავე კოდექსის 322§2 მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5 წლამდე), (რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი იგივე დოკუმენტები ბატ. ადავის და ვისიტოვის შემთხვევაში დათარიღებულია 2002 წ. 13 აგვისტოთი). 3 დოკუმენტს, რომელზეც დაკრულია პიროვნების ფოტოსურათი, აღგენენ შინაგან საქმეთა სამინისტროს

კომპეტენტური სამსახურები ამ პიროვნებისათვის პირადობის მოწმობის გაცემის დროს და იხსოვრება ადასტურებს მის მოქალაქეობას.

67. იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 6-ე მუხლი კრძალავს იმ პირის ექსტრადირებას სხვა ქვეყანაში, სადაც ის დანაშაული, რომელშიც მას ბრალი ედება სიკვდილით ისჯება (პარაგრაფი 256 ქვემოთ), გენერალურმა პროკურატურამ რუსული მხარისგან მოითხოვა გარანტიები, რომ ეს სასჯელი არ იქნებოდა გამოყენებული მოსარჩელების დაკავშირებით.

68. 2002 წ. 26 აგვისტოს წერილში, ბატ. ვ.ვ. ხოლმოგოროვი, რუსეთის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელმა, მის ქართველ კოლეგას შეატყობინა, რომ 2002 წ. 27 ივლისს, რუსეთის არმიის შენაერთზე სასაზღვრო ზონაში განხორციელდა თავდასხმა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების მხრიდან და ამასთან დაკავშირებით რუსეთში აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ამ თავდასხმიდან ცოტა ხნის შემდეგ საქართველოში აყვანილ იქნა 13 პიროვნებს საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით და ამასთანავე, სამი მოწმის დაკითხვის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ ამ პიროვნებების მიმართ აღძრა სისხლის სამართლის საქმე. ეს უკანასკნელები საზღვრის გადაკვეთის მომენტში შეიარაღებულები იყვნენ. ამას ემატება სხვა მამხილებელი საბუთები, რაც რუსეთის ხელისუფლებას აფიქრებინებს, რომ საქმე ეხება ზემოაღნიშნული თავდასხმის ავტორებს. ბატ. ხოლმოგოროვი შეახსენებს, რომ ქართველმა მხარემ გამოაცხადა მზადყოფნა მოსარჩელების ექსტრადირებასთან დაკავშირებით იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ხელისუფლება წარმოადგენდა საჭირო დოკუმენტებს. ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი წარდგენის შემდეგ 2002 წ. 19 აგვისტოს, რუსეთის ხელისუფლებამ ისევ წამოაყენა მოთხოვნა ამ პიროვნებების ექსტრადირაციის შესახებ მინსკის კონვენციის შესაბამისად, რომელიც ხელმოწერილია დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებს შორის ("დსთ CEI" §266 ქვემოთ). ბატ. ხოლმოგოროვი გარანტიას იძლეოდა, რომ ეს პიროვნებები სიკვდილით არ დაისჯებოდნენ სიკვდილით დასჯაზე მორატორიუმის არსებობის გამო, რომელიც რუსეთში ძალაშია 1996 წლიდან. სამაგიეროდ იგი ითხოვდა, რომ მოსარჩელების მიმართ საქართველოში აღძრული სისხლის სამართლის საქმე გადაეგზავნათ რუსეთის ხელისუფლების ორგანიზებისათვის, შემდგომი მოხმარებისათვის.

69. 2002 წ. 27 აგვისტოს ბატონმა ვ.ი. ზაიცევმა, რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ, აცნობა ქართულ მხარეს, რომ 1999 წ. 2 თებერვლის კონსტიტუციური დადგენილების თანახმად რუსეთში მოქმედებს მორატორიუმი სიკვდილის დასჯაზე (§262 ქვემოთ) და რომ არცერთ ფედერალურ ერთეულში არცერთი პიროვნებისთვის არ შეიძლებოდა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, რომელიმე სასამართლოს გადაწყვეტილებით.

70. 2002 წ. 22 სექტემბერს მოსარჩელებს მიმართ რუსეთში წაყენებული ბრალდებები ხელახლა განისაზღვრა და გაფართოვდა. ისინი ასევე დაადანაშაულეს ტერორიზმში. ეს დადგენილებები, რიმლებიც უნდვიდუალურია თითოეულ მოსარჩელესთან დაკავშირებით, ტექსტის მიხედვით შედგენილია 2002 წ. 8 აგვისტოს დადგენილების იდენტურად (§66 ზემოთ).

71. 2002 წ. 27 სექტემბრის წერილში, ბატ. ხოლმოგოროვი ატყობინებს მის ქართველ კოლეგას იმის შესახებ, რომ მოსარჩელები დადანაშაულებულები იყვნენ ტერორიზმსა და ბანდიტიზმში დამამძიმებელი გარემოებებით, ეს დანაშაულები ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას 8-დან 20 წლამდე (სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე მუხლის § 3 და 209 მუხლის § 2). იგი ირწმუნებოდა, რომ რუსეთის გენერალური პროკურატურა “გარანტიას აძლევდა საქართველოს მხარეს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმებს შესაბამისად, ეს პიროვნებები ისარგებლებდნენ კანონით გათვალისწინებული ყველა დაცვის უფლებით, მათ შორის ადვოკატის დახმარების უფლებით, რომ მათ წინააღმდეგ არ იქნებოდა გამოყენებული წამება, ასევე არ მიაყენებდნენ მათ საშინელ და არაადამიანურ ტკივილებს და არ დაამცირებდნენ მათ ადამიანურ ღირსებას”. გარდა ამისა, მან შეახსენა, რომ “1996 წლიდან ძალაში იყო მორატორიუმი სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით და ამ ფაქტიდან გამომდინარე ექსტრადირებულ პიროვნებებს არ ემუქრებოდა სიკვდილით დასჯის საშიშროება”. ამ წერილში, ისევე როგორც 2002 წ. 26 აგვისტოს წერილში ყველა ცამეტვე პატიმარი გამონაკლისის გარეშე მოხსენებულია გვარებით.

72. რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლას და საქართველოს უშიშროების სამინისტროს მიერ მიწოდებულ ინფორმაციის საფუძველზე ისევე, როგორც დაკავების დროს მოპოვებული მტკიცებულებების მიხედვით საქართველოს გენერალური პროკურატურამ პირველ რიგში ამოიცნო ბატ. აბდულ-ვაჰაბ ახმედოვიჩ შამაევი, ხისინ ვახიდოვიჩ ხაჯაევი, ჰუსეინ მუჰამედოვიჩ აზიევი, რეზვან ვახიდოვიჩ ვისიტოვი და ადლან ლეჩიევიჩ ადაევი (სახელების ორთოგრაფია ისეთია, როგორც ეს ფიგურირებდა ექსტრადიციის გადაწყვეტილებაში), რუსეთის წინააღმდეგ მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის გამო, საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ, 2002 წ. 2 ოქტომბერს, მოაწერა ხელი მათი ექსტრადიციის გადაწყვეტილებას. 2002 წ. 3 ოქტომბერს, გენერალური პროკურატურის საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსმა ბატ. პ. მსხვილაძემ წერილობით მიმართა იუსტიციის სამინისტროს სასჯელ აღსრულებათა დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილებების აღსრულების თაობაზე (§178 ქვემოთ). ხუთი პატიმრის ციხიდან აეროპორტში გადაყვანა გათვალისწინებული იყო 2002 წ. 4 ოქტომბრის 9 საათზე.

73. ამგვარად, 2002 წ. 3 ოქტომბრის საღამოს, ქალბატონი გაბაიძე, რამდენიმე მოსარჩელის ადვოკატი შიდა იურისდიქციის პირობებში, გამოჩნდა ტელევიზიაში და ამტკიცებდა, რომ კონფიდენციალური წყაროდან მან მოიპოვა საგანგაშო ინფორმაცია ზოგიერთი მოსარჩელის გარდაუვალი ექსტრადიციის შესახებ (§§ 124, 214 და 216 ქვემოთ). მეორე დღით, ადვოკატებმა და მოსარჩელების ახლობლებმა, ისევე როგორც საქართველოში ჩეჩენი უმცირესობის წარმომადგენლებმა, გადააკეტეს ციხის მისადგომები და მოაწყეს მანიფესტაცია.



## 2. სასამართლოში 2002 წ. 4 ოქტომბერს საქმის წარმოებაში მიღების შემდგომი პერიოდი

74. 2002 წ. 4 ოქტომბრის 22 სთ და 10 წუთზე თბილისის აეროპორტის ტერიტორიაზე მოხდა 5 მოსარჩელის გადაცემა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის (FSB) წარმომადგენლებისათვის. მოსარჩელების წარმომადგენლებმა ჩაწერეს ექსტრადიციის ზოგიერთი მომენტები, რომლებიც ქართულმა არხმა “რუსთავი-2“-მა გაავრცელა თავისი ტელევიზიის საშუალებით 2002 წ. 4 ოქტომბრის საღამოს. იქ მოჩანს ოთხი მოსარჩელე, რომლებიც თვითმფრინავში აყავთ საქართველოს სპეცდანიშნულების სამსახურის თანამშრომლებს. ეს უკანასკნელები კამერების წინ უხეშად უწევდნენ მათ ნიკაპს. მათ შორის შესაძლებელია ბატ. შამავეის, ადავეის, ვისიტოვის და ხაჯიევის ამოცნობა სასამართლოს ხელთ არსებული სურათების მიხედვით (§20 ზემოთ). ბატონი აზიევი არცერთ მომენტში არ ჩნდება. ბატ. ხაჯიევს შეენიშნება ჭრილობა ცხვირის არეში, ისევე როგორც წითელი ლაქები ყბის ირგვლივ. ბატ. ვისიტოვს აღენიშნება ჭრილობა მარცხენა თვალთან. თუმცა, ამ ჩანაწერით შეუძლებელია ამ დაზიანების სერიოზულობის შეფასება. ჩანაწერი ასევე გვიჩვენებს მოსარჩელეთა ჩასვლას რუსეთში. თვალეზახვეული ექსტრადირებული პიროვნებები თვითმფრინავიდან ჩამოყავდათ სამხედრო ფორმაში გამოწყობილ ნიღბიან ადამიანებს, რომლებსაც ორივე მხრიდან ეჭირათ პატიმრები, რომლებსაც ხელები უკან ჰქონდათ გადაჯვარედინებული, ორად იყვნენ მოკეცილი და თავები მიწისკენ ჰქონდათ დახრილი.

75. ერთმა ქართველმა ჟურნალისტმა ჩანაწერი შემდეგი სიტყვებით დაასრულა: “(...) თუ საქართველოს ხელისუფლება ვერ დაამტკიცებს, რომ მას რუსეთისათვის არ გადაუცია უდანაშაულო ხალხი, ვისი ვინაობაც არ არის დადგენილი, მაშინ ნათელი გახდება, რომ ეს ექსტრადიცია იქნება ბატონ პუტინისათვის გაკეთებული საჩუქარი დსთ-ს წევრი ქვეყნების სამიტის წინა დღეს” (რომელიც შედგა კიშინიოვში 2002 წ. 6 და 7 ოქტომბერს).

76. 2002 წ. 8 ოქტომბერს ბატონმა უსტინოვმა შეატყობინა რუსეთის წარმომადგენელს სასამართლოში იმის შესახებ, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ქართველ კოლეგებს მისცა ყველა საჭირო გარანტია მოსარჩელებთან დაკავშირებით ექსტრადიციის შემთხვევაში. მის მიხედვით ცამეტიდან ხუთი ტერორისტის გადაცემის შემდეგ ქართულმა მხარემ უსაფუძვლოდ გააჭიანურა სხვების ექსტრადიცია ერთადერთი მოტივით, რომ მათი ვინაობა არ იყო დადგენილი.

77. 2002 წ. 16 ოქტომბრით დათარიღებულ წერილში რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე მადლობას უხდოდა საქართველოს მხარეს, იმისათვის რომ მან საჭირო მსვლელობა მისცა ხუთი ტერორისტის ექსტრადიციის მოთხოვნას. იგი ამტკიცებს რომ, რუსეთში ჩამოსვლის შემდეგ მათ გაიარეს სამედიცინო შემოწმება და მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად სცნეს, რომ ადვოკატები “დაშვებულ” იქნენ, რომ გამოძიება ჩატარდა “რუსული სასამართლო წარმოების” კანონმდებლობის სრული დაცვით და რომ “არსებობდა დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებდნენ მათ რუსეთის მოქალაქეობას”. იგი კიდევ ერთხელ იძლეოდა გარანტიას, რაც არაერთხელ მიუციათ საქართველოს ხელისუფლებისათვის, რომ “კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნების და №6 პროტოკოლის თანახმად პიროვნებებს

არ გამოუტანდნენ სასიკვდილო განაჩენს. მათ მიმართ არ იქნება გამოყენებული წამება, არ მიაყენებენ არაადამიანურ და საშინელ ტკივილებს და არ მოხდება ადამიანური ღირსების შელახვა. გარდა ამისა, არაექსტრადირებული მოსარჩელების ვინაობის დადგენის მიზნით ჩატარებული იქნა საიდენტიფიკაციო პროცედურები მათი ფოტოსურათების საშუალებით, რის შედეგადაც მათში ამოიცნეს რუსეთის არმიაზე 2002 წ. 27 ივლისს იტუმ-კალინსკის რაიონში (ჩეჩნეთის რესპუბლიკა) მოწყობილი თავდასხმის ავტორები. იმის რწმუნებით, რომ მათი “ექსტრადირებისთანავე, ჩატარდებოდა საიდენტიფიკაციო პროცედურები”, რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილემ კვლავ წამოაყენა თბილისში პატიმრობაში მყოფი მოსარჩელებისათვის ექსტრადიციის საკითხი მინსკის 56-ე, 67-ე და მე-80 მუხლების შესაბამისად.

78. 2002 წ. 28 ოქტომბერს, რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ კვლავ გადმოუგზავნა საქართველოს ხელისუფლებას სასამართლოს გადაწყვეტილება ბატ. გელოგაევის და ბაიმურზაევის (მოხსენიებულია მირზოევის სახელით), ხაჩიევის და ბაიმურზაევის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრასთან დაკავშირებით და კვლავ მოითხოვა მათი ექსტრადიცია (აღვოკატები ხაზს უსვამენ იმას, რომ სამმა მოსარჩელემ ამ დროისათვის უკვე გადათქვა ეს სახელები, რომლებიც მათ თავდაპირველად საქართველოს ხელისუფლებას თავიანთი გვარების სახით წარუდგინეს).

79. 2002 წ. 29 ოქტომბერის საპასუხო წერილში საქართველოს გენერალურმა პროკურორმა აღნიშნა, რომ თბილისში პატიმრობაში მყოფი 8 მოსარჩელის მიმართ რუსეთის სასამართლოს მიერ გამოტანილ წინასწარი დაკავების დადგენილებაში მოხსენიებული გვარები არ შეესაბამებოდნენ მათ რეალურ გვარებს და მათი ექსტრადიციაზე თანხმობის მიცემამდე საჭირო იყო მათი ვინაობის დადგენა. მან განმარტა, რომ “2002 წელის 4 ოქტომბერს ექსტრადირებული ხუთი პიროვნებისგან განსხვავებით”, რუსეთის მხარის მიერ მოთხოვნილი ექვსი პატიმრობაში მყოფი პიროვნების სახელები იწვევდნენ “სერიოზულ ეჭვს” და რომ მეშვიდე და მერვე პატიმარს, რომლებსაც მოიხსენიებიათ ტეპსაევის და ბაისაროვის გვარით, სინამდვილეში ერქვათ მარგოშვილი და კუშტანაშვილი. ეს უკანასკნელები დაბადებული არიან საქართველოში და არა ჩეჩნეთში. საქართველოს გენერალურმა პროკურორმა გამოთქვა სინანული იმასთან დაკავშირებით, რომ “რუსეთის ხელისუფლება დაჟინებით მოითხოვდა ბატ. ტეპსაევის და ბაიმურზაევის ექსტრადიციას, როცა არსებითად იცოდა, რომ ტეპსაევი არ იყო ტეპსაევი და რომ ბაიმურზაევი არ იყო ბაიმურზაევი”. აქედან გამომდინარე მისთვის მისთვის ასევე საეჭვო ხდებოდა იმ მონაცემთა სისწორე, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ გადმოგზავნა სხვა ექვს მოსარჩელესთან დაკავშირებით.

80. 2002 წ. 21 ნოემბერს, ბატ. გელოგაევა, მაგომადოვა, კუშტანაშვილმა, ისაევა, ხანუკაევა, ბაიმურზაევა და ხაჩიევა მიმართეს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტის თავმჯდომარეს თხოვნით არ გადაეგზავნათ ისინი რუსეთში. ისინი ამტკიცებდნენ, რომ “აბსოლუტურად დარწმუნებულები იყვნენ იმაში, რომ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მათ მიმართ გამოყენებული იქნებოდა წამება, არაადამიანური მოპყრობა სამხედროების და სხვათა მხრიდან და რომ მათ დახვრეტდნენ ყოველგვარი სასამართლოს გარეშე”.

81. 2002 წ. 15 ოქტომბრის განცხადებაში “ჩენეთის იჩქერიის რესპუბლიკის” საგარეო საქმეთა მინისტრი ამტკიცებს, რომ ექსტრადირებული მოსარჩელე ბატ. ხუსეინ აზიევი, 2002 წ. 5 ოქტომბერს დაიღუპა სასტიკი მოპყრობისაგან. ამის პასუხად, 2002 წ. 18 ოქტომბერს, სასამართლოს წინაშე რუსეთის ხელისუფლებამ უარყო ეს ინფორმაცია და საჩივარა, რომ ყველა მოსარჩელე და მათ შორის აზიევი, ჯანმრთელი იყო და რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრებოდა და რომ ისინი სასჯელს კარგ პირობებში იხდიდნენ სტავროპოლის მხარის ერთერთ საგამოძიებო იზოლატორში. 2002 წ. 23 ოქტომბერს სასამართლომ მოითხოვა მისთვის შეეცვლინებინათ ამ დაწესებულების ზუსტი მისამართი, რათა ჰქონიყო მოსარჩელეებთან მიმოწერის საშუალება (§15 ზემოთ).

82. მოსარჩელეთა წარმომადგენლებს არ სჯეროდათ რუსეთის ხელისუფლების პასუხის სარწმუნოება. ისინი ახსენებენ ვინმე ჰუსეინ იუსუპოვს, ჩენური წარმოშობის პიროვნებას, რომელიც საქართველოს უშიშროების სამინისტროში 2002 წ. ბოლომდე ყავდათ დაკავებული და შემდეგ გაუჩინარდა. საქართველოს ხელისუფლების განცხადებით იგი გათავისუფლებულ იქნა. ბატ. იუსუპოვის დედის განცხადებით, რომელიც მისი გათავისუფლების დღეს მის სანახავად მივიდა ციხეში, მისი შვილი იქიდან არ გამოსულა. ადვოკატები ეჭვობენ, რომ იგი გადასცეს “რიგგარეშე” დაღუპული პატიმრის “სანაცვლოდ”. ისინი სთხოვენ სასამართლოს გაამახვილოს ყურადღება იმ სასტიკ მოპყრობაზე, რაც გამოყენებულ იქნა აზიევის მომართ მის ექსტრადიციაზე (§§ 125 და 135 ქვემოთ).

### **3. ექსტრადიციის პროცედურები სასამართლოს მიერ 2002 წ. 25 ნოემბერს მიღებული დროებითი ზომების შემდეგ**

83. მას შემდეგ რაც დადგინდა, რომ ბატ. ბაიმურზაევის, მირზოევის და ხაჩიევის შესაბამისად ერქვათ ალხანოვი ჰუსეინ მავლადინოვიჩი, გელოგაევი რუსლან აჰმედოვიჩი და ელიხაჯიევი რუსტამ ოსმანოვიჩი და რომ ისინი რუსეთის მოქალაქეები იყვნენ, 2002 წ. 28 ნოემბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ საჩივარა თანხმობა რუსეთში მათ ექსტრადიციაზე. ექსტრადიციის გადაწყვეტილებაში ნათლად იყო მითითებული, რომ ამ გადაწყვეტილების შესახებ უნდა ეცნობებინათ მოსარჩელეებისათვის და მათთვის უნდა განემარტათ, რომ მათთვის გახსნილი იყო გზა საჩივრით მიემართათ სასამართლოსათვის.

84. 2002 წ. 29 ნოემბერს მოსარჩელეებმა სარჩელი შეიტანეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლოში. მათი ადვოკატები ამტკიცებდნენ, რომ ექსტრადიციის მოთხოვნა არ შეესაბამებოდა მათი კლიენტების რეალურ სახელებს და წარმოდგენილი სურათები გადაღებული იყო საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ მათი თბილისის №5 იზოლატორში გადაყვანის დროს. ისინი ჩიოდნენ, რომ გროზნის სასამართლოს მიერ 2002 წ. 16 აგვისტოს მათი კლიენტებისათვის გამოტანილ დადგენილებაში დაპატიმრების შესახებ (§64 ზემოთ) არ იყო ნახსენები სასჯელის მოხდის ვადები, ხოლო პროცედურაში რომლის შედეგადაც მიღებულ იქნა ეს

გადაწყვეტილება სრულიად უგულვებელყოფილია ამ პიროვნებების უფლებები დაცვასთან დაკავშირებით. ამ ნაკლოვანებების მიზეზით ისინი მოითხოვდნენ სადავო ექსტრადიციის გაუქმებას. გარდა ამისა, ადვოკატები თავიანთ მსჯელობას ამყარებდნენ იმაზეც, რომ რუსეთს არ ჰქონდა რატიფიცირებული ევროპის ადამიანთა უფლებების კონვენციის №6 პროტოკოლი და გამოიტანეს დასკვნა, რომ რუსეთის გარანტიები სულაც არ აკმაყოფილებდნენ კონვენციის მოთხოვნებს ექსტრადიციასთან დაკავშირებით. მათი თვალსაზრისით ეს გარანტიები საკმარისი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათ გასცემდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი.

85. 2002 წ. დეკემბერში ამ მიმართვას უარი ეთქვა. 2002 წ. 25 დეკემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა და საქმე უკან დააბრუნა.

86. 2003 წ. 13 მარტს სასამართლომ, რომელსაც საქმე დაუბრუნდა, კანონიერად ჩათვალა ბატონ ხაჩიევის და გელოგაევის ექსტრადიცია. სასამართლოსათვის პირველად გახდა ცნობილი, რომ 2000 წ. 27 ოქტომბერს და 2002 წ. 1 ნოემბერს (უზენაესი სასამართლოს მიხედვით 2002 წ. 1 თებერვალი, § 88 ქვემოთ), საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილთა სტატუსი მიენიჭათ ბატონ ბაიმურზაევს და გელოგაევს, შესაბამისად ლტოლვილთა და განსახლების მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა სასამართლოს წინაშე დაადასტურა, რომ ამ სტატუსის მინიჭება მოხდა ლტოლვილებთან დაკავშირებული კანონის შესაბამისად (§257 ქვემოთ). მას შემდეგ, რაც დადგინდა რომ ბატონ ბაიმურზაევისათვის ოფიციალურად არ მოუხსნიათ ლტოლვილის სტატუსი, სასამართლომ დაადგინა, რომ მისი რუსეთში ექსტრადიცია შეუძლებელი იყო. ბატონ გელოგაევთან დაკავშირებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წ. 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა მას გაუუქმა ლტოლვილის სტატუსი შინაგან საქმეთა სამინისტროს 2002 წ. 20 ნოემბრის წერილისა და ლტოლვილის სტატუსის განმსაზღვრელი კომისიის მოხსენების საფუძველზე.

87. სასამართლო ექსპერტიზის დასკვნაზე დაყრდნობით და ამავე დროს გენერალური პროკურატურის წარმომადგენლების განმარტების საფუძველზე სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის ფაქტი, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოგზავნილ მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ თან ახლდა მოსარჩელეთა სურათები, რომელიც გადაცემული იყო საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ 2002 წ. 7 აგვისტოს ამ პიროვნების თბილისის №5 იზოლატორში გადაყვანის დროს. სასამართლოს მიხედვით, ამ სურათების გადაზავნა რუსეთის ხელისუფლებისათვის საჭირო იყო მათი იდენტიფიკაციისათვის.

88. 2003 წ. 16 მაისს უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა ეს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა ბაიმურზაევის ექსტრადიციის შეუძლებლობას. სასამართლომ მიიღო დადგენილება შეეჩერებინა ბატონ გელოგაევის ექსტრადიცია სასამართლო პროცესის დასრულებამდე, რომელიც ამ უკანასკნელმა წამოიწყო 2002 წ. 25 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა მისთვის ლტოლვილის სტატუსის გაუქმებას. რაც შეეხება ბატონ ხაჩიევს, უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ მისი ფოტოსურათი რუსეთის მხარეს გადაეგზავნა მისი ვინაობის დასადგენად, მაგრამ

ეს იდენტიფიკაცია წარუმატებელი აღმოჩნდა. გარდა ამისა, დაცვამ წარმოადგინა რუსული პასპორტის ასლი, რომლის მიხედვითაც ბატ. ხაჩიევს სინამდვილეში არც ხაჩიევი ერქვა და არც ელიხაჯიევი, არამედ ის იყო მეღკოვეი (იხ. §§ 83 101). საქართველოს გენერალური პროკურატურის მოთხოვნით, რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა გადაამოწმეს ამ ასლის სისწორე და 2003 წ. 6 მაისს გამოგზავნეს პასუხი, რომ ასეთი პასპორტი არასდროს გაცემულა. ამ გარემოების გათვალისწინებით უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ხაჩიევის პიროვნება არ იყო დადგენილი და გადაწყვიტა მისი ექსტრადიციის საქმის შეჩერება და ეს ნაწილი დამატებითი ძიებისათვის გაეგზავნა გენერალური პროკურატურისათვის.

## **B. მოსარჩელეთა მიმართ საქართველოს და რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოებული სასამართლო პროცესები**

1. საქართველოს სასამართლოებში საზღვრის დარღვევასთან დაკავშირებით აღძრული საქმეები

89. ზემოხსენებულ საქმესთან დაკავშირებით თბილისის რაიონულ სასამართლოში წარდგენილი ბატ. ხანუკაევი და მაგომადოვი 2003 წ. 15 ივლისს გათავისუფლებულ იქნენ მათ ქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არარსებობის გამო. სახელდობრ, დადგინდა, რომ ის მოსარჩელები, რომლებიც დაჭრილები იყვნენ, იძულებულიები გახდნენ დაერღვიათ რუსეთსაქართველოს საზღვარი “უკიდურესი აუცილებლობის” პირობებში, რათა თავი აერიდებინათ რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან კონფლიქტისათვის და ამავე დროს, გამოსულიყვნენ ალყიდან, რომელშიც ისინი 2002 წ. 25 ივლისიდან იმყოფებოდნენ. სასამართლოს აზრით, ეს პიროვნებები აიძულეს ჩაედინათ დანაშაული, იმის გამო, რომ მათ სხვა გამოსავალი არ რჩებოდათ. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, მათ მიიჩნიეს, რომ ის, რაც დაირღვა (ეროვნული უსაფრთხოება, საზღვარი და ა.შ.) ნაკლებად მნიშვნელოვანი იყო იმასთან შედარებით, რაც გადარჩა --- მათი საკუთარი სიცოცხლე. აღმოჩნდა, რომ საგამოძიებო ორგანოებს არ დაუკითხავთ აღნიშნული საზღვრის დამცველები და გამოძიებაში ეყრდნობოდნენ ამ მოსარჩლის საკუთარ ჩვენებებს. სასამართლომ მოუსმინა საზღვრის დამცველებს, რომელთა მიხედვით იმ მონაკვეთში, საიდანაც აღნიშნული პიროვნებები საქართველოში შემოვიდნენ, საზღვრის დემარკაცია არ იყო ჩატარებული, არ არსებობდა დროშაც კი. საზღვრები მიახლოებით იყო დადგენილი ორივე სახელმწიფოს მიერ, რაც ოფიციალურად არ იყო აღიარებული. მათ დაადასტურეს, რომ მოცემულ მომენტში სასაზღვრო ზონა და თვით საზღვარიც, იბომბებოდა რუსეთის მიერ და რომ მოსარჩელებმა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ჩააბარეს თავისი იარაღი და ითხოვეს თავშესაფარი საქართველოში.

90. ამ გადაწყვეტილებას დაეთანხმა 2003 წ. 2 დეკემბერს ჩატარებული საკასაციო სასამართლოც, მაგრამ ბატ. ხანუკაევის და მაგომადოვის გათავისუფლება არ მოხდა იმის გამო, რომ 2002 წ. 18 დეკემბერს მათ მიესაჯათ წინასწარი პატიმრობა იმ საქმის გამო, რომელშიც მათ ბრალად ედებოდათ

სახელმწიფო მოხელეებზე ძალადობა, რომელიც მათ ჩაიდინეს 2002 წ. 3-4 ოქტომბერს ღამით (§36 და შემდგომ, ქვემოთ).

91. იმავე მოტივებით, რაც ფიგურირებს ხანუკაევისა და მაგომადოვის საქმეში, თბილისის რაიონულმა სასამართლომ 2003 წ. 9 ოქტომბერს საზღვრის დარღვევის საქმეში ბრალდება მოუხსნა ბატ. ისაევსაც. სასამართლომ კერძოდ დაადგინა, რომ საქართველოში შემოსვლისას ამ მოსარჩლეს აღენიშნებოდა ორი ჭრილობა მარცხენა წინამხრის არეში, რომელიც მიყენებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით. ტყეში იგი შეხვდა ბატ. ხაჯიევს და აზიევს, ორ სხვა მოსარჩლეს, რომლებიც ასევე გაურობდნენ რუსეთის არმიის დაბომბვებს. მათ თავშესაფარი იპოვეს ქართველი მწყემსის, სახელად ლევანის ქოხში. ჩენების სხვა ჯგუფიც იმ ქოხს აფარებდა თავს, მას შემდეგ, რაც გაიგეს, რომ ისინი უკვე საქართველოს მიწაზე იმყოფებოდნენ, გადარჩენილებმა თავიანთი მასპინძელი მესაზღვრეებთან გაუშვეს დახმარების სათხოვნელად. მათ ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი და თავშესაფარი ითხოვეს საქართველოში. ეს ფაქტები სასამართლოს წინაშე დაადასტურეს აღნიშნულმა მესაზღვრეებმა (§89 ხემათ).

92. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ ისაევის დაპატიმრების შესახებ საქართველოს უშიშროების მინისტრმა რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს შეატყობინა. ამგვარად, თავისი დაპატიმრების შემდეგ ისაევმა სამჯერ შეცვალა მამის სახელი, სანამ დადგინდა, რომ იგი მოვლის ძე იყო. ამ ცვლილებების შესაბამისად რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმაც ასევე შეიტანეს ცვლილებები ამ მოსარჩელის ექსტრადიციის მოთხოვნაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ “რუსეთის გენერალური პროკურატურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, რომლებიც ფიგურირებენ საქმეში, როგორც ჩანს, ხელოვნურად არიან შექმნილი, რათა მომხდარიყო ამ პიროვნების ექსტრადიცია”. ეს მასალები სულაც არ მეტყველებენ იმაზე, რომ “რუსეთის სამართალდამცავი ორგანოები (...) იცნობდნენ ამ პიროვნებას საქართველოში მის დაპატიმრებამდე”.

93. ბრალდების მოხსნის გადაწყვეტილება დაადასტურა საკასაციო სასამართლომ 2003 წ. 11 დეკემბერს, მაგრამ ბატ. ისაევის გათავისუფლება არ მოხდა იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე სახელმწიფო მოხელეებზე ჩადენილი ძალადობის ბრალდებით (§ 96 და შემდგომი ქვემოთ).

94. 2003 წ. 8 აპრილს ბატ. კუშტანაშვილი და მარგოშვილი, საქართველოს მოქალაქეები, გაამართლეს ბრალდების იმ ნაწილში, რომელიც ეხებოდა იარაღის უკანონო ტარებას, შენახვას და გადატანას. საქმის მეორე ნაწილი (საზღვრის და საბაჟო წესების დარღვევა) უკან დააბრუნეს დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად. მათ წინასწარი პატიმრობა შეუმსუბუქდათ და სასამართლო კონტროლის დაწესებით ისინი დარბაზიდანვე იქნენ გათავისუფლებულნი. 2003 წ. 20 მაისს ბატ. კუშტანაშვილი კვლავ დააპატიმრეს იმის გამო, რომ სახელმწიფო მოხელეებზე ჩადენილი ძალადობის გამო მას შეეფარდა წინასწარი პატიმრობა (§96 და შემდგომი ქვემოთ).

95. 2004 წ. 6 თებერვალს, ბატ. გელოგაევი, ხაჩიევი და ბაიმურზაევი თბილისის სასამართლომ ასევე გაამართლა საზღვრის დარღვევის საქმეში. 2004 წ. 16 აპრილს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და საქმე უკან დააბრუნა ხელახალ ძიებაში.

## 2. ქართველი სახელმწიფო მოხელეების მიმართ ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებული საქმე

96. 2002 წ. 4 ოქტომბერს, 9 საათზე, ბატ. რ. მარკელია, გამომძიებელი, ორი მოწმის თანდასწრებით შევიდა №88 საკანში, სადაც სასჯელს იხდიდნენ მოსარჩელები, სანამ ისინი რამდენიმე საათის წინ დატოვებდნენ ამ საკანს (§123 ქვემოთ). დადგინდა, რომ საკანს დიდი ზიანი ჰქონდა მიყენებული, სახელდობრ, ინვენტარი იყო დაშლილი, კედლები კი დაზიანებული. 2002 წ. 9 ოქტომბერს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. 2002 წ. 1 ნოემბერს გენერალურმა პროკურატურამ ზოგიერთ ნივთებს ჩაუტარა ექსპერტიზა იმ მიზნით, რომ დაედგინათ, იყო თუ არა ეს ნივთები №88 საკანის ინვენტარის ნაწილი. ექსპერტიზის მოხსენებაში, რომელიც თარიღდება 2002 წ. 25 დეკემბრით, ამოცნობილია შემდეგი ნივთები: ლითონის ღეროს ფორმის გისოსები და მეტალის ფირფიტები, რომლებიც მექანიკური გზით მოგლეჯილია ფანჯრებიდან და №88 საკანის ორსართულიანი საწოლებიდან, ვენტილატორის სადგარი ამავე საკანიდან, აგურის ნატეხები, ჩალაგებული ჯინსის შარვალში, რომელსაც ბოლოები ჰქონდა განასკვული, ალესილი კოვზი, ჩამაგრებული სანთებელას პლასტმასის კორპუსში, რაც დანას ქმნიდა, ერთი მხრიდან ალესილი სადილის კოვზი და სხვა საგნები, რომლებიც საკანის ან მისი ინვენტარის ნაწილს შეადგენდნენ.

97. 2002 წ. 29, 30 ნოემბერს და 16 დეკემბერს არაექსტრადირებული მოსარჩელების მიმართ, ბატ. მარგოშვილის გამოკვლებით, აღიძრა სისხლის სამართლის საქმე ძალის გამოყენებით წინასწარგანზრახული წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით, რაც პატიმართა ერთმა ჯგუფმა გამოიყენა სახელმწიფო მოხელეების მიმართ. მათ ასევე ბრალად ედებოდათ პენიტენციური სისტემის თანამშრომლების კანონიერი მოთხოვნების მიმართ დაუმორჩილებლობა დაწესებულების ფუნქციონირებისათვის ხელის შეშლის მიზნით. 2002 წ. 30 ნოემბერს და 16 დეკემბერს მოსარჩელებს რუსულ თარგმანთან ერთად გააცნეს გადაწყვეტილება მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ.

98. 2004 წ. 24 მაისს პირველი ინსტანციის სასამართლომ ბატ. კუშტანაშვილს, მაგომადოვს, ისაევს და ხანჩუკაევს მიუსაჯა ოთხი წლით თავისუფლების აღკვეთა. განაჩენის თანახმად №88 საკანის პატიმრებმა ტელევიზიის საშუალებით გაიგეს, რომ “ზოგიერთი ჩეჩენი” ექსტრადირებული იქნებოდა, მაგრამ მათ არ იცოდნენ რომელ მათგანს შეეხებოდა ეს. მათ წინააღმდეგობა გაუწიეს მათ გამოსაყვანად მისულ საპატიმროს თანამშრომლებს. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ლითონის საგნებით, საწოლის და წყალგაყვანილობის ნაწილებით. ასევე მათ თეთრეულში და ტანსაცმელში გახვეული ჰქონდათ აგურის ნატეხები სატყორცნად. მათ დაჭრეს საპატიმროს დაცვის თანამშრომლები და სპეცრაზმის მებრძოლები. 2004 წ. 25 ნოემბერს თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა ეს განაჩენი. მოსარჩელების საკასაციო საჩივრის გათვალისწინებით 2004 წ. 25 ნოემბერს საქართველოს უზენაესმა სასამართლომ შეცვალა გადაწყვეტილება და ამ

პიროვნებებს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 2 წლით და 5 თვით. სასჯელის ვადაში ჩათვალა ის პერიოდი, რაც მათ პატიმრობაში გაატარეს მათი დაკავების დღიდან. ბატ. ხანუკაევი გათავისუფლდა 2005 წ. 5 იანვარს, ბატ. მაგომადოვი და ისაევი 2005 წ. 6 იანვარს, ხოლო კუშტანაშვილი 2005 წ. 18 თებერვალს.

99. იმავე საქმის გამო, 2004 წ. 6 თებერვალს ბატ. გელოგაევის, ხაჩიევის და ბაიმურზაევის პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუსაჯა ერთი წლით თავისუფლების აღკვეთა. მათ მიერ წინასწარ პატიმრობაში გატარებული პერიოდის სასჯელის ვადაში ჩათვლის გამო ეს სამი მოსარჩელე დარბაზიდანვე გაათავისუფლეს. 2004 წ. 16 აპრილს უზენაესმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და საქმე უკან დააბრუნა.

*ა) ბატ. ხაჩიევის (ელიხაჯიევის, მეღკოვეის და ბაიმურზაევის (ალხანოვის) გაუჩინარება მათი გათავისუფლების შემდეგ*

100. 2004 წ. 6 თებერვალს გათავისუფლებული ეს მოსარჩელები ბატ. გელოგაევთან ერთად საცხოვრებლად მოეწყვნენ ნათესავთან თბილისში. 2004 წ. 16 თებერვალს მათ დატოვეს საცხოვრებელი იმ მიზნით, რომ შეხვედროდნენ ლტოლვილთა და განსახლების მინისტრს, მაგრამ იქ მისვლამდე ისინი გაუჩინარდნენ. 2004 წ. 25 თებერვალს ქართული მედია რუსეთის სააგენტოზე დაყრდნობით იტყობინებოდა, რომ ეს გაუჩინარებულები სასჯელს იხდიდნენ ქალაქ ესენტუკის ციხეში საქართველო-რუსეთის საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით. 2004 წ. 5 მარტს ქალბატონმა მუხაშავერიამ ამის შესახებ შეატყობინა სასამართლოს და საჩივარა, რომ მას აწუხებდა ბატ. ბაიმურზაევის ჯანმრთელობის მდგომარეობა, რომელსაც ყბის არეში ესაჭიროებოდა ოპერაცია. მან განმარტა, რომ გათავისუფლების შემდეგ სამ მოსარჩელეს არ დაუტოვებია თავისი საცხოვრებელი ადგილი მათი წარმომადგენლის გარეშე. თავიანთი წარმომადგენლებისაგან გარანტიის მიღების შემდეგ, რომ მათ თბილისში არაფერი ემუქრებოდათ, ხაჩიევმა და ბაიმურზაევმა პირველად გაბედეს ქუჩაში გასვლა.

101. 2004 წ. 13 მარტს საქართველოს ხელისუფლებამ საჩივარა, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული მოკვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეს ორი მოსარჩელე გაუჩინარდა 2004 წ. 16 თებერვალს 10სთ-სა და 30 წუთზე. მოგვიანებით ისინი სოფელ ლარსის მახლობლად (ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა) დააკავეს რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა საზღვრის უკანონო გადაკვეთასთან დაკავშირებით. 2004 წ. 29 მარტის რუსეთის ხელისუფლების ცნობით ეს ორი პიროვნება 2004 წ. 19 თებერვალს დაკავებული იქნენ რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის მიერ იმ მოტივით, რომ ისინი ფიგურირებდნენ ძეზნაში მყოფი პიროვნებების სიაში. დაკავების მომენტში ხაჩიევს აღმოაჩნდა ყალბი პასპორტი მულკოევის სახელზე (§88 ზემოთ). რუსტამ უსმანოვიჩი ელიხაჯიევის და ჰუსეინ მავლადინოვიჩი ალხანოვის სახელით 2004 წ. 22 თებერვალს ბატ. ხაჩიევი და ბაიმურზაევი გაასამართლეს და გროზნოს სტაროპრომისლოვსკის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით გადაიყვანეს ესენტუკის საგამოძიებო იზოლატორში. 2004 წ. 6 მარტს ისინი



გადაიყვანეს ქალაქ -ს საგამოძიებო იზოლაციაში, რის შემდეგაც 2004 წ. 22 მარტს ისინი დააბრუნეს ესენტუკში გამოძიების მიზნებიდან გამომდინარე.

102. 2004 წ. 8 აპრილს რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა ამ მოსარჩელების ფოტოსურათები, ისევე, როგორც მათი საკნების სურათები ქალაქ A-ს საგამოძიებო იზოლაციაში (საშხაპე, სამედიცინო განყოფილება, სამზარეულო), ბატ. ხაჩიევი და ბაიმურზაევი ცალცალკე იხდიდნენ სასჯელს. თითოეული მოთავსებული იყო 16,4 კვ.მ. ფართობის საკანში, რომელსაც ჰქონდა ფანჯარა, ტუალეტი და რადიოქსელი. ეს საკნები გათვალისწინებულია ოთხი პიროვნებისათვის და მასში მართლაც ოთხი პიროვნება იყო განთავსებული. პატიმრის პირადი საქმიან გამომდინარე ხაჩიევს გაძლიერებული მეთვალყურეობა ჰქონდა დანიშნული. მოსარჩელები არ ჩიოდნენ მათი პატიმრობის პირობების გამო. სურათებზე ისინი გადაღებულები არიან ფასში და პროფილში ორ სხვადასხვა ოთახში, რომლებიც არ უნდა იყვნენ ის საკნები, რომლებიც ზემოაღნიშნულ სურათებზე არიან გამოსახული.

103. სამედიცინო სერტიფიკატის მიხედვით, რომელიც 2004 წ. 24 მარტით თარიღდება, ხაჩიევის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგია და არანაირი ახალი დაზიანება არ აღენიშნება. ბატ. ბაიმურზაევს აწუხებს ქვედა ყბის მოტეხილობა, რასაც ართრალგია ოსტეომიელიტი. მას 2000 წელს ჭურვის ნატეხი მოხვდა ნიკაპში და 2002 წელს ჩაუტარდა ოპერაცია. 2003 წელს მან ეს ძვალი ხელახლა მოიტეხა. 2004 წ. 12 მარტს რუსეთში მას ჩაუტარდა რადიოლოგია, ხოლო 2004 წ. 15 მარტს მან შემოწმება გაიარა სტომატოლოგთან, რომელმაც სტაციონარული მკურნალობა ურჩია.

104. თბილისში სასამართლო მოსმენის დროს ბატ. გელოგაევი თავისმხრივ გამოხატა შეშფოთება მისი ორი ამხანაგის გაუჩინარებასთან დაკავშირებით და გა გამოთქვა მოსაზრება, რომ ისინი შესაძლოა საიდუმლოდ იყვნენ ექსტრადირებული ზოგიერთი პოლიტიკური დათმობის სანაცვლოდ, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიიღო რუსეთში 2004 წ. იანვრის არჩევნების შემდეგ მისი პირველი ოფიციალური ვიზიტის დროს.

105. საქართველოს ხელისუფლების მიერ 2004 წ. 19 სექტემბერს წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამომდინარეობს, რომ 2004 წ. 28 მარტს ქალაქ თბილისის პროკურატურამ საქმე აღძრა ბატ. ხაჩიევის და ბაიმურზაევის მძევლად აყვანასთან დაკავშირებით. ხელისუფლებას ამ საკითხზე არავითარი განმარტება არ მიუცია.

106. 2004 წ. 5 და 30 ნოემბერს ქალბატონმა მუხაშავერიამ წარმოადგინა გადაწყვეტილებები, რომლებიც ჩენჩეთის რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ 2004 წ. 14 სექტემბერს და 11 ოქტომბერს შესაბამისად გამოიტანა ხაჩიევის (ელიხაჯიევი, მეღკოევი) და ბაიმურზაევის (ალხანოვი) საქმეებთან დაკავშირებით. მან ისინი მოიპოვა ამ პიროვნებების ახლობლების მეშვეობით. ამ გადაწყვეტილებებში ბატ. ხაჩიევი მოხსენიებულია ელიხაჯიევი რუსტამ უსმანოვიჩის, ხოლო ბაიმურზაევი ალხანოვ კუსეინ მავლადინოვიჩის სახელით (§83 ზემოთ). პირველი დაბადებული უნდა ყოფილიყო 1980 წელს გროზოში, ხოლო მეორე 1975 წელს სოფელ აკი-იურტში ინგუშეთში. პროცესის დროს ხაჩიევი ამტკიცებდა, რომ 2004 წ. 16 თებერვალს იგი რუსეთის საზღვართან კი არ აიყვანეს, არამედ თბილისში რუსთაველის გამზირზე. შემდეგ იგი გადაიყვანეს ესენტუკში (§101 ზემოთ). სასამართლო გადაწყვეტილებების

მიხედვით ბატ. ხაჩიევი და ბაიმურზაევი შედიოდნენ იმ შეიარაღებული დაჯგუფების შემადგენლობაში, რომელიც საქართველოში, პანკისის ხეობაში შეიქმნა ვინმე ისაბაევის ხელმძღვანელობით და მიზნად ისახავდა ჩეჩნეთში ფედერალური ძალების მებრძოლთა განადგურებას. ამავე დროს ისინი აპირებდნენ იმ ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლების ლიკვიდაციას, ვინც ამ ძალებთან თანამშრომლობდა. 2002 წ. ივლისში მათ არალეგალურად შეაღწიეს ჩეჩნეთის იტუმ-კალინსკის რაიონში დასახელებული შეიარაღებული ბანდის 60 წევრთან ერთად. 2002 წ. 17 ივლისს ისინი ალყაში მოაქციეს რუსმა საზღვრის დამცველებმა, რის შემდეგაც ბანდამ გახსნა ცეცხლი და იერიში მიიტანა მესაზღვრეებზე. დაიღუპა 8 რუსი ჯარისკაცი და ბევრი მათგანი დაიჭრა. იმის გამო, რომ არ იყო მამხილებელი საბუთები ამ თავდასხმაში მათი უშუალო მონაწილეობის შესახებ, ბატ. ხაჩიევსა და ბაიმურზაევს მოეხსნათ ტერორიზმის ბრალდება და ის დანაშაულები, რომლებსაც ითვალისწინებენ სისხლის სამართლის კოდექსის 205 მუხლის §3 და 317 მუხლები (§66 და 71 ზემოთ). მათ ასევე მოეხსნათ დანაშაულები, რომლებსაც ითვალისწინებენ ამავე კოდექსის 188 §4 და 208 §2 მუხლები (§66 ზემოთ) მათ ქმედებაში დანაშაულის შედგენილობის არარსებობის გამო. ბატ. ხაჩიევს მიესაჯა 13 წლით, ხოლო ბაიმურზაევს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის პენიტენციულ დაწესებულებაში მოხდით, უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობის, საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და იარაღის უკანონო ტარების, გადატანის და შენახვის გამო. ბატ. ხაჩიევი ასევე გაასამართლეს ყალბი პასპორტის ტარებისათვის, რომელიც მელკოევის სახელზე იყო გაფორმებული (§101 ზემოთ). ამ განაჩენის გამოტანისას უზენაესი სასამართლოს თქმით, ანგარიში გაეწია აღნიშნული პიროვნებების ასაკს და იმას, რომ ისინი წარსულში არ იყვნენ ნასამართლევი. ბაიმურზაევის შემთხვევაში ასევე გათვალისწინებული იქნა მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა (ქვედა ყბის სერიოზული დეფორმაცია). ამ გადაწყვეტილებების გასაჩივრება შესაძლებელი იყო რუსეთის ფედერაციის უზენაეს სასამართლოში.

### *3. რუსეთში ექსტრადირებული მოსარჩელების მიმართ წარმოებული სასამართლო საქმეები*

107. რუსეთის ხელისუფლების მიხედვით, ბატ. შამაევი, ხაჯიევი, ვისიტოვი და ადაევი, 2003 წ. ზაფხულში მათი გასამართლების მიზნით წარდგენილ იქნენ სტავროპოლის სამხარეო სასამართლოში. ბატ. ასიევიც 2003 წ. 26 აგვისტოს იმავე სასამართლოს წინაშე იყო წარდგენილი. 2004 წ. 24 თებერვალს, თბილისში რუსეთის ხელისუფლებამ სასამართლოს სიტყვიერად შეატყობინა, რომ 2004 წ. 18 თებერვალს სტავროპოლის სამხარეო სასამართლომ ოთხ პირველ მოსარჩელესთან დაკავშირებით უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება. პროკურატურამ შამაევისა და ხაჯიევისათვის მოითხოვა 19 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ბატ. ვისიტოვის და ადაევისათვის 18 წელი. სასამართლომ ბატ. შამაევს და ხაჯიევს მიესაჯა 3 და 6 წელი შესაბამისად, სასჯელის საერთო რეჟიმის პენიტენციულ დაწესებულებაში მოხდით, ვისიტოვს მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის მკაცრი

რეჟიმის პენიტენციურ დაწესებულებაში მოხდით, ხოლო ადაევს ერთი წელი და ექვსი თვე სასჯელის საერთო რეჟიმის დაწესებულებაში მოხდით. ბატ. ადაევმა უკვე მოიხადა სასჯელი და იგი დარბაზიდანვე გაათავისუფლეს. რაც შეეხება აზიევს, მან მოითხოვა თარჯიმნის დახმარება და სასამართლოს რამდენიმე სარჩელი წარუდგინა. მისი საქმე გამოიყო სხვათა საქმეებიდან და მიმდინარეობს ინფორმაციის შეგროვება.

108. რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ არ შეეძლო სასამართლოსათვის გადაეცა 2004 წ. 18 თებერვალს გამოტანილი გადაწყვეტილების ასლი. მისი თქმით, სასამართლო პროცედურების ახალი კოდექსის მიხედვით, რომელიც რუსეთის კანონმდებლობამ მიიღო ევროპის საბჭოს რეკომენდაციებით, დამნაშავეს არ ეძლეოდა უფლება ჰქონოდა თავისი განაჩენის ასლი. ხელისუფლებამ გამოთქვა მზადყოფნა ეთანამშრომლა სასამართლოსთან, მაგრამ სინანული გამოთქვა, რომ, ამ შემთხვევაში თანამშრომლობა შეუძლებელი იყო ევროპის საბჭოს რეკომენდაციებიდან გამომდინარე. ამ დოკუმენტის მოსაპოვებლად მან სასამართლოს ურჩია წერილით მიემართა რუსეთის აღნიშნული სასამართლოსათვის. რუსეთის ხელისუფლების მიერ 2004 წ. 8 აპრილს გამოგზავნილი წერილის საშუალებით სასამართლომ შეიტყო, რომ 2004 წ. 18 თებერვლის გადაწყვეტილება კასაციის გზითაც იქნა დადასტურებული (§48 ზემოთ). 2004 წ. 20 ივლისის ამ დასკვნებში ხელისუფლება აგრძნობინებდა, რომ საკასაციო სასამართლომ ეს გადაწყვეტილება მთლიანობაში გააუქმა (§272 ქვემოთ).

109. 2004 წ. 25 თებერვალს თბილისში რუსეთის ხელისუფლებამ სასამართლოს წარმოუდგინა ქალაქ -ს საგამოძიებო იზოლატორის სურათები და ამავე დროს 4 ექსტრადირებული საკნების სურათები, გადაღებული 2004 წ. 19 თებერვალს (ბატ. ადაევი, მეხუთე მოსარჩელე წინა დღით გაათავისუფლეს). მათზე გამოსახული იყო სამზარეულო, ფართო და კარგად აღჭურვილი სამრეცხაო და საშხაპე ოთახი. მოსარჩევეების საკნები ფართო და ნათელია და ყველა მათგანს აქვს დიდი ფანჯარა. იქვე დგას გრძელი მაგიდები თავისი სკამებით. ტუალეტები ღიაა, მაგრამ დანარჩენი ფართისაგან ტიხრებითაა გამოყოფილი. იქვე შეინიშნება პირსაბანები საპნით და კბილის პასტით, ცოცხები. წყლის რეზერვუარები ყველა საკანში ისევე, როგორც გათბობის მილები ფანჯრების ქვეშაა მოთავსებული. ზოგიერთ საკანში შეიმჩნევა რადიო. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლებამ ასევე წარმოადგინა ვიდეოკასეტა. ჩანაწერი გვიჩვენებს ოთხ საკანს, ისეთს როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი. სასამართლოს ხელთ არსებული მოსარჩევეების სურათების მიხედვით (§20 ზემოთ), შეიძლება ბატ. შამაევის ამოცნობა №22 საკანში. ხაჯიევის ამოცნობა შეიძლება №15 საკანში. ამავე დროს ძალზე ძნელია და თითქმის შეუძლებელი №18 საკანში ბატ. ვისიტოვის ამოცნობა დიდი პლანით გადაღებული კადრების არარსებობის და სინათლის წინააღმდეგ გადაღების გამო. ხმოვანი განმარტებების მიხედვით, რომელიც თან ახლავს ამ კადრებს, ასივება უარი თქვა გადაღებაზე. ამის მიუხედავად, კამერა მაინც შედის №98 საკანში, სადაც ძნელია პატიმრების სახეების გარჩევა, რადგან ისინი შორს მოჩანან სილუეტების სახით. თითოეულ საკანში საწოლების რაოდენობა აღემატება გადაღებული პატიმრების რაოდენობას.

## C. სასამართლოს მიერ მოპოვებული ინფორმაცია

### 1. სასამართლოს მიერ მოსმენილი მოსარჩელების ვინაობა

110. ბატ. ხამზად(ტ) მოვლიევი ისიევა (ისაევი), იგივე ხამზატ მოვლიტგალიევი ისაევა საჩივარა, რომ მისი ნამდვილი სახელია ხამზატ მოვლიევი ისაევი, რომ ის არის ეთნიკური ჩეჩენი და რომ დაიბადა 1975 წ. 18 ოქტომბერს სოფელ სამაშიში, ჩეჩნეთში.

111. ბატ. სეიბულ (ფეიზულ) ბაისაროვა საჩივარა, რომ მისი სახელია გიორგი კუშტანაშვილი. იგი საქართველოს მოქალაქეა და ეთნიკური ქისტი, დაბადებულია ახმეტის რაიონის სოფელ დუისში, საქართველოში.

112. ბატ. ასლან ხანოევი ამტკიცებდა, რომ მისი ნამდვილი სახელია ასლანბეკ ატუევი ხანუკაევი. რუსი ეროვნების ეთნიკური ჩეჩენი დაბადებულია 1981 წ. 25 თებერვალს ჩეჩნეთში სოფელ სელნოვოდსკში.

113. ბატ. ადლან (ადლან) უსმანოვა საჩივარა, რომ მას სინამდვილეში ჰქვია ახმედ ლეჩიევი მაგომადოვი. დაბადებულია 1955 წ. 4 ივლისს პავლოდარში, ყაზახეთში და ის ეთნიკური ჩეჩენია.

114. ბატ. რუსლან მირზოევი ამტკიცებდა, რომ მისი ნამდვილი სახელია რუსლან ახმედოვი გელოვაევი. ეთნიკური ჩეჩენი დაბადებულია 1958 წ. 16 ივლისს.

115. ბატ. ტეპსაევი ამტკიცებდა, რომ მას სინამდვილეში ერქვა რობინზონ მარგოშვილი, რომ ის არის ქართული ეროვნების ეთნიკური ქისტი. დაბადებულია 1967 წ. 19 აპრილს ახმეტის რაიონის სოფელ დუისში, საქართველოში.

116. მარგოშვილის გარდა, რომელიც ციხის საავადმყოფოში იხდოდა სასჯელს (§60 ზემოთ), ეს მოსარჩელები ადასტურებდნენ, რომ ციხეში ყოფნის დროს იცნობდნენ ექსტრადირებულ მოსარჩელებს და მათთან ერთად, ერთ საკანში იხდიდნენ სასჯელს. ხელისუფლების მიერ 2002 წ. 23 და 25 ნოემბერს წარმოდგენილი მოსარჩელეთა სურათები მათ წარუდგინეს იდენტიფიკაციისათვის. სასამართლოს მდივანმა წინასწარ დაფარა სახეები.

117. თითოეულმა მათგანმა (მარგოშვილის გარდა) საქართველოს ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ სურათებზე ამოიცნო თავისი თავი. ბატ. რობინზონ მარგოშვილი (ყოფილი ტეპსაევი) სხვა მოსარჩელებმა ამოიცნეს როგორც რუსლანი ოთხჯერ და როგორც რუსლან ტეპსაევი ერთხელ.

118. რაც შეეხება ბატ. ტიმურ (რუსლან) ბაიმურზაევს, იგივე ხუსეინ ალხანოვს და ისლამ ხაჩიევს, იგივე რუსტამ ელიხაჯიევს, იგივე ბეკხან მელკოევს, ორი გაუჩინარებული მოსარჩელიდან (§43 ზემოთ), პირველი ამოიცნეს როგორც ბაიმურზაევი ერთხელ, როგორც ტიმური ერთხელ, როგორც ჰუსეინი ორჯერ და როგორც ჰუსეინ ალხანოვი ერთხელ. მეორე ამოიცნეს როგორც ისლამი ორჯერ, ბეკხანი ორჯერ, როგორც მელკოევი ერთხელ და როგორც ბეკხან მელკოევი ერთხელ.

119. რაც შეეხება ექსტრადირებულ მოსარჩელებს, ოთხმა მოსარჩელემ ამოიცნო აბდულ-ვაჰაბ შამაევი იმ სურათზე, რომელიც რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა როგორც ბატ. აბდულ-ვაჰაბ შამაევის სურათი. ჰუსეინ ხაჯიევის

სურათზე მათ ამოიცნეს ჰუსეინი სამჯერ, ჰუსეინ ხაჯიევი ერთხელ და ხუსეინ ნახაჯაევი ერთხელ. სამმა მოსარჩელემ ამოიცნო ჰუსეინ აზიევი, ხოლო ორმა ჰუსეინი იმ სურათზე, რომელიც წარმოდგენილი იყო როგორც ჰუსეინ აზიევის სურათი. ბატ. ადლან (ასლანტ) ადაევი (ადიევი) ამოიცნეს როგორც ასლანტ ადაევი ორჯერ და როგორც ასლანი სამჯერ. სამაგიეროდ რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ სურათზე, რომელიც თითქოს ბატ. რეზვან (რიზვან) ვისიტოვი იყო გამოსახული, ხუთივე მოსარჩელემ ამოიცნო ვინმე მუსა.

2. სასამართლოს მიერ მოსარჩელეთა წარმომადგენლების მოსმენა და მათ მიერ შემოტანილი სარჩელის საგანი.

120. 2002 წ. 9 ოქტომბრის უფლებამოსილების შესაბამისად ექვს არაექსტრადირებულ პატიმარს სასამართლოში წარმოდგენდნენ ქალბატონები მუხაშავრია და ძამუკაშვილი.

121. თბილისში ჩატარებული მოსმენისას, რომელსაც მხოლოდ მუხაშავრია და კინწურაშვილი ესწრებოდნენ, ხუთმა მოსარჩელემ დაადასტურა, რომ მათ მართლაც მიმართეს სასამართლოს სარჩელით მუხაშავრიას და ძამუკაშვილის დახმარებით, რომელიც მიმართული იყო საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ იმისათვის, რომ წინ აღდგომოდნენ მათი ექსტრადიციის პროცედურას და მომხდარიყო ამ პროცესის შეჩერება. მათ დაადასტურეს, რომ სურდათ სარჩელთან დაკავშირებული საქმის გაგრძელება და შემდგომ სასამართლო პროცესებში მათ ინტერესებს იგივე ადვოკატები დაიცავდნენ (ან ზოგიერთებისთვის ის ადვოკატები, რომლებიც დარბაზში იყვნენ). იმის გამო, რომ მარგოშვილმა საშუალოზე გაცილებით დაბალ დონეზე იცის ქართული, მეექვსე მოსმენილ მოსარჩელეს გაუჭირდა სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვების გაგება. მიუხედავად ამისა, მან დაადასტურა, რომ იგი ასაჩივრებდა მის დაპატიმრებას ჩეჩენი ტეპსაევის სახელით იმ დროს, როცა იგი უბრალო ქართველი მწყემსი იყო. მარგოშვილმა დაადასტურა ის, რომ მან საჩივრით მიმართა სასამართლოს, რომ დარბაზში წარმოდგენილი ადვოკატები მისი წარმომადგენლები იყვნენ და მას სურდა თავისი სარჩელის ძალაში დაროვება.

### 3. 2003 წ. ექსტრადიციასთან დაკავშირებული ფაქტები

ა) სასამართლოზე მოსმენილი მოსარჩელების მიერ წარმოდგენილი ფაქტები

ი) ზოგადი ფაქტები

122. სასამართლოში გამოცხადებული ხუთი მოსარჩელის მოსმენა ხდებოდა რუსულ ენაზე და ითარგმნებოდა ინგლისურად, რადგან იგი სასამართლოს ორიდან ერთერთი ოფიციალური ენაა. მარგოშვილმა, მეექვსე მოსარჩელემ, ფიცი ქართულ ენაზე დადო, რადგან მისი მტკიცებით რუსული კითხვა არ იცოდა. ამასთანავე თავის აზრებს იგი ქართულ ენაზე გადმოსცემდა.

123. 2002 წ. 4 ოქტომბრამდე რამდენიმე კვირით ადრე თერთმეტი მოსარჩელე ერთად იხდიდა სასჯელს თბილისის საპრეობილის № 88 საკანში. ამ საკანში მთლიანობაში 14 პატიმარი იყო მოთავსებული, ბატ. ადიევი და

მარგოშვილი, მეთორმეტე და მეცამეტე მოსარჩელე ციხის საავადმყოფოში იმყოფებოდნენ.

124. თავიანთ საკანში მოსარჩელებს ჰქონდათ ტელევიზორი. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული დროის განმავლობაში დადიოდა ხმები რუსეთში მათი შესაძლო ექსტრადიციის შესახებ, მათ მხოლოდ 2002 წ. 3 ოქტომბერს შეიტყვეს “რუსთავი-2”-ის სატელევიზიო გადაცემის საშუალებით, რომ უნდა მომხდარიყო მათგან 5 თუ ექვსი ადამიანის გარდაუვალი ექსტრადიცია რუსეთში (პარაგრაფი 216 ქვემოთ). იმის გამო, რომ სახელები არ იყო დასახელებული, მათ არ იცოდნენ ვის შეეხება ეს ღონისძიება. მათ წინასწარ არ მიუღიათ არანაირი ინფორმაცია ან ოფიციალური შეტყობინება ამასთან დაკავშირებით. მოსარჩელები მიხვდნენ, რომ ის ინფორმაცია, რომელიც მათ ტელევიზიის საშუალებით მისმინეს, სიმართლეს შეეფერებოდა, როდესაც დილის 3-დან 4 საათამდე საპატიმროს თანამშრომლები მოვიდნენ საკნებიდან მათი გამოსაყვანათ ვითომდა დეზინფექციის მიზნით (ან კუშტანაშვილის აზრით ჩხრეკის ჩასატარებლად). იმის გამო, რომ მოსარჩელები მტკიცედ ამბობდნენ უარს დამორჩილებაზე, ციხის უფროსმა დაასახელა ოთხი გვარი და მოსთხოვა დასახელებულ პიროვნებებს გასვლა. საპასუხოდ მოსარჩელებმა სთხოვეს გათენებამდე დაეცადათ და მოეწვიათ მათი ადვოკატები, რაზეც მათ უარი ეთქვათ. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის თხუთმეტი ოდეს მებრძოლი (“სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები”), ნიღბებში შეიჭრნენ საკანში და თითოთითოდ გამოყავდათ პატიმრები. ისინი იყენებდნენ ხელკეტებს და ელექტროშოკს, კორიდორში მიწაზე დაწვენილ მოსარჩელებს ცემა დაუწყეს, ოთხი მოსარჩელე მაშინვე იქნა გადაყვანილი ხოლო დანარჩენი ერთმანეთისგან განცალკევებით განასახლეს. ასევე, დაახლოებით დილის 4 საათზე ბატ. ადაევი, მეხუთე საექსტრადიციო მოსარჩელე პირდაპირ ციხის საავადმყოფოდან გადმოიყვანეს.

125. ყველა მოსმენილი მოსარჩელე ამტკიცებს, რომ ისინი მხოლოდ სიტყვიერად ამბობდნენ უარს საკნების დატოვებაზე. ისინი ჩიოდნენ, რომ სპეცდანიშნულების რაზმმა მათ სცემა, შეურაცხყოფა მიაყენა და მოექცა “როგორც ცხოველებს”. ისავე ამტკიცებს, რომ ამ ჩარევის შედეგად მას ორი ნეკნი ჩაუტყეს და დაუზიანეს თვალი, რომლის ნაიარვეი ახლაც ატყვია. კუშტანაშვილმა მიიღო სხეულის დაზიანება ხელკეტებით მიყენებული დარტყმების შედეგად. კუშტანაშვილს აღენიშნებოდა მრავლობითი სისხლჩაქცევები. მაგომადოვს კბილი ჰქონდა მოტეხილი, ყური გახეული, შუბლის ძვალი დაზიანებული და ამავე დროს ზურგზე და ფეხებზე აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები. ბატ. გელოგაევის აღენიშნებოდა სისხლჩაქცევები და სხეულის სხვა დაზიანებები (მხარზე და ლოყაზე) და აწუხებდა მარცხენა თირკმელის ანთება. ამ ჭრილობებს თვით გელოგაევი “წვრილმანებად” მიიჩნევდა (იხ. §§ 200, 201 და 211 ქვემოთ). ყველა პატიმარი მეტნაკლებად სერიოზულად იყო დაზიანებული. სახელდობრ, ერთნი ამბობდნენ, რომ ნეკნები ჰქონდათ ჩამტვრეული და მხარი მოტეხილი, მეორეებს თავი ჰქონდათ გასისხლიანებული. კუშტანაშვილის და ხანჩუკაევის აზრით, ყველაზე სასტიკად სცემეს მოსარჩელებს, რომლებსაც ექსტრადიციას უპირებდნენ. ისავემა, მაგომადოვმა და ხანჩუკაევმა შეიტყვეს, რომ აზიევი მიღებული დაზიანებების შედეგად გარდაიცვალა. გელოგაევის მიხედვით აზიევის ხერხემალი ჰქონდა

დამსხვრეული, რადგან მას არ შეეძლო გადაადგილება და სპეცდანიშნულების რაზმის ორი მებრძოლი მას დერეფანში მიათრევდა. მასაც თვალი ჰქონდა ამოგდებული. გელოგაევი ფიქრობს, რომ აზიევის სურათი, რომელიც თითქოს გადაღებულია მისი ექსტრადიციის შემდეგ რუსეთის ხელმძღვანელობის მიერ, შეიძლება იყოს მისი ადრეული სურათის ასლი.

126. მას შემდეგ, რაც ისინი ცალ-ცალკე განათავსეს, არაექსტრადირებული მოსარჩელები ექიმმა მოინახულა. მან ქაღალდზე აღრიცხა თითოეული მოსარჩელის დაზიანებები. მან სახაზავის საშუალებით მხოლოდ გაზომა სისხლჩაქცევები ისე, რომ მათთვის არანაირი სამედიცინო დახმარება არ აღმოუჩინია. მოსარჩელები ირწმუნებოდნენ, რომ მათთვის არც მერე აღმოუჩინიათ რაიმე სამედიცინო დახმარება.

127. არცერთ მოსარჩელეს არ დაუდასტურებია ის ფაქტი, რომ იგი გენერალური პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან ინფორმირებული იყო იმის შესახებ, რომ მიმდინარეობდა პროცედურები მათ ექსტრადიციასთან დაკავშირებით. ყველა მათგანი ამტკიცებს, რომ საპატიმროში მათ სანახავად ბევრი პიროვნება შედიოდა (უფასო ადვოკატები, გამოძიებლები და პროკურორები), რომელთა სახელები მათ არ ახსოვდათ. მოსარჩელები იხსენებდნენ, რომ ერთხელ მათთან, მათი ადვოკატების გარეშე შევიდა ორი პიროვნება - კაცი და ახალგაზრდა ქალი (პარაგრაფი 162-166 ქვემოთ, რომლებმაც სთხოვეს ხელი მოეწერათ რუსულ ენაზე შედგენილ დოკუმენტებზე (კუმტანაშვილის მიხედვით ქართულ ენაზე), რაზეც მოსარჩელებმა უარი საჩივარეს.

128. ყველა მოსარჩელე ამტკიცებს (კუმტანაშვილის და მარგოშვილის გარდა), რომ ისინი საქართველოში შემოვიდნენ ჩეჩნეთში მომდინარე საომარი მოქმედებებისათვის თავის არიდების მიზნით და ამ ქვეყანაში თავშესაფრის საპოვნელად. ისინი უარყოფენ იმას, რომ საზღვრის გადაკვეთის მომენტში შეიარაღებულები იყვნენ. მათი თქმით ისინი საზღვარზე არ დაუკავებიათ, რადგან მათ ნებაყოფლობით ჩააბარეს იარაღი და დახმარება ითხოვეს. მეზღვრეებმა მათ ჭრილობები შეუხვიეს და გამოიძახეს ვერტმფრენი მოსარჩელების თბილისში გადასაყვანად.

129. ყველა მოსარჩელე ამტკიცებს, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს წარუდგინეს გამოგონილი სახელები. კუმტანაშვილის და მარგოშვილის გარდა (§§ 135 და 143 ქვემოთ), ისინი ასე მოიქცნენ იმის გამო, რომ არ მომხდარიყო მათი რუსეთში ექსტრადირება და ამით საფრთხეში არ ჩაეგდოთ ქვეყანაში დარჩენილი ნათესავეები და ახლობლები იმ შემთხვევაში, თუ მათ რუსი ძალოვნები დააკავებდნენ. ისაევი იმასაც ამტკიცებდა, რომ დაიღალა ჩეჩნეთში წარმოებული 10 წლიანი ომის გამო და იმისათვის, რომ საფრთხეში აღარ იყოს “სიამოვნებით შეიცვლიდა არა მარტო სახელს, არამედ თავის ფიზიონომიაც”. ის დარწმუნებულია, რომ ექსტრადიციას თავი დააღწია მხოლოდ გამოგონილი ვინაობის წყალობით.

130. გალოგაევი და ხანჩუკაევი ამტკიცებდნენ, რომ მათმა დანიშნულმა უფასო ადვოკატებმა (ქ-ნი მაღრაძე, ხანჩუკაევის აზრით), ისევე როგორც უშიშროების სამინისტროს გამოძიებელმა, მოსარჩელებს ურჩიეს ეთქვათ, რომ მათ საზღვარი გადმოლახეს იარაღით ხელში, ამ შემთხვევაში მათ საქართველოში დატოვებდნენ გასასამართლებლად. მოსარჩელებმა მიიღეს ეს

რჩევა. 131. ყველა მისარჩელე უარყოფს, რომ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს სახელმწიფო მოხელეებს 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის დამეს.

**ii) თითოეული მისარჩელის მიერ წარმოდგენილი განსაკუთრებული ფაქტები**

132. ისაევის თქმით იგი ეწინააღმდეგებოდა რუსეთში ექტრადიციას, რადგან იქ “ვერ ხელავენ განსხვავებას მშვიდობიან მოქალაქეებს, ტერორისტებსა და მებრძოლებს შორის”. საპატიმროში მათთან შესულ პროკურატურის წარმომადგენლებს ისინი ყოველთვის უზიარებდნენ თავიანთ სურვილს არ გადაეგზავნათ ისინი რუსეთში და შიშს, რომ ექსტრადირების შემთხვევაში მათ ძალზე ცუდად მოეპყრობოდნენ. ისინი ითხოვდნენ, რომ საქართველოში გაესამართლებინათ. მათ არანაირად მიუწვდებოდათ ხელი ექსტრადიციის დოკუმენტებთან. ბატ. ისაევის მიხედვით (ისევე როგორც კუშტანაშვილის), უფასო ადვოკატები, გამოძიებლები და პროკურატურის წარმომადგენლები სთხოვდნენ მათთვის გაენდოთ ნამდვილი სახელები, რათა შეძლებოდათ მათთვის ექსტრადიციის თავიდან აცილება. იმას, ვინც თავის სახელს შეატყობინებდა მაშინვე მოუწვებდნენ ექსტრადიციას.

133. 2002 წ. აგვისტოში მის დაპატიმრებამდე, ისაევი ამოდ ცდილობდა საქართველოში ლტოლვილის სტატუსის მოპოვებას.

134. კუშტანაშვილი ამტკიცებდა, რომ ის იყო ქართველი მწყემსი, წარმოშობით ქისტი, რომელიც მწყემსავდა ჩეჩნეთთან სასაზღვრო ზონაში. 2002 წ. აგვისტოს, იმ დროს როდესაც რუსეთის სამხედრო ძალები ბომბავდნენ ამ რაიონს, მას შეხვდა შვიდი დაჭრილი ჩეჩნეთი, რომელიც საფრთხეს გამოეკცა. იგი მათთან ერთად დაეშვა საზღვრისპირა მთის ფერდობზე და წაიყვანა ისინი მწყემსების თავშესაფრისაკენ. თვითონ ის იმ დამით თავში დაიჭრა. მან არაერთხელ გაიმეორა, რომ ტრავმის გამო იღარ ახსოვდა მომხდარის ზუსტი დეტალები.

135. კუშტანაშვილმა განმარტა, რომ მას არ გააანხდა არავითარი ფინანსური სახსრები და ამის გამო ქართველ ძალოვანებს და ექიმებს წარუდგინა ყალბი ჩეჩნური გვარი, რათა ისიც გამოეკცეულად ჩაეთვალათ და ესარგებლა უფასო სამედიცინო დახმარებით. მისი საქართველოს მოქალაქეობა არანაირ წინააღმდეგობას არ შექმნიდა მისი ექსტრადიციის საკითხში და ამგვარად მასაც საფრთხე ემუქრებოდა მისი ჩეჩნური წარმომავლობის გამო. სასამართლოსთვის გაგზავნილ 2002 წ. 13 ნოემბრის წერილში, იგივე მისარჩელე ამტკიცებდა, რომ 2002 წ. 3-დან 4 ნოემბრის დამით, მისარჩელეებმა მოთხოვნის მიხედვით საკნის დატოვებამდე ისურვეს თავიანთი ადვოკატებთან შეხვედრა. ციხის უფროსმა უპასუხა, რომ “არ იქნებოდა არც ადვოკატი და არც გამოძიებელი და უკეთესი იქნებოდა გამოსულიყვნენ საკუთარი სურვილით, სანამ ძალით არ გამოიყვანდნენ”. კუშტანაშვილი იმავე წერილში ადასტურებს, რომ ბატ. აზიევს ისე ძლიერად ჩაარტყეს თავში, რომ მას თვალი პრაქტიკულად ორბიტიდან ამოუვარდა. მან ის უკანასკნელად ნახა მაშინ, როდესაც სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლი “მას მიათრევდა დერეფანში როგორც გვამს”.

136. კუშტანაშვილი ამტკიცებს, რომ მისი დაპატიმრებიდან ცოტა ხნის შემდეგ უკვე “დაიწყეს ლაპარაკი ექსტრადიციაზე”. იმის შიშით, რომ მას



რუსეთში აწამებდნენ, მან ხელი მოაწერა დოკუმენტებს, რომლის შინაარსი არც ახსოვს და ამით იმედი ჰქონდა, რომ საქართველოში გაასამართლებდნენ და თავს აარიდებდა ექსტრადიციას. ზოგჯერ, როდესაც მოსარჩელები უარს ამბობდნენ ხელის მოწერაზე მათ ექსტრადიციით ემუქრებოდნენ. 2002 წ. 4 ოქტომბრის შემდეგ მან წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტს თხოვნით არ მიეცა მისი ექსტრადიციის უფლება (§80 ზემოთ). მან აღიარა, რომ ჯერ კიდევ ეშინოდა ექსტრადიციის და ცხოვრობდა გაურკვევლობაში. სასამართლო პროცედურების საწყის სტადიაზე იგივე მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ მას არ შეეძლო რუსეთში დაბრუნება “რუსეთის მხრიდან ჩეჩენი ხალხის გენოციდის გამო”, რომელსაც იგი “მოთელი ქვეყნის მასშტაბით” აწარმოებდა.

137. ხანჩუკაევმა არ სცნო 2002 წ. 23 აგვისტოს შედგენილი ახსნაგანმარტების ტექსტი და დარბაიძის თქმით, უარი საჩივარა ხელის მოწერაზე (§§163-164 ქვემოთ).

138. მაგომადოვი ირწმუნებოდა, რომ არ იცოდა საზღვრის რომელ მხარეს დაიჭრა იმის გამო, რომ ამ ადგილზე საზღვარი არ იყო აღნიშნული (§89 ზემოთ). მას შემდეგ, რაც მას თავში ჭურვის ნამსვრევი მოხვდა და პარალიზებულ იქნა, იგი ამხანაგებს გადაყავდათ. ვერტმფრენით ჩამოფრინდა ქართველი გენერალი და მათ გაეცნო როგორც სასაზღვრო ჯარების გენერალური შტაბის უფროსი. მან მოსარჩელებს გარანტია მისცა, რომ ამ ფაქტებს იგი პირადად მოახსენებდა საქართველოს პრეზიდენტს და რომ მათ მიენიჭებოდათ ლტოლვილის სტატუსი. მანამდე გენერალმა გასცა განკარგულება იმის შესახებ, რომ მოსარჩელებისთვის ჰოსპიტალში ემკურნალათ.

139. გენერალური პროკურატურიდან მოსულ ბატონსა და ქალბატონთან შეხვედრის დროს (§§162-166 ქვემოთ), მოსარჩელებს მოსთხოვეს ხელი მოეწერათ დოკუმენტებზე ისე, რომ მათ არც კი გააცნეს მათი შინაარსი. ყველა არაექსტრადირებული მოსარჩელე შეხვედრია ამ პიროვნებებს, მაგრამ პატარა ჯგუფებად. ამ შეხვედრაზე მაგომადოვიც წაიყვანეს ასლანთან (ხანოევი იგივე ხანჩუკაევი) და ბეკხანთან ერთად (ხაჩიევი იგივე მელკოევი) (იხ. §419 ქვემოთ). იგი ამტკიცებს რომ ისევ ეშინოდა ექსტრადიციის.

140. გალოგაევი ამტკიცებს, რომ მას საქართველოში ლტოლვილის სტატუსი 2002 წ. თებერვლიდან ჰქონდა მინიჭებული (§86 ზემოთ) და რომ ეს სტატუსი მოიპოვა ჩეჩნეთის მოსაზღვრე ახმეტის რაიონში. ამის შემდეგ იგი ლეგალური გზით ბაქოს (აზერბაიჯანი) გავლით ჩეჩნეთში გაემგზავრა იმ იმედით, რომ თავის ოჯახს საქართველოში გადმოიყვანდა ადგილზე ჩასვლის შემდეგ. გალოგაევი ეძებდა თავის ახლობელს, რომელიც ერთ წელზე მეტი ხნის წინ გაუჩინარდა, და ასე მოხვდა ის იტუმ-კალინსკის რაიონში. აქ ის შეესწრო შეტაკებებს რუსეთის ფედერაციის ჯარსა და ჩეჩენ მებრძოლებს შორის, რომლებიც ალყაში იყვნენ მოქცეული 2002 წ. 25 ივლისიდან. ამ ჩიხიდან ერთადერთი გამოსავალი საქართველოზე გადიოდა. მას ყუმბარის ნამსვრევი მოხვდა ფეხში მაგრამ, მიუხედავად ამისა მან მაინც მოახერხა საქართველოს საზღვრამდე მიღწევა, რომელიც უნდა გადაეკვეთა 2002 წ. 3 აგვისტოს. მან თავშესაფარი სთხოვა ქართველ სამხედროებს, რომლებიც ადგილზე ვერტმფრენით ჩაფრინდნენ. მოხდა მისი ჰოსპიტალიზაცია და თბილისში ჩაუტარდა ოპერაცია, სანამ გადაიყვანდნენ ციხის საავადმყოფოში ორი დღის შემდეგ.

141. მარგოშვილი ამტკიცებს, რომ 2002 წ. აგვისტოში იგი დაიჭრა საზღვრისპირა საძოვრებზე, როდესაც ცხვრებს მწყემსავდა. მან არ იცის იგი ქართველებმა დაჭრეს, რუსებმა თუ ჩეჩნებმა. თბილისში გადაყვანილ მარგოშვილს უმკურნალებს ციხის საავადმყოფოში, სადაც მან სამი თვე გაატარა. მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით იგი დააკავეს იმის გამო, რომ შეიარაღებული იყო. მისი მტკიცებით, ის დააკატიმრეს “არა იარაღით ხელში, არამედ მწყემსის ქურთუკში და ჩექმებში გამოწყობილი”.

142. მარგოშვილმა დაადასტურა, რომ ჰოსპიტალში იგი იმავე ოთახში იყო სადაც ადაევი, მეხუთე მოსარჩელე. მას არ უხსენებია არც ტელევიზორი და არც ინფორმაციის სხვა რაიმე წყარო, საიდანაც ადაევს, სხვა ექსტრადირებულ მოსარჩელებს მსგავსად, არ შეეძლო იმის გაგება, რომ მომავალში იგი რუსეთის ხელისუფლებისთვის უნდა გადაეცათ. 2002 წ. 4 ოქტომბრის დილის 4 საათისათვის ბატ. ადაევი წაიყვანეს. ადაევი ადგა და უსიტყვოდ გაჰყვა ჰოსპიტლის დაცვის თანამშრომლებს. ნიღბიანი პიროვნებები საავადმყოფოში არ შესულან, ისინი ეზოში იცდიდნენ. საავადმყოფოში ერთად ყოფნის დროს ადაევმა საუბარში არაერთხელ სთხოვა მარგოშვილს მისთვის ენა მოეჭრა, რადგან ფიქრობდა, რომ ასე უფრო ადვილად გაუძლებდა დაკითხვებს ექსტრადიციის შემთხვევაში. მარგოშვილმა ამაზე მტკიცე უარი განუცხადა.

143. მარგოშვილის მტკიცებით, მას გამოგონილი სახელისათვის არ მიუმართავს. საავადმყოფოში იგი მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს და როდესაც გონს მოეგო მან აღმოაჩინა, რომ ტეკსაევის სახელით მომართავდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ მას დასაწყისში ამ სახელის წყალობით აღმოუჩინეს უფასო სამედიცინო დახმარება. მან იგივე ვინაობა დაადასტურა საავადმყოფოში და შემდგომში მოსამართლის წინაშეც.

## **ბ) სახელმწიფო მოხელეების მიერ წარმოდგენილი ფაქტები**

### *ი ) პენიტენციური სისტემის თანამშრომლები*

144. სასამართლომ მოუსმინა ბატ. დალაქიშვილს, თბილისის № 5 საპრეობილის ოპერატიულ ინსპექტორს, რომელიც 2002 წ. 3-დან 4 ოქტომბრის დამეს მორიგეობდა, ბატ. ბუჩუკურს, იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის თანამშრომელს ასევე იმ დამის მორიგეს, ბატ. ე. კერდიკოშვილს, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უცხოეთის ქვეყნების მოქალაქეების ბადრაგის სამსახურის უფროს ინსპექტორს და ბატ. ნ. ჩიქვილაძეს, სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის თანამშრომელს, №1 საპრეობილის დაცვის სამსახურის უფროსს.

145. ეს პიროვნებები ერთხმად აცხადებენ, რომ ისინი ოფიციალურად არ იყვნენ ინფორმირებული მოსარჩელეთა გარდაუვალი ექსტრადიციის შესახებ და რომ მათ მოგვიანებით 2002 წ. 4 ოქტომბრის დილით გაიგეს იმის შესახებ, რომ უნდა მომხდარიყო 5 ჩეჩენი პატიმრის ექსტრადიცია. ბუჩუკური და დალაქიშვილი ამტკიცებენ, რომ მორიგეობის გამო მათ არ შეეძლოთ ტელევიზორის ყურება ინფორმაციის მისაღებად. ბატ. ჩიქვილაძის მიხედვით,

მხოლოდ ციხის უფროსი, მისი მოადგილეები და საპატიმროს სამდივნოს უფროსი (“სპეციალური განყოფილება”) იყვნენ ინფორმირებული მოსარჩელეთა გარდაუვალი გადაყვანის შესახებ. თვითონ მან ეს ინფორმაცია მედიის საშუალებით შეიტყო და იცოდა, რომ 4 თუ 5 ჩეჩენი პატიმარი ექსტრადირებული იქნებოდა. მაგრამ საპატიმროს თანამშრომლებიდან არავინ იცოდა მათი სახელები.

146. აღნიშნული პიროვნებები ადასტურებენ, რომ 13 ან 14 ჩეჩენი პატიმარი მოთავსებული იყვნენ ერთ საკანში. ჩიქვილადის თქმით ეს გადაწყვეტილი იყო მათი რელიგიური აღმსარებლობის გამო, რათა პატიმრებს ყოველდღიური რიტუალების შესრულებისას ხელი არ შეშლოდათ.

147. 2002 წ. 4 ოქტომბრის დილის ოთხი საათისათვის საპატიმროს ზემოთაღნიშნულ თანამშრომლებს შეატყობინეს, რომ №88 საკანიდან ძლიერი ხმაური მოისმოდა. ბატ. დალაქიშვილმა ზედამხედველს დაავალა შეემოწმებინა თუ რა ხდებოდა. ამ უკანასკნელმა სარკმლიდან დაინახა, რომ პატიმრები საწოლებს შლიდნენ და თან უცხო ენაზე ყვიროდნენ. ჩიქვილადის მიხედვით, გარკვეული მომენტის შემდეგ ზედამხედველს აღარ მიეცა საშუალება ედევნებინა თვალი იმისთვის, თუ რა ხდებოდა საკანში იმის გამო, რომ პატიმრებმა სარკმელი შიგნიდან ამოქოლეს. დალაქიშვილმა სიტუაციის შესახებ წერილობითი პატაკით მოახსენა დირექტორს, რომელიც ჯერ კიდევ სამსახურში იმყოფებოდა. მისი თხოვნით დალაქიშვილი, ბუჩუკური და ჩიქვილადე, ისევე როგორც სხვა თანამშრომლები, საპატიმროს უფროსის მოადგილის თანხლებით, სიტუაციის გასარკვევად საკანთან მივიდნენ. ამ უკანასკნელმა უბრძანა გაეღოთ საკანი. დალაქიშვილის თქმით მათ უნდოდათ პატიმრებთან დალაპარაკება. როდესაც კარი გაიღო, მათ დაინახეს არეული საკანი, გაიგონეს ყვირილი და დაინახეს როგორ წამოვიდა მათი მიმართულებით ლითონის საგნები და აგურები. ჩიქვილადემ იყვირა სასწრაფოდ დაეკეტათ კარები. მან სთხოვა იქანდე შეენარჩუნებინათ კარები ასეთ მდგომარეობაში, სანამ ის შექმნილი მდგომარეობის შესახებ არ მოახსენებდა სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელობას. რაც შეეხება დალაქიშვილს, იგი ვერ მიხვდა ასეთი ძალადობის მიზეზს და მიიჩნია, რომ ბუნტი იწყებოდა. მან სართულზე ზედამხედველობის შემადგენლობა გააძლიერა.

148. ადმინისტრაციაში დაბრუნებისას ჩიქვილადემ დაინახა, რომ სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის უფროსი უკვე ადგილზე იყო თორმეტიოდე პირის თანხლებით. ამ დროს მან ოფიციალურად გაიგო, რომ ოთხი პატიმარი უნდა გადაეყვანათ მათი ექსტრადიციის მიზნით. ტრანსპორტი უკვე იცდიდა მეზობელ ეზოში და აეროპორტის ადმინისტრაცია გაფრთხილებული იყო. დეპარტამენტის უფროსის, ციხის უფროსის და მისი მოადგილეების თანხლებით საპატიმროს თანამშრომლები ისევ მივიდნენ საკანთან. ციხის უფროსი შევიდა პირველი, მას ილღიაში ეკავა ოთხი საექსტრადიციო პატიმრის ბეჭედდასმული საქმე. თანხლები პირები მას მიყვნენ. კერდიკოშვილის თქმით პატიმრები იდგნენ თავის საწოლებზე და ისროდნენ ჭიქებს, თეფშებს და სხვა საგნებს მათი მიმართულებით. უფროსმა საჩივარა, რომ საკანში შინაგანი ღონისძიება უნდა ჩატარებულიყო და საჭირო იყო მისი გათავისუფლება. ჩიქვილადის მიხედვით უფროსმა საკნის ჩხრეკის აუცილებლობა

მოიმიზეზა. პატიმრებმა დამორჩილებაზე მტკიცე უარი საჩივარეს და პირდაპირ შეტევაზე გადავიდნენ.

149. საპატიმროს მოსმენილმა თანამშრომლებმა ერთხმად დაადასტურეს, რომ მოსარჩელები შეიარაღებული იყვნენ საწოლებიდან მოგლეჯილი ლითონის ნაწილებით, ლითონის გისოსებით, რომლებიც ფანჯრებიდან ჩამოგლიჯეს და ბოლოებში განასკვულ შარვლებით, რომლებიც აგურებით იყო ავსებული და იყენებდნენ როგორც სატყორცნ იარაღს.

150. ამასთან დაკავშირებით ჩიქვილაძემ განმარტა, რომ 1887 წელს აშენებულ №5 საპატიმროს შენობის კედლები იმდენად არის დაზიანებული, რომ მისი აგურების გამოღება ხელით არის შესაძლებელი. დალაქიშვილმა ასევე დაადასტურა, რომ კედლები ძველია და აგურების გამოღება შიშველი ხელებით არის შესაძლებელი. ჩიქვილაძემ, რომელიც შემდეგში ესწრებოდა ადგილის მდგომარეობის დადგენას (§96 ზევით), აღნიშნა, რომ საკნის კედლები დაზიანებული იყო, ხოლო საწოლების ლითონის კარკასი ნაწილებად დაშლილი. პირსაბანის თავზე მოთავსებული მილი მოძრობილი იყო.

151. იმის გამო, რომ ციხის უფროსის საკანში შესვლამ გამოიწვია ღია შეტევა, სპეცდანიშნულების ძალებმა, რომლებსაც ნიღაბები ეკეთათ და განლაგებული იყვნენ კიბეებზე, უფროსის ბრძანებით ალყა შემოარტყეს ადგილს. დალაქიშვილს და ჩიქვილაძეს მიაჩნიათ, რომ სპეცდანიშნულების რაზმის გამოყენება აუცილებელი იყო პატიმართა მხრიდან ძლიერი წინააღმდეგობის გამო. ისინი ერთხმად ამბობენ, რომ საკანში გაიმართა ხელჩართული ბრძოლა პატიმრებსა და სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლებს შორის. ბუჩუკურის თქმით, ეს უკანასკნელები არიან საპატიმროს ადმინისტრაციის განკარგულებაში და გამოიყენებიან საჭიროების შემთხვევაში, მათ ჩვეულებრივ აქვთ ხელკეტები და სხვა იარაღით საპატიმროში შესვლის უფლება არ გააჩნიათ.

152. დალაქიშვილის თქმით მოსარჩელებმა ექსტრადიციის შესახებ ტელევიზიის საშუალებით გაიგეს. ჩიქვილაძე ვარაუდობს, რომ მათ უკანონოდ შეიძლება ჰქონოდათ მობილური ტელეფონები ან შესაძლოა ისინი რადიოს უსმენდნენ საკანში. მეზობელ საკანებში ტელევიზორები არსებობდა და იქაურ პატიმრებს თავისუფლად შეეძლოთ შეეტყობინებინათ მოსარჩელებისათვის ეს ახალი ამბავი.

153. დალაქიშვილი ამტკიცებს, რომ როდესაც ის საკანში შევიდა უფროსის შემდეგ, იგი დაიჭრა იდაყვსა და მუხლში პატიმრების მიერ სახელდახელოდ მომზადებული “სატყორცნების” სროლის შედეგად (§205 ქვემოთ). მიუხედავად ამისა, იგი დაბრუნდა თავის კაბინეტში, სადაც არაექსტრადირებული პატიმრები შესამოწმებლად იყვნენ გადაყვანილი. იმ დროს დალაქიშვილმა შენიშნა, რომ ყველა მოსარჩელე ძალზე მტვრიანი იყო, მაგრამ არცერთს სისხლი არ მოსდიოდა. მას მიაჩნია, რომ მაგომადოვს ყური რომ ჰქონიყო გახეული, ის ამას შეამჩნევდა (§125 ზემოთ). რადგან პირადად მას არანაირი დაზიანება არ შეუნიშნავს და არც პატიმრებს არ მოუთხოვიათ სამედიცინო დახმარება, დალაქიშვილმა აღარ გამოიძახა ექიმი. საექსტრადიციო პატიმრები მაშინვე წაიყვანეს და ისინი თავის კაბინეტში აღარ უნახავს. ამგვარად, მას არ შეეძლო აზივივის ნახვა.

154. მხოლოდ მას შემდეგ, რაც სამსახურის დამთავრებისას საპრობილის წინ დალაქიშვილმა დაინახა მანიფესტანტები, იგი მიხვდა, რომ საქმე ეხებოდა პატიმრების ექსტრადიციას. ამავე დროს, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე, მას გაუკვირდა, რომ იგი ამასთან დაკავშირებით ადმინისტრაციამ საქმის კურსში არ ჩააყენა, როგორც ეს ხდებოდა ნორმალურ დროს, რათა მას წინა დღით გაეფრთხილებინა ის პატიმრები, ვისაც ეს ეხებოდა. მან სასამართლოს აუხსნა, რომ ნორმალურ პირობებში, საპატიმროს სამდივნოს უფროსი, ვინც განაგებს პატიმართა პირად საქმეებს, უგზავნიდა მას ხელმოწერილ და ბეჭედდასმულ წერილობით შეტყობინებას. ამ შეტყობინების საფუძველზე, იგი თავის მხრივ იწყებდა მასზე დაკისრებული დოკუმენტების გადამოწმებას და ამის შემდეგ ატყობინებდა დაინტერესებულ მხარეს მისი გამგზავრების საათს, რათა ამ უკანასკნელს ჰქონოდა მოსამზადებელი დრო. ამ შემთხვევაში ასეთ პროცედურას ადგილი არ ჰქონია.

155. ბატონი ბუჩუკური ამტკიცებს, რომ იგი დაიჭრა ფეხში ლითონის ნაჭრის მოხვედრის შედეგად (პარაგრაფი 204 ქვემოთ), რომ ჭრილობიდან სისხლი მოსდიოდა და ამის გამო იგი სასწრაფოდ გაემართა საპატიმროს ადმინისტრაციისაკენ სამკურნალოდ. ჭრილობა არ იყო სერიოზული და მოითხოვდა ათიოდე დღის მკურნალობას.

156. ბატონმა კერდიკოშვილმა საჩივარა, რომ საპატიმროში მისვლისას მან გაიგო, რომ პატიმრები არ ტოვებდნენ თავიანთ საკანს, მაგრამ არავის აუხსნია უარის მიზეზები და მათი გადაყვანის აუცილებლობის შესახებ. მაშინ, როდესაც იგი ციხის უფროსს უკან მიყვებოდა საკანში შესასვლელად იგი ხელში დაიჭრა და სასწრაფოდ სამედიცინო ნაწილს მიაკითხა. ამავე დროს დაიჭრნენ პენიტენციური დაწესებულების სხვა თანამშრომლებიც, რომლებსაც საპატიმროს ექიმმა სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა.

157. ბატონ ჩიქვილაძის მიხედვით, ციხის უფროსის საკანში შესვლის შემდეგ, ორი თუ სამი პატიმარი ორსართულიან საწოლებზე ავიდნენ. ისინი ლითონის ნაჭრებით იყვნენ შეიარაღებულები. ერთერთმა მათგანმა რამდენჯერმე ესროლა ჩიქვილაძეს, მაგრამ ააცილა. ამ დროს სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლმა იგი გვერდზე გასწია დაცვის მიზნით. ოთხი პატიმარი, რომლებსაც ციხის უფროსმა მუქარით დაანახა ოთხი ბეჭედდასმული საქმე, ყველაზე მეტ აგრესიას ავლენდნენ და დანარჩენი ორი პატიმარი ამაოდ ცდილობდა მათ დაშოშმინებას.

158. მას მიაჩნია, რომ პატიმრები სახელმწიფო მოხელეების მსგავსად შეიძლებოდა დაჭრილიყვნენ საკანში გამართული ხელჩართული შეტაკების დროს.

#### **იი) იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის მებრძოლები**

159. ბატონმა ზ. შეშბერიძემ განმარტა, რომ სპეცდანიშნულების რაზმის ძალები განლაგებული არიან შენობაში №5 საპატიმროს მახლობლად, სადაც მათ სირბილით მისვლა შეუძლიათ ათ წუთში. იმ დამით, მის თხუთმეტოდე კოლეგასთან ერთად დაევალა სიტუაციის განმუხტვა №88 საკანთან. იმის გამო, რომ ჯგუფმა არ იცოდა არეულობის მიზეზი, იგი განლაგდა კიბესთან საკანთან ახლოს, საიდანაც მოისმოდა ხმაური და ყვირილის ხმა მათთვის უცხო ენაზე.

ციხის უფროსი გაემართა საკნისაკენ, მაგრამ რამდენიმე წუთში უკან დაბრუნდა და მათ სთხოვა ჩარეულიყვნენ. მათ ბრძანება შეასრულეს და “პატარა წინააღმდეგობის” შემდეგ აღასრულეს მათზე დაკისრებული მისია. პატიმრები შეიარაღებულები იყვნენ ლითონის ნაჭრებით და რაღაც სატყორცნებით, რომლებიც წარმოადგენდნენ რაღაც მკვრივი მასით გატენილ შარვლებს. ბატონმა შეშხერიძემ განმარტა, რომ მას ისევე როგორც მის კოლეგებს ეკეთა ნიღაბი, რასაც წესი ითვალისწინებდა. სამაგიეროდ, მათ არ ეცვათ ჟილეტი ან თავდაცვის რაიმე სხვა საშუალება. თითოეული შეიარაღებული იყო მხოლოდ რეზინის ხელკეტით, არ ჰქონიათ ელექტროშოკი ან სხვა რაიმე იარაღი. მათ პატიმრები დერეფანში დააწვინეს და სანამ ადგილს დატოვებდნენ, დაცვის თანამშრომლებს ჩააბარეს. სადამოს, ტელევიზიის საშუალებით მათ გაიგეს, რომ პატიმრები საკნიდან გამოიყვანეს მათი ექსტრადიციის მიზნით.

160. შეშხერიძე ამტკიცებდა, რომ მან მიიღო უმნიშვნელო ჭრილობა (პარაგრაფი 204 ქვემოთ). მან უარყო ის მოსაზრება, რომ მან და მისმა კოლეგებმა უმოწყალოდ სცემეს და შეურაცხყოფა მიაყენეს მოსარჩელებს.

### iii) გენერალური პროკურატურის წარმომადგენლები

161. სასამართლომ მოუსმინა ბატონ დარბაიძეს და ქალბატონ ა. ნადარეი-შვილს, რომლებიც იმ დროს გენერალური პროკურატურის სტაჟიორები იყვნენ, ბატონ პ. მსხილაძეს, გენერალური პროკურატურის საგარეო ურთიერთობების განყოფილების უფროსს და ბატონ ნ. გაბრიჩიძეს, საქართველოს ყოფილ გენერალურ პროკურორს.

162. ბატონმა დარბაიძემ განმარტა, რომ მისი უფროსის, მსხილაძის კონტროლის ქვეშ მას მიეცა სხვადასხვა დავალება სადავო ექსტრადიციის საქმესთან დაკავშირებით. სახელდობრ, ბატონმა მსხილაძემ მას სთხოვა ციხეში მოენახულებინა მოსარჩელები, მიეწოდებინა მათთვის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გენერალურმა პროკურატურამ განიხილა მათი ექსტრადიციის საკითხი და მათთვის ეთხოვა მიეცათ განმარტებები მათ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. მან ეს ვიზიტი განახორციელა 2002 წ. 23 აგვისტოს თავის კოლეგა-სტაჟიორთან ქალბატონ ნადარეიშვილთან ერთად ადვოკატების დასწრების გარეშე, რადგან “საქმე ეხებოდა არა დაკითხვას, არამედ ინფორმაციის მოპოვებას”. მათ ამ დღეს მხოლოდ ხუთ მოსარჩელესთან ჰქონდათ შეხვედრა.

163. ცალკე ოთახში დარბაიძე პირველად ბატონ ხანჩუკაევს ესაუბრა რუსულ ენაზე. ამ უკანასკნელმა ინფორმაცია მიაწოდა სიტყვიერად, მაგრამ უარი საჩივარა შესაბამის დოკუმენტზე ხელის მოწერაზე, რომელიც ოფიციალურად დაადასტურებდა მის მოსაზრებებს (§137 ზემოთ). მას შემდეგ რაც იგი დაბრუნეს თავის საკანში სხვა პატიმრებთან, მან ამ უკანასკნელებს რაღაც უთხრა ჩეჩნურ ენაზე. ამის შემდეგ პატიმრებმა კოლექტიურად საჩივარეს უარი “მიეცათ განმარტებები, რომლებიც მათ მოეთხოვებოდათ და ხელი მოეწერათ შესაბამის დოკუმენტზე” იმ მოტივით, რომ ყოველივე ამას არ ესწრებოდა ადვოკატი და ჩეჩნური ენის თარჯიმანი.

164. დოკუმენტი, რომელზე ხელის მოწერაზე ხანჩუკაევმა უარი საჩივარა, წარმოადგენდა ახსნა-განმარტებას გენერალური პროკურორის სახელზე. მასში

მოყვანილი იყო მოსარჩელის სიტყვები, რომელიც ამტკიცებდა, რომ იყო ჩეჩენი, დაბადებული 1981 წელს გროზნოში. 2002 წ. 4 აგვისტოს საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ იგი საქართველოს ხელისუფლების ორგანოებმა დააპატიმრეს. რამდენიმე დღის განმავლობაში იგი დაკავებული ჰყავდათ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლატორში, შემდეგ გადაიყვანეს თბილისის №5 საპატიმროში. დაპატიმრების მომენტში მას შეატყობინეს, რომ დაკავებული იყო საზღვრის უკანონო გადმოკვეთის გამო. დოკუმენტის ბოლოს იკითხებოდა: “პატიმარმა უარი საჩივარა დოკუმენტის ხელმოწერაზე და ითხოვა ადვოკატის დასწრება”. დოკუმენტი შედგენილია პროკურორ-სტაჟიორის ღ. დარბაიძის მიერ. იმავე შეხვედრის პროტოკოლის მიხედვით, რომელსაც ხელს მხოლოდ დარბაიძე და ნადარეიშვილი აწერენ, ეს უკანასკნელები ამოდ ცდილობდნენ “მოეპოვებინათ მოსარჩელის ახსნა-განმარტება მის ექსტრადიციასთან დაკავშირებით”.

165. კონტაქტში შესვლაზე უარის მიღების შემდეგ დარბაიძემ გადაწყვიტა გადაედო მოლაპარაკება და მოეძებნა თარჯიმანი. ბატონმა მსხილაძემ, მისმა უფროსმა, უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფთან მიაღწია შეთანხმებას (იხილეთ §190 ქვემოთ) იმასთან დაკავშირებით, რომ 2002 წ. 13 სექტემბრისათვის გათვალისწინებული დაკითხვის შემდეგ დარბაიძე შეხვედროდა მოსარჩელებს. ეს გარანტიას აძლევდა დარბაიძეს ადგილზევე ჰყოლოდა ადვოკატები და ჩეჩნური ენის თარჯიმანი.

166. 2002 წ. 13 სექტემბერს თავის კოლეგა ხერიანოვას თანხლებით, დარბაიძე საპატიმროში გამოცხადდა. იგი შეხვდა უშიშროების სამინისტროს მიერ დანიშნულ თარჯიმანს საიდაევს (§189 ქვემოთ). მან აუხსნა, რომ “ექსტრადიციის მიმდინარე პროცესთან დაკავშირებით მას სურდა პატიმართა მხრიდან მიეღო ახსნა-განმარტება მათი ეროვნების დასადგენად”. თარჯიმანმა თარგმნა მისი სიტყვები, მაგრამ იმის გამო, რომ დარბაიძემ არ იცოდა ჩეჩნური, არ შეეძლო შეეფასებინა ამ თარგმანის სიზუსტე. პასუხად მოსარჩელებმა კვლავ უარი საჩივარეს მოეწოდებინათ ინფორმაცია და არც ამჯერად მოაწერეს ხელი რუსულ ენაზე შედგენილ შესაბამის დოკუმენტს. მიუხედავად ამისა, ეს დოკუმენტები მაინც წაუკითხეს მათ.

167. მოსარჩელების წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ დარბაიძის გვარი არ ფიგურირებს ორიდან არცერთ “წიგნში, სადაც ხდება № 5 იზოლატორის პატიმრებთან პაემანზე მოსული მოქალაქეების, ადვოკატების და გამომძიებლების რეგისტრაცია” იმ პერიოდში, რომელიც მოიცავს 2002 წ. 5 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით და შესაბამისად 13 სექტემბრიდან 17 ოქტომბრის ჩათვლით. ამის საპასუხოდ დარბაიძემ განმარტა, რომ 2002 წ. 23 აგვისტოს და 13 სექტემბერს, მისი გვარი ამ წიგნებში კი არ არის გატარებული, არამედ საპატიმროს “საგამოძიებო ოთახში შემოსვლის წიგნში”. პროკურორებს მნახველების, ადვოკატების და გამომძიებლებისაგან განსხვავებით არ სჭირდებათ შესვლაზე ნებართვის აღება და საპატიმროში შესვლა შეუძლიათ თავიანთი პროფესიული საშვის საშუალებით, აქედან გამომდინარე მათი გვარები არ უნდა ფიგურირებდეს მნახველების სარეგისტრაციო წიგნებში, რაზედ მიუთითებენ ადვოკატები. იმავე ლოგიკით, მისი სახელი არ უნდა იყოს დაფიქსირებული არც “პატიმრის გაყვანის ნებართვის წიგნში”, იქიდან გამომდინარე, რომ ორი დღის განმავლობაში იგი მოსარჩელებს საგამოძიებო

ოთახში ხვდებოდა, რომლებიც იქ მოყავთ უშიშროების სამინისტროს გამომძიებლების მოთხოვნით (§190 ქვემოთ).

168. დარბაიძემ განმარტა, რომ იუსტიციის სამინისტრო, რომელსაც ევალება ექსტრადიციის გადაწყვეტილების აღსრულება, ინფორმირებული იყო 2002 წ. 2 ოქტომბრის გადაწყვეტილების მიღებისთანავე (§178 ქვემოთ). ბატონმა მსხილაძემ, იმავე დღეს, ტელეფონით პირადად აცნობა შიდა კანონმდებლობის ფარგლებში მოქმედ მოსარჩელეთა ადვოკატებს და გარდა ამისა ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინება გაუგზავნა. დარბაიძე ამტკიცებს, რომ, რამდენადაც მას ახსოვს ამ საკითხთან დაკავშირებით იგი მოსულიც კი იყო ამ ადვოკატების ოფისში.

169. ბატონ დარბაიძის მიხედვით, არც საქართველოს საპროცესო კოდექსი და არც ნორმატიული აქტი იმ პერიოდში, როდესაც ეს ამბები მოხდა არ ითვალისწინებდა ექსტრადიციის სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრებას. მხოლოდ ამ კოდექსის 259-ე მუხლის § 4-ში ბუნდოვნად იყო ნახსენები ამის შესახებ (პარაგრაფი 254 ქვემოთ). ეს ნაკლი გამოსწორებულ იქნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში ალიევის სასამართლო პროცესის დროს (§ 258 ქვემოთ).

170. ბატ. დარბაიძემ განმარტა, რომ ადვოკატთა მტკიცების გამო იმასთან დაკავშირებით თითქოს არც მათი კლიენტები და არც თვითონ ისინი არ იყვნენ ინფორმირებული ექსტრადიციის გადაწყვეტილების პროცედურების შესახებ, იგი დაუკავშირდა ბატონ საიდოვს 2002 წ. დეკემბერში და სთხოვა მას ნოტარიული აქტის მეშვეობით დაედასტურებინა, რომ იგი მართლაც მისული იყო საპატიმროში 2002 წ. 13 სექტემბერს და შეატყობინა მოსარჩეებს მათი ექსტრადიციის პროცედურასთან დაკავშირებით. მან სასამართლოს წარმოუდგინა აღნიშნული ნოტარიული აქტი (§196 ქვემოთ).

171. ქალბატონმა ნადარეიშვილმა დაადასტურა, რომ გენერალურ პროკურატურაში მას დაევალა აღნიშნული ექსტრადიციის საქმე. 2002 წ. 23 აგვისტოს დარბაიძესთან ერთად იგი შეხვდა ხუთ მოსარჩელეს მხოლოდ თბილისის №5 საპრობილის საგამოძიებო ოთახში. იმის გამო, რომ თანამშრომლობაზე უარი მიიღეს სხვა მოსარჩელები აღარ გამოუძახებიათ, როგორც ეს ადრე იყო გათვალისწინებული. მათ სურდათ მოეპოვებინათ ინფორმაცია მოსარჩელეთა დაბადების თარიღთან და ადგილთან დაკავშირებით, ისევე როგორც დაედგინათ მათი ეროვნება. მათ მოსარჩელებს შეატყობინეს, რომ მუშაობდნენ გენერალურ პროკურატურაში მათი ექსტრადიციის საკითხზე და არ იყვნენ გამომძიებლები. თავიდან მოსარჩელებმა მოახვედრეს თავი თითქოს არ ლაპარაკობდნენ რუსულად, მაგრამ შემდეგში ისინი ამ ენაზე ამტკიცებდნენ, რომ არ სურდათ რუსეთში დაბრუნება და რომ ზოგიერთი მათგანი ქართული ეროვნების იყო. ეს საუბარი ადვოკატების და თარჯიმნის გარეშე მიმდინარეობდა.

172. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რატომ არ იყო მისი გვარი საპრობილეთში შემსვლელთა სიაში, იგი ამტკიცებდა, რომ იგი არ იცნობდა საპატიმროში შესვლის წესებს, რადგან იგი ამ დღეს პირველად და უკანასკნელად იყო შესული საპატიმროში.

173. ბატ. მსხილაძე, დარბაიძის და ნადარეიშვილის იერარქიული უფროსი, განმარტავდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურას არ აკმაყოფილებდა ის დეტალები, რაც რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა



წარმოადგინეს მოსარჩელეთა ექსტრადიციის მოთხოვნის მხარდაჭერის მიზნით, ბატ. უსტინოვის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში (§§ 62 და 63 ზემოთ). პარაგრაფებში 62-64, 67-69 და 71-72 ზემოთ მოყვანილი ფაქტების დადასტურების შემდეგ მსხილაძემ ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა თავიანთ რუს კოლეგებს მოსთხოვეს მტკიცე გარანტიები მოსარჩელეთა ბედთან დაკავშირებით მათი ექსტრადიციის შემთხვევაში. მან აღნიშნა, რომ საქმე არ ეხებოდა ზოგად გარანტიებს არამედ ინდივიდუალური ხასიათის გარანტიებს თითოეულ მათგანთან დაკავშირებით წერილში თითოეული გვარის მოხსენიებით. იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი გარანტიები მიღებულ იქნა რუსეთის გენერალური პროკურატურიდან და რადგან პროკურატურა ეთანხმებოდა რუსეთის სასამართლოს მიერ გამოტანილ ბრალდებას, საქართველოს ხელისუფლებას ჰქონდა ყველა მიზეზი ყოფილიყო დარწმუნებული, რომ მოსარჩელების მიმართ არ იქნებოდა გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი. გათვალისწინებულ იქნა ის ფაქტიც, რომ რუსეთში 1996 წლიდან დაწესებული იყო მორატორიუმი სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით და ამ სასჯელის გამოყენება იკრძალებოდა 1999 წ. 2 თებერვლის საკონსტიტუციო დადგენილებით. “ზოგიერთი ეჭვის” გამო, რომელიც მას გააჩნდა საქართველოს ხელისუფლებამ მოითხოვა იმავე ტიპის გარანტიები არაადამიანურ მოპყრობასა და შეურაცხყოფასთან დაკავშირებით. მხოლოდ დამაკმაყოფილებელი გარანტიების მიღების შემდეგ დაიწყო გენერალურმა პროკურატურამ ექსტრადიციის მოთხოვნის შესწავლა.

174. ბატონი მსხილაძე არ უარყოფდა, რომ გენერალურმა პროკურატურამ გადაუგზავნა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებს მოსარჩელეთა ფოტოსურათები, რომლებიც საქართველოში იყო გადაღებული, ამავე დროს მან მტკიცედ უარყო ის მოსაზრება, რომლის მიხედვით ამტკიცებდნენ, რომ რუსეთის მხარემ ექსტრადიციის მოთხოვნაში ან მასთან დაკავშირებულ საქმეებში იგივე სურათები გამოიყენა. სინამდვილეში რუსეთის ძალოვანებმა წარმოადგინეს მოსარჩელეთა ის სურათები, რომლებიც ფიგურირებდნენ №1 ფორმულარზე (იხილეთ შენიშვნა მე-12 გვერდზე, ზემოთ). მსხილაძის მიხედვით ეს მოსაზრება გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფის თხოვნით, რომელიც იძიებოდა საზღვრის დარღვევის საკითხს, გენერალურმა პროკურატურამ რუსეთის მხარეს გაუგზავნა თხოვნა რუსეთის მხარეს ამ სისხლის სამართლის საქმეში მისთვის დახმარების გასაწევად, რასაც მინსკის კონვენცია ითვალისწინებდა. ამ მოთხოვნას თან ახლდა მოსარჩელეთა სურათები და თითის ანაბეჭდები ამ პიროვნებების ვინაობის დადგენის მიზნით. მოთხოვნა თარიღდებოდა 2002 წ. აგვისტოს ბოლოთი. ექსტრადიციის მოთხოვნა მოსარჩელეთა სურათებით და სხვა დოკუმენტებით გადმოგზავნილი იყო 2002 წ. 6 აგვისტოს, ამიტომ საქმე არ შეიძლება ეხებოდეს იგივე სურათებს.

175. რაც შეეხება ექსტრადირებული მოსარჩელების ვინაობის დადგენას, ბატ. მსხილაძემ განმარტა, რომ მათ წინააღმდეგ რუსეთში სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილებაში მითითებული იყო მათი ნამდვილი სახელები და რომ თვით მოსარჩელებს არასდროს გაუსაჩივრებიათ ეს ფაქტი. გარდა ამისა, მათი ვინაობის დადგენა მოხდა რუსეთში შედგენილი საიდენტიფიკაციო აქტების, ფოტოსურათების, მათი პიროვნების დამადასტურებელი საბუთების და №1 ფორმულარის საშუალებით რაც რუსეთის ხელისუფლების მიერ იყო

მიწოდებული. გარდა ამისა, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიხედვით ამ პიროვნებებს არც ჰქონდათ და არც არასდროს ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეობა. ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა ასევე დაადასტურა, რომ ისინი არ ირიცხებოდნენ ლტოლვილთა სიებში. ამგვარად, 2002 წ. 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებები ექსტრადიციასთან დაკავშირებით არ იყო ნაჩქარევი პროცედურის ნაყოფი. ორი თვის განმავლობაში გენერალურმა პროკურატურამ გულდასმით შეისწავლა დეტალები, რომლებიც ამტკიცებდნენ იმას, რომ მოსარჩელებს მართლაც ედებოდათ ბრალად რუსეთის ტერიტორიაზე ჩადენილი მძიმე დანაშაულები, რომ ისინი სინამდვილეში იყვნენ რუსეთის მოქალაქეები და რომ მათ იცავდნენ რუსეთის ხელისუფლებისგან მიღებული გარანტიები.

176. ბატომ მსხილაძეს მიაჩნია, რომ ექსტრადიციის პროცედურამ ჩაიარა გამჭვირვალეობის პირობებში. პროკურორ-სტაჟიორებმა, რომლებიც მისი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ, მისი მითითების შესაბამისად, შეატყობინეს მოსარჩელებს ექსტრადიციის პროცედურის შესახებ და მოიპოვეს ინფორმაცია მათ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. გარდა ამისა მოსარჩელებმა ეს ინფორმაცია მოიპოვეს მასმედიის საშუალებებითაც. ექსტრადირებული მოსარჩელების ადვოკატებს საპროცედურო კოდექსის 259-ე მუხლის § 4-ის გამოყენებით (§254 ქვემთ) შეეძლოთ პროცედურის ნებისმიერ სტატიაზე სასამართლოსთვის მიემართათ სარჩელით მითუმეტეს, რომ ასეთ გასაჩივრებას ექნებოდა შემაჩერებელი ეფექტი ექსტრადიციის გადაწყვეტილების აღსრულებაზე. ამავე დროს მსხილაძემ აღიარა, რომ მისთვის არ იყო ცნობილი 259-ე მუხლის § 4-ის გამოყენების შემთხვევები ალიევის სასამართლო საქმეში (პარაგრაფი 258 ქვემთ). მან გაიხსენა, რომ ამ საქმეში უზენაესი სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანის შემდეგ სამმა მოსარჩელემ გაასაჩივრა მათი ექსტრადიციის გადაწყვეტილება (§§ 83 და 84 ზემთ).

177. რაც შეეხება საქმეებთან დაშვების საკითხს, მსხილაძემ განმარტა, რომ მოსარჩელების ადვოკატებმა ითხოვეს გაცნობოდნენ საქმეებს და რომ მათ ამაზე უარი ეთქვათ იმ მოტივით, რომ საქმეში მონაწილე გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს თვითონ ესაჭიროებოდათ ამ საქმეების შესწავლა. საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ადვოკატებს მათი გაცნობა შეეძლოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ სასამართლოში შეიტანდნენ საჩივარს ექსტრადიციის პროცედურის წინააღმდეგ.

178. ბატონი მსხილაძე ამტკიცებდა, რომ მან პირადად, 2002 წ. 2 ოქტომბრის დაახლოებით 13 საათზე იმავე დღის 12 საათზე მიღებულ ექსტრადიციის გადაწყვეტილებების ასლები აღსრულებისათვის გადასცა იუსტიციის სამინისტროს კომპეტენტურ პირს. მან ასევე ტელეფონით საქმის კურსში ჩააყენა ქალბატონები ხიჯაკაძე და გაბაიძე, მოსარჩელეთა ადვოკატები (§212 და შემდეგი ქვემთ). იმის გამო, რომ ვერ მოხერხდა ქალბატონ ასაბიძესთან დაკავშირება, მან სთხოვა მის კოლეგებს მისთვის შეეტყობინებინათ ეს ახალი ამბავი. შემდგომში მან ამ ადვოკატებს გაუგზავნა წერილი გადაწყვეტილებების ასლების დანართით. მსხილაძემ სასამართლოს წარუდგინა ამ შეტყობინების წერილის ასლი, რომელიც იმავე დროს ატყობინებს ადვოკატებს, რომ მათ ეძლევათ საშუალება მათი კლიენტების ინტერესებიდან გამომდინარე მიმართონ სასამართლოს. იმის გამო, რომ ვერ მოახერხა ფაქსის

გაგზავნა ელექტროობასთან დაკავშირებული პრობლემების გამო, რაც ხდებოდა საქართველოში, ბატონმა მსხილაძემ დაავალა ბატონ დარბაიძეს მიეტანა წერილი ადვოკატების ოფისში (§168 ზემოთ). იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელები ადგილზე არ დახვდნენ, დარბაიძემ წერილი ოფისის ერთერთ თანამშრომელს დაუტოვა, მსხილაძის მიერ წარმოდგენილი წერილის ასლზე გვერდის ბოლოში მოჩანს თითქმის მთლიანად წაშლილი და გაურჩეველი წარწერა “ვადასტურებ მიღებას 2002 წ. 2 ოქტომბერი”.

179. მსხილაძემ კატეგორიულად უარყო ადვოკატების მიერ ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით ექსტრადიცია საიდუმლოდ ჩატარდა. მას მიაჩნია, რომ ექსტრადიციის გადაწყვეტილებების შესრულების თარიღის არარსებობის შემთხვევაში, 2-დან 4 ოქტომბრამდე შეუღლეში ადვოკატებს საკმარისი დრო ჰქონდათ იმისათვის, რომ სასამართლოსათვის მიემართათ.

180. რაც შეეხება აზიევის თითქმისდა საგანგაშო მდგომარეობას, ბატ. მსხილაძე არ გამორიცხავს, რომ იგი შეიძლება დაჭრილიყო სპეცრაზმისათვის გაწეული წინააღმდეგობის დროს და რომ ჟურნალისტებმა არ იხურვეს მისი გადაღება აეროპორტში. ყველა შემთხვევაში წითელი ჯვრის წარმომადგენლები მოინახულებდნენ თითოეულ მოსარჩელეს აეროპორტში. შემდგომში ბატონი აზიევი უჩვენეს რუსეთის ტელევიზიით საპატიმროში გადაყვანის დროს.

181. ბატ. მსხილაძემ უარყო ქალბატონ მუხაშავრიას არგუმენტი, რომელსაც მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა პატიმრობაში აყვანა პირდაპირ კავშირშია ბატონ უსტინოვის მიერ ექსტრადიციის მოთხოვნის შემოტანასთან.

182. ბატ. გაბრიჩიძის თქმით, 2002 წ. 6 აგვისტოს უსტინოვი ჩამოვიდა საქართველოში მისი მოადგილის, რუსეთის გენერალური პროკურატურის რამდენიმე თანამშრომლის და სპეციალური დაცვის თანხლებით. მისი ვიზიტის მთავარი მიზანი იყო საქართველოში, ჩეჩნეთის მოსაზღვრე პანკისის ხეობაში შექმნილი საგანგებო ვითარების განხილვა. ამასთან კავშირში მან წარმოადგინა მოთხოვნა მოსარჩელეთა ექსტრადიციის შესახებ, რომელიც თან ერთვოდა გარკვეული საბუთები. გაბრიჩიძემ მაშინვე უარყო ეს მოთხოვნა იმ მიზეზების გამო, რომლებიც მოყვანილია პარაგრაფებში 62 და 63 ზემოთ. უსტინოვს არ გაუმართავს დავა ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით თუმცა მაინც ითხოვა პროცედურის დაჩქარება.

183. გაბრიჩიძის მიხედვით ექსტრადიციის პროცედურა მიმდინარეობდა ფართო გამჭვირვალობის პირობებში იქიდან გამომდინარე, რომ ამაზე ლაპარაკი იყო მედიაში და ამავე დროს გენერალური პროკურატურა რეგულარულად აწყოდა პრესკონფერენციებს ამასთან დაკავშირებით. ამ პროცედურების განმავლობაში რუსეთის ხელისუფლებისგან მიღებული იყო მტკიცე გარანტიები სიკვდილის დასჯის, არაადამიანური მოპყრობის და შეურაცხყოფის წინააღმდეგ, ასევე რწმუნება იმისა, რომ ექსტრადირებულები ისარგებლებდნენ ადვოკატის დახმარებით. ასევე მხედველობაში მიღებული იყო ის ფაქტი, რომ 1996 წლიდან რუსეთში მოქმედებდა მონიტორინგი სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით და რომ ამ სასჯელის გამოყენება სრულიად შეუძლებელი იყო 1999 წ. 2 თებერვლის კონსტიტუციური დადგენილებების შესაბამისად. თვითონ მას, როგორც გენერალურ პროკურორს, არავითარი მიზეზი არ ჰქონდა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების გარანტიებში ეჭვი შეეტანა.

184. როდესაც მან გადაწყვიტა, რომ მის ხელთ არსებული მასალები იძლეოდა საშუალებას თანხმობა განეცხადებინა 5 მოსარჩელის ექსტრადიციაზე, იგი დაუკავშირდა თავის რუს კოლეგას და სთხოვა მას პირადად ედევნებინა თვალი რუსეთში ჩასატარებელი საგამოძიებო პროცედურებისათვის და რომ მოსარჩელეთა სამართლებრივი უფლებები მთლიანად ყოფილიყო დაცული. იგი ტელეფონითაც კი დაუკავშირდა ბატონ ს.ნ. ფრიდინსკის, რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილეს ჩრდილო კავკასიის რეგიონის საკითხებში, რომელმაც მას სიტყვიერი გარანტიები მისცა, რაც შემდეგ წერილობითაც დაადასტურა.

185. მას შემდეგ, რაც 5 მოსარჩელის ექსტრადიცია გადაწყდა, მისი აღსრულება რუსეთიდან თვითმფრინავის ჩამოსვლაზე იყო დამოკიდებული. გაბრიჩიძემ მსხილაძეს დაავალა ამ გადაწყვეტილების შესახებ მაშინვე ეცნობებინა მოსარჩელების ადვოკატებისათვის. იგი ფიქრობდა, რომ ადვოკატებს შეეძლო ექსტრადიციის საკითხის სასამართლოში გასაჩივრება. ამავე დროს გაბრიჩიძემ აღიარა, რომ საპროცესო კოდექსში არსებობს მხოლოდ ერთი დებულება, რომელიც, ზოგადად თუ ჩამოვყალიბებთ, არც პროცედურას ითვალისწინებს, არც გასაჩივრების ვადებს ადგენს და არც კომპეტენტურ სასამართლოს იწვევს. მისი აზრით, ასეთი საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში, პრაქტიკის სრული უქონლობის დროს არ შეიძლება მთლიანად ადვოკატებს დაბრალდეს ის, რომ მათ არ მიმართეს სასამართლოს. 1996 წლიდან, როდესაც ძალაში შევიდა მინსკის კონვენცია საქართველოსთან დაკავშირებით და 2002 წ. ოქტომბრამდე პერიოდში საქართველოში არ ყოფილა არცერთი შემთხვევა სასამართლოში საჩივრის შეტანისა ექსტრადიციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. გაბრიჩიძემ გაამახვილა ყურადღება იმაზე, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით საჭირო იყო ქართული კანონმდებლობის რეფორმირება.

186. ბატონ ასიევის სიკვდილთან დაკავშირებით ატეხილი ხმაურის გამო გაბრიჩიძე დაუკავშირდა თავის რუს კოლეგებს. ფრიდინსკიმ დაამშვიდა გაბრიჩიძე და უთხრა, რომ ეს პატიმარი ცოცხალი იყო და ჯანმრთელი. ამის შემდეგ იგი რეგულარულად უკავშირდებოდა ფრიდინსკის, რომელიც მას ინფორმაციას აწვდიდა პროცედურის მსვლელობის შესახებ ზუსტი დეტალების გათვალისწინებით. ამან დაარწმუნა გაბრიჩიძე იმაში, რომ ფრიდინსკი ყურადღებით ადევნებდა თვალს საქმის მსვლელობას და დაპირებისამებრ, მოსარჩელეთა მდგომარეობა მის მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. დასკვნის სახით გაბრიჩიძემ საჩივარა, რომ საქართველოს ხელისუფლებას რომ ჰქონოდა განზრახვა მოსარჩელეთა უკანონო ექსტრადიციასთან დაკავშირებით, იგი მათ უსტიხოვს გადასცემდა 2002 წ. 5 აგვისტოს, როდესაც ამ უკანასკნელს ამ მიზნით თან ახლდნენ სპეციალური დაცვის თანამშრომლები (§182 ზემოთ).

**iv) მთავარი გამოძიებელი, რომელსაც ევალებოდა საზღვრის დარღვევასთან დაკავშირებული საქმის გამოძიება**

187. სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი, ბატონი ბაკაშვილი ხელმძღვანელობდა გამოძიებულთა ჯგუფს საზღვრის დარღვევის საქმესთან დაკავშირებით, რომელსაც ბრალად სდებდნენ მოსარჩელებს. მან პირადად შეისწავლა ბატონების ხანჩუკაევის, გელოგაევის, ხაჩიევის, მაგომადოვის, ბაიმურზაევისა და ადაევის საქმეები. ამ მოსარჩელებს შორის მხოლოდ ადაევს ჰქონდა საბჭოთა პასპორტი იმის დასადასტურებლად, რომ ის

იყო ასლან ლეჩიევიჩ ადაევი, რუსი ეროვნების, დაბადებული 1968 წ. 22 ივლისს. სხვა მოსარჩელების პიროვნება დადგინდა მათი საკუთარი მტკიცების საფუძველზე. შემდგომში, ამ სისხლის სამართლის საქმეში დახმარების თხოვნით გენერალური პროკურორის შუამავლობით მიმართეს რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს (§174 ზემოთ). “იდენტიფიკაციის ოქმების მიხედვით მესამედის ამოცნობა მოხდა ფოტოსურათების საშუალებით”, ამას ემატებოდა მეზობლებისა და ახლობლების ჩვენებები და სხვა საბუთები, რომელიც რუსეთის მთავრობამ გამოგზავნა. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ ხანოევი იყო ხანჩუკაევი ასლაბეგ ატევეიჩი, მირზოევის ერქვა გელოგაევი რუსლან ახმედოვიჩი, ხანჩიევის ერქვა მელოევი ბეკხან სეიდხატანევიჩი, უსმანოვი იყო მაგომადოვი ახმედ ლეჩიევიჩი და ბაიმურზაევის ერქვა ალხანოვი ჰუსეინ მოვლადინევიჩი.

188. თავიანთი ნამდვილი ვინაობის დამაღვასთან დაკავშირებით მოსარჩელებმა საჩივარეს გამოძიებლის წინაშე, რომ მათ ეწინოდათ ჩენნეთში დარჩენილი მათი ნათესაეების და ახლობლების წინააღმდეგ დევნის. მათ აღიარეს, რომ საქართველოს საზღვრის გადმოლახვისას ისინი შეიარაღებულები იყვნენ და ითანამშრომლეს გამოძიებასთან. მათ არ გამოუხატავთ აშკარა შიში, მაგრამ უბრალოდ არაერთხელ გაიმეორეს, რომ არ სურდათ მომხდარიყო მათი ექსტრადირება რუსეთში.

189. გამოძიება ტარდებოდა ჩენნურ ენაზე თარჯიმან საიდაევის დახმარებით, რომელიც დაქირავებული იყო სამუშაო კონტრაქტის საფუძველზე. ყველა მოსარჩელე კარგად ლაპარაკობდა რუსულად და დაკითხვების შემდეგ მას რუსულად ესაუბრებოდნენ.

190. ბაკაშვილმა განმარტა, რომ ერთ დღეს თარჯიმანთან და მოსარჩელების ადვოკატებთან ერთად, რომელთა საქმეებსაც იგი იძიებდა, იმყოფებოდა №5 საპატიმროს საგამოძიებო ოთახში. მისი ჯგუფის სხვა გამოძიებლები მეზობელ ოთახში მუშაობდნენ სხვა მოსარჩელებთან. თარჯიმანი რიგრიგობით ეხმარებოდა გამოძიებლებს. როდესაც იგი ოთახიდან გამოვიდა და წასვლას აპირებდა, იგი შეხვდა დარბაიძეს თავის კოლეგასთან ერთად, რომელმაც აუხსნა, რომ მოსარჩელეთა ექსტრადიციის მოთხოვნა განიხილებოდა გენერალურ პროკურატურაში და რომ მას სჭირდებოდა ინფორმაციის მოპოვება მათ მოქალაქეობასთან დაკავშირებით. ბაკაშვილმა უპასუხა, რომ მას არ ჰქინდა უფლება დაევალებინა თარჯიმანისათვის ან ადვოკატისათვის დახმარებოდნენ პროკურორს ამ საქმეში. მან ურჩია პირდაპირ მათთან მოეგვარებინა ეს საკითხი.

191. ბაკაშვილმა დაადასტურა, რომ გამოძიებლისაგან განსხვავებით პროკურორს არ ესაჭიროება შესვლის ნებართვა. მას საპატიმროში შესვლა თავისი პროფესიული მოწმობითაც შეუძლია.

### **(3) თარჯიმნის მიერ წარმოდგენილი ფაქტები**

192. ბატ. საიდაევა, საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის სტუდენტმა, დაადასტურა, რომ იგი დაიქირავა უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო ჯგუფმა. მან ასევე დაადასტურა, რომ მხოლოდ ერთხელ, 2002 წ. 13 სექტემბერს

№5 საპატიმროში შეხვდა დარბაიძეს (§166 ზემოთ). იმ დღეს, როდესაც იგი იმყოფებოდა საგამოძიებო ოთახში ხუთ თუ ექვს ჩეჩენ პატიმართან ერთად, დარბაიძე მივიდა მასთან თავის კოლეგასთან ერთად და წარუდგინა მას როგორც გენერალური პროკურატურის თანამშრომელი. მან ქართულ ენაზე აუხსნა, რომ ის მუშაობდა ჩეჩნების ექსტრადიციის საკითხზე და რომ მას სჭირდებოდა ინფორმაცია პატიმართა მოქალაქეობასთან დაკავშირებით (§166 ზემოთ). სხვათაშორის, დარბაიძემ ჰკითხა მას, თუ სად ისწავლა ასე კარგად ქართული და ჩეჩნური ლაპარაკი, რადგან მან ჩათვალა, რომ საქმე გაცნობას ეხებოდა. საიდაევმა ჰკითხა პროკურორს, თუ ზუსტად რა უნდა ეთარგმნა პატიმრებისათვის. ბატონმა დარბაიძემ სთხოვა გაეგო, თანახმა იყვნენ თუ არა მოსარჩელები მისთვის მიეწოდებინათ საჭირო ინფორმაცია მათი მოქალაქეობის დასადგენად. თარჯიმანმა ეს შეკითხვა ჩეჩნურ ენაზე თარგმნა. პატიმრებმა საჩივარეს, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ისინი არავითარი ინფორმაციის მიწოდებას არ აპირებდნენ. როგორც კი მოისმინა პასუხის თარგმანი, დარბაიძე მაშინვე წავიდა.

193. ბატონმა საიდაევმა დაადასტურა, რომ ამ საუბარს ადვოკატები არ ესწრებოდნენ და რომ პროკურორს არავითარი ინდივიდუალური საუბარი მოსარჩელებთან არ ჰქონია. დარბაიძემ უბრალოდ სთხოვა დაესვა ზემოაღნიშნული შეკითხვა პატიმრებისათვის და უარისთანავე დატოვა ოთახი. მას მათთვის არავითარი დოკუმენტი არ გადაუცია. საიდაევი აცხადებს, რომ იმ დღეს დარბაიძეს წმინდა შემთხვევითი ხასიათის სამსახური გაუწია ყოველგვარი კონტრაქტული ან მეგობრული ურთიერთობის გარეშე.

194. საიდაევის თქმით გამოძიების პროცესში მოსარჩელებმა ერთმანეთში არაერთხელ განიხილეს ჩეჩნურ ენაზე ექსტრადიციის პროცედურის საკითხი და მისი განცხადებით ამ სიტყვის ხსენებაც კი შიშს ჰგვრიდა მათ. ეს დისკუსია ყოველთვის იწვევდა ეჭვებს და ვარაუდებს. როდესაც 2002 წ. 13 სექტემბრამდე შეხვედრის დროს ბაკაშვილმა დაუსვა შეკითხვები მოსარჩელებს მათ სურვილებთან დაკავშირებით და თუ სჭირდებოდათ ექიმის დახმარება, მოსარჩელებმა უპასუხეს, რომ მათ არაფერი ესაჭიროებოდათ გარდა იმისა, რომ არ ყოფილიყვნენ ექსტრადირებული. მათ აუხსნეს, რომ თავიანთ საკანში ისინი უყურებდნენ ტელევიზორს და გაიგეს, რომ ისინი რუსეთში შეიძლება ყოფილიყვნენ ექსტრადირებული.

195. 2002 წ. 6 დეკემბერს ნოტარიულ აქტთან დაკავშირებით (§170 ზემოთ), საიდაევმა განმარტა, რომ 2002 წ. 13 სექტემბერს მათი შეხვედრიდან გამომდინარე დარბაიძემ მას სახლში მიაკითხა და სთხოვა ნოტარიუსის თანდასწრებით დაედასტურებინა, რომ მისი თანდასწრებით იგი შეხვდა მოსარჩელებს, რომლებმაც საუბარზე უარი საჩივარეს. ეს დადასტურება მას ესაჭიროებოდა მის უფროსობასთან წარმოქმნილი პრობლემების გამო.

196. აღნიშნულ ნოტარიულ აქტში, რომელსაც ეწოდება “განცხადება იუსტიციის მინისტრის მოადგილის სახელზე” და შედგენილი იყო საიდაევის ხელით, იგი ადასტურებს: “2002 წ. 13 სექტემბერს თბილისის №5 საპატიმროში, მე თარჯიმნის სახით ვესმარებოდი უშიშროების სამინისტროს გამომძიებლებს ა. ადაევის, ბაიმურზაევის და სხვათა (სულ 13 კაცი) საქმეში. გამომძიებლების საქმის დამთავრების შემდეგ, დარბაიძე გენერალური პროკურატურის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის პროკურორსტაჟიორი, გამოცხადდა ჩეჩენი

პატიმრებისათვის შეკითხვების დასასმელად. თავდაპირველად მან პატიმრებს შეატყობინა, რომ გენერალურ პროკურატურაში განიხილებოდა საკითხი მათი ექსტრადიციის შესახებ და შემდეგ სთხოვა მათ მიეწოდებინათ მისთვის საჭირო განმარტებები მათი მოქალაქეობის დასადგენად. ჩვენმა პატიმრებმა უარი საჩივარეს. დარბაიძემ შეადგინა ოქმი და გადასცა მათ ხელის მოსაწერად. პატიმრებმა ამ დოკუმენტის ხელის მოწერაზე უარი საჩივარეს. პროკურორი და პატიმრები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ ჩემი შუამავლობით.”

197. საიდაევმა აუხსნა სასამართლოს, რომ ნოტარიუსის წინაშე დარბაიძემ მას უკარნახა ეს ტექსტი. მან აღიარა, რომ დაუშვა შეცდომა, როდესაც არ მიაქცია ყურადღება ფრაზას ექსტრადიციის შესახებ, რომელიც ტექსტში იყო შეპარებული. დარბაიძემ მას უთხრა, რომ მას უბრალოდ უნდა დაედანტურებინა 2002 წ. 13 სექტემბერს მისი საპატიმროში ყოფნის ფაქტი და მოსარჩელების უარი ინფორმაციის მიწოდებაზე. საიდაევის ყურადღება გამახვილებული იყო ამ ორ პუნქტზე და დანარჩენი ტექსტისათვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან არ იცოდა, რომ ამას გაგრძელება ექნებოდა.

198. ბოლოს საიდაევმა ხაზი გაუსვა იმას, რომ 2002 წ. 13 სექტემბერს დარბაიძეს მისი თანდასწრებით არ შეუტყობინებია მოსარჩელებისათვის მათი ექსტრადიციის პროცედურის შესახებ.

#### **დ) სამედიცინო ექსპერტიზის მიერ წარმოდგენილი ფაქტები**

199. ბატონმა ახალკაციშვილმა მიმოიხილა დასკვნები, რომლებიც მან გამოიტანა 2002 წ. 4 ოქტომბერს მოსარჩელების ხანჩუკაევის, გალოგაევის, ხაჩიევის, ისაევის და ბაიმურზაევის, სპეცდანიშნულების რაზმის მეომრის შეშბერიძის და საპატიმროს თანამშრომლების კერდიკოშვილის, დალაქიშვილის, ბუჩუკურის, სამადაშვილის და კოვზირიძის სამედიცინო შემოწმების შედეგად. მან განმარტა, რომ მოქმედებდა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულებითი დეპარტემენტის ინსტრუქციების შესაბამისად და რომ მის მოხსენებაში გათვალისწინებულია №5 საპატიმროს ექიმის დასკვნებიც.

200. ამ დასკვნებიდან გამომდინარეობს, რომ ხანჩუკაევს მარცხენა გვერდზე აღენიშნებოდა დაზიანება, დიდი რაოდენობით სისხლჩაქცევები ზურგზე და მხრებზე, თითოეული ზომით 9X1 სმ, 9X4 სმ, 6X3 სმ, 3,5X3 სმ, 5X1 სმ, 4,5X1 სმ 12X1 სმ, 12X2X1 სმ, 10X1 სმ, და 10X0,8 სმ, 5 სისხლჩაქცევა სახეზე ცხვირის და ტუჩების ირგვლივ და ერთი სისხლჩაქცევა შუბლზე, თითოეული ზომით 2X0,5სმ, 1X0,1სმ, 0,5X0,1 სმ, 2,5X0,2სმ და 3X0,8 სმ, ერთი სისხლჩაქცევა ზომით 3X2სმ ლოყაზე, ერთი ზომით 4X1,5 სმ ყბის ირგვლივ და ერთი 4X3 სმ ზომის მარჯვენა მხარზე. მაგომადოვს ჰქონდა სისხლჩაქცევა 3X1 სმ შუბლზე, ერთი ზომით 4X3 სმ ლოყაზე, სისხლჩაქცევა, რომელიც მთლიანად ფარავდა ყურს, ერთი სისხლჩაქცევა 4X4 სმ მარჯვენა საფეთქელთან, სისხლჩაქცევები სახსრების ირგვლივ ორივე ხელის მაჯებთან, ერთი სისხლჩაქცევა 22X2 სმ მარცხენა გვერდზე და ერთი სისხლჩაქცევა 5X2 სმ მარცხენა მუხლზე (იხ. ფაქტის ოფიციალური კონსტატაცია მოსარჩელეთა ნათქვამთან ერთად § 125 ზემოთ).

201. ხანჩუკაევის, გალოგაევის და მაგომადოვის დაზიანებები გამოწვეულია დარტყმებით, რომლებიც მიყენებულია მაგარი და ბლაგვი საგნებით და მართლაც მიეკუთვნებიან 2002 წ. 4 ოქტომბერს. ისინი განეკუთვნებიან მუბუჭი კატეგორიის დაზიანებებს და ჯანმრთელობისათვის საშიშს არ წარმოადგენენ.

202. ხაჩიევს და ბაიმურზაევს არ აღენიშნებათ ჭრილობების ან ძალადობის კვალი.

203. ისაევს ჰქონდა დიდი ჰემატომა მარჯვენა თვალის ირგვლივ და ორი სისხლჩაქცევა შუბლზე, თითოეული ზომით 1X1 სმ (§125 ზემოთ). ეს დაზიანებები გამოწვეული იყო მაგარი და ბლაგვი საგნით მიყენებული დარტყმებით და განეკუთვნებოდნენ მსუბუჭი კატეგორიის დაზიანებებს, რომლებიც ჯანმრთელობისათვის საშიშს არ წარმოადგენენ.

204. კერდიკოშვილს ჰქონდა ერთი ჭრილობა 6X0,1 სმ მარჯვენა მხარზე და ორი ჭრილობა თითოეული 0,5X1სმ და 0,3X0,2 სმ მარცხენა მაჯის ირგვლივ. ეს დაზიანებები მიყენებულია ბასრი საგნით. ისინი თარიღდება 2002 წ. 4 ოქტომბრით, განეკუთვნება სუსტი დაზიანებების კატეგორიას და ჯანმრთელობისათვის საშიშს არ წარმოადგენენ. შეშხერიძეს სიარულის დროს ტკივილი აწუხებდა. მას ჰქონდა ორი სისხლჩაქცევა 3X2,5 სმ და 0,8X0,5 სმ მარცხენა კოჭის არეში, რომელიც შესიებული ჰქონდა. დალაქიშვილს მარცხენა მუხლი ჰქონდა შესიებული სახსრის დონეზე და ერთი სისხლჩაქცევა 3X2,5 სმ. ბუჩუკურს აღენიშნებოდა სისხლჩაქცევა 3X2 სმ მარცხენა ტესტიკულის არეში. სამადაშვილს ჰქონდა სისხლჩაქცევა 5X3სმ გულმკერდის მარჯვენა ნაწილში და სისხლჩაქცევა 1,5X1 სმ მარჯვენა კოჭის არეში. კოვზირიძეს ჰქონდა სისხლჩაქცევა 2X1,5 სმ მარჯვენა ხელზე და ერთი სისხლჩაქცევა 3,5X3 სმ მარცხენა ფეხზე. დაზიანებები მიყენებული იყო მაგარი და ბლაგვი საგნით და განეკუთვნებოდა 2002 წ. 4 ოქტომბერს. ისინი მიეკუთვნებოდნენ მსუბუჭი დაზიანებების კატეგორიას და ჯანმრთელობისათვის საშიშს არ წარმოადგენენ.

205. დალაქიშვილმა სასამართლოს გადასცა სამედიცინო დიაგნოზი და ცნობა, რომლის მიხედვითაც მას ოპერაცია ჩაუტარდა 2003 წ. დეკემბერში მარცხენა მუხლის არეში წინა მყესის გადაწყვეტასთან დაკავშირებით.

## ე) ამონაწერი მოსარჩელების “პატიმართა პირადი საქმეებიდან”

206. სასამართლოს მოთხოვნის საფუძველზე, საქართველოს ხელისუფლებამ თბილისში მას მფლობელობაში გადასცა მოსარჩელეთა პირადი საქმეები, საიდანაც შესაძლებელი გახდა შემდეგი სახის სამედიცინო ინფორმაციის მოპოვება.

207. 2002 წ. 6 აგვისტოთი დათარიღებული სამედიცინო ცნობიდან, რომელიც გაცემულია უშიშროების სამინისტროს საგამოძიებო იზოლაციის ექიმის მიერ, გამომდინარეობს, რომ ხანჩუკაევის ჯანმრთელობის მდგომარეობა კარგი იყო იმ გამონაკლისით, რომ მას ფეხები ჰქონდა შესიებული. 2002 წ. 4 ოქტომბრის ჩანაწერიდან, რომელიც გაკეთებულია ავადმყოფობის ისტორიაში, ჩანს, რომ მას აღენიშნებოდა მრავალი სისხლჩაქცევა, რომელთა სიდიდე მერყეობს 1X1 სმ-დან 20X5 სმ-მდე, ასევე აღენიშნებოდა მოტეხილობა მარცხენა მხარის არეში. ამ ჩანაწერიდან არ ჩანს, რომ მას იმ დღეს დახმარება



აღმოუჩინეს. შემდეგი ჩანაწერის მიხედვით, რომელიც გაკეთებულია 2002 წ. 8 აგვისტოს და აღნიშნულია, რომ საპატიმროს ექიმმა ხანუკაევს ჩაუტარა მკურნალობა მენჯის არეში არსებული ტკივილების გამო. 2002 წ. 12 ოქტომბრის ჩანაწერიდან ჩანს, რომ მოსარჩელე ქირურგის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

208. 2002 წ. 6 აგვისტოს სამედიცინო ცნობების მიხედვით ისაევეს ნახევრები ელო მარცხენა მხარზე და მარჯვენა ბარძაყზე წინა დღეს ჩატარებული ოპერაციების შემდეგ, რომლებიც ამ ადგილებზე ჩაუტარდა ჭრილობებთან დაკავშირებით. ხაჩიევს აღნიშნებოდა ქვედა მარცხენა ყბის დეფორმაცია და მასზე ადრე ჩატარებული ოპერაციის კვალი (ნაიარევი). ამასთანავე ფეხები ჰქონდა გასიებული და აღნიშნებოდა ტკივილები. ქვედა ყბის დეფორმაცია ასევე აღნიშნებოდა ბაიმურზაევსაც, მასაც გასიებული ჰქონდა ბარძაყები და უჭირდა გადაადგილება. დოსიედან გამომდინარეობს, რომ ყბასთან დაკავშირებული პრობლემების გამო ბაიმურზაევი სამედიცინო დაკრევის ქვეშ იმყოფებოდა 2002 წ. დეკემბრიდან და რომ 2003 წ. 10 ოქტომბერს იგი მოათავსეს საპატიმროს საავადმყოფოში ნიკაპის ძვლის სრული დეფორმაციის დიაგნოზით.

209. როგორც ჩანს 2002 წ. 7 აგვისტოს მარგოშვილი სამოქალაქო კლინიკიდან უშიშროების სამინისტროს მოთხოვნით საპატიმროს საავადმყოფოში გადაიყვანეს.

210. 2002 წ. 7 აგვისტოს დიაგნოზის მიხედვით, რომელიც სამოქალაქო საავადმყოფომ გასცა უშიშროების სამინისტროსათვის მაგომადოვის საპატიმროს საავადმყოფოში გადაყვანასთან დაკავშირებით, ამ მოსარჩელეს აწუხებდა ინფიცირებული ჭრილობა კისრის მარჯვენა ნაწილში (§138 ზემოთ) და სხეულზე აღნიშნებოდა მრავალი განაკაწრი. რეკომენდირებული იყო დეზინფექცია და საფენების გამოცვლა ყოველდღიურად ან ორ დღეში ერთხელ. 2002 წ. 5 ოქტომბერს მის ავადმყოფობის ისტორიაში ჩანაწერის მიხედვით იგი გადიოდა მკურნალობას განაკაწრებთან დაკავშირებით.

211. 2002 წ. 4 ოქტომბრის ჩანაწერი გელოგაევის ავადმყოფობის ისტორიაში ადასტურებს სამედიცინო ექსპერტის მიერ გამოვლენილ დაზიანებებს (§200 ზემოთ). აქედან არ გამომდინარეობს, რომ მოსარჩელეს ამ დღეს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება. სამაგიეროდ, 2002 წ. 10 ოქტომბრის ჩანაწერის მიხედვით მას ჩაუტარდა “სიმპტომატური მკურნალობა” და მიეცა ტკივილგამაყუჩებელი.

**ფ) მოსარჩელეთა ადვოკატების მიერ შიდა სასამართლო პროცესებზე წარმოდგენილი ფაქტები**

212. იმის გამო, რომ ვერ შეძლეს თბილისში მიმდინარე სასამართლო პროცესზე გამოცხადება (პარაგრაფი 44 ზემოთ), 2004 წ. 17 აპრილს ქალბატონებმა არაბიძემ, ხიჯაკაძემ და გაბაიძემ წერილობით შეატყობინეს სასამართლოს, რომ მათ საერთოდ არ მიუღიათ მსხილადის წერილი (§178 ზემოთ). ისინი ამტკიცებდნენ, რომ პირველად ამის შესახებ შეიტყვეს 2004 წ. აპრილში, როდესაც სასამართლომ მოსარჩელების წარმომადგენლებს გაუგზავნა შეტყობინება.

213. ადვოკატთა კაბინეტის ხელმძღვანელმა, სადაც თითქოს შეტანილი იქნა ეს სადავო წერილი, ქალბატონმა ხიჯაკაძემ საჩივარა, რომ ამ დოკუმენტზე არსებული ხელმოწერა არცერთ მის თანამშრომელს არ ეკუთვნოდა. გარდა ამისა, მან აღნიშნა, რომ წერილზე არ იყო სარეგისტრაციო ნომერი, რომელიც დაესმის მიღების დროს მის ოფისში შემოსულ ყველა წერილს. მისი აზრით საქმე ეხებოდა ყალბ დოკუმენტს, რომელიც ხელისუფლებამ გამოიყენა იმისათვის, რომ ადვოკატებს დაბრალვბოდათ უმოქმედობა მათი კლიენტების ექსტრადიციის განაჩენის გასაჩივრების საქმეში. ორმა სხვა ადვოკატმაც ვერ ამოიცნო ხელმოწერა, რომელიც ადასტურებდა წერილის მიღებას.

214. ქალბატონმა გაბაიძემ განმარტა, რომ 2002 წ. 3 ოქტომბერს სადამოს უშიშროების სამინისტროში მომუშავე ერთერთმა მეგობარმა (რომლის სახელი კონფიდენციალური რჩება ადვოკატის თხოვნის შესაბამისად), მას საიდუმლოდ გაანდო, რომ მზადდებოდა “ზოგიერთი ჩეჩენის” ექსტრადიცია. იგი დაუკავშირდა ჩეჩენების წარმომადგენელს საქართველოში და მასთან ერთად მივიდა გენერალურ პროკურატურაში. ისინი ამაოდ ცდილობდნენ ინფორმაციის მოპოვებას. ბატ. ვ.მ.-მ, პროკურორმა მათ ტელეფონით შეატყობინა, რომ მან არაფერი იცოდა და მოსთხოვა, რომ აღარ დაერეკათ მისთვის. ქალბატონმა ლ.გ.-მ, სხვა პროკურორმა, მათ უთხრა, რომ მას არაფრის თქმა არ შეეძლო ტელეფონით.

215. ამ ამაო მცდელობის შემდეგ გაბაიძე მივიდა “რუსთავი 2-ში”, რათა საჯაროდ გამოეცხადებინა, რომ მზადდებოდა ჩეჩენი პატიმრების ფარული ექსტრადიცია (§124 ზემოთ). მეორე დღეს 9 საათზე იგი მივიდა საპატიმროში, რათა ეცადა თავის კლიენტებთან შესვლა, მაგრამ საპატიმრო დაკეტილი დახვდა, ტელეფონები კი გამორთული. მან არ იცოდა მის რომელ კლიენტს ეხებოდა ეს. არც ის, იყო თუ არა ექსტრადიცია განხორციელებული.

216. “რუსთავი 2-ის” მიერ 2002 წ. 3 ოქტომბერს 23 საათიანი გადაცემის ჩანაწერი, რომელიც სასამართლოს საქართველოს ხელისუფლებამ წარუდგინა, მართლაც შეიცავს გაბაიძის ინტერვიუს. ამ ინტერვიუში ადვოკატმა საჩივარა, რომ სარწმუნო წყაროების ცნობით, რამდენიმე ჩეჩენი პატიმრის ექსტრადიცია, რომლებიც 3-დან 5 აგვისტომდე დაკავებულები იყვნენ რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, გათვალისწინებული იყო მეორე დღისათვის. იგი ამტკიცებდა, რომ არ იცოდა ამ პატიმართა სახელები, რომ გენერალურ პროკურატურაში ტელეფონები გათიშული იყო და რომ მთელი პროცედურა საიდუმლოდ ჩატარდა. მიუხედავად ამისა, მას მიაჩნდა, რომ ექსტრადირებული არ იქნებოდნენ ის პირები, რომლებსაც ქართული მოქალაქეობა ჰქონდათ.

## **D) რაც შეეხება ექსტრადირებულ მოსარჩელებს**

### **1. მათი ვინაობა**

217. 2002 წ. 15 ნოემბერს “განსაკუთრებულ საქმეთა” გამომძიებელმა მიიღო ბრძანება “ბრალდებულის ვინაობის დასადგენად” ცალცალკე ამ მოსარჩელებთან დაკავშირებით. ამ ბრძანების მიხედვით, რომელიც ზუსტი სიტყვებით არის გადმოცემული, “გამომძიების პროცესში მიღებულია დოკუმენტები, მათ შორის პასპორტები”, რომლებიც ამტკიცებენ, რომ

აღნიშნული ბრალდებულები არიან ასლან ლეჩიევი ადაევი, დაბადებული 1968 წ. 22 ივლისს სოფელ ორესოვოში აჩხოი-მარტანის რაიონში; ჰუსეინ მეხიდოვი აზიევი, დაბადებული 1973 წ. 28 სექტემბერს სოფელ რომნი-ჩუში ურუს-მარტანის რაიონში, რიზვან ვახიდოვი ვისიტოვი, დაბადებული 1977 წ. 1 ოქტომბერს სოფელ გოთიში, ურუს-მარტანი დაჰუსეინ ხამიდოვი ხაჯიევი, დაბადებული 1975 წ. 8 ნოემბერს, სოფელ სამაშკიში, აჩხოი-მარტანის რაიონი (იხ. §72 ზემოთ). “ეს მონაცემები დაადასტურეს თვით ბრალდებულებმა ისევე, როგორც დადასტურდა დოსიეს სხვა დეტალებით. რუსეთის ხელისუფლებას შამაევთან დაკავშირებით არ წარმოუდგენია იმავე ტიპის დოკუმენტი. ეს არის მეხუთე ექსტრადირებული მოსარჩელე. ყველა დოკუმენტში ეს უკანასკნელი ფიგურირებს როგორც აბდულ-ვაჰაბ აჰმედოვი შამაევი.

## 2. წარმომადგენლობა რუსეთის სასამართლოს წინაშე

218. 2002 წ. 11 ნოემბერს რუსეთის ხელისუფლებამ სასამართლოს წარუდგინა ექსტრადირებული მოსარჩელეების ადვოკატები რუსეთის სასამართლოში. 2002 წ. 19 ნოემბრის სასამართლოს განმეორებითი მოთხოვნის შემდეგ მან მათი მისამართებიც წარმოადგინა. 2003 წ. 22 იანვარს იმის მტკიცებით, რომ ამ ადვოკატებს შეუზღუდავი დაშვება აქვთ თავიანთ კლიენტებთან, ხელისუფლებამ წარმოადგინა მათი შეხვედრების თარიღები და რაოდენობა.

219. დოსიედან გამომდინარეობს, რომ 2002 წ. 15 ნოემბერს შამაევმა უარი თქვა ქალბატონ ზალუგინას დახმარებაზე, რისი უფლებაც მას მიეცა 2002 წ. 5 ოქტომბერს და მოითხოვა რომ “მისთვის დაენიშნათ ნებისმიერი სხვა ადვოკატი (მრჩეველი)”. შამაევის ხელით დაწერილი ეს მოთხოვნა ფიგურირებს დოსიეში. იმავე დღეს ქალბატონი კუჩინსკაია მინვოდის იურიდიული კონსულტაციის ოფისში დირექტორის ბრძანების საფუძველზე მივლინებულ იქნა ადგილზე. 2003 წ. 21 თებერვლიდან შამაევი სარგებლობდა სხვა ადვოკატის, ლ. ტიმირკაევის დახმარებით (ჩეჩნეთის რესპუბლიკის ადვოკატურის ადვოკატი).

220. 2002 წ. 5 ოქტომბერს მინვოდის და ესენტუკის იურიდიული კონსულტაციის ოფისების დირექტორებმა დანიშნეს მელნიკოვა და მოლოჩკოვა, რათა მათ შესაბამისად წარმოედგინათ ხაჯიევი და ვისიტოვი წინასწარი გამოძიების დროს. 2002 წ. 15 ნოემბერს ხაჯიევმა მოითხოვა, რომ მელნიკოვას დიდი ხნის გამოუცხადებლობის გამო “მისთვის დაენიშნათ ნებისმიერი სხვა ადვოკატი”. იმავე დღეს მინვოდის ოფისის დასახელებულმა დირექტორმა კუჩინსკაია დანიშნა მის წარმომადგენლად.

221. 2002 წ. 5 ოქტომბერს ქალბატონ ზალუგინას დაევალა წარმოედგინა ადაევი გამოძიების პროცესში. 2002 წ. 22 ოქტომბერს ადაევმა უარი თქვა მის დახმარებაზე და ითხოვა, რომ “მისთვის დაენიშნათ ნებისმიერი სხვა ადვოკატი”. 2002 წ. 16 და 21 ოქტომბერს ადაევის ახლობლებმა მისი ინტერესების დასაცავად გამოიძახეს ქალბატონი ლებედევა (მოსკოვის ადვოკატურასთან არსებული ადვოკატების კაბინეტიდან “ნოვაცია”) და ქალბატონი ხოროშევა (ადვოკატების ასოციაციიდან “ისკ” მოსკოვის რაიონის ოდინცოვოს ოლქიდან). დოსიეში ფიგურირებს მხოლოდ “ნოვაციას” დირექტორის მიერ ლებედევას სახელზე გაცემული უფლებამოსილება.

222. 2002 წ. 5 ოქტომბერს ესენტუკის იურიდიული კონსულტაციის ოფისის დირექტორმა დანიშნა მოლოჩკოვა აზიევის წარმომადგენლად გენერალურ პროკურატურაში. 2002 წ. 21 ოქტომბერს გაიცა სხვა უფლებამოსილებაც ხოროშევას სახელზე. 2003 წ. 31 იანვრიდან აზიევი სარგებლობდა ი. ტიმიშევის, ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკის ადვოკატურის ადვოკატის დახმარებით (§238 ქვემოთ).

### 3. წარმომადგენლობა სასამართლოს წინაშე

223. 2002 წ. 4 ოქტომბრამდე ხაჯიევის, ადაევის და აზიევის უფლებებს საქართველოს სასამართლოს წინაშე წარმოადგენდა ქალბატონი გ. გაბაიძე, ვისიტოვის უფლებებს ქალბატონი რ. ხიჯაკაძე, ხოლო შამაევის ქალბატონი გ. ჩხატარაშვილი. ეს ადვოკატები დაქირავებული იყვნენ საქართველოში ჩეჩენ-ქისტთა წარმომადგენლობის ხელმძღვანელობის მიერ (2002 წ. 5 და 6 აგვისტოს იურიდიული დახმარების კონტრაქტები).

224. ადვოკატების თქმით რომ 2002 წ. 4 ოქტომბრის დილის 9 საათზე ისინი მიიჩქაროდნენ კლიენტებთან შესახვედრად, მაგრამ ისინი ციხეში არ შეუშვეს. “რადგან არ იცოდნენ როგორ მიემართათ საჩივრით სასამართლოსთვის”, მათ სთხოვეს თავიანთ კოლეგებს, ქალბატონებს მუხაშაგრიას და ძამუკაშვილს მათი კლიენტების სახელით შეეტანათ საჩივარი. თუმცა არც ეს უკანასკნელები არ შეუშვეს პატიმრებთან და მათ ვერ შეძლეს მათ სახელზე უფლებამოსილების მოპოვება. სასწრაფოდ ჩეჩენ-ქისტთა სათვისტომოს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით ქალბატონები გაბაიძემ, ხიჯაკაძემ და ჩხატარაშვილმა შეადგინეს უფლებამოსილების გადაცემის აქტები (რომლებიც ფიგურირებენ საქმეში), მათი ორი კოლეგის სასარგებლოდ, რომლებმაც მაშინვე მიმართეს სასამართლოს.

225. 2002 წ. 22 ნოემბერს მუხაშაგრიამ და ძამუკაშვილმა ფაქსის საშუალებით სასამართლოს გადაუგზავნეს უფლებამოსილებანი, რომელიც მათ უფლებას აძლევდა დაეცვათ ექსტრადირებული მოსარჩელები სასამართლოში. ამ უფლებამოსილებებში საქართველო მოხსენიებული იყო მოპასუხე სახელმწიფოდ, ხელმოწერილი იყო ოჯახის წევრების და მოსარჩელეთა რუსეთში მცხოვრები ახლობლების მიერ.

226. ადვოკატები აცხადებენ, რომ 2002 წ. 28 ოქტომბერს მათ მიმართეს რუსეთის საკონსულოს თბილისში ვიზების მოპოვების მიზნით ექსტრადირებული კლიენტების მოსანახულებლად. მათ სიტყვიერად შეატყობინეს, რომ ვიზის მისაღებად მათ ესაჭიროებოდათ შეასაბამისი პენიტენციური დაწესებულების წერილობითი მიწვევა. 2002 წ. 29 ოქტომბერს ადვოკატებმა მიიღეს სასამართლოში რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის დახმარება. ამ უკანასკნელმა მათ აუხსნა, რომ ვერანაირ პასუხს ვერ მიიღებდნენ სასამართლოს მითითების გარეშე. მაშინ ადვოკატებმა სთხოვეს სასამართლოს ეშუამდგომლა რუსეთის ხელისუფლებასთან ვიზის მოსაპოვებლად.

227. 2002 წ. 5 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ საჩივარა, რომ მუხაშაგრიას და ძამუკაშვილს ვერ ექნებოდათ პრეტენზია ყოფილიყვნენ ექსტრადირებული მოსარჩელების წარმომადგენლები სარჩელის იმ ნაწილში,

რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, რადგან უფლებამოსილებაში მხოლოდ საქართველო იყო ნახსენები როგორც მოპასუხე სახელმწიფო. გარდა ამისა, რუსეთის კანონმდებლობის მიხედვით უცხოელ ადვოკატს არ ჰქონდა უფლება თავისი დაცვითი ფუნქციები განეხორციელებინა რუსეთში არც წინასწარი გამოძიების და არც სასამართლო პროცესზე. მიუხედავად ამისა, რუსეთის გენერალური პროკურატურისთვის თხოვნით მიმართვის შემთხვევაში მათ “უჩნდებოდათ თეორიული შანსი შეხვედროდნენ ექსტრადირებულ მოსარჩელებს”. “ეს ეგრეთწოდებული ადვოკატები“, “მხარს უჭერდნენ ტერორისტებს რუსეთში და რუსეთის ხელისუფლება მათ არ მიიჩნევდა მოსარჩელეთა წარმომადგენლებად სასამართლოში, მათ ვერ განიხილავდა ამ რანგში”.

228. 2003 წ. 17 ივნისს სასამართლომ გადაწყვიტა მიეთითებინა რუსეთის ხელისუფლებისათვის რეგლამენტის 39 მუხლის შესაბამისად მიეცა მუხაშავრიასა და დამუკაშვილისათვის ექსტრადირებულ მოსარჩელებთან თავისუფალი შესვლის უფლება მოსმენის მოსამზადებლად მისაღებობასთან დაკავშირებით (§24 ზემოთ). 2003 წ. 4 აგვისტოს მუხაშავრიამ თხოვნით მიმართა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს სასამართლო გადაწყვეტილების შესაბამისად გაეადვილებინა მისთვის რუსეთში შესვლის უფლების მიღება, ისევე, როგორც მიეცათ მისთვის საშუალება მოენახულებინა მოსარჩელები ციხეში. პასუხად 2003 წ. 21 აგვისტოს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლმა მას სასამართლის საშუალებით შეახსენა, რომ მისი მთავრობა მას არ მიიჩნევდა ექსტრადირებულ მოსარჩელეთა წარმომადგენლად. მის მიხედვით, ქართველ ადვოკატებს შეეძლოთ წარმოედგინათ დაცვის მხარე სასამართლოს წინაშე, რომელშიც მათი საქმე განიხილებოდა, მაგრამ თვით ამ სახელმწიფოს არ შეეძლო არანაირი ზომების მიღება ამ მიმართულებით.

229. 2003 წ. 22 აგვისტოს სასამართლომ ისევ მოუწოდა რუსეთის ხელისუფლებას დაეცვა 2003 წ. 17 ივნისს მიღებული დროებითი ზომები. 2003 წ. 1 სექტემბერს რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა უარის იგივე მოტივები, რაც 21 აგვისტოს აღნიშნულ წერილში.

230. მისაღებობის მოსმენის დროს რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა გრაფოლოგიური ექსპერტიზის მოხსენება, რომელიც გაცემული იყო 2003 წ. 29 აგვისტოს რუსეთის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრის მიერ. ექსპერტის მიხედვით შამავეის, ადავეის და აზიევის მიერ მუხაშავრიასა და დამუკაშვილისათვის მიცემულ უფლებამოსილებებზე ხელმოწერა არ ეკუთვნოდათ მოსარჩელებს (§225 ზემოთ). ვისიტოვის შემთხვევაში შეუძლებელი გახდა იმის დადგენა, იყო თუ არა ის ხელმოწერის ავტორი. რაც შეეხება ხაჯიევს, ძნელი იყო დასკვნის გამოტანა იმ ნიმუშის სიმოკლის და დაუსრულებლობის გამო, რომელზეც ჩატარდა ექსპერტიზა.

231. პასუხად მუხაშავრიამ შეახსენა, რომ ეს მოსარჩელები ისე იყვნენ ექსტრადირებული, რომ არცერთ ადვოკატს მათთან შესვლის უფლება არ მიეცა. რუსეთში მათი ჩასვლის შემდეგ ის ამაოდ ცდილობდა მათთან დაკავშირებას. მაშინ მან მიმართა ხელმოწერის ავტორებს, მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

#### 4. სასამართლოს მცდელობა დაკავშირებოდა ექსტრადირებულ მოსარჩელებს წერილობითი პროცედურის საშუალებით

232. 2002 წ. 20 ნოემბერს სასამართლოს მდივანმა შეატყობინა მოლოჩკოვას, კუჩინსკაიას, ხოროშევას და ლებედევას (§§ 218-222 ზემოთ), რომ 2002 წ. 4 ოქტომბერს მათმა კლიენტებმა სცადეს სარჩელის შეტანა სასამართლოში. მათ სთხოვეს დაკავშირებოდნენ მოსარჩელებს, რათა მათ დაედასტურებინათ ან უარეყოთ თავიანთი განზრახვა საჩივრით მიემართათ სასამართლოსათვის. 2002 წ. 9 დეკემბერს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელმა უპასუხა სასამართლოს, რომ ეს ადვოკატები “პროტესტს აცხადებდნენ სასამართლოს მხრიდან მათთან დაკავშირების მცდელობაზე”. მართლაც, ხოროშევას და ლებედევას არასოდეს უპასუხიათ. მოლოჩკოვამ და კუჩინსკაიამ უპასუხეს 2003 წ. აგვისტოში (§241 ქვემოთ).

233. შედეგად სექციის თავმჯდომარის ნებართვის საფუძველზე (§16 ზემოთ), 2002 წ. 10 დეკემბერს სასამართლოს მდივანმა იგივე შინაარსის წერილი სარჩელის ფორმულართან ერთად დაზღვეული ფორმით გაუგზავნა ექსტრადირებულ მოსარჩელებს პირდაპირ ქალაქის შიძ -ს მისამართზე. 2003 წ. 3 იანვარს სასამართლომ მიიღო დაზღვეულ წერილზე ხუთი პასუხი, რომელსაც ხელს აწერდა საპატიმროს სამდივნოს უფროსი 2002 წ. 24 დეკემბერს (начальниц а канцеляри и). 2003 წ. სექტემბერში რუსეთის ხელისუფლების ორგანოებმა წარმოადგინეს ცნობა, გაცემული განუსაზღვრელი ვადით დასახელებული SIZO-ს პენიტენციური ადმინისტრაციის პასუხისმგებელი პირის მიერ, რომლის მიხედვით არანაირი სასამართლოს მიერ ექსტრადირებული მოსარჩელების სახელზე გამოგზავნილი უწყება არ მოსულა ამ დაწესებულებაში. როდესაც სასამართლომ მოიკითხა დაზღვეული წერილები, რუსეთის ხელისუფლებამ სხვა განმარტებები წარმოადგინა (§239 ქვემოთ).

234. ბატონებს შამაევს, ვისიტოვს და ადაევს საერთოდ არ უპასუხიათ სასამართლოსთვის, რათა დაედასტურებინათ ან უარეყოთ თავიანთი განზრახვა მიემართათ სასამართლოსთვის 2002 წ. 4 ოქტომბერს.

235. 2003 წ. 27 ოქტომბერს სასამართლომ მიიღო სარჩელის ფორმულარი ხუსეინ ხამიტოვიჩ ხაჯიევისაგან, სათანადოდ შევსებული და დათარიღებული 2003 წ. 8 ოქტომბრით, რომელშიც საქართველოც და რუსეთიც მოიხსენიებოდნენ როგორც მოპასუხე სახელმწიფოები. გამოგზავნილი იყო 2003 წ. 9 ოქტომბერს ქალაქ B-ს SIZO-ს ადმინისტრაციის მიერ (§ 53 ზემოთ). ხაჯიევმა გასცა ეს უფლებამოსილება ადვოკატ ს. კოტოვის სახელზე. ფორმულარისგან განსხვავებით უფლებამოსილების ტექსტში მხოლოდ საქართველო იყო მოხსენიებული მოპასუხე სახელმწიფოდ. ფორმულარი შეიცავს სარჩელებს საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ (§§ 388, 439 და 484 ქვემოთ).

236. 2003 წ. 16 დეკემბერს ეს დოკუმენტები გადაეგზავნათ მთავრობებს, ისევე როგორც მუხამაფრიას და ძამუკაშვილს. დამატებითი ინფორმაციის მისაწოდებლად, მოიწიეს კოტოვი. საქმე ეხებოდა მათ შორის მისი კლიენტის მიერ სასამართლოსათვის გაგზავნილ საჩივარს, რომელიც მისმა ქართველმა ადვოკატებმა მოსარჩელის ექსტრადირების საღამოს სასამართლოს გაუგზავნეს. მას ასევე სთხოვეს დაეხუსტებინა ვინ წარმოადგენდა მის კლიენტს სარჩელის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

237. ამ დღეს სასამართლოს კოტოვისაგან არანაირი პასუხი არ მიუღია.

238. რაც შეეხება ჰუსეინ მუხიდოვიჩ აზიევს, მესუთე ექსტრადირებულ მოსარჩელეს, მას არ დაუბრუნებია სასამართლოსთვის სარჩელის ფორმულარი, რომელიც მას გაეგზავნა 2002 წ. 10 დეკემბერს. სამაგიეროდ, 2003 წ. 19 აგვისტოს მან სასამართლოს მიმართა სხვა სარჩელით, რომელიც მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული (აზიევი რუსეთის წინააღმდეგ, №28861/03). ტიმიჩევის ადვოკატობით (§222 ზემოთ) ის ჩიოდა, რომ იგი არ შეიძლებოდა გაესამართლებინა კომპეტენტურ სასამართლოს რუსეთში, ასევე უჩიოდა თავისი რუსი ადვოკატის ქცევას, რომელიც მას დაენიშნა ამ ქვეყანაში არაკანონიერი ექსტრადიციის შემდეგ. თავიდან მას არ უხსენებია რომ ჰქონდა შეტანილი სარჩელი თავის ექსტრადიციასთან დაკავშირებით. მხოლოდ 2003 წ. 9 ოქტომბერს აღიარა აზიევმა, რომ ასეთი სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, რომ საქმე №28861/03 დართოდა აღნიშნულ სარჩელს. 2003 წ. 31 ოქტომბრის წერილში, რომელიც გაუგზავნა სასამართლოს თავის №28861/03 სარჩელთან დაკავშირებით, მან დაადასტურა, რომ ადვოკატისა და მედიის საშუალებით მისთვის ცნობილი გახდა, რომ რუსეთის ხელისუფლება უარყოფდა ფაქტს, რომ მან მიმართა სასამართლოს მუხაშავრიას საშუალებით საქართველოდან მის არაკანონიერ ექსტრადიციასთან დაკავშირებით. ის ამტკიცებდა, რომ იგი იწონებდა ამ ადვოკატის მიერ მასთან მიმართებაში განხორციელებულ ქმედებებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ იქნებოდნენ მასთან წინასწარ შეთანხმებული.

239. 2003 წ. 3 დეკემბერს რუსეთის ხელისუფლებამ განმარტა წერილების მიღებასთან დაკავშირებული გაუგებრობები სასამართლოს მიერ ექსტრადირებული მოსარჩელეებისათვის გაგზავნილი წერილების მიღებასთან დაკავშირებით და ამტკიცებდა, რომ ისინი უშუალოდ გადაეცათ მოსარჩელეებს მფლობელობაში და არ იყო ჩადებული მათ პირად საქმეებში. მისი სიტყვებით ამ საქმეებში წერილების არარსებობა გახდა მიზეზი იმისა, რომ პენიტენციური ადმინისტრაციის პასუხისმგებელმა პირმა საჩივარა, რომ დაწესებულებაში ეს სადავო წერილები არ შემოსულა (§233 ზემოთ). ხელისუფლებამ წარმოადგინა SIZO-ში ამ საქმესთან დაკავშირებით ჩატარებული ადმინისტრაციული შემოწმების ანგარიში და ასევე შამაევის, ადაევის, ხაჯიევის და ვისიტოვის ხელით დაწერილი წერილები, რომლებიც 2003 წ. 3 ნოემბრით თარიღდებიან.

240. ამ წერილებში შამაევი აცხადებს, რომ მან მიიღო სასამართლოს გზავნილი, მაგრამ თვითონ პასუხი არ გაუგზავნია. თუმცა იგი არ გამორიცხავს, რომ მის ადვოკატს შეეძლო მისი სახელით გაეგზავნა საჩივარი. ბატონი შამაევი ადასტურებს, რომ მიიღო სასამართლოს შეტყობინება და თავის ადვოკატებს მიანდო პასუხის გაგზავნა. ამავე დროს იგი ამტკიცებს, რომ საქართველოდან ადვოკატის საშუალებით სასამართლოს გაუგზავნა სარჩელი. ხაჯიევი ამტკიცებს, რომ საქართველოში ყოფნისას სასამართლოს გაუგზავნა სარჩელი ადვოკატის დახმარებით. 2002 წ. 24 დეკემბერს რუსეთის საგამომძიებო იზოლატორში მან მიიღო სასამართლოს მიერ გამოგზავნილი უწყება. ბატონი ვისიტოვი ადასტურებს, რომ საქართველოში ყოფნისას სასამართლოს გაუგზავნა სარჩელი ადვოკატის დახმარებით სასამართლოს. შემდგომში სასამართლოს მიერ გამოგზავნილი უწყება მან რუსეთში ყოფნისას მიიღო, მაგრამ წერილი დაეკარგა სხვა საკანში გადასვლის დროს. აზიევსგან არანაირი წერილი არ მოსულა. სამაგიეროდ ხელისუფლებამ წარმოადგინა სტავროპოლის მხარის შიძ -

ს ადმინისტრაციის თანამშრომლის განმარტება, რომელშიც იგი ადასტურებს, რომ 2003 წ. 3 ნოემბერს დაკითხულმა აზიევმა დაადასტურა, რომ 2002 წ. ბოლოს მან მიიღო სასამართლოს უწყება. აზიევს სხვა მოსარჩელების მსგავსად არ დაუწერია ახსნა-განმარტებითი წერილი, რადგან ის კარგად არ ლაპარაკობდა რუსულად და ამ ენაზე წერა არ შეეძლო.

241. 2003 წ. 26 აგვისტოს მოლოჩკოვამ და კუჩინსკაიამ უპასუხეს 2002 წ. 20 ნოემბრის სასამართლოს წერილს (§232 ზემოთ). ისინი ამტკიცებდნენ, რომ შამაევს, ადაევს, ხაჯიევს და ვისიტოვს, მათ ყოფილ კლიენტებს, არასდროს მიუძღრთავთ სასამართლოსთვის საჩივრით მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით და არც არასდროს გამოუთქვამთ სასამართლოში სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით. იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ მითითებები მოსარჩელების მხრიდან მათ არ შეეძლოთ მიემართათ სასამართლოსათვის თავისი საკუთარი ინიციატივით. მათ ჰქონდათ დრო და საშუალება მათი კლიენტების დაცვის მოსამზადებლად ისევე როგორც შესაძლებლობა დაცვის დასწრების გარეშე შეხვედროდნენ თავიანთ კლიენტებს.

242. 2003 წ. 15 სექტემბერს რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა ოთხი ექსტრადირებული მოსარჩელის სურათები ქალაქ B-ს SIZO-ს შესაბამის საკნებში და 2003 წ. 23 აგვისტოს გადაღებული აზიევის სურათი ქალაქ A-ს SIZO-ში, სადაც ის სასჯელს იხდიდა (§53 ზემოთ). სხვა მოსარჩელებისგან განსხვავებით აზიევი მხოლოდ ერთხელ არის გადაღებული და შორს მოჩანს თავისი საკნის საერთო ფონზე. გარდა იმისა, რომ სასამართლომ აღნიშნა, რომ პირველ ხსენებულ შიძ-ში საკნების მდგომარეობა უკეთესი იყო სხვა განსაკუთრებული შეფასება არ ყოფილა.

243. 2004 წ. 8 იანვარს რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ ხაჯიევის მიერ სასამართლოში გაგზავნილი სარჩელი (§235 ზემოთ) ძირეული შემობრუნების წერტილი გახდა არსებულ საქმეში და გამოჩნდა პროცედურული ჩიხიდან გამოსავალი. იგი ამტკიცებდა, რომ მას არავითარი ეჭვი არ ჰქონდა, რომ ხაჯიევმა მართლაც მომართა სარჩელით სასამართლოს და შედეგად, აღარანაირად არ ჰქონდა აზრი მისი ან ოთხი მოსარჩელის სახელით სასამართლოსთვის ადრე გაგზავნილი წერილების განხილვას. რუსეთის ხელისუფლებამ საჩივარა, რომ იგი სცნობს კოტოვის სახელზე გაცემულ უფლებამოსილებას საქართველოს წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის საკითხში. მან ითხოვა, რომ ამ სარჩელს გაეწეო “ჩვეულებრივი პროცედურა” და ასე გადაეცათ მისთვის, ამავე დროს გაეუქმებინათ ყველა წინა პროცედურა ამ სარჩელთან დაკავშირებით. მისი თვალსაზრისით ეს დასასრულს დაუდებდა “ამ საქმეში ყველა არაპროცედურულ საქმიანობას”. 2004 წ. 5 და 13 თებერვალს სასამართლომ მას შეახსენა, რომ ხაჯიევის სარჩელი გადაეცა მოპასუხე მთავრობებს მისი მისაღებობის საკითხის განხილვის დაწყებამდე და კომუნიკაციის ახალი ზომების მიღება არ იყო საჭირო.

244. რაც შეეხება მის მცდელობას მოესმინა ხუთი ექსტრადირებული მოსარჩელისათვის, ისევე როგორც თბილისიდან გაუჩინარებული ორი მოსარჩელისათვის, რომლებიც იმ დროისთვის რუსეთში ჰყავდათ დაპატიმრებული, სასამართლო უბრუნდება პარაგრაფებს 27 და შემდგომს, ზემოთ.



## 5. ექსტრადირებულ მოსარჩელეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა

245. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის მიხედვით ამ მოსარჩელებს 2002 წ. 4 ოქტომბერს არ აღენიშნებოდათ არანაირი დაზიანება.

246. 2002 წ. 14 ნოემბერს სრული კონფიდენციალობის პირობებში, რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა მოსარჩელების სამედიცინო ცნობები, გაცემული 2002 წ. 4 ნოემბერს ანუ მათი ექსტრადიციიდან ერთი თვის შემდეგ. საპატიმროს ექიმის მიხედვით მათი მხრიდან არ ყოფილა “არანაირი ჩივილი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და ძირითადად ყველა კარგ მდგომარეობაში იყო”. 2003 წ. 22 იანვარს, ხელისუფლებამ წარმოადგინა ახალი სამედიცინო სერტიფიკატები, რომლებიც 2003 წ. 15 იანვრით თარიღდებოდნენ და ხელს აწერდნენ კარდიოლოგი, ნევროლოგი, თერაპევტი და ქირურგი. 2003 წ. 1 სექტემბერს ხელისუფლებამ წარმოადგინა 2003 წ. 11 აგვისტოდ გაცემული სამედიცინო დასკვნები. ეს ბოლო სამედიცინო დასკვნები, რომლებიც წარმოადინეს 2004 წ. 25 თებერვალს გაცემულია 2004 წ. 20 თებერვალს შედგენილია სტავროპოლის მხარის ქალაქ -ს სამოქალაქო ჰოსპიტალის ექიმების მიერ.

247. სამედიცინო დასკვნების მიხედვით, რომლებიც გაცემულია 2002 წ. 4 ნოემბერს და 2003 წ. 15 იანვარს, ვისიტოვი უჩიოდა ყელის სიმშრალეს და მშრალ ხველებას. მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც “ობიექტურად დამაკმაყოფილებელი”. რეკომენდირებული იყო სამედიცინო ზედამხედველობა. 2003 წ. 11 აგვისტოს სამედიცინო დასკვნის მიხედვით ვისიტოვს არ წარმოუდგენია არანაირი საჩივარი მის ჯანმრთელობის მდგომარეობასა და სხეულის დაზიანებასთან დაკავშირებით. მას აღენიშნებოდა მარცხენა თვალის კატარაქტა და 2003 წ. ივლისში დადგენილი იყო ცხვირის ძვლის მოტეხილობა. 2003 წ. 13 თებერვლის ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა ნორმალური იყო. 2002 წ. 18 ოქტომბერს და 2003 წ. 24 ივლისს გადაღებულ სამედიცინო სურათებში არ გამოვლენილა არანაირი პათოლოგია გულმკერდის არეში. პატიმრობის პერიოდში ვისიტოვს არ უსარგებლია არავითარი სამედიცინო დახმარებით. 2004 წ. სამედიცინო დასკვნის მიხედვით თერაპევტმა მას აღმოუჩინა დისტონია.

248. 2003 წ. 15 იანვრისთვის ხაჯიევი 2 დღის განმავლობაში ავად იყო, იგი უჩიოდა მადალ სიცხეს, ხველებას და ციებას. მას აღმოაჩნდა აჩქარებული ვეზიკულარული სუნთქვა ფილტვებში, მწვავე ვირუსულინფექციური რესპირატორული დაავადება, გართულებული ტრაქეო-ბრონქიტით და მარჯვენა მხარის პნევმონია. მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც “ობიექტურად დამაკმაყოფილებელი”. საჭიროდ მიიჩნიეს სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობა.

249. 2003 წ. 11 აგვისტოს სამედიცინო დასკვნაში გამოვლენილია ცხვირის ძვლის ძველი მოტეხილობის ნიშნები. დადგინდა, რომ 1998 წელს ჩაუტარდა ოპერაცია აპენდიციტზე და ასევე აღმოაჩნდა ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობა მარჯვენა ბარძაყზე, რომელიც თარიღდება 2002 წ. ივლისით. 2003 წ. 13 თებერვლის ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად

დადგინდა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა ნორმალური იყო. 2002 წ. 18 ოქტომბერს და 2003 წ. 24 ივლისს გადაღებულ სამედიცინო სურათებში არ გამოვლენილა არანაირი პათოლოგია გულმკერდის არეში. ხაჯიევმა ითხოვა სამედიცინო დახმარება 2003 წ. 20 თებერვალს (მწვავე ვირუსულ-ინფექციური რესპირატორული დაავადება) და 2003 წ. 3 აპრილს (მწვავე ლარინგიტი). ამ ორი შემთხვევის გარდა სხვა სამედიცინო დახმარება არ მოუთხოვია. 2004 წ. 20 თებერვლის სამედიცინო დასკვნის მიხედვით თერაპევტმა მას აღმოუჩინა დისტონია და ცეფალია.

250. 2002 წ. 4 ნოემბრის და 2003 წ. 15 იანვრის სამედიცინო დასკვნების მიხედვით შამაევი უჩიოდა საერთო სისუსტეს, მწვავე ტკივილებს ბარძაყებში, ყელის და პირის სიმშრალეს და მშრალ ხველას. მართლაც, 2002 წ. 15 იანვრამდე ერთი კვირით ადრე მას აწუხებდა მწვავე ვირუსულრესპირატორული ინფექცია. ნორმალური ვეზიკულარული სუნთქვა ფილტვრებში და ქრონიკული ქოლეცისტიტის რემისია (ნადვლის ბუშტის ანთება). მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც “ობექტურად დამაკმაყოფილებელი”. 2003 წ. 11 აგვისტოს სამედიცინო დასკვნა მიხედვით შამაევს არ წარმოუდგენია არანაირი საჩივარი მის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მის სამედიცინო ანკეტაში აღნიშნულია ჰემატომა მარცხენა მხარზე, 2003 წ. 13 თებერვლის ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა ნორმალური იყო. 2002 წ. 18 ოქტომბერს და 2003 წ. 24 ივლისს გადაღებულ სამედიცინო სურათებში არ გამოვლენილა არანაირი პათოლოგია გულმკერდის არეში. პაციენტობის პერიოდში შამაევს არ უსარგებლია არავითარი სამედიცინო დახმარებით, თერაპევტმა აღმოუჩინა ჰიპოტონიური ტიპის კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დისკინეზია.

251. 2002 წ. 4 ნოემბრის და 2003 წ. 15 იანვრის სამედიცინო დასკვნების მიხედვით ადაევს არ წარმოუდგენია არავითარი ჩივილი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. მისი მდგომარეობა შეფასდა როგორც “ობექტურად დამაკმაყოფილებელი”. 2003 წ. 11 აგვისტოს სამედიცინო დასკვნაში აღნიშნულია მქრთალი-ვარდისფერი ჰემატომა გულმკერდის არეში, ცეცხნასროლი ჭრილობა მარცხენა მხარზე, რომელიც თარიღდება 1994 წლით და კუდუსუნის ძვლის ტრავმა, დათარიღებული 1986 წლით. 2003 წ. 13 თებერვლის ფსიქიატრიული ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ მისი ფსიქიკური მდგომარეობა ნორმალური იყო. 2002 წ. 18 ოქტომბერს და 2003 წ. 24 ივლისს გადაღებულ სამედიცინო სურათებში არ გამოვლენილა არანაირი პათოლოგია გულმკერდის არეში. 2002 წ. 9 დეკემბერს ადაევი გასინჯულ იქნა ექიმის მიერ მაღალი წნევასთან დაკავშირებით და მარცხენა მხრის პოსტტრავმატული ნევრიტის გამო. იგი გადიოდა სამედიცინო მკურნალობას 2002 წ. 23 თებერვალს და 17 მარტს.

252. 2002 წ. 4 ნოემბრის, 2003 წ. 15 იანვრის და 11 აგვისტოს სამედიცინო დასკვნების მიხედვით აზიევს არ წარმოუდგენია არავითარი ჩივილი მისი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. პაციენტობის პერიოდში აზიევს არ უსარგებლია არავითარი სამედიცინო დახმარებით. 2004 წ. 20 თებერვალს თერაპევტს მისთვის არავითარი პათოლოგია არ აღმოუჩინია.

## II. ადამიანის უფლებები და ქვეყნების შიგნით მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა

### A. საქართველოს შიგნით მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა

#### 253. კონსტიტუცია

##### მუხლი 13§4

“საქართველოს მოქალაქის უცხო სახელმწიფოსათვის გადაცემა დაუშვებელია, გარდა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. გადაწყვეტილება მოქალაქის გადაცემის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.

##### მუხლი 18 §§3 და 5

“ადამიანის დაკავება მისაღებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლება-შეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა, თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ. პირი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს. დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს დაკავების ან დაპატიმრებისთანავე უნდა განემარტოს მისი უფლებები და თავისუფლების შეზღუდვის საფუძველი. მას დაკავების ან დაპატიმრებისთანავე შეუძლია მოითხოვოს დამცველის დახმარება, რაც უნდა დაკმაყოფილდეს.”

##### მუხლი 42§1

“ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს.”

#### 254. სისხლის სამართლის კოდექსი (სსკ)

##### მუხლი 159§1

“არავის დაპატიმრება არ შეიძლება მოსამართლის ბრძანების ან სხვა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე.”

##### მუხლი 162§2

“პატიმრობის ვადა საქმის გამოძიებისას განისაზღვრება 3 თვით ექვმიტანილის დაკავების ან ბრალდებულის დაპატიმრების მომენტიდან. პატიმრობის ვადის დინება წყდება იმ დღეს, როცა პროკურორი საქმეს სასამართლოში გაგზავნის. თუ დაკავებული ან დაპატიმრებული გაათავისუფლეს, შემდეგ კი კვლავ დააპატიმრეს, მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3 თვეს. თუ სამთვიანი პატიმრობის ვადის ამოწურვის შემდეგ ბრალდებულმა მისთვის შერჩეული ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება დაარღვია ან თუ მას უფრო მძიმე ბრალდება წარედგინა, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს, ხოლო 48-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში – საქართველოს უზენაესი

სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს უფლება აქვს გაცეს ბრძანება ბრალდებულის ერთი თვით დაპატიმრების შესახებ.”

იგივე მუხლი ითვალისწინებს სასამართლოს მიერ პატიმრობის ვადის გაგრძელებას, მაგრამ არცერთ შემთხვევაში ამ ვადამ არ უნდა გადააჭარბოს ცხრა თვეს (ვადა ასევე გარანტირებულია კონსტიტუციით).

#### **მუხლი 242 §1**

“ამ კოდექსით დაადგენილი წესით სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მოკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლისა და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, რომელიც მომჩივანის აზრით, უკანონოა ან დაუსაბუთებელი, კერძოდ:

ა) სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება (269 მუხლი):

ბ) სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ მოკვლევის ორგანოს, გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილება (მუხლი399).”

#### **მუხლი 256 § 1,2,4,6 და 7**

“სამართლებრივი დახმარების შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულების თანახმად, უცხო სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი თავისი მოქალაქის ექსტრადიცია, თუ მას ბრალად ედება თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე დანაშაულის ჩადენა ან ჩადენილი დანაშაულისათვის მსჯავრი დასდო თავისი ქვეყნის სასამართლომ, ანდა თუ თავისი ქვეყნის წინააღმდეგ დანაშაული ჩაიდინა საქართველოს ტერიტორიაზე.

ექსტრადიციის მოთხოვნა უნდა შეესაბამებოდეს საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილ რეკვიზიტებს და მომდინარეობდეს კომპეტენტური ორგანოდან. მოთხოვნა შეიძლება გადაეცეს ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, შემდეგ კი დადასტურდეს წერილობით. თუ საქართველოს გენერალური პროკურორი მოთხოვნას დასაბუთებულად და კანონიერად მიიჩნევს, იგი იძლევა მითითებას მისი შესრულების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში კი ხელშეწყობას სთხოვს საქართველოს ხელისუფლებას. თუ უცხო სახელმწიფოს მოქალაქე, რომლის მიმართაც შემოსულია მოთხოვნა ექსტრადიციის შესახებ, სასჯელს იხდის საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი სხვა დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძვლით სასჯელისაგან გათავისუფლებამდე. თუ სხვა სახელმწიფოს მოქალაქე ბრალდებულად მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში საქართველოს ტერიტორიაზე ჩადენილი დანაშაულისათვის, ექსტრადიცია შეიძლება გადავადდეს სასჯელის მოხდამდე ან სხვა კანონიერი საფუძვლით მის გათავისუფლებამდე.

ამ მუხლის მე-6 ნაწილში აღნიშნულ შემთხვევაში საქართველოს უზენაეს სასამართლოს უფლება აქვს უცხო სახელმწიფოს შესაბამის ორგანოთა თხოვნით, გამოიტანოს დადგენილება გარკვეული ვადით ამ სახელმწიფოს მოქალაქის ექსტრადიციის შესახებ. თუ ამ პირს თავისი ქვეყნის სასამართლო შეუფარდებს უფრო მკაცრ ან საქართველოში მოუხდელი სასჯელის თანაბარ სასჯელს, იგი სასჯელს მოიხდის თავის ქვეყანაში და საქართველოში დაბრუნებას არ ექვემდებარება.

#### **მუხლი 257 §1**

ექსტრადიცია არ დაიშვება, თუ:

ა) პირს მიცემული აქვს პოლიტიკური თავშესაფარი საქართველოში.

#### **მუხლი 259 §1, 2, 3,4**

“1. ექსტრადიციას დაქვემდებარებული პირის დაკავება, დაპატიმრება სამედიცინო დაწესებულებაში ექსპერტიზისათვის მოთავსება, მის მიმართ ჩხრეკის, ამოღების, სისხლის სამართლის საპროცესო იძულების სხვა ღონისძიებების გამოყენება, მის ქონებაზე ყადაღის დადება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა ექსტრადიციის მოთხოვნას თნ ერთვის სათანადოდ დამოწმებული შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული ორდერი (ბრძანება, დადგენილება). ასეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარების შესახებ, რომლებიც ზღუდავს პირის კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებს.

2. ამ მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულ ღონისძიებათა გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს გადაცემის მომთხოვნ ორგანოს. 3. ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე დაპატიმრებული უცხო სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება პატიმრობაში იყოს არა უმეტეს 3 თვისა, თუ არ იქნება შემოსული სასამართლო ორდერი (ბრძანება) ამ ვადის გაგრძელების თაობაზე.

4. ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს. 255. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ შეიცავს არც ერთ დებულებას, რომელიც ეხება ექსტრადიციას დაქვემდებარებული პიროვნების უფლებას გაეცნოს ექსტრადიციის საქმის მასალებს.

## 256. სისხლის სამართლის კოდექსი

სისხლის სამართლის კოდექსის მე-6 მუხლის შესაბამისად რაც თანხმობაშია საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, იკრძალება საქართველოს მოქალაქის ან მოქალაქეობის არმქონი პირის, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში, ექსტრადიცია სხვა ქვეყანაში სისხლის სამართლის დევნის ან სასჯელის აღსრულების მიზნით. ასევე იკრძალება პიროვნების ექსტრადიცია ქვეყანაში, სადაც მის მიერ ჩადენილი დანაშაული ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.

257. ლტოლვილებთან დაკავშირებული კანონმდებლობა ლტოლვილად ითვლება პირი საქართველოს მოქალაქეობის და ქართული წარმომავლობის გარეშე, რომელიც იძულებული იყო დაეტოვებინა ქვეყანა, რომლის მოქალაქე იყო, მისი რასობრივი, რელიგიური აღმსარებლობის, ეთნიკური წარმომავლობის, მისი სოციალური ჯგუფის ან პოლიტიკური მრწამსის დევნის გამო და რომელსაც არ შეუძლია ან არ სურს იყოს დაცული მისი ქვეყნის მიერ (მუხლი 1§1). პიროვნებამ, რომელიც სცნეს ლტოლვილად, უნდა გაიაროს ყოველწლიური რეგისტრაცია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში (მუხლი 4§3). იკრძალება ლტოლვილის გადაგზავნა თავის ქვეყანაში თუ იქ იგივე პირობები მეორდება რაც ჩამოთვლილია მუხლ 1-ში (მუხლი 8§2). ლტოლვილი კარგავს თავის სტატუსს თუ მის ქვეყანაში აღარ არსებობს ჩამოთვლილი პირობები. სტატუსის შეჩერების ან გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას დებულებას ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო. (მუხლი 10).

## B. ალიევის სასამართლო საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოში

258. 2002 წ. დადგენილებაში ალიევის საქმესთან დაკავშირებით უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია აცხადებს:

“ (...) კონსტიტუციის მუხლი 42§1- ის შესაბამისად ყოველ ადამიანს აქვს უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 259§4 ადგენს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პირს უფლება აქვს დაცვის მიზნით მიმართოს სასამართლოს. თუმცა სისხლის სამართლის კოდექსი არ განმარტავს რა პროცედურებს უნდა მიმართონ ასეთი სარჩელის განხილვისას. (...). ამავე დროს ეს საკანონმდებლო ხარვეზი არ უკარგავს პიროვნებას საშუალებას დაიცვას კონსტიტუციით და სისხლის სამართლის კოდექსით მისთვის მინიჭებული უფლებები (...). კოლეგიას მიაჩნია, რომ ალიევის სარჩელი განხილულ უნდა იქნას სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 242-ის ანალოგიური ინტერპრეტაციით, რომლის მიხედვით სასამართლოში შეიძლება გასაჩივრდეს მომკვლევის, მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლისა და პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება, რომელიც მომჩივანის აზრით, უკანონოა ან დაუსაბუთებელი. იმის გათვალისწინებით, რომ ალიევის ექსტრადიციის გადაწყვეტილება მიღებულ იქნა გენერალური პროკურატურის მიერ, მისი სარჩელი უნდა განიხილოს თბილისის მთავრობის-კრწანისის რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლომ, რაც ტერიტორიულად მის დაქვემდებარებაშია.

### **C. რუსეთის შიგნით მოქმედი შესაბამისი კანონმდებლობა**

#### **259. კონსტიტუცია**

##### **მუხლი 15 § 4**

“საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ისევე როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები მისი სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ფედერაციის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია განსხვავებული წესები შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებთან შედარებით, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები.”

##### **მუხლი 20 § 2**

“სიკვდილით დასჯა, მის გაუქმებამდე, შეიძლება გათვალისწინებული იყოს ფედერალურ კანონში როგორც სასჯელის უკიდურესი ზომა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, როგორცაა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა. ამ შემთხვევაში ბრალდებულს უნდა ჰქონდეს ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მისი საქმის განხილვის უფლება”.

**260. სისხლის სამართლის კოდექსი (თავი 32 – დანაშაული ადმინისტრაციული წესრიგის წინააღმდეგ)**

##### **მუხლი 317**

“საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის, სამხედროს ისევე როგორც მათი ახლობლების სიცოცხლის ხელყოფის მცდელობა, მათი კანონით გათვალისწინებული საქმიანობისათვის ხელის შეშლა, როგორცაა საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ან შურისძიება მათი საქმიანობიდან გამომდინარე, ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან ოც წლამდე ასევე სიკვდილით დასჯას ან სამუდამო პატიმრობას.”

2004 წ. 21 ივლისს შეტანილი ცვლილებების შესაბამისად ამ მუხლის ბოლო ფრაზა შემდეგნაირად იკითხება:

“(…) ისჯება თავისუფლების აღკვეთით თორმეტიდან ოც წლამდე ან სამუდამო პატიმრობით ან სიკვდილით.”

261. 1996 წ. 16 მაისის პრეზიდენტის ბრძანებულება სიკვდილით დასჯის თანდათანობითი გაუქმების შესახებ რუსეთის ევროპის საბჭოში მიღებასთან დაკავშირებით “ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციების შესაბამისად და რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციის მე-20 მუხლის გათვალისწინებით, სადაც მითითებულია, რომ სიკვდილით დასჯა ატარებს დროებით ხასიათს და მისი, როგორც სასჯელის უკიდურესი ზომის გამოყენება ხდება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების შემთხვევაში, როგორცაა ადამიანის სიცოცხლის ხელყოფა, ამასთან დაკავშირებით ვბრძანებ: 1. რუსეთის ფედერაციის მთავრობამ ერთი თვის ვადაში მოამზადოს ფედერალური კანონპროექტი რუსეთის დემაში განსახილველად წარსადგენად, რომელიც უკავშირდება რუსეთის ფედერაციის მიერ 1984 წ. 22 ნოემბრის № 6 პროტოკოლზე ხელის მოწერას, რაც მიზნად ისახავს 1950 წ. 4 ნოემბერს მიღებულ ადამიანის უფლებათა და ძირითადი თავისუფლებათა ევროპის კონვენციასთან შეერთებას;

2. რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების პალატებმა დააჩქარონ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის, საპროცესო კოდექსის და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების კოდექსის მიღება; (...)სისხლის სამართლის კოდექსის პროექტის განხილვისას გაითვალისწინონ იმ დანაშაულთა რიცხვის შემცირების საკითხი, რომელთა ჩადენა იწვევს სიკვდილით დასჯას.”

262. 1999 წ. 2 თებერვლის კონსტიტუციური დადგენილება და მისი შესაბამისი დებულებები“ (...)

5. ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან და ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოების დამკვიდრებამდე სასიკვდილო განაჩენის გამოტანა არ შეუძლია არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს არც სამი პროფესიონალი მოსამართლისაგან შემდგარ პალატას და არც ერთ მოსამართლეს და ორ მსაჯულს (...)”

263. 1992 წ. 17 იანვრის კანონი პროკურატურის შესახებ

### მუხლი 13 § 1

“ (...) რუსეთის ფედერაციის ერთეულის პროკურორები ექვემდებარებიან და ანგარიშს აბარებენ რუსეთის ფედერაციის გენერალურ პროკურორს. ამ უკანასკნელს შეუძლია მათი თანამდებობიდან გადაყენება.”

### მუხლი 17 § 1

“გენერალურ პროკურორი მართავს რუსეთის ფედერაციის პროკურატურის სისტემას, გამოსცემს ბრძანებებს, მითითებებს, ინსტრუქციებს და დებულებებს პროკურატურის მუშაობის საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით, რომელთა აღსრულება სავალდებულოა ორგანოს ყველა თანამშრომლისა და პროკურატურის დაწესებულებისათვის.”

### მუხლი 32

(თავი 4 - პროკურატურის მხრიდან ორგანოს ადმინისტრაციების, სასჯელდღსრულებითი დაწესებულებების(...) დროებითი დაკავების ადგილების და საპატიმროების ხელმძღვანელების მიერ კანონის დაცვის ზედამხედველობა)” “ზედამხედველობა ვრცელდება შემდეგ ზე:

- რამდენად კანონიერად ექცევიან დაკავებულებს წინასწარი დაკავების ან დროებითი პატიმრობის ადგილებში, შრომა-გასწორების დაწესებულებებში და სხვა ორგანოებსა და დაწესებულებებში, რომელთაც ევალებათ სასამართლოს მიერ გამოტანილი სასჯელის და იძულებითი ხასიათის ღონისძიებების აღსრულება;

- რამდენად დაცულია დაკავებულთა, პატიმართა, ბრალდებულთა და იმ პირთა უფლებები, რომელთა მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებები ტარდება და რამდენად დაცულია მათი პატიმრობის წესები და პირობები, რასაც ითვალისწინებს რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობა; (...)"

### მუხლი 33

“კანონის დაცვის ზედამხედველობის ფუნქციიდან გამომდინარე პროკურორს აქვს უფლება:

-ნებისმიერ დროს მოინახულოს ორგანოები და დაწესებულებები, რომლებიც ჩამოთვლილია 32-ე მუხლში ზემოთ;

-დაკითხოს დაკავებულები, პატიმრები, ბრალდებულები და იძულებაში მყოფი პირები

-ადმინისტრაციისგან მოითხოვოს ისეთი პირობების შექმნა სადაც გარანტირებული იქნება განსასჯელთა, პატიმართა, ბრალდებულთა და იმ პირთა უფლებები, რომელთა მიმართ იძულებითი ხასიათის ღონისძიებები ტარდება; შეამოწმოს 32-ე მუხლში ზემოთ ჩამოთვლილი დაწესებულებების მიერ გამოცემული აქტების (...) შესაბამისობა კანონთან; ახსნა-განმარტება მოსთხოვოს თანამშრომლებს; ჩამოაყალიბოს პროტესტები და დასკვნები; ადრას სისხლის სამართლის საქმე ან დაიწყოს პროცედურები ადმინისტრაციულ დარღვევებთან დაკავშირებით; (...)"

### მუხლი 34

“პროკურორის ინსტრუქციები და მოთხოვნები, რომლებიც ეხებიან რუსეთის ფედერაციის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პატიმრობის წესებს და პირობებს დაკავებულთა, პატიმართა, ბრალდებულთა და იძულებაში მყოფ პირთა მიმართ (...) ადმინისტრაციის მხრიდან სავალდებულო აღსრულებას ექვემდებარებიან (...)"

### მუხლი 35 § 2

“სასამართლოში სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოების პროცესში პროკურორი მონაწილეობს როგორც პროკურატურის მხარე.”

264. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი (სსსკ), რომელიც ძალაშია 2002 წ. 1 ივლისიდან

### მუხლი 1 § 3

“საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და ნორმები, ისევე როგორც რუსეთის ფედერაციის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებები მისი სამართლებრივი სისტემის განუყოფელი ნაწილია, რომელიც მართავს სისხლის სამართლის პროცესებს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ფედერაციის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილია განსხვავებული წესები შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებთან შედარებით, ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულებით დადგენილი წესები.”

### მუხლი 2 § 3



“სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული პროცესი, დამოუკიდებლად მისი ჩადენის ადგილისგან, არსებული კოდექსის თანახმად უნდა ჩატარდეს რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე, თუ საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელშიც რუსეთის ფედერაცია მონაწილეობს, არ ითვალისწინებს სხვა წესს.

### **მუხლი 30**

“1. სისხლის სამართლის საქმეები სასამართლოში განიხილებიან კოლექტიურად ან მხოლოდ ერთი მოსამართლის მიერ.

2. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმეები განიხილებიან შემდეგი ფორმაციების მიერ: (...)

ბ) ბრალდებულის მოთხოვნით, არსებული კოდექსის 31-ე მუხლის § 3-ში გათვალისწინებული დანაშაულების საქმეებს (...) განიხილავს საერთო სამართლის მოსამართლე და თორმეტი ნაფიცი მსაჯულისგან შემდგარი კოლექცია.

სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლის §3-ში გათვალისწინებულია ის დანაშაულები, რომლებიც შემსუბუქებული არიან სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე, 209-ე, 317 და 322 § 2 მუხლებით (§§ 66 და 71 ზემოთ).

### **მუხლი 108 §§ 1 და 5**

“1. წინასწარი პატიმრობის ზომა გამოიყენება სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ბრალდებულის ან განსასჯელის მიმართ, რომელსაც ბრალად ედება დანაშაული, რომელიც ითვალისწინებს ორ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთას, იმ შემთხვევაში, როდესაც ნაკლები სიმკაცრის სასჯელის ზომა არ შეიძლება იყოს გამოყენებული (...)

5. ბრალდებულის წინასწარ პატიმრობაში აყვანის გადაწყვეტილების გამოტანა მის დაუსწრებლად შესაძლებელია მხოლოდ მაშინ როდესაც მასზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული.”

### **მუხლი 109 § 1**

“დროებით პატიმრობაში აყვანის ვადა არ უნდა აღარბეზდეს ორ თვეს.”

ეს თავდაპირველი ვადა შეიძლება გააგრძელოს სასამართლომ ან მოსამართლემ განსაკუთრებულ პირობებში, კერძოდ საქმის სირთულიდან გამომდინარე, მაგრამ არცერთ შემთხვევაში არ უნდა აღარბეზდეს 18 თვეს.

### **მუხლი 312**

“სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები გადაეცემა მსჯავრდებულს ან გამართლებულს, მის ადვოკატს და პროკურატურას მისი გამოცხადებიდან ხუთი დღის ვადაში. იმავე ვადებში დაზარალებულმა მხარემ, სამოქალაქო მოსარჩელემ ან მოპასუხემ, ისევე როგორც მათმა ადვოკატებმა შეიძლება მოიპოვონ ამ დადგენილების ასლები მას შემდეგ, რაც სასამართლოს მიმართავენ წერილობითი თხოვნით ამ საკითხთან დაკავშირებით.”

265. 2002 წ. 27 დეკემბრის ფედერალური კანონი, რომელიც დაკავშირებულია ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანასთან

“ (...)სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 30 § 2 ბ) ძალაში შედის 2002 წ. 1 ივლისიდან კრასნოდარის და სტავროპოლის მხარეებში, (...) 2007 წ. 1 იანვრიდან ჩეჩნეთის რესპუბლიკაში.”

ეს ბოლო თარიღი აღნიშნავს რუსეთის ფედერაციაში ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დამკვიდრების პროცესის დასასრულს.

#### **D. საერთაშორისო დოკუმენტები**

266. საქართველო და რუსეთის ფედერაცია 1993 წ. 22 იანვარს მიღებული კონვენციის მონაწილე მხარეებს წარმოადგენენ, რომელიც ითვალისწინებს სამართლებრივ დახმარებას და სამართლებრივ ურთიერთობებს სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებში (“მინსკის კონვენცია”). ისინი ამასთანავე ექსტრადიციის ევროპული კონვენციის წევრებსაც წარმოადგენენ.

ა) მინსკის კონვენციის მუხლები 56 და 80 ექსტრადიციის ვალდებულება

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ არსებული კონვენციით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მოთხოვნის შემთხვევაში ერთმანეთს გადასცენ მათ ტერიტორიაზე მყოფი პირები მათი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის ან განაჩენის სისრულეში მოყვანის მიზნით.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისაცემად პიროვნების ექსტრადიცია ხდება იმ ქმედებებისთვის, რომლის ჩადენა ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას არანაკლებ ერთი წ. ვადით ან უფრო მძიმე სასჯელს მოლაპარაკებაში მონაწილე ორივე ქვეყნის კანონმდებლობების შესაბამისად.

განაჩენის აღსრულების მიზნით პიროვნების გადაცემა გათვალისწინებულია იმ ქმედებებისათვის, რომლებიც ითვალისწინებენ თავისუფლების აღკვეთას ექვს თვეზე მეტი ვადით, ან თუ ამ პიროვნებას ჩადენილი აქვს უფრო მძიმე დანაშაული, რომელიც ისჯება როგორც მოთხოვნის გამგზავნი ისევე მოთხოვნის მიმღები მხარის კანონმდებლობით.

#### **ურთიერთობების განსაკუთრებული პირობები**

“ურთიერთობები, რომლებიც ექსტრადიციის და სამართლებრივი დევნის საკითხებთან არიან დაკავშირებული, ხორციელდება მოლაპარაკების მხარეების გენერალური პროკურორების (პროკურორების) საშუალებით.

სხვა ურთიერთობებს, რომლებიც უკავშირდებიან პროცედურების ან სხვა აქტების შესრულებას, რომლებსაც ესაჭიროებათ პროკურორის ან სასამართლოს თავდება (“სანქცია”), ახორციელებენ პროკურატურის ორგანოები იმ პირობებით, რომლებსაც მოლაპარაკების მხარეების გენერალური პროკურორები განსაზღვრავენ.”

ბ) ექსტრადიციის ევროპის კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა საქართველოსთან დაკავშირებით 2001 წ. 13 სექტემბერს, ხილო რუსეთთან დაკავშირებით 2000 წ. 9 მარტს

## მუხლი 11 – სიკვდილით დასჯა

“თუ დანაშაული, რომლის გამო მოითხოვეს ექსტრადიცია, ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ექსტრადიციის მომთხოვნ კვეყანის კანონმდებლობით და თუ ამ შემთხვევაში იმ ქვეყნის კანონმდებლობა ვისაც ექსტრადიციის მოთხოვნით მიმართავენ არ ითვალისწინებს ასეთ სასჯელს ან თუ ის ჩვეულებრივად არ სრულდება, ექსტრადიციაზე თანხმობა შეიძლება მიცემულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომთხოვნი მხარე მისცემს ისეთ გარანტიებს, რომლებსაც მოთხოვნის მიმღები მხარე საკმარისად მიიჩნევს იმისთვის, რომ სიკვდილით დასჯას ადგილი არ ექნება.”

## მუხლი 28 § 1 და 2 - ურთიერთობები აღნიშნულ კონვენციასა და საერთაშორისო ორმხრივ შეთანხმებებს შორის

“ეს კონვენცია აუქმებს ყველა იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მისი მოქმედება ვრცელდება ყველა მოლაპარაკების, კონვენციის ან ორმხრივი შეთანხმების დადგენილებას ექსტრადიციის საკითხში, რომელიც მოლაპარაკების მხარეებს შორის იყო მიღებული.

ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ დადონ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები მხოლოდ არსებული კონვენციის დებულებებში დამატებების შეტანის მიზნით ან მასში მოცემული პრინციპების გამოყენების გასაადვილებლად.”

შემზღუდველი შენიშვნა სარატიფიკაციო დოკუმენტში, რომელიც საქართველომ 2001 წ. 15 ივნისს შემოიტანა “საქართველო აცხადებს, რომ ის არ გასცემს თანხმობას არცერთი პიროვნების ექსტრადიციაზე იმ ქვეყანაში, რომლის კანონმდებლობა ამ პიროვნების მიერ ჩადენილ დანაშაულზე ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას.”

## E) საერთაშორისო ტექსტები და შეფასებები

### 267. ევროპის საბჭო

*ა) საპარლამენტო ასამბლეის დასკვნა №193 (1996), რუსეთის თხოვნასთან დაკავშირებით ევროსაბჭოში მიღებასთან დაკავშირებით*

“(...) საპარლამენტო ასამბლეა აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაცია მოლიანად იზიარებს მის კონცეფციას და საკონტრაქტო ვალდებულებების მისეულ ინტერპრეტაციას (...) და რომ მას აქვს განზრახვა : (...)

ii წელს ხელი მოაწეროს და მისი მიღებიდან სამი წ. განმავლობაში რატიფიკაცია გაუკეთოს ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის კონვენციის № 6 პროტოკოლს, რომელიც ეხება მშვიდობიან დროს სიკვდილით დასჯის გაუქმებას და შესვლის დღიდან მორატორიუმი დააწესოს ამ სასჯელზე (...)”

*ბ) საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1315 (2003)*

“(...) 4. რაც შეეხება ჩეხეთის რესპუბლიკაში შექმნილ სიტუაციას ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, ასამბლეას კვლავ ძალიან აწესებს პოლიტიკური მოღვაწეების მკვლელობების რაოდენობა, ადამიანების ხშირი გაუჩინარება და ხელისუფლების ორგანოების არაეფექტური მუშაობა ამ შემთხვევების გამოძიების საქმეში, ისევე როგორც მოწმეთა გახშირებული ჩვენებები და მტკიცებები რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ უხეშობის და ძალადობის შესახებ.

5. როგორც ჩანს რუსეთის ხელისუფალთ არ შესწევთ ძალა ბოლო დაუდონ ჩეჩნეთში ადამიანთა უფლებების დარღვევას (...). ასამბლეა მიდის დასკვნამდე, რომ გამოძიების სამსახურებს არ გააჩნიათ არც სურვილი და არც უნარი მოძებნონ დამნაშავეები და გადასცენ ისინი მართლმსაჯულებას. ასამბლეა სინანულს გამოთქვამს დაუსჯელობის ატმოსფეროს გამო რაც სუფევს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში და რაც შეუძლებელს ხდის ნორმალურ ცხოვრებას ამ რესპუბლიკაში (...)

*ც) საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1323 (2003)*

“რუსეთის ხელისუფლებამ არ გაუგრძელა მანდატი ჩეჩნეთში მომუშავე ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის დახმარების ჯგუფს (2003 წ. 1 იანვარი). ევროპის საბჭოს კომიტეტი, რომელიც შექმნილია წამების თავიდან აცილების მიზნით (CP T) უწიოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან თანამშრომლების ნაკლებობას. რუსეთის ფედერაციამ ჯერ კიდევ არ მისცა ნაბართვა CPT-ს დასკვნების პუბლიკაციაზე. იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ის მსვლელობას აძლევს ევროსაბჭოს ადამიანთა უფლებების დაცვის კომისიის რეკომენდაციებს, იგი ამას დიდი დაგვიანებით აკეთებს. ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოს, რომელიც მიწოდებულია ინდივიდუალურად განიხილოს უფლებების დარღვევის ფაქტები, არ შეიძლება ჰქონდეს იმედი, ინდივიდუალური საჩივრების განიხივით ეფექტურად იმუშაოს ჩეჩნეთის მასშტაბით მიმდინარე სისტემატური დარღვევებზე რეაგირების საქმეში. დასაძინია, რომ არცერთ წევრ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს არ ეყო გამბედაობა სასამართლოსთვის წარმოედგინა გაერთიანებული სარჩელი (...)

*დ) საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1403 (2004)*

“(...) 6. ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ადამიანთა უფლებების დრამატული სიტუაცია, რომელიც აღწერილია ასამბლეის მიერ 2003 წ. აპრილში მიღებულ ტექსტებში სამწუხაროდ ოდნავაც არ გამოსწორებულა (...) “სპეცოპერაციების” რიცხვი ანუ უშიშროების ძალების მიერ მახეების დაგების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა, სახელდობრ 2003 წ. აპრილის ბოლოდან, მაგრამ უკანონო დაპატიმრებებს ხშირად მოყვება პატიმართა “გაუჩინარება”, წამება ან ცემა, ქურდობა და ქონების განადგურება უშიშროების ძალების მხრიდან (ჩეჩნების და ფედერალების) ან ზოგიერთი შეიარაღებული მემბოხეთა ჯგუფის მხრიდან, რამაც მიიღო ფართო ხასიათი იმის გათვალისწინებით, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მცხოვრებთა რიცხვი ძალზე პატარაა და ამას ემატება ის დანაკარგები რასაც გასული წლების განმავლობაში ჰქონდა ადგილი. (...)”

11. ასამბლეა აღშფოთებულია მძიმე დანაშაულის ფაქტებით, რომლებიც ჩადენილია იმ პირთა მიმართ ვინც სარჩელი შეიტანა ადამიანთა უფლებების ევროპის სასამართლოში, ან მათი ახლობლების მიმართ რაც მათი მხრიდან ჯერ კიდევ არ არის სააშკაროზე გამოტანილი. ასეთი აქტები მთლიანად მიუღებელია, ისინი უკარგავენ გამბედაობას მსხვერპლს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში, რომელიც ძირითადად მამოძრავებელი ძალაა ადამიანთა უფლებების დაცვის საქმეში, რომელიც დაადგინა ადამიანთა უფლებების ევროპის კონვენციამ. (...)”

*ე) ტანჯვა-წამების, არადამიანური ან ადამიანებისათვის დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ მებრძოლი ევროპის კომიტეტის (CPT) 2001 წ. 10 ივლისის საჯარო განცხადება*

“(...) ჩ თ-ს დელეგაციის 2000 წ. თებერვალ-მარტში და აპრილში ჩეჩნეთში ვიზიტის დროს გამოვლინდა, რომ იმ პირების მიმართ, რომლებიც კონფლიქტის დაწყების დღიდან დაპატიმრებული ჰყავთ ჩეჩნეთის ციხეებში, აღინიშნება ცუდი ფიზიკური მოპყრობა რუსეთის შეიარაღებული ძალების და სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან. (...) ჩეჩნეთის რესპუბლიკაში სულ ბოლო ვიზიტის დროს, 2001 წ. მარტში კვლავ მოპოვებულ იქნა

უამრავი სარწმუნო მამხილებელი ფაქტები ფედერალური ძალების მხრიდან ძალზე ცუდ მოპყრობასთან დაკავშირებით; ზოგიერთ შემთხვევაში მოწმეთა ჩვენებას ადასტურებდა შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტი. CPT-ს დელეგაციას დახვდა შიშის ატმოსფერო; ადამიანთა გარკვეულ რაოდენობას, რომელსაც ცუდად მოექცნენ და მეორეს მხრივ, ამ დანაშაულის მომსწრეებს ეშინიათ შესაბამის ორგანოებში სარჩელის შეტანის. მათ ეშინიათ რეპრესიების ადგილობრივ დონეზე და იყო საერთო შეგრძნება იმისა, რომ ნებისმიერ შემთხვევაში კანონიერება არ იხეიშებდა.(...)

2001 წ. მარტის ვიზიტის დროს მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით ზოგიერთ სხეულზე აშკარა ნიშნები იყო იმისა, რომ ადამიანი მოკლეს ყოველგვარი გასამართლების გარეშე; გარდა ამისა ზოგიერთი სხეული ამოიცივნეს ახლობლებმა. მათი თქმის ეს იყო იმ ადამიანების სხეულები, რომლებიც გაუჩინარდნენ მას შემდეგ რაც ისინი რუსეთის ძალებმა დააპატიმრეს. (...)

2001 წ. 28 ივნისის პასუხში რუსეთის რუსეთის ხელისუფლება მიუთითებდა იმაზე, რომ ის არ იყო მზად არც იმისათვის, რომ მიეწოდებინა მოთხოვნილი ინფორმაცია და არც ჩ თ-სთან დისკუსიის დასაწყებად ზემოთ მოყვანილ საკითხებთან დაკავშირებით; ის ხელმძღვანელობდა იმით, რომ საკითხები რომლებიც დაკავშირებულია ტანჯვა-წამებასთან, არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობასთან, ევროპის კონვენციის მიხედვით არ შედის კომიტეტის კომპეტენციაში. ასეთი მიდგომა შეუთავსებელია საერთაშორისო ხელშეკრულების საგანთან და მიზნებთან, რომელმაც CPT ჩამოაყალიბა დამიუთითებს სურვილის ნაკლებობას ითანამშრომლოს ამ კომიტეტთან.”

#### *ფ) CPT-ს 2003 წ. 10 ივლისის საჯარო განცხადება*

“(...) 2. 2001 წ. 10 ივნისის ჩ თ-მ ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით გააკეთა საჯარო განცხადება. (...) შემდეგში შეინიშნება პროგრესი. (...)

3. მიუხედავად ამისა, ჩ თ-ს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში 2002 წ. ვიზიტის დროს და უფრო მოგვიანებით 2003 წ. 23 და 29 მაისს განხორციელებული ვიზიტების დროს ადამიანების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელსაც ცომიტეტის დელეგაცია ცალ-ცალკე შეხვდა სხვადასხვა ადგილებში აცხადებენ, რომ მათ ძალზე ცუდად ექცეოდნენ მათი დაკავების ადგილებში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები. მათი აღწერა იყო დეტალური და შესაბამისი. ისინი მიუთითებდნენ იმ საშინელ მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენებოდა მათ წინააღმდეგ, ასეთებია: “ცემა-ტყეპა”, ელექტროშოკი და ცელოფანის პარკებით და გაზის ნიღბებით გაგუღვა. ხშირ შემთხვევაში ამ ჩვენებებს ადასტურებდა შესაბამისი სამედიცინო საბუთი. დელეგაციის ექიმების მიერ შემოწმებულ პიროვნებებს აღენიშნებოდათ ფიზიკური ძალადობის კვალი ან ისეთი მდგომარეობა რაც ზუსტად შეესაბამებოდა მათ მონაცემს. (...)

268. Human Rights Watch( ადამიანთა უფლებების მეთვალყურეობა) მოხსენებები სათაურით “რუსეთ/ჩეჩნეთი, წამება, იძულებითი გაუჩინარება, ძალადობრივი გაუჩინარება, გაუსამართლებელი მკვლევლობები წმინდითი ოპერაციების დროს ჩეჩნეთში (ტომი 14, № 2 (D), 2002 წ. თებერვალი); “ალიარება ნებისმიერ საშუალებით, წამება რუსეთში” (1999 წ. ნოემბერი) და “კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში, უსამართლო დაპატიმრებები, წამება, და გამომძაღველობა ჩეჩნეთში” (2000 წ. ოქტომბერი), ააშკარავებენ წამებას, კერძოდ სამედიცინოს, ისევე როგორც ჩეჩენი პატიმრების მკვლევლობის ყოველგვარი გასამართლებია გარეშე. სხვა პატიმრები უგზოუკვლოდ იკარგებიან. ეს მთელ ხალხს უქმნის განადგურებას ამ ფაქტების გარდა მოხსენებები შეიცავენ 60-მდე ინტერვიუს ჩეჩნებთან, რომლებიც პატიმრობაში ჰყავდათ “საპატიმრო ცენტრებში” მთელ ჩეჩნეთში და კავკასიონის მოსაზღვრე რაიონებში, რომლებმაც გაუძღეს წამების ძალადობას და ცუდ მოპყრობას. ისინი გათავისუფლდნენ რუსეთის ჯარისკაცებისთვის გამოსასყიდის სახით გადახდილი დოქი ღვინოებით. მოხსენებებში აღწერილია სხვადასხვა სახის წამებები, რომლებსაც მიმართავენ ამ ცენტრებში. მოხსენებაში “კეთილი იყოს

თქვენი მობრძანება ჯოჯოხეთში” (...)” გადმოსცემენ იმ წამებას და ცუდ მოპყრობას, რასაც განიცდიან ჩეჩენი პატიმრები სტავროპოლის მხარის საგამოძიებო იზოლატორებში (...). ცუდი მოპყრობისა და წამების ჩვეულებრივ მეთოდებს შორის, რომლებსაც მიმართავენ ამ საგამოძიებო იზოლატორებში, ფიგურირებს „ცოცხალი კორიდორი” (ხელთათმანი), ეს არის “მუხლებზე დაჩოქილი დახრილი პატიმრების ცემა”, „ცემა კეტებით, რომელიც გამოიყენება საშხაპო ოთახებში შიშველ პატიმრებზე” და ა.შ. ყველა ჩეჩენ პატიმარს, რომელიც ჩვენებს აძლევს `Human Pights Watch`–ს აქვს გამოგონილი სახელი და ფიგურირებენ ფსევდონიმებით ბრჭყალებში.

269. მნესტყ ინტერნაციონალ და რუსეთის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის ჯგუფი ორგანიზაცია “Amnesty International“ მიერ 2004 წელს შექმნილი დოკუმენტის მიხედვით, ის ორი სასჯელადსრულებითი დაწესებულება, სადაც პირველად მოათავსეს მომჩივნები და სადაც ამჟამად იმყოფებიან, წარმოადგენს „პატიმართა დახარისხების ბანაკებს”. მნესტყ ინტერნაციონალ–მა აღნუსხა წამების ის სხვადასხვა ფორმები, რასაც პრაქტიკულად იყენებდნენ ე.წ. „დახარისხების ბანაკებში” იმ კონფლიქტის ფარგლებში, რამაც ფაქტიურად ჩეჩენეთი გაანადგურა. „მოპოვებული ინფორმაცია ააშკარავებს (როგორც მამაკაცების ისე ქალების წინააღმდეგ მიმართულ) ძალადობის ფაქტებს ჩადენილს ელექტროშოკის გამოყენებით, ჩაქუჩისა და ხელკეტების რტყვით, ასევე ცრემლსადენი გაზის ხმარებითაც. სხვა სახის წამების ფაქტები ხასიათდება მსხვერპლისათვის კბილების მოხერხებით ან ცემით ყურის არეში დაფის აპკის დაზიანებამდე (მის გახვრეტამდე)”.

რუსეთის ადამიანის უფლებათა კომისრის ჯგუფი ადასტურებს აღნიშნულ ინფორმაციას და იმოწმებს იმ ადმინისტრაციული აქტის ნაწილს, რომლის მიხედვით ე.წ. „გადასარჩევი ცენტრები“ („საფილტრაციო ბანაკები”) დროებით იყო მოწყობილი იმ ორ დაწესებულებაში, სადაც მომჩივნები მოათავსეს და დღემდე იმყოფებიან მათი ვინაობის დადგენისა და ქვეყნის არმიისა შინაგანი ჯარის შეიარაღებული დანაყოფის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლებში მათი როლის განსაზღვრის მიზნით (ინფორმაცია, რომელიც გამოაქვეყნა რუსეთმა მოძრაობამ “მემორიალმა”).

270. გაეროს სპეციალური მომხსენებელი (E/CN.4/2002/76, 14 marti 2002 §§ 6 da 10; E/CN.4/2002/76/Add.1. §§ 1268-1310)

მთავრობის ყურადღებამდე მისულ საქმეთა უმეტესობა ეხებოდა ჩეჩენეთში რუსეთის სამხედრო ძალების მიერ დაპატიმრებულ პიროვნენს. წამებისა და ცუდი მოპყრობის ფაქტები, რომლებზეც გამახვილებული იყო ყურადღება სახელდობრ შემდეგია: ბნელ საკანში დამწყვდევა; ხელკეტებით ან იარაღის კონდახით ცემა მთელ სხეულზე; ფეხის არეში დანის გამოყენებით ღრმა ჭრილობების მიყენება; ძაღლების განზრახ მისევა; მსხვერპლის იძულება მუხლებზე დგომით 8 საათის განმავლობაში გაეძლო; ელექტროშოკი; მუშტით ცემა; ტყავის გაძრობა და სკალპის მოხსნა; კიდურების დამტვრევა; თითის წვერების და ცხვირის წაჭრა; იარაღიდან მიჯრით სროლა; გაჩერებულ და ცივ სატრანსპორტო მანქანებში პატიმრების რამდენიმე დღით ჯგუფურად გაჩერება, საკვების მიუცემლობა; უარი სანიტრებთან დახმარების დაშვებაზე, 4 ამ დოკუმენტის ზუსტი წყაროები არ არის მითითებული სასამართლოს მიერ

ნაკისრ ვალდებულებათა დაცვიდან გამომდინარე (დადგენილების პარაგრაფი 16) არ გაამუდავნოს რუსეთში არსებული დაწესებულებების სახელები სადაც მომჩივნები სასჯელს იხდიან. პატიმარი ქალების გაუპატირება და გაუპატირების მუქარა; სხეულზე დანის დარტყმა; თვალების დათხრა; გატყავება; სკალპირება; ფეხების და ხელების დაწვა.

271. ადამიანთა უფლებების დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო კავშირი, 2004 წ. 15 სექტემბრის მოხსენება

„(...) E. ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოში სარჩელის შემტანი პიროვნების დევნა. (...) იმის გამო, რომ რუსეთის სამართალდამცავ სისტემას არ შესწევს ძალა აღმოფხვრას ჩეჩნეთში ჩადენილი დანაშაულები, რჩება მხოლოდ ერთი საშუალება მივმართოთ ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოს. (...) ამავე დროს ბევრ მოსარჩელეს ემუქრებიან, აწამებენ, აპატიმრებენ ან იტაცებენ და კლავენ კიდევ. რამოდენიმე შემთხვევა უკვე ნახსენები იყო და მათ შორისაა ლიფხან ბაზაევის საქმე, რომელიც როგორც აქტივისტი ასევე მოსარჩელეა. მოსარჩელეთა დევნამ იმატა 2003 და 2004 წლებში. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ წლებში იმატა მოსარჩელეთა რაოდენობამაც. მაგრამ ამ გარემოების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი თავდასხმების რაოდენობამ არაპროპორციულად იზრდება მოსარჩელეების რაოდენობასთან შედარებით. - ეს ფაქტი გვაფიქრინებს, რომ მოსარჩელეების ეს დევნა შემაფოთებელი ტენდენციაა. (...) ზოგიერთი ორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს მოსარჩელეებს ჩეჩნეთიდან ევროსასამართლოს წინაშე, კერძოდ მემორიალი, European Human Rights Advocacy Centre, და Chechnya Justice Initiative ასახელებენ სხვა ინციდენტებსაც მათი კლიენტების წინააღმდეგ. ადამიანთა უფლებების დაცვის ევროპის სასამართლოსათვის გაგზავნილ წერილებში მათ მოჰყავთ 13 შემთხვევა, რომელშიც შეურაცხოვრება საერთო რიცხვი აღწევს 29 იმ სხვადასხვა მოსარჩელესთან დაკავშირებით, რომლებსაც მართლმსაჯულების ძიების გამო დევნას განიცდიან.

იმ მოსარჩელეთა მიმართ ვინც ევროსასამართლოს მიმართა დახმარებისათვის გამოყენებულია როგორც სიტყვიერი, ისე წერილობითი მუქარა ზოგჯერ ეს ეხება ოჯახის სხვა წევრებსაც. ერთ შემთხვევაში მოსარჩელემ დაკარგა სამსახური. ორ შემთხვევაში ჯარისკაცებმა უკანონოდ გაჩხრიკეს მოსარჩელეების სახლები. მოსარჩელედან ერთი გაძარცვეს. ოთხ შემთხვევაში მოსარჩელეებს სცემეს. ერთ შემთხვევაში მოსარჩელე დაიბადა. სულ მცირე ორ შემთხვევაში იგულისხმება, რომ მოსარჩელეებმა გამოიტანეს თავიანთი საჩივარი. ორმა მოსარჩელემ ოფიციალურად გამოიტანა სასამართლოდან საჩივარი. მუქარების და ცემის ფაქტების უმეტესობა მოდის 2003 და 2004 წლებზე. ყველა ამ შემთხვევაში ჩარეული არიან ფედერალური ძალები. მოსარჩელეთა წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ევროსასამართლოს გამოძახილებმა რუსეთის ხელისუფლების მისამართით ზოგიერთ შემთხვევაში დადებითი შედეგი გამოიტანა და შეასუსტა დაწოლა მოსარჩელეზე და მის ოჯახზე. (...)” მოხსენებაში აღწერილია გარემოებები, რომლებშიც ბევრი მოსარჩელეები და მათ შორის ზურა ბიტიევა (მოკლულია, სარჩელი №57953/00), მასხეტ იმაკაევა (განიცადა დევნა, სარჩელი № 7615/02) და შარფუდინ სამბიევი (განიცადა დევნა, სარჩელი № 38693/04), ძალადობის ობიექტები გახდნენ.

## “F. უცხოელი ადამიანთა უფლებების დამცველების დევნა

ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (უეთო) გახსნა თავისი ოფისი ზნამენსკოეში, ჩეხეთში 2001 წ. ივნისში, მაგრამ რუსეთის ფედერაციამ უარი საჩივარა უეთოს დამკვირვებელთა ჯგუფისთვის გაეგრძელებინა მანდატი, როდესაც მას ვადა გაუვიდა 2002 წ. ბოლოსთვის. სანამ ჩეხეთში მუშაობდა რამდენიმე უცხოელი ინგუშეთში გახსნილი იყო რამდენიმე საერთაშორისო და ჰუმანიტარული ორგანიზაციის ოფისი. თუმცა, უცხოელი წარმომადგენლების გარკვეულმა რაოდენობამ დატოვა ინგუშეთი 2004 წ. ივნისში მომხდარი თავდასხმების შემდეგ. საერთაშორისო წარმომადგენლობა ჩრდილოეთ კავკასიაში საგრძნობლად შემცირდა, რაც შედეგი იყო იმასა, რომ მოწმეები თითქმის აღარ არსებობდნენ და არ იყო დახმარება გარედან.”

### სამართლებრივი მხარე

#### 1. რუსეთის მთავრობის მიერ დაყენებული პრეტენზიები

A. პრეტენზია საქმის არსებითი განხილვის დაუშვებლობასთან დაკავშირებით და პროცედურის გაუქმების მოთხოვნა

##### 1. მთავრობის არგუმენტები

272. 2004 წ. 20 ივლისის დასკვნით მიმოხილვაში (იხ გადაწყვეტილების 50-ე პუნქტი), რუსეთის მთავრობა აცხადებს, რომ პროცედურული თვალსაზრისით ევროპული სასამართლოს მიერ წინმდებარე საქმესთან დაკავშირებით შეუძლებელი იყო გადაწყვეტილების მიღება. მას მოჰყავს შემდეგი მოტივაცია. თავდაპირველად, ის რომ შამაევის, ხაჯიევის, ადაევის და ვისიტოვის სისხლის სამართლის საქმეების განხილვა ჯერ კიდევ წარმოებს შიდა სასამართლო ინსტანციებში (იხ გადაწყვეტილების 108-ე პუნქტი) და აქედან გამომდინარე ევროპის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოიტანამდე მიზანშეწონილი იქნებოდა, შიდა სასამართლოს, რომელსაც საქმე გადაეცა ხელახლა განსახილველად აღმოეჩინა ის დარღვევები, რაც საკასაციო სასამართლომ დაადგინა. მეორე მხრივ, ზემოთჩამოთვლილ მომჩივნებს ევროპის სასამართლოსათვის არასდროს მიუმართავთ ქ-ნების მუხაშაურიასა და ძამუკაშვილის მიერ მათი ხელმოწერების გაყალბებასთან დაკავშირებით (იხ გადაწყვეტილების 230-ე პუნქტი). უფრო მეტიც, ევროპულმა სასამართლომ არ სცნო ხაჯიევის უფლებები, რადგან ბ-ნი კოტოვის მიერ „ოფიციალური ფორმით“ წარმოდგენილი მისი საჩივარი არ მიეწოდა მოპასუხე სახელმწიფოებს, (იხ გადაწყვეტილების 235-ე პუნქტი). მის მიერ არჩეული ადვოკატი არ იქნა დაშვებული სამართალწარმოების პროცესში, მაშინ როცა ამ უკანასკნელს ფალსიფიკაციისათვის არასოდეს მიუმართავს, აქედან გამომდინარე



სასამართლოს არ გააჩნდა სადავო საკითხების არსებითი განხილვის რაიმე პროცედურული საფუძველი.

273. დასკვნის სახით, რუსეთის მთავრობა მოითხოვს, რომ სასამართლომ გააუქმოს ამ საქმესთან დაკავშირებით წარმოებული ყველა პროცედურა. იგი, ირწმუნება, რომ თუკი ევროპის სასამართლო გადაწყვეტილებას გამოტანს შიდა ინსტანციებში ზემოსხენებული ოთხი მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების დასრულებამდე ეს გარემოება დაარღვევს ევროპული კონვენციის ისეთ პრინციპს, როგორცაა სუბსიდიურობა და ბიძგს მისცემს ევროპაში ტერორიზმის გააქტიურებას.

274. საქმის ვითარებიდან გამომდინარე, რუსეთის მთავრობას არ ესმის, რაში შეიძლება მდგომარეობდეს მისი მხრიდან კონვენციის დებულებების დარღვევა. მას მიაჩნია, რომ წინამდებარე საჩივარი წარმოადგენს ინ აბსტრაქტო საჩივარს, რომელიც სასამართლოში შეიტანეს მომჩივანთა ეგრეთწოდებულმა წარმომადგენლებმა, რითაც ბოროტად გამოიყენეს სასამართლოსათვის მიმართვის უფლება.

## 2. სასამართლოს შეფასება

275. სასამართლო იმთავითვე აღნიშნავს, რომ მან უარყო რუსეთის მთავრობის პირველადი პრეტენზიები საჩივარის ანინიშრობასა და ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებით (შამავეი და 12 სხვა საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ (გად.), № 36378/02, 2003 წ. 16 სექტემბერი). კერძოდ, მან მიიჩნია, რომ წინამდებარე საჩივარი ეხებოდა რეალურ, კონკრეტულ და იდენტიფიცირებად პირებს და, რომ მათი კონვენციით გარანტირებული უფლებათა სავარაუდო დარღვევებიდან გამომდინარე, პრეტენზიები, ემყარებოდა რეალურ ფაქტებს, რაც სადაო არ გაუხდია არც ერთ მოპასუხე სახელმწიფოს. ამ ეტაპზე სასამართლოს არ მოეპოვება არც ერთი „განსაკუთრებულ გარემოება“, რასაც მოცემულ შემთხვევაში შეეძლო გამოიწვია საჩივარის ანინიშრობასა და ბოროტად გამოყენებასთან დაკავშირებული არგუმენტაციის ხელახალი განხილვა (Stankov et Organisation mac édomenne unie Ilinden c.Bulgarie, № 29221/95 et 29225/95, № 55 et 57, CEDH 2001-IX).

276. რაც შეეხება, რუსეთის შიდა სასამართლო ინსტანციებში მიმდინარე სისხლის სამართლის პროცესის დაუსრულებლობის მოტივით ევროპული სასამართლოს მიერ მომჩივანთა პრეტენზიების არსებითი განხილვის შეუძლებლობის საკითხს მიზანშეწონილი იქნება იმის აღნიშვნა, რომ რუსეთის მთავრობამ ვერ წარმოადგინა ვერცერთი მტკიცებულება ამ არგუმენტის დასადასტურებლად. იგი შემოიფარგლა მხოლოდ იმის მტკიცებით, რომ შიდა ინსტანციებში ჯერ კიდევ გრძელდებოდა სამართალწარმოება (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 48-ე, 107-ე, 108-ე და 272-ე პუნქტები), მაგრამ მას არ წარმოუდგენია არც 2004 წ. 18 თებერვლის განაჩენის ასლი და არც ამ განაჩენის გაუქმებისა და დამატებითი გამოძიების საწარმოებლად საქმის პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის გადაცემის შესახებ გამოტანილი საკასაციო გადაწყვეტილების ასლები. მას არ მიუთითებია ის შიდა სამართლებრივი ნორმა, რომელის მიხედვითაც ყველა პირს თვით განსახველის გარდა ეკრძალებოდა

შესაბამისი გადაწყვეტილების ასლების მოპოვება. რუსეთის მთავრობამ ამგვარი „თანამშრომლობის შეუძლებლობის“ პასუხისმგებლობა ევროპის საბჭოს დააკისრა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 108-ე პუნქტი). როგორც უნდა იყოს ამ მხრივ შესაბამისი სამართლებრივი ნორმა (იხ. მაგალითად, რუსეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 312-ე მუხლი და წინამდებარე გადაწყვეტილების 264-ე პუნქტი), ევროპის სასამართლო არ ეთანხმება რუსეთის მთავრობის არგუმენტს და აღნიშნავს, რომ ყველა ხელშემკვრელი მხარე თავისი წარმომადგენლის მეშვეობით ვალდებულია სასამართლოს მიაწოდოს ყველა შესაბამისი შიდა სამართლებრივი დოკუმენტი.

277. იმ შემთხვევაშიც კი თუ სამართალწარმოება ჯერ კიდევ მართლაც მიმდინარეობს რუსეთში, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს პროცესი როგორც ასეთი, არ საჩივრდება წინამდებარე საჩივარის ფარგლებში. მოცემულ შემთხვევაში განიხილება საქართველოს ხელისუფლების მიერ მომჩივანთა მიმართ წარმოებული ექსტრადიციის პროცესი, ხუთი მათგანის ექსტრადიცია, ამასთან რუსეთში ჩასვლისას მათთვის ადვოკატების თავისუფალი არჩევის ფორმით დანიშნვის შეუძლებლობა. აშკარაა, რომ ექსტრადირებულ მომჩივანთა მდგომარეობა საშუალებას იძლევა შევაფასოთ რუსეთის ხელისუფლების მხრიდან ქართველი კოლეგებისათვის მიცემული გარანტიების სისუსტე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-20 პუნქტი), მაგრამ ის გარემოება, რომ რუსეთში მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმის განხილვა ჯერ არ დასრულებულა მოცემულ შემთხვევაში ხელს არ უშლის სასამართლოს გადაწყვეტილება მიიღოს რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ პრეტენზიებთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 480-ე პუნქტი). იგივე ეხება კონვენციის მე-2, მე-3, მე-5 და მე-13 მუხლების საფუძველზე საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ პრეტენზიებს.

278. ნებისმიერ შემთხვევაში, რუსეთის წინააღმდეგ დაყენებული პრეტენზიების არსებითი განხილვა, უპირველეს ყოვლისა, შეუძლებელი გახდა სხვა მოტივაციის გამო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 491-ე პუნქტი) და სასამართლო მიზანშეწონილად არ მიიჩნევს კიდევ ერთხელ დაუბრუნდეს რუსეთის მთავრობის მიერ მიმართვის შიდა სამართლებრივ საშუალებათა ამოწურვის შეასხებ წამოყენებულ საკითხს.

279. ექსტრადირებული მომჩივნების მიერ ევროპული სასამართლოსათვის მიმართვის არარსებობისა და მათი სადავო წარმომადგენლების საკითხთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2003 წ. 16 სექტემბერს ეს ორი პრეტენზია დაერთო საქმით არსებით განხილვას, რასაც იგი შემდგომში ცალცალკე განიხილავს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 290-ე პუნქტი).

280. რაც შეეხება ხაჯიევის საჩივარის „ოფიციალურ წარმოდგენას“ და ბ-ნ კოტოვის სამართალწარმოების პროცესზე არდაშვებას, სასამართლო პირველ რიგში აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარის შეტანის დღიდან იგი არაერთხელ შეეცადა ექსტრადირებულ მომჩივნებთან და ასევე მათ რუს ადვოკატებთან დაკავშირებას (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 29-ე, შემდგომ 232-ე პუნქტი). 2002 წ. 20 ნოემბერს ევროპული სასამართლოს მიერ ხაჯიევის პირველი ადვოკატების მოლოჩკოვასა და კუჩინსკაიას სახელზე გაგზავნილ წერილს პასუხი რუსეთის მთავრობამ გასცა, სადაც იგი ირწმუნებოდა, რომ ეს ადვოკატები „აპროტესტებდნენ ევროპის სასამართლოს მხრიდან მათთან

დაკავშირების მცდელობას“. მაშინ სასამართლომ ექსტრადირებულ მომჩივნებს და მათ შორის ხაჯიევსაც პატიმრობის მოხდის ადგილებში პირდაპირ გადაუზახვნა წერილები თანდართული საჩივარის ფორმულარებით და ეთხოვათ მოეხდინათ 2002 წ. 4 ოქტომბერს სასამართლოსთვის მიმართვის განზრახვის დადასტურება ან უარყოფა. 2002 წ. 24 დეკემბერს ქალაქის A საგამოძიებო იზოლაციის SIZO-ს მიერ ამ კორესპონდენციის მიღების მიუხედავად, 2003 წ. 3 დეკემბრამდე რუსეთის მთავრობა ირწმუნებოდა, რომ მომჩივნებს ეს გზავნილი მიღებული არ ჰქონდათ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 233-ე და 239-ე პუნქტები).

281. მხოლოდ 2003 წ. 8 ოქტომბერს პენიტენციალური დაწესებულების ადმინისტრაციის მეშვეობით ბ-ნ ხაჯიევმა პასუხი გასცა სასამართლოს წერილს და გააგზავნა საჩივარის შევსებული ფორმულარი (რაც სასამართლოში შევიდა 2002 წ. 27 ოქტომბერს). ამ რიცხვში ეს პრეტენზიები ისეთი სახით როგორც იხილი 2002 წ. 22 ოქტომბერს წარმოადგინეს ქ-ნებმა მუხამაზოვიამ და ძამუკაშვილმა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-14 პუნქტი) უკვე დაშვებული იყო არსებით განხილვაზე მათ მიერ მოპასუხე სახელმწიფოებთან წარმოებული მიმოწერისა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-6 და მე-16 პუნქტები) და საჩივარის დაშვებადობის საკითხის ზეპირ მოსმენაზე განხილვის შემდეგ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 25-ე პუნქტი).

282. საჩივარის ფორმულარის შინაარსის მიხედვით ხაჯიევი, რომელსაც კოტოვი წარმოადგენდა, ძირითადად ასაჩივრებდა იმას თუ როგორ ხორციელდებოდა მისი ექსტრადიციის პროცესი საქართველოში და მიუთითებდა საქართველოსა და რუსეთში მის მიმართ ჩადენილ სხვა უფლებათა დარღვევის ფაქტებს (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პარაგრაფი 235-ე 388-ე, 439-ე და 484-ე პუნქტები), ეს დოკუმენტი დანართებთან ერთად ჩაიდო საქმეში, როგორც წინამდებარე საჩივარის შემადგენელი ნაწილი. ბ-ნმა ხაჯიევმა სასამართლოსათვის გაგზავნილი, თუნდაც დაგვიანებული პასუხით, დაადასტურა თავისი განზრახვა მის მიმართ წარმოებული ექსტრადიციის პროცესის ევროპულ სასამართლოში გასაჩივრების შესახებ.

283. 2003 წ. 19 დეკემბერს ბ-ნი ხაჯიევის 2003 წ. 8 ოქტომბრით დათარიღებული საჩივარის ფორმულარი თანდართულ დოკუმენტებთან ერთად გადაეზახნათ მოპასუხე სახელმწიფოებს და ასევე ქ-ნებს მუხამაზოვიას და ძამუკაშვილს. საქართველოს მთავრობას, ისევე როგორც ადვოკატებს არავითარი კომენტარი არ გაუკეთებიათ. იმავე რიცხვში კოტოვს ეთხოვა დამატებითი ინფორმაცია წარმოედგინა ექსტრადიციის სადამოს ხაჯიევის მიერ ევროპის სასამართლოსთვის გაგზავნილ საჩივართან დაკავშირებით და იმ ქართველი ადვოკატების შესახებ, რომლებიც მას სასამართლოში წარმოადგენდნენ, რაზეც კოტოვს საერთოდ არ უპასუხია, თავად ევროპის სასამართლოსაც არ მიეცა ბ-ნი ხაჯიევის დაკითხვის საშუალება იმ საგამოძიებო მისიის ფარგლებში, რაც მას რუსეთში უნდა განეხორციელებინა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 28-ე პუნქტი). აქედან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია ამ მომჩივნის პრეტენზიებთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიეღო საქმის არსებითი განხილვის მომენტისათვის არსებული გარემოებების გათვალისწინებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 49-ე პუნქტი).

284. სასამართლოს 2003 წ. 19 დეკემბრის წერილის პასუხად რუსეთის მთავრობა იტყობინებოდა, ბ-ნი ხაჯიევის 2004 წ. 8 იანვრის საჩივარის ფორმულარის მიღებას და ითხოვდა რომ იმისათვის, რათა ბოლო მოღებოდა „ამ საქმეში არაპროცედურულ მოქმედებათა განხორციელებას“, მის საჩივარს გაეგლო „ჩვეულებრივი პროცედურა“, მიეწოდებინათ მისთვის და გაუქმებულიყო 2003 წ. 27 ოქტომბრამდე წარმოებული ყველა პროცესი (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 243 -ე პუნქტი). 2004 წ. 5 და 13 თებერვლის წერილებში სასამართლომ შეახსენა მთავრობას, რომ ხაჯიევის პრეტენზიები მას უკვე წარედგინა, სანამ ისინი არსებით განხილვაზე დაშვებულად გამოცხადდებოდა და რომ 2003 წ. 27 ოქტომბერს შემოსული საჩივარის ფორმულარს არ სჭირდებოდა არავითარი დამატებითი პროცედურული ზომების მიღება.

285. რუსეთის ხელისუფლებამ, რომელსაც ეთხოვა საბოლოო დასკვნა წარმოედგინა მოძივანთა პრეტენზიების დასაბუთებულობის შესახებ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 50-ე პუნქტი), ვერავითარი კომენტარი ვერ გააკეთა ხაჯიევის იმ პრეტენზიების თაობაზე, როგორადაც ეს სადავო საჩივარის ფორმულარში იყო წარმოდგენილი და შემოიფარგლა მხოლოდ აღნიშნულ საჩივართან დაკავშირებით წარმოებული პროცედურის მთლიანად გაუქმების მოთხოვნით.

286. ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ხაჯიევის პრეტენზიები როგორი სახითაც ისინი წარმოადგინეს ქნებმა მუხაშავრიამ და ძამუკაშვილმა მოპასუხე მთავრობებს დროულად მიეწოდათ და ამდენად მათ შესაძლებლობა მიეცათ მათთვის პასუხი გაეცათ ჯერ წერილობით, შემდეგ კი დაშვებადობის შესახებ წარმოებული ზეპირი მოსმენის მსვლელობის დროს. საჩივარის შეტანიდან ერთი წ. შემდეგ, როდესაც რუსეთში ძლივს მოხერხდა ამ განმცახდებელთან დაკავშირება 2003 წ. 8 ოქტომბრის ფორმულარით მან მართლაც დაადასტურა ამ ქვეყანაში მისი ექსტრადიციის გასაჩივრების ფაქტი როგორც საქართველოს ასევე რუსეთის წინააღმდეგ. ევროპის სასამართლოს წინაშე გამოძახებული, ბ-ნი ხაჯიევის რუსი ადვოკატი კოტივი ამ მოწვევას არ გამოხმაურებია. რუსეთის მთავრობამ ვერავითარი კომენტარი ვერ გააკეთა ბნი ხაჯიევის იმ პრეტენზიებთან დაკავშირებით, როგორადაც ისინი კოტოვმა წარმოადგინა, ვერც სასამართლოს 2003 წ. 19 დეკემბერის წერილის შესახებ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 236-ე პუნქტი) და ვერც 2004 წ. 4 მაისის წერილის პასუხად (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 50-ე პუნქტი).

287. ამ პირობებში რუსეთის მთავრობამ აღარ დაიწყო იმის მტკიცება, რომ მისთვის არ მიუწოდებიათ ხაჯიევის პრეტენზიები და რომ კოტოვი არ იქნა დაშვებული სასამართლო პროცესზე.

288. და ბოლოს სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არც კონვენციის და არც მისი რეგლამენტის არცერთი დებულება არ ითვალისწინებს სამართალწარმოების მთელი პროსესის ან მისი ნაწილის გაუქმებას. ამგვარად წინამდებარე საჩივარს არ შეიძლება მიეცეს სხვაგვარი მსვლელობა გარდა იმისა რაც განსაზღვრულია ამ სამართლებრივი აქტების ტექსტებში. ყოველი შემთხვევისათვის, საქმე არა გაავაქვს კონვენციის 37-ე და 39-ე მუხლებით გათვალისწინებული პირობების დადგომასთან (რომელთა შესაბამისადაც სასამართლოს გარკვეული გარემოებებიდან გამომდინარე შეუძლია ამოიღოს

საჩივარი განსახილველ საქმეთა სიიდან), ამდენად სასამართლო ვერ ხედავს ვერანაირ მიზეზს არ გააგრძელოს საქმის არსებითი განხილვა. 289. ზემოთ მოყვანილი მოტივაციის შესაბამისად რუსეთის მთავრობის პრეტენზია წინამდებარე საჩივარის არსებითი განხილვის შეუძლებლობის შესახებ და ამ საქმესთან დაკავშირებით წარმოებული პროცედურის გაუქმების მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს.

## **B. რუსეთის მთავრობის პრეტენზია, ექსტრადირებულ მომჩივანთა მიერ სასამართლოსათვის მიმართვის არარსებობასთან დაკავშირებით**

### *1. მხარეთა არგუმენტები*

290. რუსეთის მთავრობა ამტკიცებს, რომ ექსტრადირებულ მომჩივნებს ევროპის სასამართლისთვის არასდროს მიუმართავთ. პირველ რიგში ეს მტკიცება ემყარება იმ ფაქტს, რომ 2003 წ. 26 აგვისტოს სასამართლომ მიიღო რუსეთის შიდა სასამართლო ინსტანციებში ბ-ნების შამაევის, ვისიტოვის, ხაჯიევის და აზიევის ადვოკატების კუშისკაიას და მოლოჩკოვას წერილები, სადაც ისინი ირწმუნებოდნენ რომ მათი კლიენტებს არასოდეს გაუსაჩივრებიათ კონვენციით გარანტირებული უფლებების დარღვევა და ამავე დროს არ გამოუთქვამთ ევროპის სასამართლოსთვის მიმართვის სურვილი (§241 ზემოთ). მეორეც, მთავრობა ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ რწმუნებულებებში, სადაც მუხაშაფრიამ და ძამუკაშვილმა გააყალბეს ექსტრადირებულ მომჩივანთა ხელმოწერები მოპასუხე მხარედ მოიხსენიება მხოლოდ საქართველო. ამ პირობებში ექსტრადირებულ პირებს ვერ მიენიჭებოდათ განმცახედებელთა კონვენციით გათვალისწინებული სტატუსი ყოველ შემთხვევაში რუსეთის ფედერაციასთან მიმართებაში მაინც.

291. მუხაშაფრია მთავრობის აარგუმენტაციას მისივე წინააღმდეგ იყენებს და პასუხობს, რომ მას ექსტრადიციის სადამოს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ამ მომჩივნებთან ურთიერთობა აეკრძალა, ხოლო შემდგომში კი რუსეთის მთავრობამ არ მისცა მათთან შეხვედრის უფლება. მას მიაჩნია, რომ რუსეთში incommunicado პატიმრობაში მყოფი პირებისათვის საბედისწერო იქნებოდა თუ მოპასუხე მთავრობები არ დაარღვევდნენ მათ უფლებას მიემართათ სასამართლოსათვის.

### **2. სასამართლოს შეფასება**

292. ევროპის სასამართლო მიიჩნევს რომ სტავროპოლის სამხარეო სასამართლო 2003 წ. 14 ოქტომბრისა და 2004 წ. 21 აპრილის გადაწყვეტილებებში რუსეთის ხელისუფლების მსგავსად ირწმუნებოდა რომ შამაევის, ვისიტოვის, ადაევისა და აზიევის ევროპის სასამართლოსთვის არასდროს მიუმართავთ. ხაჯიევმა კი საჩივარი მხოლოდ საქართველოს წინააღმდეგ შეიტანა (იხ წინამდებარე გადაწყვეტილების 29 პუნქტი).

293. ევროპის სასამართლო საგსებით გარკვევით აღნიშნავს, რომ მხოლოდ ის არის კომპეტენტური გადაწყვიტოს კონვენციისა და მისი ოქმების ინტერპრეტაციისა და გამოყენების საკითხი (კონვენციის 32-ე მუხლი), მათ შორის ისიც შეიძლება თუ არა კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით კონკრეტული პირი მიჩნეულ იქნას მომჩივნად და აკმაყოფილებს თუ არა მისი საჩივარი ამავე კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. ხელისუფლების მხრიდან საჩივარის ნამდვილობის ეჭვქვეშ დაყენების შემთხვევაში, იმის შიშით რომ მის ქმედებას შეიძლება მიეცეს კონვენციის 34ე მუხლის საწინააღმდეგო კვალიფიკაცია, მან ეს შეხედულება უნდა გაუზიაროს სასამართლოს და არ უნდა ეცადოს თვითონ გადაწყვიტოს აღნიშნული საკითხი (*mutatis mutandis*, *Tanrikulu c. Turquie* [GC], № 23763/94, 2002 \$ 129, CEDH 1999-IV; *Orhan c. Turquie*, № 25656/94, \$ 409, DH 2002 w. 18 ivnisi).

294. ამ საქმეში სასამართლოს არადამაჯერებლად მიაჩნია რუსეთის მთავრობის ვერსია, მის ხელთ არსებული დოკუმენტები მისი აზრით საპირისპიროს მიუთითებენ.

295. ექსტრადირებულ მომჩივნებთან ერთად დაპატიმრებულმა პირებმა თბილისში დაკითხვის დროს დაადასტურეს, მათი მხრიდან სასამართლოში ექსტრადიციის პროცესის წინააღმდეგ მიმართული საჩივარის შეტანის ფაქტი. (წინამდებარე საჩივარის 121-ე პუნქტი) არ იქნებოდა გონივრული მიგვეჩნია, რომ 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის დამეს იზოლაციის, გაურკვეველობის და შიშის თანაბარ პირობებში მყოფმა პატიმართა ერთმა მაწილმა, კერძოდ ექვსმა პირმა ისურვა მიემართა სასამართლოსთვის, ხოლო დანარჩენმა, რომლებიც მოგვიანებით დაექვემდებარნენ ექსტრადიციას, საჭიროდ არ ჩათვალეს აღნიშნული საკითხის გაესაჩივრება. მით უფრო, რომ სატელევიზიო გადაცემის მსვლელობისას, ის ერთადერთი წყარო საიდანაც მომჩივნებმა შეიტყვეს მათი ექსტრადიციის გარდაუვალობის შესახებ, გახლდათ ზოგადი ხასიათის განცხადება, სადაც ლაპარაკი იყო „რამდენიმე ჩეჩენის“ რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემაზე. ქნმა გაბაიძემ, სატელევიზიო გამოსვლაში, გამორიცხა საქართველოს მოქალაქეების ექსტრადიცია, თუმცა იგი ამაში მთლიანად დარწმუნებული არ ყოფილა. ექსტრადირებულ განმცახდებლებს, რომელთაც რუსეთის მოქალაქეობა ჰქონდათ, აღარ რჩებოდათ არანაირი საფუძველი ეფიქრათ, რომ ეს მათ არ შეეხებოდათ (წინამდებარე საჩივარის 124-ე, 215-ე და 216-ე პარაგრაფები).

296. გარდა ამისა, თვით რუსეთის მთავრობის მიერ 2003 წ. 3 ნოემბერს სასამართლოსათვის გაგზავნილ წერილებში (იხ. წინამდებარე საჩივარის 240-ე პუნქტი), ბ-ნმა შამაევმა არ გამორიცხა, ადვოკატის მიერ მისი სახელით საჩივარის შეტანის შესაძლებლობა. ასევე ადაევი, ხაჯიევი და ვისიტოვი ადასტურებდნენ, რომ საქართველოდან ადვოკატის მეშვეობით მიმართეს სასამართლოს. აზიევს არ დაუწერია ამ სახის წერილი, რადგან მან რუსული წერა-კითხვა არ იცოდა. სამაგიეროდ № 28861/03 (238-ე პუნქტი) საჩივარზე დართულ კორესპონდენციაში მან ორჯერ დაადასტურა საქართველოდან სასამართლოსათვის მისი ექსტრადიციის პროცესის წინააღმდეგ მიმართული საჩივარის შეტანის ფაქტი, ხოლო 2003 წ. 30 ოქტომბრის წერილში მან უარყო რუსეთის მთავრობის არგუმენტი, რომლის მიხედვით მას ეს საჩივარი არასდროს შეუტანია. 2003 წ. 27 ოქტომბერს კი ხაჯიევმა ასევე დაადასტურა რუსეთში მისი

ექსტრადიციის პროცესის გასაჩივრება, რომელიც ყოველგვარი სასამართლო კონტროლის გარეშე განხორციელდა (235-ე და 439-ე პუნქტები).

297. ამ გარემოებებისა და 2002 წ. 3-4 ოქტომბერს საქართველოში და შემდეგ რუსეთში განმცახდებელთა პარიმრობის განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, სასამართლოს ეჭვი არ აქვს, რომ მათ სცადეს ქართული მართლმსაჯულების წინაშე დამცველი ადვოკატების მეშვეობით, (306-308 პუნქტები), გაესაჩივრებინათ მათი რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემა. ამდენად რუსეთის მთავრობის პრეტენზია სასამართლოში ექსტრადირებულ მომჩივანთა საჩივარის არარსებობის შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული.

### **C. პრეტენზია სასამართლოს წინაშე მომჩივანთა წარმომადგენლების არასათანადოდ და არაჯეროვნად წარდგენის შესახებ.**

#### **1. მხარეთა არგუმენტები**

298. რუსეთის ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ქნებს მუხაშაერიას და დამუკაშვილს ჰქონდათ მხოლოდ არაექსტრადირებული მომჩივნების დაცვის უფლება და მხოლოდ საჩივარის იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. იმ რწმუნებულებებში რომლებიც მათ 2002 წ. 9 ოქტომბერს წარმოადგინეს რუსეთი არ იყო მოხსენიებული როგორც მოპასუხე სახელმწიფო (120-ე პუნქტი). ამას გარდა 2003 წ. 22 ნოემბრის რწმუნებათა სიგელებზე არსებული გაყალბებული ხელმოწერების გამო რუსეთი მთავრობა არ სცნობს ამ ადვოკატების უფლებას წარმოადგინონ ხუთი ექსტრადირებული მომჩივანი. ამ მოსაზრებაში იგი ეყრდნობა გრაფოლოგიური ექსპერტიზის შედეგებს (§230 ზემოთ), გარდა ამისა ეს რწმუნებულობები არ იყო დამოწმებული შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების მიერ და ამდენად ბათილი და სამართლებრივ საფუძველსმოკლებული გახლდათ.

299. საქართველოს ხელისუფლებას სამართალწარმოების არც ერთ სტადიაზე სადავო არ გაუხდია ამ რწმუნებულებათა კანონიერება.

300. ქნები მუხაშაერია და დამუკაშვილი თვლიან, რომ რუსეთის ხელისუფლების არგუმენტები დაუსაბუთებელია და რომ მათ აქვთ კანონიერი უფლება სასამართლოში წარმოადგინონ არაექსტრადირებული მომჩივნები. რაც შეეხება ექსტრადირებულ პირებს, წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ ამ მომჩივნების რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემა ნაჩქარევად განხორციელდა და რომ აეკრძალათ რა ყოველგვარი კონტაქტი ადვოკატებთან მათ საშუალება არ მიეცათ შეედგინათ რწმუნებულებები სასამართლოს წინაშე მათივე უფლებების დაცვის მიზნით. ქნებმა მუხაშაერიამ და დამუკაშვილმა ხაზგასმით საჩივარეს, რომ შიდა სასამართლო ინსტანციებში მომჩივანთა ადვოკატებმა გადაწყვეტილება მიიღეს თავიანთი კლიენტების სახელით მიემართათ ევროპის სასამართლოსათვის, მაგრამ ვინაიდან მათ არ იცოდნენ სამართალწარმოების პროცედურა ამიტომ კლიენტების ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით თავიანთი უფლებამოსილებები გადასცეს ზემოხსენებულ

ადვოკატებს (§224 ზემოთ). მუხაშავრიას აზრით ამის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მას არავითარი კავშირი არ ჰქონოდა ექსტრადირებულ განმცახდებლებთან. რუსეთის ხელისუფლებას არ მოეპოვება წარმომადგენელთა სათანადო და ჯეროვანი რწმუნებულებების არარსებობის საწინააღმდეგო საფუძვლიანი არგუმენტაცია

2. სასამართლოს შეფასება

301. უპირველეს ყოვლისა სასამართლო აღნიშნავს, რომ ის ფაქტი თითქოს მის წინაშე მომჩივანთა უფლებების დასაცავად წარდგენილი რწმუნებულებები შედგენილი არ იყო შიდა კანონმდებლობით დადაგენილი წესითა და არც პენიტენციალური დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ იყო დამოწმებული არ ნიშნავს იმას რომ ეჭვი შევიტანოთ ამ დოკუმენტების კანონიერებაში (Khashiger et Akayeva c.Russie(d éc.), ## 57942/00 da 57945/00, 2002 წ. 19 დეკემბერი).

302. მანამდე სასამართლომ, კონვენციის 35-ე (§1 პუნქტი) მუხლის კონტექსტში დაადგინა, რომ საჩივარის დაშვებადობის კრიტერიუმები გარკვეულ წილად უნდა შერბილდეს და არ უნდა ხასიათდებოდეს ზედმეტი ფორმალურობით (Cardot c.France, 1991 წ. 19 მარტის დადგენილება, სერია N° 200, გვ.18, §34). იგივე უნდა მოხდეს მის საგანთან და მიზნებთან მიმართებაშიც (იხ. მაგალითად, ჭორმ ც. უტრიცჰე, 1997 წ. 29 აგვისტოს დადგენილება, განაჩენების და დადგენილებების კრებული 1997-V, გვ.1547, § 33), მსგავსი მიდგომა უნდა შეეხოს ზოგადად კონვენციასაც, რადგან იგი წარმოადგენს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის გარანტიის ხელშეკრულებას, და აქედან გამომდინარე მისი ინტერპრეტაცია და გამოყენება უნდა ხდებოდეს ისეთი სახით, რომ მისი მოთხოვნები უნდა იყოს კონკრეტული და ეფექტური (იხ. მაგალითად, 1998 წ. 2 სექტემბრის დადგენილება, კრებული 1998-VI, გვ. 2429 § 64).

303. მოცემულ შემთხვევაში სასამართლო აღნიშნავს, რომ მუხაშავრია თავის საბოლოო დასკვნებში არ ეწინააღმდეგება რუსული გრაფოლოგიური ექსპერტიზის შედეგებს (230-231-ე პუნქტები) და აცხადებს რომ მას და მის კოლეგას არ ჰქონდათ ექსტრადირებულ მომჩივნებთან დაკავშირების არანაირი საშუალება არც მათი ექსტრადიციის დროს და არც რუსეთში ჩასვლის შემდეგ. მან განმარტა, რომ მომჩივანთა ოჯახის წევრები და ახლობლები გამოძახებულ იყვნენ სადავო რწმუნებულებებზე ხელის მოსაწერად.

304. სასამართლოს აღნიშნავს, რომ 2002 წ. 2 ოქტომბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, 2002 წ. 4 ოქტომბერს მოხდა ხუთი მომჩივნის რუსეთში ექსტრადიცია (72-74-ე პუნქტები) და რომ წინა დღიდან ოთხი მათგანი პატიმრობას იხდიდა თბილისის N° 5 საპრეობილესში სადაც ისინი განცალკევებით იყვნენ განთავსებული (224-ე პუნქტი). მათი ადვოკატებთან შეხვედროდის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული პენიტენციალური დაწესებულების ადმინისტრაციის იმ წარმომადგენელთა მხრიდან, რომლებიც განმარტოებულ საკნებში მათ გამოსაყვანად 4 ოქტომბრის დაახლოებით დილის 4 საათისათვის (124-ე პუნქტი) მივიდნენ. მეხუთე მომჩივანი ადაევი, ექსტრადირებულ იქნა პირდაპირ ციხის ცენტრალური საავადმყოფოდან და როგორც ჩანს სხვა მომჩივნებთან შედარებით ყველაზე ნაკლებ ინფორმირებული იყო (142-ე პუნქტი).



305. რაც შეეხება ქნებს გაბაიძეს, ხიჯაკაძეს და ჩხატარაშვილს, მომხივანთა ადვოკატებს ქართული მართლმსჯელების წინაშე, ისინი არ იყვნენ ინფორმირებულნი კლიენტების ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით და შესაბამისად ვერ მოახდინეს დროული რეაგირება (457-ე პუნქტი), უფრო მეტიც 2002 წ. 4 ოქტომბერს მათ უარი ეთქვათ სასჯელადსრულებით დაწესებულებაში შესვლაზე (224-ე პუნქტი). ქნ გ. გაბაიძემ მომხივნების № 5 საპატიმროდან გაყვანამდე რამდენიმე საათით ადრე გაიგო, რომ ისინი რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისათვის უნდა გადაეცათ. იმის გამო, რომ ვერ შეძლო საჭირო ინფორმაციის მოპოვება (პარაგრაფი 214 ზემოთ) მან სხვა საშუალება გამოიხიზა და ერთ-ერთი სატელევიზიო არხის მეშვეობით გამოაცხადა, რომ მისი კლიენტებიდან „ზოგიერთ მათგანს“ ახლო მომავალში ექსტრადიციის საფრთხე ემუქრებოდათ. მომხივნებმა, რომელთაც თავიანთი საკანში ტელევიზორი ჰქონდათ, ამ გზით შეიტყვეს ეს ახალი ამბავი (პარაგრაფი 455 ქვემოთ).

306. ქნებმა გაბაიძემ, ხიჯაკაძემ და ჩხატარაშვილმა 2002 წ. 4 ოქტომბერს გადაწვიტეს თავიანთი კლიენტების სახელით საჩივართა მიემართათ ევროპის სასამართლოსათვის, ამ მიზნით მათ უფლებამოსილებები გადასცეს ქნებს მუხაშაურიას და ძამუკაშვილს. უფლებამოსილებეთა გადაცემის ეს აქტები მოიპოვება საქმეში და მათი კანონიერება არ გაუსაჩივრებია არცერთ მოპასუხე მთავრობას. თავის მხრივ მუხაშაურიამ და ძამუკაშვილმა ვერ მოახერხეს მომხივნებთან დაკავშირება (224-ე პუნქტი). მათი შემდგომი მცდელობა შეხვედროდნენ რუსეთში ექსტრადირებულ მომხივნებს ასევე მარცხით დასრულდა (226-229-ე პუნქტები).

307. ამგვარად, შამაგვის, აზიევის, ხაჯიევის და ვისიტოვის მიერ სადავო რწმუნებულებებზე ხელმოწერის შეუძლებლობა იმ მომენტიდან, როდესაც მათ ყოველგვარი წვრილმანი დეტალების ცოდნის გარეშე გაიგეს, გარდაუვალი ექსტრადიციის შესახებ დროის იმ მომენტის ჩათვლით, როცა რამდენიმე საათის შემდეგ ისინი უკვე ექსტრადირებულები იყვნენ გამოიწვია ოპერაციის ნაჩქარევმა ხასიათმა და უარმა ქართული პენიტენციალური დაწესებულების ხელმძღვანელთა მხრიდან მოეცადათ დილაძემ და ადვოკატებისათვის მიეცათ მომხივნებთან შეხვედრის უფლება. რაც შეეხება ციხის ცენტრალური საავადმყოფოდან ექსტრადირებულ მომხივანს ბ-ნ ადაევს, საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ ადვოკატების კლიენტებთან დაკავშირების მცდელობა, იმ განსასჯელთა გვარების არ ცოდნის პირობებში, რომელთა ექსტრადიციაც იგეგმებოდა (214-216-ე პუნქტები), უპირველეს ყოვლისა ეხებოდა № 5 საპრეობილში, მყოფ მომხივანთა უმეტესობას, (123-ე პუნქტი). სწორედ ექსტრადიციის თაობაზე არაინფორმირებურობის გამო თვით ადაევს სხვა ექსტრადირებულებისგან განსხვავებით არ მოუთხოვია ადვოკატების დასწრება.

308. ამ პირობების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ექსტრადირებული მოსარჩელებისათვის სადავო რწმუნებულებებზე მათივე ხელმოწერების არარსებობის ბრალად წაყენება, ნიშნავდა მათთვის იგივე დაბრკოლებების შექმნას, რასაც ისინი წააწყდნენ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან მათ ექსტრადიციამდე და რომელთა გადალახვის საშუალება მათ არ გააჩნიათ (449-ე და მომდევნო პუნქტები).

309. ექსტრადიციის შემდეგ აზიევმა პირდაპირ გამნაცხადა, რომ იგი ექსტრადიციის თაობაზე შეტანილ საჩივართან დაკავშირებით მთლიანად მხარს უჭერდა მუხაშაერიას მიერ მისი სახელით განხორციელებულ ყოველგვარ მოქმედებებს (238-ე პუნქტი). რაც შეეხება სხვა ექსტრადირებულ მომჩივნებს მათ საქმეში არაფერი იძლევა იმის საბაზს ვიფიქროთ, რომ ისინი ეწინააღმდეგებოდნენ მუხაშაერიასა და ძამუკაშვილის მხრიდან სასამართლოში მათივე ინტერესების დაცვას ან წარმოდგენილ მოსაზრებათა მნიშვნელობასა და/ან არსს, ასევე მათ მიერ შედგენილ მიმოხილვებს (Ocalan c.Turquie (d éc),# 46221/99, 2000 წ. 14 დეკემბერი ისევე როგორც mutatis mutandis, Ergi c.Turquie 1999 წ. 28 ივლისის დადგენილება, კრებული 1998 –IV, §§ 60-64).

310. მიუხედავად ამისა, ამასთან დაკავშირებით ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, 2003 წ. 17 ივნისს სასამართლომ გადაწყვიტა მიეთითებინა რუსეთის მთავრობისათვის, მისი რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად, მიეცა მუხაშაერიასა და ძამუკაშვილისათვის მოსარჩელებთან შესვლის უფლება (§228 ზემოთ). ეს საშუალებას მისცემდა მოსარჩელებს დაედასტურებინათ თავიანთი სარჩელები სასამართლოს წინაშე, ამავე დროს მათ ექნებოდათ საშუალება დაედასტურებინათ ან უარყოთ ის რომ მათი უფლებები სასამართლოში წარმოედგინათ ქართველ ადვოკატებს. რუსეთია ხელისუფლებამ არ მიიღო ეს დროებითი ზომა და ისევ ეჭვი შეჰქონდა ამ წარმომადგენლობის კანონიერებაში (§§228-230 ზემოთ). გარდა ამისა თვით სასამართლოს არ მიეცა საშუალება ჩაეტარებინა ექსტრადირებულ მოსარჩელების მოსმენა ამ საკითხის და ამ საქმესთან დაკავშირებული სხვა გარემოებების გასარკვევად (§§ 28 და შემდ. ზემოთ).

311. ამგვარად ექსტრადირებულ მოსარჩელეთა წარმომადგენლობის კრიტიკის გარდა თავისი ადვოკატების მხრიდან, რისეთის ხელისუფლებამ არ მოგვცა არანაირი შესაძლებლობა ობიექტურად შეგვემოწმებინა მისი თეორიის საფუძველი, რომელიც ძირითადად მის საკუთარ მოსაზრებებზეა დაფუძნებული. იმის გარდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ასეთი დამოკიდებულება უკვე მოდის წინააღმდეგობაში კონვენციის 34-ე მუხლთან (mutatis mutandis, Tanrikulu c.Turquie უკვე დასახელებულა, §132; იხილეთ აგრეთვე თავი VIII ზემოთ), სახელმწიფოს მხრიდან ამ დებულების შეუძლებლობა არ უნდა აღიქმებოდეს ისე თითქოს მოსარჩელეს ეკარგება უფლება გააგრძელოს თავისი საქმე სასამართლოში. ამ მხრივაც კონვენცია უნდა მიიხნოდეს კონკრეტული და ეფექტური უფლებების გარანტიად და არარაღაც თეორიულს და ილუზიურის (იხ. სხვათა შორის Cruz Varas et autres c.Su éde, 1991 წ. 20 მარტის დადგენილება, სერია A № 201, §99).

312. საქმის სპეციალური გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლომ გამოიტანა დასკვნა, რომ ექსტრადირებული მოსარჩელები იმყოფებოდნენ ძალზე მოწველად სიტუაციაში როგორც საქართველოში, ასევე რუსეთშიც და რომ მათი სარჩელი სასამართლოში სრული უფლებით შეუძლიათ წარმოადგინონ მუხაშაერიამ და ძამუკაშვილმა, რომლებიც თავიდან არ იყვნენ მოსარჩელების ადვოკატები, მაგრამ შექმნილი საგანგებო ვითარებიდან გამომდინარე, ადვოკატებმა რიმლებიც იცავდნენ მოსარჩელეთა ინტერესებს ქვეყნის შიგნით მიმდინარე სასამართლო პროცესებზე გადასცეს მათ ეს უფლებები.

313. რაც შეეხება იმას, რომ რუსეთი არ არის მოხსიენებული როგორც მოპასუხე მხარე იმ უფლებამოსილებებში, რომლებიც არაექსტრადირებულმა მოსარჩელებმა გასცეს მუხაშავრიას და ძამუკაშვილის სახელზე, სასამართლო აღნიშნავს, რომ სარჩელის ფორმულარებში, რომლებიც თარიღდება 2002 წ. 22 ოქტომბრით და შეადგინეს მუხაშავრიამ და ძამუკაშვილმა მოსარჩელების ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოც და რუსეთიც მოიხსენებიან როგორც მოსარჩელე მხარეები (§14 ზემოთ), იმისათვის, რომ მთლიანობაში დაედასტურებინათ მათი სარჩელის არსებობა მთელი პროცედურის განმავლობაში არაექსტრადირებულმა მოსარჩელებმა წარმოადგინეს მათი ხელით დაწერილი წერილები, მოსაზრებები და სხვა დოკუმენტები ამ ადვოკატების საშუალებით. გარდა ამისა ევსმა მათგანმა, რომელთა მოსმენა ჩატარდა თბილისში სასამართლოს დელეგაციის მიერ, დაადასტურეს, რომ მუხაშავრიას და ძამუკაშვილის დახმარებით მათ წარადგინეს სარჩელი სასამართლოში როგორც საქართველოს, ასევე რუსეთის წინააღმდეგ (და/ან კონწურაშვილის მეშვეობით; პარაგრაფი 121 ზემოთ). არაექსტრადირებულ მოსარჩელებს არასდროს მოუთხოვიათ სხვა ადვოკატები მათი უფლებების დასაცავად სარჩელის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული.

314. ამ პირობებში სასამართლოს ეჭვი არ გააჩნია, რომ სარჩელის შემოტანის დროს ისევე როგორც შემდგომში არაექსტრადირებულ მოსარჩელებს ყოველთვის გქონდათ სურვილი, რომ სასამართლოს წინაშე მათი უფლებები წარმოედგინათ მუხაშავრიას და ძამუკაშვილს მათი სარჩელის ორივე ნაწილში, რომელიც მიმართულია ორივე მოპასუხე სახელმწიფოს წინააღმდეგ.

315. რუსეთის ხელისუფლების პროტესტი იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელეთა დაცვის მხარე სათანადო ფორმით არ იყო წარმოდგენილი ამ დროიდან მოყოლებული მოხსნილი უნდა იქნეს.

## **II. საქართველოს მხრიდან კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების დადასტურებული დარღვევის შესახებ**

316. მოსარჩელეთა წარმომადგენლები ასაჩივრებენ იმას, რომ დაირღვა აზიების უფლება სიცოცხლეზე. მათ მიაჩნიათ, რომ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების მოთხოვნების საწინააღმდეგოდ საქართველოს ძალაუფლების წარმომადგენლებმა ექსტრადირებული მოსარჩელები დააყენეს რუსეთში სასუკვილო განაჩენის გამოტანის, გაუსამართლებლად სიკვდილის დასჯის და ცუდი მოპყრობის რისკის წინაშე. რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემის შემთხვევაში სხვა მოსარჩელებიც იგივე ბედს გაიზიარებდნენ. გარდა ამისა, 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის დამეს მოსარჩელები ისეთი მოპყრობის ობიექტები გახდნენ, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს.

317. კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები ასე იკითხება:

### **მუხლი 2**

“1. ადამიანის უფლება სიცოცხლეზე დაცული იქნება კანონის მიერ. არავის სიცოცხლეზე არ შეიძლება იყოს განზრახ ხელყოფილი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სრულდება

სასამართლოს გადაწყვეტილება პიროვნების დამნაშაველ აღიარების შემდეგ და როცა ასეთ სასჯელს ითვალისწინებს კანონი.

2. სიცოცხლის წართმევა არ ჩაითვლება ამ მუხლის საწინააღმდეგო ქმედებად, თუ იგი წარმოადგენს ძალის გამოყენების შედეგს, რომელიც არ სცილდება საჭიროების ფარგლებს;

ა) ნებისმიერი პიროვნების უკანონო ხელყოფისაგან დასაცავად;

ბ) რათა მოხდეს კანონიერი დაპატიმრება, ან აღიკვეთოს კანონიერად დაკავებული პირის გაქცევა;

გ) ამბოხებისა და ჯანყის ჩასახშობად კანონიერად მიღებული ზომების დროს.

### მუხლი 3

“არავინ არ შეიძლება გახდეს წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის მსხვერპლი”.

#### A. რაც შეეხება აზიევის დადასტურებულ სიკვდილს

318. მოსარჩელეთა წარმომადგენლების მიხედვით აზიევი გარდაიცვალა საქართველოში ან რუსეთში მისი ექსტრადიციის დროს. ადვოკატები თავიანთ მოსაზრებაში ძირითადად ეყრდნობიან მოსარჩელეთა მტკიცებებს, რომლებიც მათ მოისმინეს თბილისში ჩატარებული სასამართლო პროცესის დროს (§§ 125 და 135 ზემოთ), ისევე როგორც „ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩკერიის საგარეო საქმეთა მინისტრის” განცხადებას. გარდა ამისა მათ საეჭვოდ მიაჩნიათ, რომ აზიევი არ ჩანს ჩანაწერში, რომელიც გადაღებულია თბილისის აეროპორტში მოსარჩელების რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემის მომენტში. რუსეთის ხელისუფლებისათვის გადაცემის მომენტში რუსეთის ხელისუფლების მიერ 2003 წ. 15 სექტემბერს წარმოდგენილი მისი სურათი ასევე ეჭვებს იწვევს (§125 ზემოთ).

319. რუსეთის ხელისუფლება უარყოფს ამ მოსაზრებას და ამტკიცებს, რომ აზიევი ცოცხალი და ჯამრთელია. მან წარმოადგინა აზიევის სურათები მისი ექსტრადიციის შემდეგ, რომლებსაც თან ერთვის სამედიცინო დასკვნები. მოსარჩელეთა წარმომადგენლებს ეს საბუთები არასაკმარისად მიაჩნიათ, იმ დროს როდესაც საქართველოს ხელისუფლება რუსეთის ხელისუფლების თეორიას იზიარებს.

320. სასამართლო აღნიშნავს, რომ აზიევი მართლაც არ ჩნდება ქართველი ჟურნალისტების მიერ 2002 წ. 4 ოქტომბერს თბილისის აეროპორტში გადაღებულ კადრებში (პარაგრაფი 74 ზემოთ). ისინი ასევე მიუთითებენ იმაზე, რომ მისი ექსტრადიციიდან რამდენიმე თვის შემდეგ აზიევი ქალაქ A-ს საგამოძიებო იზოლატორში სხვა მოსარჩელებთან განცალკევებით იხდიდა სასჯელს. 2003 წ. აგვისტოს შემდეგ იგი ქალაქ B-ს იზოლატორში იმყოფებოდა სხვა მოსარჩელებთან ერთად (§§ 53 და 242 ზემოთ). თუმცა რუსეთის ხელისუფლების მიერ გადაღებულ კადრებში, რომელიც რუსეთის მთავრობამ წარმოადგინა 2004 წ. 25 თებერვალს, აზიევი თავის საკანში არ ჩანს: სხვა ექსტრადირებული მისარჩელებისგან განსხვავებით მას უარი უთქვამს გადაღებაზე (§109 ზემოთ). სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ სხვა მოსარჩელებისგან განსხვავებით რუსეთის ხელისუფლების მიერ 2003 წ. 15 სექტემბერს წარმოდგენილ აზიევის ერთადერთ სურათზე აზიევი შორიდან მოჩანს. ამ გარემოებების გათვალისწინებით და იმია გამო, რომ შეუძლებელი გახდა მოსარჩელების წარმომადგენლებისთვის ისევე როგორც

სასამართლოსთვის რუსეთში ექსტრადირებულ მოსარჩელებთან შეხვედრა (§§ 49 და 227-229 ზემოთ) სასამართლოს კანონიერად მიაჩნია ადვოკატების ეჭვი და შიში აზიევის ბელთან დაკავშირებით 2002 წ. 4 ოქტომბრის შემდეგ.

321. ამავე დროს სასამართლოს ხელთ არსებული დოკუმენტები არ იძლევიან იმ დასკვნის საშუალებას, რომ აზიევი მოკვდა რუსეთში ექსტრადიციამდე ან მის შემდეგ. სახელდობრ, რუსეთის ხელისუფლების მიერ 2002 წ. 23 ნოემბერს წარმოდგენილ სურათზე, რომელზეც მისი თქმით აზიევი იყო გამოსახული ქალაქ A-ს იზოლატორში გადაყვანის შემდეგ თბილისში მოსმენილმა მოსარჩელებმა ერთხმად ამოიცნეს. მათთან ერთად პატიმრობაში მყოფი ჰუსეინ აზიევი (§ 19 ზემოთ). გელოგაევის ეჭვი თითქოს ეს აზიევის სურათი არ უნდა ყოფილიყო მისი ექსტრადიციის შემდეგ (§125 ზემოთ) არ მტკიცდება არანაირი საბუთით. რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა სამედიცინო დასკვნების მიხედვით (§§246 და 252 ზემოთ) სხვა ექსტრადირებული მოსარჩელებისგან განსხვავებით აზიევს არასდროს დაუჩივლია თავის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით და მისი ექსტრადიციის შემდეგ არასდროს უთხოვია სამედიცინო დახმარება. ექიმები, მათ შორის სამოქალაქო საავადმყოფოს ექიმებიც მის მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებდნენ.

322. გარდა ამისა, 2003 წ. 19 აგვისტოს აზიევმა ტიმიშევის საშუალებით სასამართლოს მიმართა ახალი სარჩელით, რომელიც მხოლოდ რუსეთის წინააღმდეგ იყო მიმართული (Aziev c.Russie, # 28861/03). თუ სასამართლოსთან თავის კორესპონდენციაში ამ სარჩელთან დაკავშირებით აზიევმა დაადასტურა, რომ მიმართა სასამართლოს სარჩელით მის რუსეთში ექსტრადიციასთან დაკავშირებით, მას არასდროს წარმოუდგენია საჩივარი ცუდ მოპყრობასთან დაკავშირებით, რომელიც მან თითქოს და განიცადა მისი ექსტრადიციის დროს ან მისი რუსეთში ჩასვლის დროს (პარაგრაფი 238 ზემოთ). გარდა ამისა არ არსებობს არანაირი მიზეზი იმისათვის, რომ ვიფიქროთ, რომ აზიევის სარჩელი მისი სახელით სიკვდილის შემდეგ იყო წარმოდგენილი.

323. გამოთქმულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ აზიევის უფლებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

## **B. რაც შეეხება სასიკვდილო განაჩენის გამოტანის და ცუდად მოპყრობის საშიშროებას ექსტრადიციის შემდეგ**

### *1. მხარეთა ვერსიები*

324. საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ 2002 წ. 2 ოქტომბრის გადაწყვეტილება არ იყო ნაჩქარევად მიღებული და რომ ის დათანხმდა მხოლოდ ხუთი ადამიანის ექსტრადიციას, რომელთა ვინაობის დადგენა რეალურად შესაძლებელი გახდა. სხვა რვა მოსარჩელესთან დაკავშირებით მასალების არასაკმარისობის გამო საქართველოს ხელისუფლებამ არ დაუთმო რუს კოლეგებს. მიუხედავად იმისა, რომ მათი მხრიდან იყო დაუჩინებელი მოთხოვნა და დაწოლა. საქართველოს ხელისუფლება მოქმედებდა სასამართლოს მიერ დადგენილი მათელმსაჯელობის შესაბამისად, რომლის

მიხედვით ქვეყანას, საიდანაც ხდება პიროვნების ექსტრადიცია, აქვს მოვალეობა დარწმუნდეს, რომ ექსტრადირებული პიროვნება არ გახდება ისეთი მოპყრობის ობიექტი, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს. სანამ გადაწყვეტდა ხუთი მოსარჩელის ექსტრადიციას გენერალურმა პროკურატურამ გააკეთა ყველაფერი რათა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებისგან მიეღო მაქსიმალური და მტკიცე გარანტიები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ პიროვნებებს არ გამოუტანდნენ სასიკვდილო განაჩენს, არ აწამებდნენ, არ მოექცეოდნენ მათ არაადამიანურად და არ შეურაცხდნენ მათ ადამიანურ ღირსებას. მისი სიტყვების დასადასტურებლად მას მოჰყავს რუსეთის გენერალური პროკურატურის წერილები, რომლებიც თარიღდებიან 2002 წ. 26, 27 აგვისტოთი და 27 სექტემბრით (§§ 68 და შემდ. ზემოთ). ამ წერილებით, გარანტიების გარდა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ მისი რუსი კოლეგებისგან ასევე მიიღო სიტყვიერი ვალდებულებები. ექსტრადიციაზე გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში მიიღებოდა ის ფაქტი, რომ რუსეთი იყო ევროპის საბჭოს წევრი, რომ 1996 წლიდან ამ ქვეყანაში მოქმედებდა მორატორიუმი სიკვდილით დასჯაზე, ისევე როგორც 1999 წ. 2 თებერვლის რუსეთის საკონსტიტუციო დადგენილება. გარდა ამისა რუსეთის ხელისუფლებას ეთხოვა გაადვილებულიყო წითელი ჯვრის წარმომადგენლების შესვლა ექსტრადირებულ მოსარჩელებთან საპატიმროში, სადაც ისინი იხდიდნენ სასჯელს.

325. შემდგომში ყველა ეს გარანტია შეფასდა სარწმუნოდ და საკმარისად რათა მოსარჩელებმა დაცულ ყოფილიყვნენ იმ მოპყრობასთან, რაც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს. სახელდობრ, რომ არცერთ მათგანს არ მიუსჯიდნენ სიკვდილს, მათ მიმართ არ იქნებოდა გამოყენებული არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა და მათთან მართლაც დაუშვებდნენ წითელი ჯვრის წარმომადგენლებს.

326. თავის სიტყვიერ გამონათქვამებში საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ მსრგიშვილი და კუშტანაშვილი არ იქნებოდნენ ექსტრადირებული რუსეთში მათი საქართველოს მოქალაქეობიდან გამომდინარე. მიმდინარეობდა ხაჩიევის ვინაობის დადგენა ისევე როგორც გელოგაევის ლტოლვილის სტატუსის შემოწმება (§88 ზემოთ) და მათი ექსტრადიციის საკითხი გადაწყდებოდა ამ პროცედურების შედეგების მიხედვით. რაც შეეხება ისაევს, ხანჩუკაევსა და მაგომადოვს, მათი საქმე ხელახლა განიხილება მის შემდეგ რაც რუსეთის ხელისუფლება ექსტრადიციის მოთხოვნის დასასაბუთებლად გამოგზავნის ყველა საჭირო დოკუმენტს.

327. რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ მოსარჩელებს სიკვდილით დასჯას არ მიუსჯიან, რადგან 1999 წ. 2 თებერვლის საკონსტიტუციო დადგენილების თანახმად რუსეთის ფედერაციის არცერთ ერთეულში სასამართლოს არ შეუძლია გამოუტანოს პიროვნებას სასიკვდილო გადაწყვეტილება (§262 ზემოთ). ის შეახსენებს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ თავის ქართველ კოლეგას ექსტრადიციის მოთხოვნის მხარდასაჭერად იგივე გარანტიები მისცა და აიღო ვალდებულებები, რომ მოსარჩელებს მიმართ არ იქნებოდა გამოყენებული ისეთი მოპყრობა, რაც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს. მართლაც, ექსტრადირებული მოსარჩელების პატიმრობის პირობები შეესაბამებოდნენ ამ დადგენილების მოთხოვნებს. ამას ადასტურებენ რუსეთის

სატელევიზიო არხების RTR, ORT და NTV-ს ჟურნალისტებიც, რომლებიც საპატიმროს ესტუმრნენ. შედგა ინტერვიუ მოსარჩელებთან. ხელისუფლებამ წარმოადგინა რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილის წერილი დათარიღებული 2002 წ. 18 ოქტომბრით, რომლის მიხედვით ექსტრადირებული მოსარჩელები “ცოცხლები და ჯანმრთელები იყვნენ” ისინი პატიმრობაში ჰყავდათ სტავროპოლის მხარის წინასწარი გამოძიების ერთერთ იზოლატორში, კანონით გათვალისწინებულ პირობებში”.

328. მოსარჩელების წარმომადგენლები ამტკიცებდნენ, რომ მოსარჩელები არ შეიძლება ყოფილიყვნენ “ჯანმრთელი” რუსეთში ჩამოსვლისას და მიაჩნიათ, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ 2002 წ. 14 ნოემბერს წარმოდგენილი სამედიცინო დასკვნები (§§ 245 და შემდგომით) ფარავენ იმ ჭრილობებს, რომლებიც გამოწვეული იყვნენ 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის ღამეს ქართული სპეცმანიშნულების რახმის ჩარევით. მათ მიაჩნიათ, რომ მოსარჩელების რუსული მხარისათვის გადაცემის გამო “საქართველოც გახდა პასუხისმგებელი ჩეჩენი ხალხის გენოციდის საქმეში”.

329. გარდა ამისა მოსარჩელების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ ქართველი კოლეგებისათვის მიცემული გარანტიებს არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ ხოლო სასამართლოს წინაშე რუსეთის ხელისუფლების მიერ აღებული ვალდებულებები მხოლოდ ხელმოწერილი დოკუმენტია. ისინი შეახსენებენ, რომ შ-მ თავის ერთერთ განცხადებაში აღიარა, რომ რუსეთი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, რომლებსაც ხელს აწერს (§267(ე) ზემოთ). მათი შეხედულებით საქართველოს ხელისუფლება სულაც არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ რუსეთის მხრიდან მიღებული გარანტიებს რეალურად რაიმე აზრი ჰქონდა. პირიქით, ის აქტიურად თანამშრომლობდა თავის რუს კოლეგებთან ექსტრადიციის გასაადვილებლად. სახელდობრ, საქართველოს ხელისუფლებამ მათ გაუგზავნა მოსარჩელეთა სურათები, რომლებიც შემდეგ გამოიყენეს მათი ექსტრადიციის მოთხოვნის დასასაბუთებლად და ასევე შეატყობინა მათ, რომ მოსარჩელებს ვინაობა ჰქონდათ შეცვლილი. ასეთი დახმარების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ თავის მხრივ კარგად ჩამოაყალიბა ექსტრადიციის მოთხოვნა და ამ ცვლილებების მიხედვით შეცვალა მოსარჩელეთა სახელები. საქართველოს ხელისუფლებამ კარგად ვერ შეაფასა რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მოსარჩელეთა ბრალდების პოლიტიზირებული ხასიათი და რომ ისიც აშკარად მონაწილეობდა სადავო ექსტრადიციის პროცედურაში. მას არ მოუთხოვია ამ ბრკოლებების დამადასტურებელი საბუთები. წერილები, რომლებსაც ეყრდნობა საქართველოს ხელისუფლება (§324 ზემოთ), არ შეიცავენ გარანტიებს, რომ მოსარჩელებს სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანდნენ. აქ მხოლოდ რწმუნებაა იმისა, რომ რუსეთში მოქმედებს მორატორიუმი.

330. ის რასაც რუსეთის მთავრობამ მორატორიუმის კვალიფიკაციას აძლევს სინამდვილეში არის პრეზიდენტ ელცინის 1996 წ. 16 მაისის ბრძანებულება “სიკვდილით დასჯის თანდათანობით გაუქმების შესახებ” (§261 ზემოთ). ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ეს ბრძანებულება არანაირად არ ეხება მორატორიუმის საკითხს, იგი უბრალოდ მთავრობას სთხოვს შეიმუშაოს “ფედერალური კანონის პროექტი რუსეთის ფედერაციის №6 პროტოკოლთან [კონვენციის] შეერთების შესახებ”. ისინი შეახსენებენ, რომ ბრძანებულება არ

აცხადებს სიკვდილით დასჯის გაუქმებას ან მისი მოქმედების შეჩერებას. ამგვარად საქმე ეხება არა მორატორიუმს არამედ დროებით ზომას სიკვდილით დასჯის გამოყენების ადმინისტრირებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება 1999 წ. 2 თებერვლის საკონსტიტუციო დადგენილებას, არც ის არ ითვალისწინებს სიკვდილით დასჯის აკრძალვას (§262 ზემოთ), არამედ იგი ითვალისწინებს ამ სასჯელის გამოყენების შეჩერებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩამოყალიბებამდე 2007 წ. 1 იანვრისთვის (პარაგრაფი 265 ზემოთ), ამ თარიღის შემდეგ სიკვდილით დასჯა ისევ იქნება გამოყენებული რუსეთში.

331. რაც შეეხება ცუდი მოპყრობის ფაქტებს, რომელიც რუსეთის ხელისუფლების ორგანოები მომართავენ ჩეჩნეთი წარმოშობის მამრობითი სქესის პიროვნებების მიმართ, ადვოკატები გამოირიცხავენ იმას, რომ გადაქვევტილების მიღების მომენტში საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ არ იცოდა ამ დარღვევების სისტემატური ხასიათის შესახებ. ამასთან დაკავშირებით მათ მოჰყავთ CPT-ს საჯარო განცხადებები, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუციები (2003), უმან ლიგპტს ჭატცპ-ის მოხსენებები მნესტე ინტერნაციონალ-ის 2004 წ. ანგარიში, გაეროს მაღალი კომისრის მოხსენებები და გაეროს სპეციალური წარგზავნილის მოხსენება წამების შესახებ. ზოგიერთი მოხსენება ჩამოთვლილია ზემოთ (§§ 267, 268 და 270). ადვოკატებს მიაჩნათ, რომ უმან ლიგპტს ჭატცპ-ის დასკვნების მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია ჭელცომე ტო ელლ-ში (§268 ზემოთ) ექსტრადირებული მოსარჩევეების სრული იზოლაცია “სტავროპოლის მხარის ერთერთ საგამოძიებო იზოლატორში” სერიოზულ ეჭვს ბადებს იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ექცევიან მათ ამ დაწესებულებებში.

## 2. სასამართლოს შეფასება

332. სასამართლო აღინაშნავს, რომ დანაშაულები რომლებიც რუსეთის მთავრობა ბრალს დებს მოსარჩევეებს რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 317-ე მუხლის შესაბამისად ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას თორმეტიდან 20 წლამდე, მუდმივ პატიმრობას ან სიკვდილით დასჯას (§260 ზემოთ). მოსარჩევეთა უმეტესობის ასაკი მერყეობს 22 დან 31 წლამდე. სასიკვდილო გადაწყვეტილება რუსეთში არ არის გაუქმებული, მაგრამ რუსეთის სასამართლოები დღეისათვის თავს იკავებენ მის შესრულებაზე. სასამართლო შეახსენებს, რომ კონვენციის №13 პროტოკოლი არ არის ხელმოწერილი რუსეთის მიერ, ხოლო მის მიერ 1996 წ. 16 აპრილს ხელმოწერილი №6 პროტოკოლი არ არის რატიფიცირებული მის მიერ. რამდენადაც მის ხელთ არსებული დოკუმენტები იძლევიან ამის საშუალებას (§107 ზემოთ), სასამართლო აღინაშნავს, რომ შამაევის, ადაევის, ხაჯიევის და ვისიტოვის, ოთხი ექსტრადირებული მოსარჩევეებისთვის, პირველი ინსტანციის სასამართლოს სასიკვდილო გადაწყვეტილება არ გამოუტანია. იგივე ეხება ხაჯიევს (ელიხაჯიევი, მულკოევი) და ბაიმურაზაევს (ალხანოვი), რომლებსაც 2004 წ. 14 სექტემბერს და 11 ოქტომბერს ჩეჩნეთის უზენაესმა სასამართლომ მიუსაჯა 13 და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა (§106 ზემოთ).



## ა) ზოგადი პრინციპები

333. ხელშეკრულების ხელმომწერ სახელმწიფოს, რომელსაც აქვს რატიფიცირებული №6 პროტოკოლი და რომელიც არ შეუერთდა №13 პროტოკოლს აქვს უფლება გამოიყენოს სიკვდილით დასჯა გარკვეულ პირობებში კონვენციის მუხლი 2§2-ის შესაბამისად. ასეთ შემთხვევებში სასამართლო ცდილობს გაერქვიოს არის თუ არა სიკვდილით დასჯა ცუდი მოპყრობა, რომელიც იკრძალება კონვენციის მე-3 მუხლით. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ მე-3 მუხლი არ შეიძლება პრინციპში განიხილებოდეს როგორც სასიკვდილო განაჩენის ამკრძალავი (შოერინგ ც. ლოყაუმე-ნი, 1989 წ. 7 ივლისის დადგენილება, სერია №161, §§ 103-104), რადგან ამ შემთხვევაში სრულიად გაუქმებოდა მუხლი 2§1-ის ნათლად ჩამოყალიბებდა ტექსტი. ამავე დროს აქედან არ გამომდინარეობს, რომ გარემოებებმა რომლებიც თან ახლავს სასიკვდილო განაცენს არ შეიძლება წარმოქმნან პრობლემა, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის კომპეტენციაში შევა. მართლაც აქ მნიშვნელობა აქვს თუ რა სახით იქნა შეფარდებული ან გამოყენებული სასჯელის ეს ზომა, ასევე მნიშვნელოვანია სიკვდილმისჯილის პიროვნება, დისპროპორცია დანაშაულის სერიოზულობისა და შეფარდებულ სასჯელს შორის, პატიმრობის პირობები, რომლებშიც ამყოფებენ დამნაშავეს სასჯელის აღსრულებამდე, ამავე დროს წამება და ცუდი მოპყრობა, ყველაფერი ეს ისეთი ხასიათის დარღვევებია რასაც ითვასისწინებს მე-2 მუხლი (Soering, ადრე დასახ., §104). ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოების დამოკიდებულება სიკვდილით დასჯასთან დაკავშირებით, სხვათა შორის შედის სათვალავში იმის შესაფასებლად სცილდება თუ არა ეს ტანჯვის ან დამცირების მისაღებ ზღვარს (Poltoratskiy c. Ukraine, #38812/97, § 133, CEDH 2003-V). სასამართლომ ასევე მიაჩნია, რომ დაინტერესებული პირის სიახალგაზრდავე ეს უკვე ის გარემოებია, რომელიც სხვა გარემოებებთან ერთად, რომლებიც თან ახლავს სიკვდილით დასჯას საექტოს ხდის მის შეთავსებადობას მე-3 მუხლთან (Soering, ადრე დასახ., §§ 103-108).

334. სასამართლოს იურისპრუდენციის მიხედვით ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებს, საერთაშორისო სამართლის პრინციპების თანახმად და ამავე დროს ხელშეკრულებებიდან, მათ შორის კონვენციიდან გამომდინარე მისი ვალდებულებების დარღვევის გარეშე, აქვთ უფლება აკონტროლონ სხვა ქვეყნის წარმომადგენლების ქვეყანაში შემოსვლა, ცხოვრება და ქვეყნიდან გასვლა. სასამართლო ასევე რწმუნავს, რომ არც კონვენცია და არც მისი პროტოკოლები ითვალისწინებენ პოლიტიკური თავშესაფრის უფლებას (უბარი ც.თურქუიე, №40035/98, § 38, ჩ 2000-VIII; Vilvarajah et autres c. Royaume-Uni, 1991 წ. 30 ოქტომბრის დადგენილება, სერია A №215, §103).

335. მიუხედავად ამისა, სასამართლო მუდმივად იმეორებს, რომ ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება არ გაუკეთონ ექსტრადიცია ან არ გააგდონ დაინტერესებული პირი, თავშესაფრის მთხოვნელის ჩათვლით, რომელიმე ქვეყანაში როდესაც არსებობს სერიოზული მოტივები იმისა, რომ მას ემუქრებოდეს რეალური საშიშროება მოექცენ ისე, რომ ეს ეწინააღმდეგებოდეს კონვენციის მე-3 მუხლს (Chahal c. Royaume-Uni, 1996

წ. 15 ნომბრის დადგენილება, კრებული 1996-V, გვ.1853, §§ 73-74; Soering, ადრე დასახ., გვ. 35, §§ 88-91; Cruz Varas et autres, ადრე დასახ., გვ. 28, §§ 69-70). სასამართლომ უკვე საჩივარა მტკიცედ და ნათლად, რომ მას კარგად ესმის რა უზარმაზარ სირთულეებს აწყდებიან ჩვენს დროში სახელმწიფოები მათი მოსახლეობის ტერორისტული ძალადობისგან დასაცავად (Chahal, ადრე დასახ., გვ. 1853, §79). მიუხედავად ამისა, ამ ფაქტორების გათვალისწინებით, კონვენცია სრულიად კრძალავს ისეთ მოპყრობას რაც ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს, როგორც არ უნდა იყოს მსხვერპლის მიერ ჩადენილი ქმედება ( .ც. ლოყაუმენი, 1997 წ. 2 მაისის დადგენილება, კრებული 1997-III, §§ 47 და 48; H.L.R.c.France, 1997 წ. 29 აპრილის დადგენილება, კრებული 1997-III, § 35). გარდა ამისა, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები არ ითვალისწინებენ შეზღუდვებს, ხოლო მე-15 მუხლის შესაბამისად სახელმწიფო საშიშროების შემთხვევაშიც კი, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს ერის სიცოცხლეს არ შეიძლება მისი დებულებებიდან გადახვევა (Islande c. Royaume-Uni , 1978 წ. 18 იანვრის დადგენილება, სერია A, № 25, გვ. 65, §163; Tomasi c.France, 1992 წ. 27 აგვისტოს დადგენილება, სერია №241-A, გვ.42, §115).

336. სასამართლო შეახსენებს, რომ იმის განსაზღვრისათვის არსებობს თუ არა სერიოზული და დადასტურებელი მოტივები იმის საფიქრელად, რომ პიროვნებას ემუქრება ნამდვილი საშიშროება იმისა, რომ მისი ექსტრადიციის შემთხვევაში მას მიეპყრობიან ისე რომ ეს შეუთავსებელი იქნება მე-3 მუხლთან, იგი იღებს მკაცრ კრიტერიუმებს და ეყრდნობა მთლიან მონაცემებს, რომლებიც მას მიაწოდეს, ან საჭიროების შემთხვევაში თვითონ მოიპოვებს მათ (Vilvarajah et autres, adre dasax., gv. 36, §§ 107 და 108; Islande c. Royaume-Uni ადრე დასახ., გვ. 64, §160).

337. რისკის არსებობის შესაფასებლად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გავერკვეთ რამდენად იცნობდა ექსტრადიციის მომხრენი ქვეყანა ვითარებას, რომელიც არსებობდა ექსტრადიციის მომენტში, ამავე დროს ეს ხელს არ უშლის სასამართლოს გაითვალისწინოს დამატებითი ცნობები; ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ მოქმედების წესის დასადასტურებლად ან უარყოფათ, რომელსაც მიმართა მოლაპარაკებაში მონაწილე მხარემ მოსარჩელის შიშის საფუძვლიანობის განსაზღვრის დროს (Cruz Varas et autres, ადრე დასახ., გვ. 30, §76). თუ ასეთი პასუხისმგებლობის დასადგენად, შეუძლებელია არ შეაფასო დანიშნულების ქვეყანაში არსებული სიტუაცია მე-3 მუხლის მოთხოვნების კუთხით, ასე არ არის იმ შემთხვევაში როდესაც უნდა დადგინდეს ან დადასტურდეს ამ ქვეყნის პასუხისმგებლობა ზოგადი საერთაშორისო სამართლის მეშვეობით, კონვენციის ან სხვათა შესაბამისად. როდესაც პასუხისმგებლობის საკითხი განიხილება კონვენციის ფარგლებში მაშინ ეს პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყანას, რომელმაც მოახდინა ექსტრადიცია, რომლის პირდაპირი შედეგია ის რომ პიროვნება ცუდი მოპყრობის საფრთხის წინაშე დადგა (Mamatkulov et Askarov c.Turquie [GC], ## 46827/99 et 46951/99, § 67, CEDH 2005-...; Soering, ადრე დასახ., გვ. 35, §§ 89-91).

338. აქვე უნდა გავიხსენოთ, რომ იმისათვის რომ მუხლი 3-ის მოქმედების ქვეშ მიექცეს ცუდი მოპყრობა, წამების ჩათვლით, უნდა აღწევდეს სერიოზულობის მინიმუმს იმისათვის, რომ წამება ან ცუდი მოპყრობა, რომელიც წამებას თან ახლავს იყოს “არაადამიანური” ან “დადამცირებელი”, ტანჯვა ან

დამცირება უნდა სცილდებოდეს იმ საზღვრებს რაც გარდაუვალი ფორმის კანონიერი სასჯელის აღსრულების დროს (Tyrer c. Royaume-Uni, 1978 წ. 25 აპრილის დადგენილება, სერია № 26, §§ 29-30). ამ მინიმუმის შეფასება თავისი არსით შედარებითია; იგი დამოკიდებულია საქმის მონაცემების მოლიანობაზე და ამავე დროს მოპყრობის ან წამების ხასიათისა და კონტექსტზე და მათი შესრულების ფორმებზე, მის ხანგრძლივობაზე მის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ შედეგებზე (Soering, ადრე დასახ., გვ.39, §100). სამხილის შესაფასებლად სასამართლო იღებს დამამტკიცებელი საბუთის ისეთ კრიტერიუმს, რომელიც გონივრების ფარგლებში არსებულ ეჭვს სცილდება (Islande c. Royaume-Uni, adre dasax., გვ.64-65, § 161; Anduelova c.Bulgarie, №38361/97, §111, CEDH 2002-IV). “გონივრულობის ფარგლებში არსებული ეჭვი” ეს არის ეჭვი, რომელიც წმინდა თეორიულ შესაძლებლობასთან გამოჭვეუელია იმით, რომ თვითონ უნდათ აიცილონ არასასიამოვნო დასკვნა; ეს არის ეჭვი რომლის მიზეზები შეიძლება გამომდინარეობდნენ წარმოდგენილი ფაქტებიდან (“L’Affaire grecque” სარჩელი №№ 3321/67, 3322/67, 3323/67 და 3344/67, კომისიის დასკვნა, 1969 წ. 5 ნოემბერი, ყოველწლიური 12, გვ. 13, § 26, ისევე როგორც (mutatis mutandis, Naumenko c.Ukraine, № 42023/98, §109, 2004 წ. 9 თებერვალი), ცუდი მოპყრობის მამხილებელი საბუთი შეიძლება გამომდინარეობდეს სამხილთა რაოდენობასთან, ან უდავო, საკმაოდ სერიოზულ, ზუსტი და დადასტურებული ვარაუდებიდან.

339. და ბოლოს სასამართლო საზგასმით აცხადებს, რომ პრინციპში მისი დასადგენი არ არის კონვენციის შესაძლო დარღვევა არდარღვევის საკითხი (Soering, ადრე დასახ., § 90). იმისათვის, რომ პრობლემა მიექცეს მე-3 მუხლის განხილვის სფეროში, დადგენილ უნდა იქნეს საქმის განსაკუთრებული გარემოებები და ის რომ მოსარჩელებს მართლაც ემუქრებოდათ საშიშროება, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში, მათ მიმართ მოპყრობა წინააღმდეგობაში იქნებოდა მე-3 მუხლთან.

## **ბ) ამ პრინციპების გამოყენება არსებულ შემთხვევაში**

### **i) 2002 წ. 4 ოქტომბერს ხუთი მოპასუხის ექსტრადიციის შესახებ**

340. სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისში მოსმენილი მოსარჩელებმა გამოხატეს მათი შეშფოტება რუსეთში ექსტრადიციასთან დაკავშირებით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ იგივე შეშფოტებას იზიარებდა სხვა დანარჩენი შვიდი მოსარჩელეც, რომელიც სასჯელს რუსეთში იხდის (§§ 129, 132, 136 და 142 ზემოთ). ჩენეთის რესპუბლიკაში ადგილობრივ მოსახლეობაზე ძალადობის გათვალისწინებით, ამ რეგიონში კონფლიქტის დაწყების დღიდან და დაუსჯელობის კონტექსტის გამო (იხ. შესაბამისი გვერდები § 267-270 ზემოთ), სასამართლოს ეჭვი არ ეპარება, რომ მოსარჩელეთა შეშფოტება, რომ აღმოჩნდებოდნენ სიცოცხლის საფრთხის წინაშე ან მათ მიმართ მოპყრობა წინააღმდეგობაში იქნებოდა კონვენციის მე-3 მუხლთან სუბიექტურად საფუძვლიანი და რეალურად გათვითცნობიერებული იყო. მოვლენათა სუბიექტურმა ხედვამ პიროვნებაში შეიძლება აღძრას შიში და გაურკვეველობა

მის ბედთან დაკავშირებით. ეს უეჭველად მნიშვნელოვანი ელემენტია, რომელიც გათვალისწინებულ უნდა უქნეს ფაქტების შეფასების დროს (პარაგრაფები 378-381 და 445 ქვემოთ). მიუხედავად ამისა, როდესაც სასამართლო ექსტრადიციის ღონისძიებას განიხილავს კონვენციის მე-3 მუხლის კუთხით, იგი პირველ რიგში აფასებს ობიექტური საკითხის არსებობას, რომელიც იცოდა ან უნდა სცოდნოდა ექსტრადირების მომწიფობ სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღების მომენტში.

341. იმ საბუთებთან რაც სასამართლოს გააჩნია გამომდინარეობს, რომ საქართველოს ხელისუფლებამ დამჯერებლად ვერ უარყო რეალური საშისროების საკითხი, რის წინაშეც აღმოჩნდებოდნენ მოსარჩელები მათი ექსტრადიციის შემთხვევაში. პირიქით, საქართველოს ხელისუფლება თავიდანვე გულისხმობდა იმას, რომ არსებობდა მნიშვნელოვანი რისკი (§§ 62, 63, 173, 182 და 183 ზემოთ) და ამ მიზეზით მოითხოვა გარანტიები მოსარჩელეთა დასაცავად.

342. სახელდობრ, უსტინოვის მიერ 2002 წ. 6 აგვისტოს ექსტრადიციის მოთხოვნის შემოტანისთანავე მოსარჩელეთა ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით გაკეთდა ყველაფერი რათა მოეპოვებინათ ყველა შესაბამისი დოკუმენტი რაც გაამყარებდა ამ მოთხოვნას და მისცემდა გარანტიებს რუსეთში მოსარჩელეთა ბედთან დაკავშირებით (§§ 62, 63 და 182 ზემოთ). დოკუმენტები, რომლებიც რუსეთის ძალაუფლების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ამ მოთხოვნის შესაბამისად შეიცავდნენ სხვათა შორის თითოეული მოსარჩელის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის დადგენილების, სამართლებრივი დოკუმენტების დამოწმებულ ასლებს თითოეული მათგანის წინასწარ პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებით, მათზე საერთაშორისო ძებნის გამოცხადების შეტყობინება, ისევე როგორც საბუთები, რომლებიც ეხებოდნენ მათ მოქალაქეობას და ვინაობას.

343. რაც შეეხება გარანტიებს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ისინი გაცემული იყო თითოეულ მათგანზე 2002 წ. 26 აგვისტოს და 27 სექტემბრის წერილებში (§§ 68 და 71 ზემოთ), რომლებიც გამოგზავნილი იყო გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ, ძალაუფლების ყველაზე მაღალი წარმომადგენელი, რომელსაც ევალება სისხლის სამართლებრივი დევნის წარმოება რუსეთში. მხარეები არ უარყოფენ, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურორმა მისი რუსი კოლეგების მხრიდან ასევე სიტყვიერი გარანტიებიც მიიღო (§184 ზემოთ). ზემოაღნიშნულ საგარანტიო წერილებში, რისეთის გენერალური პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი ოფიციალურად არწმუნებდა საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მოსარჩელებს სასიკვდილო განაჩენს არ გამოუტანდნენ და შეახსენებდა, რომ ყველა შემთხვევაში რუსეთში არანაირი სასიკვდილო გადაწყვეტილება სისრულეში არ იქნებოდა მოყვანილი 1996 წ. მორატორიუმიდან გამომდინარე. 2002 წ. 27 სექტემბრის წერილი ასევე შეიცავდა განსაკუთრებულ გარანტიებს “ტანჯვა-წამების, საშინელი და ადამიანის ღირსების დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ”.

344. იმის შეფასებისას თუ რამდენად სარწმუნო იყო საქართველოს ხელისუფლებისათვის ეს გარანტიები, სასამართლოს მნიშვნელოვნად მიაჩნია ის ფაქტი, რომ ეს გარანტიები მოდიოდა გენერალური პროკურორისგან, რომელსაც რუსულ სისტემაში მონიჭებული აქვს უფლება კონტროლი დააწეროს რუსეთის

ფედერაციაში მოქმედ ყველა პროკურორის საქმიანობაზე, რომლებიც სასამართლოში ბრალდების მხარეს წარმოადგენენ (პარაგრაფი 263 ზემოთ). ასევე აღსანიშნავია, რომ პროკურატურის ორგანოები ასრულებენ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე პატიმრობაში მყოფი ადამიანების უფლებათა დაცვის ზედამხედველის ფუნქციას. ეს ფუნქცია მოიცავს აგრეთვე პატიმრობის ადგილებში ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შესვლის უფლებას (იხილეთ).

345. თუ ამ ფაქტებს გვერდზე გადავდებთ მაშინაც კი სასამართლო მხარეების მიერ მოწონებულ დამამტკიცებელ საბუთებში და იმ საბუთებში, რომლებიც დელეგაციამ მოიპოვა თბილისში ყოფნის დროს, არაფერი მეტყველებს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების მიღების დროს ეჭვი უნდა შეფარვოდა რუსეთის გენერალური პროკურორის მიერ მოცემული გარანტიების სარწმუნოებაში. ამავე დროს საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების საფუძვლიანობა, ისევე როგორც აღნიშნული გარანტიების სარწმუნო ხასიათი უნდა შეფასდეს იმ მონაცემებთან და სამხილებთან ერთად, რომლებიც მოპოვებულ იქნენ მოსარჩელეთა ექსტრადიციის შემდეგ, რასაც სასამართლო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს.

346. სასამართლო უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ როგორც ჩანს, საქართველოს ხელისუფლება დათანხმდა მხოლოდ იმ მოსარჩელების ექსტრადიციისაზე რომელთა ვინაობა დადგენილი იყო (§§ 72, 79 და 175 ზემოთ) და რომლებსაც ჰქონდათ რუსული პასპორტები მათი დაკავების მომენტში (§§ 57 და 187 ზემოთ). შამაევის, ხაჯიევის, აზიევის და ადაევის ვინაობა, იმ სახით როგორც ეს დაადგინა გენერალურმა პროკურატურამ (§§ 72 ზემოთ) განსხვავდებოდა მხოლოდ ორთოგრაფიულად, რაც დადასტურეს მოსარჩელებმა თბილისის სასამართლოში წარდგენის დროს (§§ 119 ზემოთ). აზიევის და ხაჯიევის, ორი ექსტრადირებული მოსარჩელის (§§ 235 და 238 ზემოთ) ასევე დადასტურებენ, რომ მათი ვინაობა რეალურად იყო დადგენილი საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ, სანამ ისინი დათანხმდებოდნენ მათ ექსტრადიციისაზე. ექსტრადირებული მოსარჩელების ვინაობა, როგორც ეს დაადგინა საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, დადასტურებულ იქნა მათი იდენტიფიკაციის დადგენილებით, რომელიც რუსეთში 2002 წ. 15 ნოემბერს იქნა მიღებული (§ 217 ზემოთ).

347. სასამართლო სინანულს გამოთქვამს რუსეთის მთავრობის პოზიციის მიმართ, რომელიც აცხადებს, რომ შეუძლებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ოთხი ექსტრადირებული მოსარჩელისათვის გამოტანილი განაჩენის ასლების მოპოვება (§ 108 ზემოთ) და კვლავ იმეორებს, რომ ამ მოსაზრებასთან დაკავშირებით ყველა არგუმენტი მისთვის მიუღებელია (§ 276 ზემოთ). თუმცა მის ხელთ არასებული მასალების გათვალისწინებით სასამართლო აღნიშნავს, რომ პროკურატურას არ მოუთხოვია სასიკვდილო გადაწყვეტილება ამ მოსარჩელების მიმართ და რომ არცერთ მათგანს ასეთი გადაწყვეტილება არ გამოუტანეს. იგივე ეხება ხაჯიევს (ელიხაჯიევი, მულკოევი) და ბაიმურზაევს (ალხანოვი), რომლებსაც პირველი ინსტანციის სასამართლომ 2004 წ. 14 სექტემბერს და 11 ოქტომბერს მიუსაჯა ცამეტი და თოთხმეტი წლით პატიმრობა.

348. სასამართლო ასევე მხედველობაში იღებს ექსტრადირებული მოსარჩელების და მათი საკნების სურათებს, ისევე როგორც ვიდეოჩანაწერს,

რომელიც გაკეთებულია ქალაქ B-ს საგამოძიებო იზოლაცორში და ასევე სხვადასხვა სამედიცინო დასკვნებს, რომლებიც რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა (§§ 20, 109, 242, 246 და შემდ. ზემოთ). თუნდაც იმ შემთხვევაშიც თუ ზოგიერთ საკითხში, სახელდობრ აზიევთან დაკავშირებით (§ 320 ზემოთ) ეს დოკუმენტები დადასტურებას მოითხოვს, აქედან არ გამომდინარეობს, რომ ექსტრადირებული მოსარჩელების პირობები წინააღმდეგობაში მოდის მე-3 მუხლთან ან მათ მიმართ მოპყრობა იკრძალება ამ დადგენილებით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ხაჯიევი და აზიევი, ერთადერთი მოსარჩელები, რომლებსაც წერილობითი კონტაქტი ჰქონდა სასამართლოსთან მათი ექსტრადიციის შემდეგ (§§ 235 და 238 ზემოთ) არცერთ მომენტში არ უჩივიან მათ მიმართ ცუდ მოპყრობას რუსეთში. გარდა ამისა მათ არ წარმოუდგენიათ არანაირი ცნობები მათი წარსული ცხოვრების შესახებ ამ ქვეყანაში.

349. როდესაც ამას ამბობს, სასამართლოს მხედველობიდან არ რჩება ის ფაქტი, რომ ექსტრადიციის შემდეგ, გარდა გარკვეული წერილობითი კონტაქტისა სასამართლოსთან, მოსარჩელები მოკლებულ იყვნენ საშუალებას თავისუფლად წარმოედგინათ მოვლენათა მსვლელობის თავიანთი საკუთარი ვერსია და სასამართლოსთვის გაეცნოთ თუ რა მდგომარეობაში იყვნენ რუსეთში (§§ 511-518 ქვემოთ). ერთადერთი სამედიცინო დასკვნები, რომლებიც ფიგურირებენ საქმეში, წარმოადგენს არიან რუსეთის ხელისუფლების მიერ ისე, რომ თვით მოსარჩელებს არ აქვთ საშუალება წარმოადგინონ თავიანთი საჩივრები ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით. სასამართლოში მათ წარმომადგენლებს არ დართეს ნება შესულიყვნენ მათთან კონტაქტში ამასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილების მიუხედავად (§228 ზემოთ), ექსტრადიციის შემდგომ არსებულ ვითარებაში გარკვევის შეუძლებლობას ართულებს ისიც, რომ რუსეთის ხელისუფლებამ სასამართლოსაც შეუქმნა დაბრკოლებები თავისი ფუნქციონირების შესრულების საქმეში (§504 ქვემოთ). ასეთ პირობებში არ შეიძლება ხელაღებით ვუსაყვედუროთ მოსარჩელებს, რომ მათ საკმარისი სამხილები არ წარმოადგინეს მათი ექსტრადიციის შემდეგ.

350. არც მათ წარმომადგენლებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მოსარჩელებისათვის არსებობდა საშიშროება რუსეთში, არ წარმოუდგენიათ საკმარისი მტკიცებულებანი იმასთან დაკავშირებით, რომ ექსტრადიციის გამო მათ კლიენტებს პიროვნულად ემუქრებოდა ობიექტურად არსებული საშიშროება. სხვადასხვა საერთაშორისო აგენტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები და მოსხენებები, რომლებზეც ისინი ამახვილებენ ყურადღებას, იძლევიან დაწვრილებით, მაგრამ განზოგადოებული ხასიათის ცნობებს იმ ძალადობასთან დაკავშირებით რასაც რუსეთის შეიარაღებული ძალები მიმართავენ ჩეჩნეთის რესპუბლიკის მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ (რომელთაგან ზოგიერთი მოყვანილია 267 და 270 პარაგრაფების შესაბამის ნაწყვეტებში, ზემოთ). მათ მიხედვით არ შეიძლება იმის დადგენა, რომ ექსტრადიცია პერსონალურ საშიშროებას უქმნიდა ექსტრადირებულ მოსარჩელებს (*Conka et autres c. Belgique (d éc.)*, # 51564/99, 2001 წ. 13 მარტი; *mutatis mutandis*, *H.L.R. c. France* ადრე დასახ., გვ.759, § 42).

351. მოსარჩელეთა ადვოკატებს არცერთხელ უხსენებიათ რუსეთში სასიკვდილო განაჩენის სისრულეში მოყვანის ფორმირება, რა პირობებში

იმყოფება სიკვდილმისჯილი განაჩენის აღსრულების მოლოდინში ან სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები, რომელთა გამო ეს დარღვევა მოექცეოდა მე-3 მუხლის მოქმედების ქვეშ (§333 ზემოთ) მათ არერთ მომენტში არ აღუნიშნავთ, რომ მოსარჩელების მიმართ წარსულში გამოყენებულ იყო დაუშვებელი მოპყრობა რასაც ითვალისწინებს კონვენციის მე-3 მუხლი, არ უხსენებიათ არც მოსარჩელეთა პირადი გამოცდილება რაც დაკავშირებულია მატ ჩენურ წარმომავლობასთან, ასევე არ ყოფილა ლაპარაკი მათ პოლიტიკურ ან სამხედრო წარსულზე ჩენეთის რესპუბლიკაში. ადვოკატები შემოიფარგლნენ ამ რეგიონში შეიარაღებული კონფლიქტის საერთო კონტექსტის დახასიათებით და რა უკიდურეს ძალადობას გამოუბოძდნენ მათი კლიენტები. თუ იმასაც კი დაეუშვებთ, რომ მოსარჩელები ებრძოდნენ ფედერალური ჯარების წინააღმდეგ კონფლიქტის ზონაში, სასამართლოს არ გააჩნია არანაირი ინფორმაცია მათ როლზე და მდგომარეობაზე საზოგადოებაში 2002 წ. აგვისტომდე, რაც ხელს უშლის პერსონალური რისკის რეალურობის შეფასებას, მოსარჩელების წარსულიდან გამომდინარე. სასამართლოს აღინიშნავს, რომ თბილისში მოსმენილი ყველა მოსარჩელე აცხადებდა, რომ არც მათ და არც ექსტრადირებულ მოსარჩელებს საზღვრის გადმოკვეთის მომენტში არანაირი იარაღი არ ჰქონიათ (§128 ზემოთ). ზოგიერთმა მათგანმა ისიც კი საჩივარა, რომ მშვიდობიან ცხოვრებას ეწეოდა ჩენეთში ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს მხარეს (§§128, 134, 140 და 141 ზემოთ). ამავე დროს საქართველოში გამოტანილ სასამართლო დადგენილებებიდან არ ჩანს რომ ეს მართლაც ასე იყო (§§89 და 91 ზემოთ). როგორც არ უნდა იყოს სიმართლე, სასამართლოს ხელთ არსებული არცერთი მასალა არ იძლევა იმის საფუძველს, რომ სასამართლომ მოსარჩელები მიიჩნიოს სამხედრო მეთაურებად, პოლიტიკური ან სხვა ნიშნებით გამორჩეულ ფიგურებად (იხ. a contrario, Chahal, ადრე დასახ., §106). სასამართლოს არ გააჩნია მასალები, რომლებსაც შეეძლოთ დაეკონკრეტებინათ ან გაეზარდათ მოსარჩელების პერსონალური რისკის საშიშროება იმ შემთხვევაში თუ მათ რუსეთის ხელისუფლებას გადასცემდნენ.

352. ამგვარად, მოსარჩელების წარმომადგენლების მიერ სასამართლოსათვის მიწოდებული მტკიცებულებები ჩენეთის რესპუბლიკაში არსებული კონფლიქტის ზოგადი კონტექსტის ჩვენებით, სხვა სპეციფიური სამხილების არარსებობის პირობებში, არ იძლევა იმის დადგენის საშუალებას, რომ მოსარჩელეთა პირადი მდგომარეობას ემუქრებოდა საშიშროება, რომელიც შეიძლება განვიხილოთ კონვენციის მე-3 მუხლის შესაბამისად. სასამართლო არ გამორიცხავს, რომ მოსარჩელები შეიძლებოდა აღმოჩენილიყვნენ ცუდი მოპყრობის პირობებში, იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ არ წარმოუდგენიათ არანაირი სამხილი იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიმართ ასეთი რამ გამოყენებული იყო წარსულში (იხ. a contrario, Hilal c. Royaume-Uni, # 45276/99, § 64, CEDH 2001-II, ისევე როგორც Vilvarajah et autres, adre dasax., §§ 10, 22 და 33). თუმცა ასეთ პირობებში, ცუდი მოპყრობის უბრალო შესაძლებლობა არ ნიშნავს მე-3 მუხლის დარღვევას (Vilvarajah et autres, adre dasax., § 111), მით უმეტეს, რომ საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათი რუსი კოლეგებისგან მიიღეს გარანტიები ასეთი შესაძლებლობის წინააღმდეგ.

353. შედეგად, სასამართლომ მის ხელთ არსებული დოკუმენტების საფუძველზე გამოიტანა დასკვნა, რომ საქმესთან დაკავშირებით ფაქტები არ

იძლევიან “გონიერების ფარგლებს გარეთ არსებული ეჭვის პირობებში” იმის მტკიცების საშუალებით, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტში, არსებობდა სერიოზული და დადასტურებული მოტივები იმაში დასარწმუნებლად, რომ ექსტრადიცია მოსარჩელებს აყენებდა რეალური საშიშროების წინაშე, რომ მათ მიმართ გამოყენებული იქნებოდა არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობა, რომელიც შეესაბამება კონვენციის მე-3 მუხლს. საქართველოს ეს დებულება არ დაურღვევია.

**ii) რაც შეეხება ისაევს, ხანჩუკაევის, მაგომადოვის, კუშტანაშვილია და მარგოშვილის ექსტრადიციას**

354. სასამართლოს მიაჩნია, რომ იმ მოსარჩელების საქმე, რომლებიც არ იყვნენ ექსტრადირებული 2002 წ. 4 ოქტომბერს ცალკე უნდა იქნეს განხილული იმ საქმისგან, რომელიც ზემოთ განვიხილეთ. უპირველეს ყოვლისა საქმე ეხება ისაევს, ხანჩუკაევს და მაგომადოვს რომელთა ექსტრადიციის მოთხოვნას 2002 წ. 6 აგვისტოს არ მოჰყოლია არანაირი შესაბამისი დადგენილება. იგივე ეხება კუშტანაშვილს და მარგოშვილს, იმ პატარა განსხვავებით, რომ საქართველოს ხელისუფლების მიხედვით მათ ექსტრადიციის საფრთხე არ ემუქრებოდათ მათი საქართველოს მოქალაქეობიდან გამომდინარე (§326 ზემოთ).

355. სასამართლო შეახსენებს, რომ მას შეუძლია სარცელი მიუღებლად გამოაცხადოს პროცედურის ნებისმიერ სტადიაზე კონვენციის 35-ე მუხლის § 4-ის შესაბამისად. ისაევი, ხანჩუკაევი, მაგომადოვი, კუშტანაშვილი და მარგოშვილი თავს აცხადებენ მსხვერპლად იმასთან დაკავშირებით, რომ მათი აზრით დაირღვა მე-2 და მე-3 მუხლები, რუსეთის ხელისუფლებისათვის მათი შესაძლო გადაცემის გამო, რაც გათვალისწინებულია კონვენციის 34-ე მუხლში (Vijayanathan et Pusparajah c.France, 1992 წ. 27 აგვისტოს დადგენილება, სერია A # 241-B, §§ 45 და 46). ამ მუხლებზე დაფუძნებული მათი სარჩელები შეუთავსებელია რატიონე პერსონაე კონვენციის დებულებებთან და კონვენციის 35-ე მუხლის § 4-ის გამოყენებით უკუგდებულ უნდა იქნან.

**iii) ბიმურზაევის, ხაჩიევის და გელოგაევის ექსტრადიციასთან დაკავშირებით**

356. 2002 წ. 28 ნოემბერს, საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ ამ მოსარჩელების მიმართ მიიღო დადგენილება მათ ექსტრადიციასთან დაკავშირებით (§83 ზემოთ). იმის გამო, რომ უზენაეს სასამართლოში დაიწყო ალიევის სასამართლო პროცესი ექსტრადიციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ შეტანილი სარჩელის საფუძველზე (258 ზემოთ), ბაიმურზაევის გადაცემა რუსეთის ხელისუფლებისათვის მიხნეული იქნა შეუძლებლად მისი ლტოლვილის სტატუსიდან გამომდინარე, ხოლო ხაჩიევის და გელოგაევის გადაცემა შეჩერებულ იქნა (§ 88 ზემოთ).

357. 2004 წ. 16 ან 17 თებერვალს ბაიმურზაევი და ხაჩიევი თბილისიდან გაუჩინარდნენ, ხოლო ორი თუ სამი დღის შემდეგ ისინი რუსეთის ძალოვანებმა დააკავეს რუსეთ-საქართველოს საზღვარზე. ისინი ამჟამად რუსეთში ჰყავთ



პატიმრობაში (§§ 100-103 ზემოთ), ამ პირობებში სასამართლოს არ მიაჩნია საჭიროდ იმის ძიება დაირღვა თუ არა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები, თუ აქ ორი მოსარჩელის ექსტრადიციის გადაწყვეტილებები, მიღებული 2002 წ. 28 ნოემბერს, აღსრულებას ექვემდებარებოდა.

358. რაც შეეხება გელოგაევს მისი ექსტრადიციის გადაწყვეტილების შეჩერების გამო, პრინციპში მას არ ემუქრებოდა გარდაუვალი საშიშროება გადაეცათ რუსეთის ხელისუფლებისთვის. როგორც არ უნდა იყოს, მისი მდგომარეობა განსხვავდებოდა ისაევის და სხვათა სიტუაციასგან (§354 ზემოთ) უბრალო ფაქტის გამო, რომ მისი ექსტრადიციის გადაწყვეტილება უკვე ხელმოწერილი იყო. ეს უკანასკნელი შეიძლება დაქვემდებარებოდა აღსრულების იმ ადმინისტრაციული პროცედურების გამო, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ საქართველოში ისაევის ღტოლვილის სტატუსთან (პარაგრაფი 88 ზემოთ). ამ შემთხვევაში გასარკვევია ირღვეოდა თუ არა კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გარანტირებული უფლებები მის მიმართ.

359. სასამართლომ უკვე აღინიშნა, რომ სახელმწიფოს, რომელიც არ მოუხდენია №6 პროტოკოლის რატიფიკაცია და არ წარმოადგენს №13 პროტოკოლის მხარეს აქვს უფლება გამოიყენოს სიკვდილით დასჯა გარკვეულ პირობებში, კონვენციის მუხლი 2§2-ის შესაბამისად. რისკთან დაკავშირებული საკითხი, რომლის წინაშე დადგებოდა მოსარჩელე მისი სავარაუდო ექსტრადიციის შემთხვევაში უნდა განიხილებოდა მე-3 მუხლის შესაბამისად და იკითხებოდა მე-2 მუხლის ფონზე. ასევე რისკი უნდა განიხილებოდა იმ მოპყრობის კუთხით, რიმელსაც კრძალავს მე-3 მუხლი (§ 333 და შემდ. ზემოთ). ამ შემთხვევის მსგავს საქმეში სასამართლომ უნდა გამოიყენოს მკაცრი კრიტერიუმები ცუდი მოპყრობის რეალური რისკის არსებობის შესაფასებლად მე-3 მუხლის აბსოლუტური ხასიათიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იგი ემყარება იმ დემოკრატიული საზოგადოებების ფუნდამენტალურ ფასეულობებს, რომლებიც ქმნიან ევროპის საბჭოს (Chahal, ადრე დასახ., § 96).

360. სასამართლო შეახსენებს, რომ მოსალოდნელი რისკის შესაფასებლად იმ შემთხვევაში, როდესაც ექსტრადიცია ჯერ კიდევ არ მომხდარა, ყველაზე შესაფერისი მომენტი საიდანაც უნდა დაიწყოს შეფასება ეს არის ის დრო, როდესაც საქმე სასამართლოში განიხილება. თუ ისტორიული ფაქტები მართლაც საინტერესოა იმ მხრივ, რომ ისინი იძლევიან თანამედროვე სიტუაციაში გარკვევის საშუალება და გვიჩვენებენ მის შესაძლო განვითარებას, მაშინ გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არსებულ გარემოებებს (Chahal, ადრე დასახ., §86; Ahmed c.Autriche, 1996 წ. 17 დეკემბრის გადაწყვეტილება, კრებული 1996-VI, § 43; ჟაბარი, ადრე დასახ., § 41).

361. ამ საქმეში, სასამართლომ უნდა შეაფასოს, ახალი მასალების საფუძველი, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებისათვის 2 წ. წინ უცნობი იყო, გამოიწვევდა თუ არა გელოგაევს შემთხვევაში 2002 წ. 28 ნოემბრის ექსტრადიცია კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო შედეგებს.

362. სასამართლო უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ 2002 წ. 4 ოქტომბრის ექსტრადიციის შემდეგ 5 ექსტრადირებული მოსარჩელე იზოლაციის პირობებში იხდიდა სასჯელს ჩრდილოეთ კავკასიაში. მათ ნათესავებს არ მისცეს უფლება სცოდნოდათ მათი პატიმრობის ადგილი (§ 482 ქვემოთ). სანამ

სასამართლოს გააწინაშე მათი პატიმრობის ადგილის მისამართს რუსეთის ხელისუფლებას სასამართლოს მოსთხოვა წინასწარი გარანტიები კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით (§15 ზემოთ). მოსარჩელებს არ მიეცათ მათ ადვოკატებთან კონტაქტის საშუალება, ხოლო ამ უკანასკნელებს რუსეთის ხელისუფლებამ არ მისცა საშუალება მოენახულებინათ ისინი სასამართლოს სპეციალური მითითების შემდეგაც კი (§§ 228 და 310 ზემოთ).

363. თუ სიმართლეს შეეფარდება ის, რომ ეს მოსარჩელები მოთავსებული იყვნენ საპატიმრო ადგილებში კონფლიქტის ზონის გარეთ, ჩრდილოეთ კავკასიის ეს დაწესებულებები, მნესტე ინტერნაციონალ-ის და რუსეთის ადამიანთა უფლებების დაცვის კომისარის ჯგუფის აზრით (პარაგრაფი 269 ზემოთ), საქმე უნდა ეხებოდეს “დახარისხების ბანაკებს” (ფილტრაციის ბანაკები), სადაც პრაქტიკაში შემოდებული იყო პატიმრების მიმართ ცუდი მოპყრობა. იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლოს არ ჰქონდა არანაირი შესაძლებლობა შეემოწმებინა ამ მტკიცებების ჭეშმარიტობა ამ ექსტრადირებულ მოსარჩელეთა კონკრეტულ შემთხვევაში, იგი უნდა ენდოს იმ მასალებს, რის მოპოვებაც მან შესძლო (Vilvarajah et autres, adre dasax., gv.36, §§ 107 da 108; Islande c. Royaume-Uni, ადრე დასახ., გვ.64, § 160).

364. შემდგომ, სასამართლო გამოხატავს შემფოთებას იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის ხელისუფლება სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის საერთაშორისო დამკვირვებლებს “თვალის ადვენონ” პატიმართა უფლებების მდგომარეობის საკითხი ჩეჩნეთის კონფლიქტის ფარგლებში. სახელდობრ, 2003 წ. იანვარში, რუსეთის მთავრობამ არ გაუგრძელა მანდატი ჩეჩნეთში ეუთოს დახმარების ჯგუფს. ევროპის საბჭოს ტანჯვა-წამების პრევენციის კომიტეტი (CPT) ჯერ კიდევ 2001 წელს უჩიოდა რუსეთის ფედერაციის მხრიდან თანამშრომლობის ნაკლებობას (§267 (e) ზემოთ). ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო კავშირის მიხედვით (2004 წ. მოხსენება), ჩრდილოეთ კავკასიაში საერთაშორისო დასწრება სულ უფრო იშვიათ ხასიათს ატარებს, რასაც მოჰყვა ის, რომ თითქმის აღარ არსებობენ მოწმეები, ისევე როგორც გარედან შემოსული დახმარება (§ 271 (F) ზემოთ).

365. სასამართლო ასევე აღინიშნავს, რომ 2002 წ. 27 დეკემბერს ფედერალური კანონის თანახმად, სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის § 26) რუსეთის ფედერაციის მტელ ტერიტორიაზე ძალაში უნდა შევიდეს და დასრულდეს 2007 წ. 1 იანვრისთვის (პარაგრაფი 265 ზემოთ). ეს მუხლი სახელდობრ ითვალისწინებს იმას, რომ ბრალდებულის თხოვნით ნაფიც მსაჯელთა სასამართლო იხილავს ისეთ დანაშაულებთან დაკავშირებულ საქმეებს, რომელთა შემსუბუქება შესაძლებელია სისხლის სამართლის კოდექსის 205-ე, 209-ე, 317-ე და 322-ე, § 2 მუხლებით (§ 260 ზემოთ). ეს ის დანაშაულება რაშიც რუსეთის ხელისუფლება ბრალს დებს მოსარჩელებს (§§ 66, 70 და 71 ზემოთ). 2007 წ. 1 იანვრიდან, სიკვდილით დასჯის გამოყენების აკრძალვა, რომელიც ექვემდებარება “რუსეთის ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ნაფიც მსაჯელთა სასამართლოს შემოღებას” 1999 წ. 2 თებერვლის კონსტიტუციური სასამართლოს დადგენილებით, დაკარგავდა თავის ძალას (§262 ზემოთ). მიუხედავად ამისა, 2002 წელს, მოსარჩელეთა ექსტრადიციის მოთხოვნის განხილვისას საქართველოს

ხელისუფლება შეფასებების დროს სწორედ ამ დადგენილების არსებობის დაყრდნობა (§§69, 173, 183 და 324).

366. და ბოლოს სასამართლო აღნიშნავს ახალ უკიდურესად საგანგაშო მოვლენას რაც გამოიხატება იმ ჩენურ ვარაზობის პიროვნებების დევენასა და მკვლელობებში, რომლებმაც სასამართლოში სარჩელი შემოიტანეს. ეს მოვლენა ამასწინათ მკაცრად ამხილა თავის 2004 წ. 15 სექტემბრის მოხსენებაში (§ 271 (F) ზემოთ) ადამიანთა უფლებების დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო კავშირმა, რაც ასევე დაგმო ევროპის საბჭოს

საპარლამენტო ასამბლეამ (§267 (დ) ზემოთ). აღნიშნული მოხსენება აფიქსირებს დევენის მკვეთრ მატებას 2003 და 2004 წლებში იმ პირების მიმართ, რომლებმაც სასამართლოს სარჩელით მიმართეს. ეს გამოიხატება მუქარებში, წამებებში, დაპატიმრებაში, გატაცებებსა და მკვლელობებში. ის ორგანიზაციები, რომლებიც მოსარჩელებს წარმოადგენენ სასამართლოში, მათ შორის “მემორიალი” და ჩენეთში სამართლიანობის დამკვიდრების და ადამიანთა უფლებების დაცვის ადვოკატთა ევროპული ცენტრი ასევე უჩივიან მათი კლიენტების დანაშაულებრივ დევენას.

367. 2002 წ. 28 ნოემბრის შემდეგ მოპოვებული მასალების საფუძველზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ის შეფასებები, რომლებიც გაკეთდა ორი წ. წინ გელოგაევის ექსტრადიციის გადაწყვეტილების სასარგებლოდ აღარ არის საკმარისი იმისთვის, რომ გამოირიცხოს მის მიმართ ცუდი მოპყრობის საშიშროება, რაც კონვენციით არის აკრძალული.

368. შედეგად, სასამართლო მიიჩნევს, რომ გელოგაევის მიმართ 2002 წ. 28 ნოემბერს გამოტანილი ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესრულების შემთხვევაში, ამ დროსთვის გაკეთებული შეფასებების საფუძველზე, ადგილი ექნებოდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

### C. გაუსამართლებლად დასჯის საშიშროების შესახებ

369. მოსარჩელების წარმომადგენლები სასამართლოს ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ ჩენეთში სისტემატურად ადგილი აქვს ჩენური წარმოშობის პატიმრების უკანონო დასჯის შემთხვევებს. ამასთან დაკავშირებით მათ მოჰყავთ სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებები და მოხსენებები (§§ 267 (ე) და (ფ), 268 და 270 ზემოთ). არასამართლებრივი დასჯის შიში უფრო მეტად უნდა გვქონდეს როდესაც საქმე ეხება ექსტრადირებულ მოსარჩელებს, რომლებსაც ბრალი ედებათ ტერორიზმში ან სხვა დანაშაულებში ჩენეთში მიმდინარე კონფლიქტის ჩარჩოებში.

370. მოპასუხე მთავრობები ამასთან დაკავშირებით კომენტარს არ აკეთებენ.

371. სასამართლო აღნიშნავს, რომ მართლაც არსებობს მკვლელობის და უსამართლო დაკავების ბევრი შემთხვევა, რომელსაც მოჰყვება ჩენეთის რესპუბლიკაში ჩენური წარმოშობის პიროვნებების გაუჩინარება. ეს ყველაფერი მხილებულია მოხსენებებში, რომლებზეც მიუთითებენ მოსარჩელეთა წარმომადგენლები. თუმცა ამ რეგიონში მომდინარე კონფლიქტის ზოგად კონტექსტთან დაკავშირებული სამხილები არ გამოდგებიან იმის

დასამტკიცებლად, რომ ექსტრადიციის შემთხვევაში მათ მიმართ ნამდვილად იქნებოდა გამოყენებული არასამართლიანი ქმედება. უკიდურესი ძალადობის გათვალისწინებით, რაც ახასიათებს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მიმდინარე კონფლიქტს, სასამართლო არ გამორიცხავს, რომ ექსტრადიცია გარკვეულად შეუქმნიდა მოსარჩელებს შიშის განცდას მათ სიცოცხლესთან დაკავშირებით, მაგრამ ამავე დროს, ასეთი რისკის უბრალო შესაძლებლობა არ შეიძლება თავისთავად მივიჩნიოთ კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევად (*mutatis mutandis*, *Vilvarajah et autres* ადრე დასახ., §11).

372. საქმიდან გამომდინარე ფაქტები არ იძლევიან იმის მტიცებას, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების მომენტში არსებობდა სერიოზული და დადასტურებული მოტივები იმის საფიქრელად, რომ ექსტრადიცია მოსარჩელებს შეუქმნიდა არასამართლებრივი დასჯის რეალურ საშიშროებას, რაც კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა იქნებოდა. აქედან გამომდინარე ამ დებულების დარღვევას ადგილი არ ჰქონდა.

## **D. რაც შეეხება 2002 წ. 3-4 ოქტომბრის დამის მოვლენებს**

### *1. მხარეთა ვერსიები*

373. მოსარჩელეთა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის დამეს, მოსარჩელებს, რომლებიც შეშფოთებულები იყვნენ და ცუდად ინფორმირებული, გახდნენ საქართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ძალადობის ობიექტი. მათი აზრით სასამართლომ განსაღუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს აზიევს, რომელიც უარს აცხადებდა ექსტრადიციაზე და ამის გამო მას უმოწყალოდ სცემეს “ხელკეტებით და ელექტროშოკით”. მთლად გასისხლიანებული და თავში მძიმედ დაჭრილი, იგი ათრიეს დერეფანში “როგორც ცხედარი” და გაუყენეს აეროპორტის გზას (§§ 125 და 135 ზემოთ). ხელკეტებით მიყენებულმა დარტყმებმა ბაიმურზაევს ყბის ძვალი ჩაუტყხეს. ადვოკატები გმობენ იმ ფაქტს, რომ შემდგომში მოსაღცელებების მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლის მსხვერპლი თვითონ იყვნენ (§§ 97 და შემდ. ზემოთ). მოსარჩელებისთვის მიყენებული დაზიანებებიც რომ არ იყოს პროცედურის დარღვევის ფაქტიც კი უკვე საკმარისია იმისათვის, რომ დარღვეულად ჩაითვალოს კონვენციის მე-3 მუხლი.

374. საქართველოს ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ძალის გამოყენება გახდა აუცილებელი იმის გამო, რომ მოსარჩელები უარს აცხადებდნენ დამორჩილებულიყვნენ საპატიმროს თანამშრომლების კანონიერ მოთხოვნებს და ძალა გამოიყენეს ამ უკანასკნელების მიმართ. სახელმწიფო მოხელეები იძულებული გახდნენ თავი დაეცვათ მოსარჩელეთა თამდასხმებისგან, რომლებიც შეიარაღებულები იყვნენ ლითონის სხვადასხვა დეტალებით და სატყორცნებით, რომლებიც მათ დაამხვრეს აგურის ნატყხებისგან, რომლებიც ჩაყარეს თეთრეულსა და ტანსაცმელში და შემდეგ განასკვეს. ამასთან დაკავშირებით ხელისუფლება იხსენებს სამედიცინო დასკვნებს და ექსპერტიზის ანგარიშს (§§ 200 და შემდ. ზემოთ) და სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს სახელმწიფო

მოხელეების ჭრილობებს, რომლებიც მათ მოსარჩელებმა მიაყენეს და მიაჩნია, რომ თვით პატიმრებს არ ჰქონდათ უფრო სერიოზული დაზიანებები.

## 2. სასამართლოს შეფასება

375. სასამართლო შეახსენებს, რომ მუხლი 3 ეძღვნება დემოკრატიული საზოგადოების ფუნდამენტალურ ფასეულობებს და რომ აქ გამოწვევები დაუშვებელია (*Selmouni v. France* [GC], # 25803/94, §95, ECHR 1999-V). იმისათვის, რომ მე-3 მუხლის მოქმედების ქვეშ მიექცეს ცუდმა მოპყრობამ უნდა მიაღწიოს სერიოზულობის მინიმუმს, რომლის შეფასება დამოკიდებულია საქმის მონაცემების მთლიანობაზე (იხ. ასევე §338 ზემოთ), მოპყრობა “არაადამიანურია” მე-3 მუხლის მიხედვით თუ იგი განზრახ არის ჩადენილი დიდი ხნის განმავლობაში და თუ მან გამოიწვია სხეულის დაზიანებები ან ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ტანჯვა (იხ. *სხვათა შორის, Kudla c. Poland* [GC], # 30210/96, § 92, CEDH 2000-XI), სასამართლო ხაზს უსვამს იმას, რომ სახელმწიფო პასუხს აგებს პატიმრობაში მყოფ ყველა პიროვნებაზე, რადგან ეს უკანასკნელი მისი ფუნქციონირების ხელში არის მოწყვლად სიტუაციაში და ხელისუფლებას აქვს მოვალეობა დაიცვას ის (*Berktaç c. Turquie*, # 22493/93, § 167, 2001 w. 1 marti; *Algür c. Turquie*, №32574/96, § 44, 2002 წ. 22 ოქტომბერი). სასამართლოსთვის ცნობილია რა ძალადობის შესაძლებლობა არსებობს პატიმრობის ადგილებში და ისიც რომ პატიმართა მხრიდან დაუმორჩილებლობის რა სისხლისღვრა შეიძლება მოყვეს რის შედეგად საჭირო ხდება ციხის ადმინისტრაციის მხრიდან წესრიგის დამცველი ძალების გამოყენება (*Satik et autres c. Turquie*, № 31866/96, §58, 2000 წ. 10 ოქტომბერი). მიუხედავად ამისა, ფიზიკური ძალის გამოყენება იმ პირის მიმართ ვისაც თავისუფლება აქვს აღკვეტილი, როდესაც ის თავისი საქციელით ამას არ იმსახურებს, ეს არის პიროვნების ღირსების შელახვა და მე-3 მუხლით გარანტირებული უფლების დარღვევა (თეკინ ც. თურქეთი, 1998 წ. 9 ივნისის დადგენილება, კრებული 1998-IV, გვ.1517-1518, §§ 52 და 53; *Labita c. Italie* [GC], # 26772/95, § 120, CEDH 1999-IV).

376. ამ საქმეში, მხარეები არ უარყოფენ იმას, რომ 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის დამეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმმა გამოიყენა ფიზიკური ძალა რათა საკნიდან გამოეყვანა 11 მოსარჩელე მათგან ოთხის ექსტრადიციის მიზნით (ადაევი და მარგოშვილი იმ დროს საპატიმროს საავადმყოფოში იმყოფებოდნენ). სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ ძალის გამოყენება მოხდა დილის 4 საათიდან 5 საათამდე რასაც წინ უძღოდა საპატიმროს თანამშრომლების მხრიდან მშვიდობიანი მცდელობები პატიმრებს შეესრულებინათ ბრძანება საკანის დატოვებასთან დაკავშირებით (§§ 124, 147 და 148 ზემოთ).

377. იმ გარემოებების აღდგენის შემდეგ, რომელშიც მოვლენები ვითარდებოდნენ, სასამართლო ეჭვი არ რჩება იმის საწინააღმდეგად რასაც მოსარჩელები ამტკიცებენ (§§ 125 და 131 ზემოთ), რომ მათ თვითონ შეიარაღებული წინააღმდეგობა გაუწიეს საპატიმროს თანამშრომლებს ხოლო შემდეგ სპეცდანიშნულების რაზმს. №5 საპყრობილის საკნის სურათის მიხედვით (§20 ზემოთ), №88 საკანში ჩატარებული ინვენტარიზაციის ოქმის, სასამართლო

ექსპერტიზის დასკვნების და სხვადასხვა მოწმის ჩვენების მიხედვით (§§ 96, 144 და შემდ. ზემოთ), ეჭვი არ რჩება იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელები სხვადასხვა საგნებით იყვნენ შეიარაღებულები, მათ შორის აგურებით და ლითონის ნაწილებით რათა წინ აღდგომოდნენ მათ შესაძლო ექსტრადიციას. შედეგად სასამართლოს მასალებად მიაჩნია საქართველოს ხელისუფლებას არგუმენტი რომლის მიხედვით სპეცდანიშნულების რაზმის დაახლოებით თხუთმეტკაციანი ჯგუფის გამოყენება, რომლებიც ხელკეტებით იყვნენ შეიარაღებული (§§ 124, 151 და 159 ზემოთ), გამართლებულად მიჩნეულ იქნა საჭიროდ საპატიმროს თანამშრომლების უსაფრთხოებიდან გამომდინარე და ამავე დროს არეულობის გავრცელების თავიდან ასაცილებლად მთელი დაწესებულების მასშტაბით. მიუხედავად ამისა დასადგენია ეს აუცილებლობა ხომ არ იყო უპირველეს ყოვლისა თვით ხელისუფლების მოქმედების ან დაშვებული შეცდომის შედეგი.

378. უპირველეს ყოვლისა სასამართლო აღნიშნავს, რომ №88 საკანში ერთად ყოფნის დროს, როდესაც ისინი თავიდანვე არ იყვნენ ინფორმირებული ექსტრადიციის პროცედურის დაწყების შესახებ შამაევმა, კუმტანაშვილმა, ვისიტოვმა, ისაევმა და ხანჩუკაევმა გაიგეს მხოლოდ რამდენიმე მათგანის აუცილებელი ექსტრადიციის შესახებ 2002 წ. 3 ოქტომბრის 23 საათსა და შუაღამეს შორის (§§ 216 ზემოთ და 455 ქვემოთ), ანუ რამდენიმე საათით ადრე სანამ დაიწყებდა 2002 წ. 2 ოქტომბერს გამოტანილი ექსტრადიციის გადაწყვეტილების აღსრულება. დილის დაახლოებით 3 თუ ოთხი საათისთვის, საპატიმროს თანამშრომლებმა, მათ შორის საპატიმროს დირექტორმა, უბრძანეს მოსარჩელებს დაეტოვებინათ მათი საკანი ფიქტიური მიზეზების მოყვანით (დეზინფექცია ან ჩხრეკა), იმ დროს როდესაც მანქანა უკვე იცდიდა საპატიმროს გვერდით ეზოში რათა ოთხი მათგანი გადაეყვანა რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაცემის მიზნით (§§124 და 148 ზემოთ). მოსარჩელებმა განსაკუთრებით მოწვევადი სიტუაციის გათვალისწინებით, როდესაც ისინი აღმოჩნდნენ იმ ქვეყანაში ექსტრადიციის ფაქტის წინაშე, სადაც მათ ცუდი მოპყრობა და მათი სიცოცხლის ხელყოფას საშიშროება ემუქრებოდათ, სასამართლოს მიაჩნია, რომ ხელისუფლების ასეთი მოქმედება მცდარია.

379. მართლაც გაუგებარია დატოვო პატიმარი გამოცანის წინაშე რამდენიმე კვირის განმავლობაში და არ იცოდეს ემუქრება თუ არა მას ექსტრადიცია (§§124, 136, 183 და 194 ზემოთ) ისე, რომ იგი დარჩეს ჭორების და მასმედიის მიერ გავრცელებული ინფორმაციის ამარა და მას არ შეატყობინო ნორმალური და სათანადო ფორმით მის მიმართ კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებული ზომების შესახებ (§§ 428 და 432 ქვემოთ). ასევე მიუღებელია, რომ პატიმარი დააყენონ ფაქტის წინაშე და მან მხოლოდ მაშინ გაიგოს, რომ იგი მართლაც იგზავნება რომელიმე ქვეყანაში, როდესაც მას მოსთხოვენ დატოვოს საკანი.

380. ამ საქმის ნაკლოვანი მხარე იმაშიც მდგომარეობს, რომ იმ შემთხვევაშიც კი თუ ექსტრადიცია № 88 საკნის მხოლოდ ოთხ პიროვნებას ეხებოდა, თერთმეტი მოსარჩელე სასოწარკვეთილი და პანიკით იყო მოცული, რადგან მათ არ იცოდნენ ვინ იქნებოდა ექსტრადირებული (§§ 73, 98, 124, 215 და 216 ზემოთ). ჯგუფური წინააღმდეგობა, რაც მათ დაუპირისპირეს სახელმწიფო მოხელეებს დაკავშირებული იყო მათ კანონიერ შიშთან რასაც მათში აღძრავდა

ექსტრადიციის იდეა (§340 ზემოთ). მის ხელთ არსებული მასალების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოყენებული ეშმაკობის ტაქტიკა და ნაჩქარევი მოქმედება ითვალისწინებდა მისარჩევეების მახეში გაბმას რათა ისინი ფაქტის წინაშე დამდგარყვენენ (ix. mutatis mutandis, Conka c. Belgique # 51564/99, §§ 41 da 42, CEDH 2002-I, Bozano c.France, 1986 წ. 18 დეკემბრის დადგენილება, სერია # 111, § 59 da Nsona c.Pays-Bas, 1996 წ. 28 ნოემბრის დადგენილება, კრებული 1996-V, §103) გართულებების თავიდან აცილების მიზნით. ამგვარად, ასეთმა მიდგომამ და პროცედურის წარმართვის ფორმამ, რომელიც ექსტრადიციის აღსრულებასთან იყო დაკავშირებული, მოსარჩევეებს პირიქით ბუნტისკენ უბიძგა (იხ. a contrario, Caloc c.France, № 33951/96, §100, CEDH 2000-IX). სასამართლოს აზრით ასეთ პირობებში ფიზიკური ძალის გამოყენება არ შეიძლება გამართლებულ იქნეს პატიმართა ქცევიდან გამომდინარე.

381. სამართლებრივი გარანტიების უკმარისობასთან გამომდინარე (§§ 428, 432 და 457-461 ქვემოთ) და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩევეები ჩააყენეს ისეთ მდგომარეობაში, როდესაც მათ არ იცოდნენ არაფერი მათ ბელთან დაკავშირებით, რასაც ემატებოდა შესფოთება (§§ 129, 132, 171, 188 და 194 ზემოთ) და გაურკვეველობა რის წინაშე ისინი აღმოჩნდნენ მათთვის გაურკვეველი მიზეზების გამო, სასამართლოს მიაჩნია, რომ ის ფორმა, რომელიც საქართველოს ხელისუფლებამ მიმართა 2002 წ. 2 ოქტომბრის ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესრულების დროს, წარმოქმნის პრობლემას, რომელიც კონვენციის მე-3 მუხლის მოქმედების ქვეშ ექცევა.

382. რაც შეეხება დაზიანებების სერიოზულობას 2002 წ. 4 ოქტომბრის სამედიცინო დასკვნის მიხედვით (§§ 200-211 ზემოთ) და ამ რიცხვში მოსარჩელეთა პირად საქმეში შეტანილი ჩანაწერების მიხედვით სასამართლომ დაადგინა, რომ ხანჩუკაევს, მაგომადოვს და გელოგაევს მთელ სხეულზე აღენიშნებოდათ მნიშვნელოვანი ზომის სისხლჩაქცევების დიდი რაოდენობა (მერყეობდა IX1 სმ დან 20X5 სმ). ხანჩუკაევს ასევე ჰქონდა მარჩხენა მხარის მოტეხილობა, ისაევს სისხლVაქცევები ჰქონდა სახეზე, განსაკუთრებით მარჯვენა თვალის ირგვლივ. ხაჩიევს და ბაიმურზაევს არანაირი ძალადობის კვალი არ აღენიშნებოდათ. თუმცა, მათი წარმომადგენლების თქმით, ბაიმურზაევს ადრეც აწუხებდა ძელის სერიოზული დეფორმაცია ყბის არეში და ჰოსპიტალიზირებული იყო მისი მოტეხილობის გამო (§§ 106 და 208 ზემოთ). კუშტანაშვილი ამ სამედიცინო ექსპერტს არ შეუმოწმებია არაექსტრადირებული მოსარჩევეების და ერთი საპატიმროს თანამშრომლის ჩვენების გარდა, რომელთა მოსმენა ჩატარდა თბილისში (§§ 125, 135 და 158 ზემოთ), სასამართლოს არ გააჩნია საბუთები, რომლებიც მიუთითებენ № 88 საკნის ოთხი მოსარჩელის შამაგვის, აზიევის, ხაჯიევის და ვისიტოვისთვის მიყენებულ დაზიანებებზე.

383. როგორც არ უნდა იყოს, თუ დავუშვებთ იმასაც, რომ თბილისში სასამართლოს წინაშე წარმომდგარ მოსარჩევეებს შეენიშნებათ ტენდენცია გააზვიადონ მათი ან სხვა მოსარჩევეების მიერ მიღებული დაზიანებები, სამედიცინო ექსპერტის მიერ დადგენილი სისხლჩაქცევების სერიოზულობა, რომელმაც შეამოწმა ხანჩუკაევი, მაგომადოვი, გელოგაევი და ისაევი (იხ. Assenov et autres c.Bulgarie, 1998 წ. 28 ოქტომბრის დადგენილება, კრებული 1998-VII, § 11),

ისევე როგორც ხანჩუკაევის შემთხვევაში მარცხენა მხარის მოტეხილობა იძლევა საშუალებას მოვიჩინოთ, რომ ამ მოსარჩელების ჭრილობები საკმარისად სერიოზული იყო იმისათვის, რომ მიექცნენ მე-3 მუხლის მოქმედების სფეროში (A.c.Royaume-Uni, 1998 წ. 23 სექტემბრის დადგენილება, კრებული 1998-VI, გვ. 2699, §21; Ribitsh c.Autriche, 1995 წ. 4 დეკემბრის დადგენილება, სერია A № 36, გვ. 9 და 26 §§ 13 და 39). სასამართლო შენიშნავს, რომ მას ხელთ არსებული მასალები არ იძლევიან საშუალებას დადგინდეს ჰქონდა თუ არა ამ დაზიანებებს ხანგრძლივი ეფექტი დაზარალებულებზე. იგი უბრალოდ აღნიშნავს, რომ მაშინ როდესაც ეს საჭირო იყო არანაირი სამედიცინო შემოწმება არ ჩატარებულა და მოსარჩელებს მხოლოდ რამდენიმე სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს (§§ 126, 153 იხ ფინე და 206-211 ზემოთ).

384. სასამართლოს მხედველობიდან არ გამორჩენია ის რომ საპატიმროს თანამშრომლებმა და სპეცდანიშნულების რაზმის წევრებმაც მიიღეს ჭრილობები მოსარჩელებთან “ხელჩართული ბრძოლის” დროს (§§ 151, 158 და 204-205 ზემოთ). გამოძიების პროცესში ამ მოსარჩელებიდან ოთხი სცნეს ამ დაზიანებების ავტორებად და მათ 2004 წ. 25 ნოემბერს მიესაჯათ 2 წ. და 5 თვის პატიმრობა. ამჟამად მიმდინარეობს პროცესი სხვა სამი მოსარჩელის წინააღმდეგ (§§ 98 და 99 ზემოთ). სამაგიეროდ, არ ეტყობა, რომ საქართველოს ხელისუფლებას ჩაეტარებინოს რაიმე გამოძიება იმის გასარკვევად თუ რამდენად ზომიერად იქნა გამოყენებული ძალა მოსარჩელების ქინააღმდეგ.

385. თუ გავითვალისწინებთ იმ დაუშვებელ გარემოებებს, რომლითაც იყო გარემოცული ოთხი მოსარჩელის ექსტრადიციის გადაწყვეტილების აღსრულების პროცედურა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან (§§ 378-381 ზემოთ), რასაც ემატება სპეცდანიშნულების რაზმის მიერ ზოგიერთი მათგანისთვის დაზიანებების მიყენება, რომელსაც არ მოჰყოლია სამედიცინო შემოწმება და შესაბამისი მკურნალობა საჭიროების დროს, სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის №5 საპრეობილეში მყოფ 11 მოსარჩელეს 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის დამეს მიაყენეს ფიზიკური და მორალური ტკივილი ისეთი სახით, რომ ამას შეიძლება მიეცეს არაადამიანური მოპყრობის კვალიფიკაცია.

386. აქედან გამომდინარე საქართველოს მხრიდან ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

### III. საქართველოს მიერ კონვენციის მე-5 მუხლის §§ 1,2 და 4-ის სავარაუდო დარღვევის შესახებ

387. კონვენციის მე-5 მუხლის §§ 1,2 და 4-ის შესაბამის ნაწილებში ნათქვამია:

“1. ყველას აქვს პიროვნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება. არავის წაერთმევა თავისუფლება ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევების გარდა და ეს მოხდება კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად: (...)

(3) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება, განხორციელებული იმ მიზნით, რათა მოხდეს მისი წარდგენა უფლებამოსილი კანონიერი ხელისუფლების წინაშე, მის მიერ დანაშაულის ჩადენის კანონზომიერი ეჭვის არსებობის შემთხვევაში ან როდესაც დაპატიმრება ან დაკავება კანონზომიერად აუცილებლად განიხილება მის მიერ დანაშაულის ჩადენის ან შემდგომ მისი გაქცევის თავიდან აცილებისათვის; (...)



ფ) პიროვნების კანონიერი დაპატიმრება ან დაკავება მის მიერ ქვეყანაში უკანონოდ შესვლის აღკვეთისათვის ან იმ პიროვნების დაპატიმრება ან დაკავება, რომლის წინააღმდეგ ხორციელდება ღონიადიებები მისი დეპორტაციისა ან გადაცემისათვის.

2. ყველა დაპატიმრებულს მისთვის გასაგებ ენაზე დაუყოვნებლივ აცნობებენ მისი დაპატიმრების მიზეზებსა და მის წინააღმდეგ აღძრულ ბრალდებებს. (...)

4. დაპატიმრებით ან დაკავებით თავისუფლებადკვეთილ ყველა პირს, უფლება მიეცემა განახორციელოს ქმედებანი, რომლითაც მისი დაკავების კანონიერება სწრაფად გადაწყდება სასამართლოს მიერ და გათავისუფლდება, თუღი მისი დაკავება არ არის კანონიერი. (...)

## 1. მხარეთა ვერსიები

388. მოსარჩელეთა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათი კლიენტები ოფიციალურად არასდროს იყვნენ დაკავებული მათი ექსტრადიციის მიზნით და რომ 2002 წ. 6 და 7 აგვისტოს მათ პატიმრობაში აყვანას შეაძლება მიეცეს პატიმრობის შენიღბული ფორმის კვალიფიკაცია რაც იკრძალება კონვენციის მე-5 მუხლის §1 ფ)-ით. ამ რიცხვებში მათი გადმოყვანა სამოქალაქო ჰოსპიტალიდან საპატიმროში (მარგოშვილის შემთხვევაში საპატიმროს საავადმყოფოდან) საქართველოში რუსეთის გენერალური პროკურორის 2002 წ. 6 აგვისტოს ჩამოსვლის შედეგი იყო, რომელმაც თან ჩამოიტანა მოსარჩელეთა ექსტრადიციის მოთხოვნა (§§ 58-60 ზემოთ). თუ გვერდზე გადავდებთ კონვენციის მე-5 მუხლის მოთხოვნას “ რაც შეიძლება მოკლე ვადებში” , არც ციხეში მათი გადაყვანის დროს და არც შემდგომ მოსარჩელები არ იყვნენ ინფორმირებული იმის შესახებ, რომ ისინი დააკავეს რუსეთის ხელისუფლებისთვის გადაცემის მიზნით. ამავე ფაქტის გამო მოსარჩელებს არ მიეცათ საშუალება გაესაჩივრობინათ მათი პატიმრობაში აყვანის კანონიერება. იგივე პრეტენზიების წამოყენებით ხაჯიევი ხაჯიევი აქცენტს აკეთებს კონვენციის მე-5 მუხლის § 2-ზე და მე-6 მუხლის § 3-ზე (პარაგრაფი 235 ზემოთ). გარდა ამისა იგი ჩივის, რომ სამოქალაქო ჰოსპიტალში დაკითხეს თარჯიმნის გარეშე და ამავე დროს, როდესაც იგი 2002 წ. 6 აგვისტოს წარსდგა სასამართლოს წინაშე (§ 58 ზემოთ) არ გამოუცხადეს მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებები.

389. რაც შეეხება ხაჩიევსა და ბაიმურზაევს, ადვოკატები უჩივიან თბილისიდან მათ მოულოდნელ გაუჩინარებას რის შემდეგ ისინი ასევე მოულოდნელად აღმოჩნდნენ რუსეთის ციხეში. მათ მიუღებლად მიაჩნიათ მთავრობების არგუმენტები თითქოს ისინი დააპატიმრეს რუსეთში რუსეთსაქართველოს საზღვრის გადაკვეთის მომენტში. ისინი შეახსენებენ, რომ მათი განთავისუფლების მომენტში, 2004 წ. 6 თებერვალს (§§ 100-105 ზემოთ) ამ მოსარჩელებმა უკვე კარგად იცოდნენ, რომ ისინი რუსეთში ექსტრადიციის ობიექტები იყვნენ. აქედან გამომდინარე ისინი თავისი საკუთარი სურვილით არ გაემართებოდნენ საზღვრისაკენ ამ ქვეყანაში შესვლის მიზნით. ადვოკატებს არადამაკმაყოფილებლად მიაჩნიათ ორივე ხელისუფლების მიერ მოწოდებული ინფორმაციები და მიაჩნიათ, რომ მათი მხრიდან სარწმუნო განმარტებების არქონის გამო შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს მოსარჩელები ფარულად გადასცეს რუსეთის ხელისუფლების ორგანოებს და მათი დაპატიმრება ეწინააღმდეგება კონვენციის მე-5 მუხლს.

390. საქართველოს ხელისუფლების მტკიცებით მოსარჩელების პატიმრობის პირობები შეესაბამებოდა კონვენციის მე-5 მუხლის § 1 ფ)-ის მოთხოვნებს. ისინი გაფრთხილებული იყვნენ მათი ექსტრადიციის პროცედურასთან დაკავშირებით გენერალური პროკურატურის პროკურორსატაჟიორის დარბაიძის მიერ. მისი კოლეგა, პროკურორ-სატაჟიორის ნადარეიშვილის თანხლებით, 2002 წ. 23 აგვისტოს იგი შეხვდა ისაევს, ხანუკაევს, აზიევს, შამაევს და ხაჯიევს და შეატყობინა მათ მათი შესაძლო ექსტრადიციის შესახებ რუსეთში. ამ მოსარჩელებმა უარი საჩივარეს ყოველგვარ კომენტარზე. ამ ვერსიის დასადასტურებლად ხელისუფლებამ წარმოადგინა ამ შეხვედრის ოქმი. 2002 წ. 13 სექტემბერს იგივე პროკურორ-სატაჟიორმა, მისი კოლეგა ხერიანოვას თანხლებით, შეატყობინა ამის შესახებ ბაიმურზაევს, გელოგაევს, მაგომადოვს, კუშტანაშვილს, ადაევს, ხაჩიევს, ვისიტოვს და მარგოშვილს. მათ ასევე უარი საჩივარეს შეედგინათ საჩივრები.

391. მოსარჩელეთა წარმომადგენლები უარყოფენ ამ ვერსიას და ამტკიცებენ, რომ ხსენებული პროკურორ-სატაჟიორების გვარები არ ფიგურირებენ №5 საპრობილის სტუმართა წიგნში. გარდა ამისა ისინი ეჭვობენ, რომ პროკურორ-სატაჟიორს ჰქონდეს კომპეტენცია შეატყობინოს პატიმარს მისი ექსტრადიციის პროცედურის შესახებ.

392. პასუხად საქართველოს ხელისუფლება განმარტავს, რომ “მნახველთა, ადვოკატთა და გამომძიებელთა წიგნში” მხილოდ იმ პირების ჩაწერა ხდება ვისაც ესაჭიროება ციხის ადმინისტრაციის მიერ წინასწარ გაცემული საშვები. ამგვარად, “სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების უსაფრთხოების წესების” თანახმად პროკურორებისთვის საკმარისია საპატიმროებში შესვლის დროს წარადგინონ მათი სამსახურებრივი მოწმობა. ამ მიზეზიდან გამომდინარე მათი გვარი არ არის შეტანილი ზემოხსენებულ წიგნში. სამაგიეროდ ხელისუფლებამ წარმოადგინა ამონაწერები “საგამომძიებო ოთახში პატიმართა გაყვანის მოთხოვნათა წიგნიდან” საიდანაც გამომდინარეობს, რომ 2002 წ. 23 აგვისტოს უშიშროების სამინისტროს გამომძიებლები შეხვდნენ ისაევს, ხანუკაევს, აზიევს, შამაევს და ხაჯიევს 12 საათსა და 15 წუთზე. 2002 წ. 13 სექტემბერს იგივე გამომძიებლები შეხვდნენ გელოგაევს, ადაევს, ხანუკაევს, მაგომადოვს, ხაჩიევს და ბაიმურზაევს 13 საათსა და 15 წუთზე. პროკურორ-სატაჟიორი დარბაიძე პირდაპირ საგამომძიებო ოთახში გამოცხადდა და ჰქონდა შეხვედრა ამ მოსარჩელებთან 2002 წ. 23 აგვისტოს და 13 სექტემბერს (§§ 162, 163 და 166 ზემოთ). საპატიმროს უფროსის წერილი ადასტურებს, რომ დარბაიძის ვიზიტებს ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

393. რაც შეეხება პროკურორ-სატაჟიორების სტატუსს, ხელისუფლება განმარტავს, რომ მათ იგივე ფუნქციები აკისრიათ რაც პროკურორებს და პროკურორის თანაშემწეებს. აქედან გამომდინარე დარბაიძე და მისი კოლეგები მოქმედებდნენ მათთვის დადგენილი კანონიერი მოვალეობების ფარგლებში.

394. მოსარჩელეთა წარმომადგენლები დამატებით იტყობინებიან, რომ 2002 წ. 22 აგვისტოს მოსარჩელეთა ადვოკატებმა შიდა სამართალწარმოების ფარგლებში მოსთხოვეს გენერალურ პროკურატურას დაეშვათ ისინი დოკუმენტებთან, რომლებიც დაკავშირებული იყვნენ მათი კლიენტების მიმართ რუსეთში წაყენებულ ბრალდებებთან. 2002 წ. 30 აგვისტოს ეს მოთხოვნა უკან დააბრუნეს იმ მოტივით, რომ არსებული დოკუმენტები შეეხებოდნენ იმ

ფაქტებს, რომლებიც თითქოს მოსარჩელებმა ჩაიდინეს რუსეთის ტერიტორიაზე და არავითარ კავშირში არ იყვნენ იმ საქმეებთან, რომელ საქმეებშიც ეს ადვოკატები გამოდიოდნენ მათი კლიენტების ინტერესების დამცველებად საქართველოს ხელისუფლების წინაშე.

395. საქართველოს ხელისუფლებას ამ საკითხთან დაკავშირებით აქვს საპასუხო არგუმენტი, ის რომ კონვენცია არ აძლევს პიროვნებას გარანტიას, რომ მას აქვს უფლება არ იყოს ექსტრადირებული. აქედან გამომდინარე საქართველოს ხელისუფლება არ იყო ვალდებული დაეშვა მოსარჩელები მათ წინააღმდეგ რუსეთში წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებთან. სამაგიეროდ, ხელისუფლების ორგანოები აძლევდნენ გარანტიას, რომ თარჯიმნის საშუალებით მათ შეატყობინებდნენ საქართველოსი მათი დაკავების მიზეზებს და რა ბრალდებას უყენებდნენ მათ საქართველოს ხელისუფლების ორგანოები. მათ ეძლეოდათ, რომ ექნებოდათ უფლება გასცნობოდნენ საქართველოში მათ წინააღმდეგ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეს და ასევე დაცული იქნებოდა მათი უფლება მათი არჩევანის მიხედვით შეერჩიათ ადვოკატები.

## 2. სასამართლოს შეფასება

### ა) თვით დაპატიმრების კანონიერების შესახებ

396. სასამართლო შეახსენებს, რომ მე-5 მუხლის §1-ში მოცემულია გარემოებების ამომწურავი სია, როდესაც პიროვნებას შეიძლება კანონიერად ადევნეთ თავისუფლება. აქვე იგულისხმება, რომ ამ გარემოებებს უნდა მიეცეს ვიწრო ინტერპრეტაცია, რადგან საქმე გვაქვს პირადი თავისუფლების ფუნდამენტალური გარანტიის გამონაკლისებთან (Quinn c.France, 1995 წ. 22 მარტის დადგენილება, სერია A, № 311, გვ.17, § 42). მოითხოვს რა რომ ნებისმიერი თავისუფლების აღკვეთა მოხდეს “კანონიერი გზით”, მე-5 მუხლი, §1, პირველ რიგში მოითხოვს, რომ ნებისმიერი დაკავება ან დაპატიმრებას ჰქონდეს კანონიერი საფუძველი შიდა კანონმდებლობასთან შესაბამისად (Amuur c.France, 1996 წ. 25 ივნისის დადგენილება, კრებული 1996-III, § 50).

397. კონვენციის მე-5 მუხლის, § 1 (ფ)-ის გამონაკლისი მოითხოვს მხოლოდ იმას, რომ შესრულდეს “ექსტრადიციის პროცედურა”. მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ითვალისწინებს იგივე სამართლებრივ დაცვას რაც გათვალისწინებულია მე-5 მუხლის §1 ც)-ში (Chahal, ადრე დასახ., გვ. 1862, §112), “კანონიერების” მოთხოვნა ყველა შემთხვევაში ნიშნავს უსამართლობის გამორიცხვას (Bozano, ადრე დასახ., §59; c. Espagne, №53652/00, § 53, 2003 წ. 17 ივნისი). სასამართლო ცდილობს დაადგინოს დაცული იყო თუ არა ეს მოთხოვნა იმ გარანტიების გათვალისწინებით, რომელსაც იძლევა ქვეყანაში არსებული სისტემა (Dougoz c.Gr èce, # 40907/98, § 54, CEDH 2001-II).

398. ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლომ პირველ რიგში დაადგინა, რომ საქართველოში ჩამოსვლის შემდეგ მოსარჩელების დაკავების და პატიმრობაში აყვანის ფაქტის გასაჩივრების დროს მოსარჩელების წარმომადგენლებს არ წარმოუდგენიათ არცერთი საჩივარი მოსარჩელების

პატიმრობის პერიოდში მათი აყვანის დღიდან 2002 წ. 4 ოქტომბრამდე, როდესაც ხუთი მათგანი ექსტრადირებულ იქნა რუსეთში. ეს სადავო პერიოდი გრძელდება 3 აგვისტოდან (პირველი დაკავებულის შამაყვის აყვანის თარიღი) 2002 წ. 4 ოქტომბრამდე.

399. 2002 წ. 3 დან 7 აგვისტომდე დაკავებული მოსარჩელებების მიმართ 2002 წ. 5 და 6 აგვისტოს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე საზღვრის დარღვევის, იარაღის უკანონო შემოტანის, ტარების და შენახვის ბრალდებით. 2002 წ. 6 და 7 აგვისტოს ვაკე-საბურთალოს რაიონის პირველი ინსტანციის სასამართლომ მათ გამოუტანა სამთვიანი წინასწარი პატიმრობა (§59 ზემოთ). ამ რიცხვებიდან მოყოლებული მათი პატიმრობაში აყვანა ექვემდებარებოდა შიდა კანონმდებლობას, განაჩენო გამოტანილი იყო კომპეტენტური სასამართლოს მიერ (§ 254 ზემოთ) და შეადგენდა იმ გამონაკლისს, რომელსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-5 მუხლის § 1 ც).

400. სასამართლო ადგენს, რომ ეს წინასწარი პატიმრობა და მოსარჩელების პატიმრობაში აყვანა ექსტრადიციის პროცედურის მიზნით ნაწილობრივ ერთმანეთზე იყო გადახლართული (იხ. Kolompar c.Belgique, 1992 წ. 24 სექტემბერი, სერია A, № 235-ჩ, და Scott c.Espagne, 1996 წ. 18 დეკემბერი, კრებული 1996-VI). მოსარჩელეთა წარმომადგენლები ექსტრადიციის მიზნით პატიმრობის დასაწყისად მიიჩნევენ 2002 წ. 6 აგვისტოს, საქართველოში რუსეთის გენერალური პროკურირის ჩამოსვლის თარიღს.

401. ეს მოსაზრება სასამართლოს არადაამაჯერებლად მიაჩნია. იგი თვლის, რომ დევნათა ეს თანხვედრა, როგორც ასეთი, არ შეიძლება მივიჩნიოთ შიდა კანონმდებლობისგან გადახვევად ექსტრადიციის პროცედურასთან დაკავშირებით (mutatis mutandis, Quinn, ადრე დასახ., §47).

402. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (“სსკ”) 259 მუხლის §1-ში §254 ზემოთ) იმავე მუხლის §3-თან ერთად კომბინაციაში იკითხება შემდეგი, რომ ექსტრადიციას დაქვემდებარებული პიროვნება შეიძლება დაკავებულ იქნეს მისი ექსტრადიციის მოთხოვნიდან გამომდინარე თუ ამ მოთხოვნას თან ახლავს მისი დაპატიმრების გადაწყვეტილება გამოტანილია მომთხოვნი სახელმწიფოს კომპეტენტური სასამართლოს მიერ. ამ პატიმრობის თავდაპირველი ვადა არ უნდა აღემატებოდეს სამ თვეს და ამ პიროვნებას შეუძლია მიმართოს სასამართლოს მისი უფლებების დასაცავად (იმავე მუხლის პარაგრაფი 4). ამგვარად, ექსტრადიციასთან დაკავშირებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს უცხო ქვეყნის მოქალაქის პატიმრობაში აყვანას, ამას აქვს პირდაპირი აღსრულების ძალა და არ არის სავალდებულო ექსტრადიციულ პატიმრობაში აყვანის შიდა დადგენილება. იმ შემთხვევაში, თუ სამი თვის შემდეგ ექსტრადიციის მომთხოვნი ქვეყანა არ მოითხოვს ვადის გაგრძელებას მაშინ საქსტრადიციო პირი გათავისუფლებულ უნდა იქნას.

403. რაც შეეხება ამ საქმეს, რუსეთის გენერალურმა პროკურორმა 2002 წ. 6 აგვისტოს მის ქარტველ კოლეგას გადასცა მოსარჩელეთა ექსტრადიციის მოთხოვნა. იმავე დღეს, საქართველოს გენერალურმა პროკურორმა, ექსტრადიციის საკითხში კომპეტენტურმა პიროვნებამ, უარი საჩივარა განეხილა ეს მოთხოვნა, რადგან მიიჩნია, რომ არ იყო წარმოდგენილი საქმესთან დაკავშირებული შესაბამისი მასალები, როგორც მატერიალური, ასევე

პროცედურული თვალსაზრისით (§§ 62 და 63 ზემოთ). იგი ნაკლს ხედავდა იმაშიც, რომ ექსტრადიციის მოთხოვნას თან არ ახლდა მოსარჩელეთა დაპატიმრების გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილი იქნებოდა რუსეთის კომპეტენტური ორგანოების მიერ.

404. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით რუსეთის ხელისუფლებამ წარმოადგინა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი. 2002 წ. 19 აგვისტოს მან წარმოადგინა თითოეული მოსარჩელის წინასწარ პატიმრობაში აყვანის დადგენილების დამოწმებული ასლები, რომელიც გამოტანილი იყო ქალაქ გროზნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (§64 ზემოთ). სასამართლოს ამ საკითხთან დაკავშირებით მიმართა გამომძიებელმა, რომელსაც ევალებოდა მოსარჩელეთა სისხლის სამართლის საქმის გამოძიება რუსეთში. მოსარჩელეთა პატიმრობაში აყვანა გადაწყდა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 108 მუხლის §5-ის მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს პიროვნების მიმართ მის დაუსწრებლად გამოტანას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მასზე საერთაშორისო ძებნაა გამოცხადებული ( პარაგრაფები 64(2) და 264 ზემოთ). იმავე კოდექსის 109 მუხლის § 1-ის თანახმად პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 თვეს (§264 ზემოთ).

405. გარემოებათა ერთობლიობიდან გამომდინარე, სასამართლოს არ მიაჩნია, რომ 2002 წ. 6 აგვისტოდან მოსარჩელები პატიმრობაში ჰყავდათ მათი ექსტრადიციის მიზნით. ერთადერთი მოტივი, რომ რუსეთის გენერალური პროკურორი ამ რიცხვში ესტუმრა თავის ქართველ კოლეგას და მას გადასცა მოსარჩელეთა ექსტრადიციის მოთხოვნა, არ არის საკმარისი ამ დასკვნის გამოსატანად. მით უფრო, რომ იმავე დღეს საქართველოს გენერალურმა პროკურორმა სიტყვიერად და წერილობით შეატყობინა, რომ ეს მოთხოვნა არ იქნებოდა განხილული იმის გამო, რომ არსებობდა სხვადასხვა ხარვეზი. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 259 მუხლის დებულებების გათვალისწინებით და საწინააღმდეგო მტკიცებულებების არარსებობის პირობებში, სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა კონვენციის მე-5 მუხლის § 1 ფ)-ის შესაბამისი პატიმრობა უნდა იწყებოდეს 2002 წ. 19 აგვისტოდან, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ექსტრადიციის მომთხოვნი ქვეყნისგან მიიღო მის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტები, მათ შორის მათი პატიმრობაში აყვანის დადგენილება, მიღებული კომპეტენტური სასამართლო ორგანოს მიერ. ამ თარიღიდან დაწყებული მოსარჩელები პატიმრობაში აყვანილი იყვნენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მათი ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე, რომელსაც თან ახლდა პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებული ყველა საბუთი.

406. ამგვარად სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო პერიოდის განმავლობაში მოსარჩელეთა პატიმრობა ყოველთვის შეესაბამებოდა იმ გამონაკლისებს, რომლებსაც ითვალისწინებს კონვენციის მე-5 მუხლის § 1 ც) და ფ) და რომ ის არ იყო უკანონო საქართველოს სამართალდამცავი სისტემის კანონით გათვალისწინებული გარანტიების თვალსაზრისით. მის ხელ არსებული მასალების გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ მოსარჩელეთა პატიმრობა პრინციპში მართებული იყო კონვენციის მე-5 მუხლის § 1 ფ)-ის თვალსაზრისით.

407. აქედან გამომდინარე ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის § 1-ის დარღვევას იმ საკითხში, რომელიც ეხება მოსარჩელეთა სადავო პატიმრობას საქართველოში.

408. მიუხედავად ამისა სასამართლო შემდგომში შეეცდება გაარკვიოს ისარგებლეს თუ არა ამ უკანასკნელებმა საკმარისი გარანტიებით კონვენციის სხვა მოთხოვნების შესაბამისად რათა ისინი დაცულები ყოფილიყვნენ უკანონობისგან (§§ 413 და შემდ. ქვემოთ).

### **ბ) ხაჩიევის (ელიხაჯიევი, მულკოევი) და ბაიმურზაევის (ალხანოვის) დაპატიმრების შესახებ მათი გაუჩინარების შემდეგ**

409. სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ ამ მოსარჩელების 2004 წ. 16 თებერვალს გაუჩინარების ფაქტი მოხდა მას შემდეგ რაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება აღნიშნული სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ. ამ გადაწყვეტილებით სარჩელი განიხილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რა მიზნითაც იგი იყო შემოტანილი (Guzzardi c. Italie, 1980 წ. 6 ნოემბრის დადგენილება, სერია A № 39, §106; W. c. Royaume-Uni, 1987 წ. 8 ივლისის დადგენილება, სერია A № 121, §57). ამგვარად სასამართლოს არ გააჩნია კომპეტენცია განიხილოს ან კომენტარი გააკეთოს რუსეთის ხელისუფლების მიერ ხაჩიევის და ბაიმურზაევის დაკავების და პატიმრობაში აყვანის კანონიერების შესახებ.

410. ამასთანავე სასამართლოს სრული კომპეტენციიდან გამომდინარე თუ მას ყველა წესის დაცვით მიმართეს (De wilde, ooms et versyp c. Belgique (ძირითად), 1971 წ. 18 ივნისის დადგენილება, სერია A № 12, §49), სასამართლომ საჭიროდ ჩათვალა მოეთხოვა განმარტებები მოპასუხე მთავრობებისგან თვით გაუჩინარების ფაქტის გასარკვევად და ამავე დროს მოსარჩელების ბედთან დაკავშირებით რუსეთში მათი დაპატიმრების შემდეგ (§§ 45 და 100-103 ზემოთ).

411. თუ სიმართლეა ის, რომ მტკიცებულებათა საჭირო დონე მიიღწევა მონაცემთა ერთობლიობით ან საკმაოდ ზუსტი, სერიოზული და შესაბამისი უდავო ირიბი სამხილებით (Kaya c. Turquie, 1998 წ. 19 თებერვლის დადგენილება, კრებული 1997-I, §77), ამ საქმესთან დაკავშირებით მოპასუხე მთავრობების მიერ მოწოდებული ინფორმაციების და მოსარჩელეთა წარმომადგენლების მიერ წამოყენებული არგუმენტების განხილვის შემდეგ სასამართლომ ვერ აღმოაჩინა ვერანაირი მტკიცებულება, რომელიც მიუთითებდეს იმაზე, რომ ეს სადავო გაუჩინარება იყოს უკანონო ექსტრადიციის ოპერაციის შედეგი, რომელიც ფარულად ჩაატარეს შესაბამისმა სახელმწიფოებმა. რადგან ეს ასეა სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია დააზუსტოს, რომ აღნიშნული სახელმწიფოების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების დამაჯერებლობაში გარკვევას ასუსტებს ის ფაქტი, რომ სასამართლოს ხელი შეუშალეს იმაში, რომ შეესრულებინა თავისი ფუნქციები რუსეთში და მოესმინა ამ ორი მოსარჩელისათვის (§ 504 ზემოთ).

412. არსებული ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა რომ მას არ აქვს კომპეტენცია, არსებული სარჩელის ფარგლებში, გაარკვიოს საჩივარი ხაჩიევის (ელიხაჯიევი, მულკოევი) და ბაიმურზაევის (ალხანოვი)

უკანონო დაპატიმრებასთან დაკავშირებით მას შემდეგ რაც 2004 წ. 19 თებერვალს ისინი რუსეთში დააკავეს.

### ც) კონვენციის მე-5 მუხლის §§ 2 და 4 დარღვევის შესახებ

413. სასამართლო შეახსენებს, რომ მე-5 მუხლის პარაგრაფი 2 ითვალისწინებს ელემენტარულ გარანტიას: ნებისმიერმა დაკავებულმა პიროვნებამ უნდა იცოდეს რის გამო მოხდა მისი თავისუფლების აღკვეთა (ჩონკა, ადრე დასახ., დადგენილება, § 50). საქმე ეხება მინიმალურ გარანტიას უკანონობის წინააღმდეგ. მე-5 მუხლით გათვალისწინებული დაცვის სისტემასთან ერთად იგი ავალდებულებს ასეთ პეროვნებას შეატყობინონ მარტივ და მისთვის გასაგებ ენაზე, იურიდიული და ფაქტობრივი მიზეზები რის გამოც მოხდა მისი თავისუფლების აღკვეთა, იმ მიზნით, რომ ამ პიროვნებას მიეცეს საშუალება სასამართლოში გაასაჩივროს ამ ქმედების კანონიერება პარაგრაფი 4-ის შესაბამისად. ეს განმარტებები მას უნდა მიეწოდოს “ რაც შეიძლება მოკლე ვადებში”, მაგრამ პოლიციელს, რომელიც მას აკავეს, შეუძლია ყველა განმარტება მაშინვე არ მისცეს. იმისათვის, რომ გაირკვეს მიეწოდა თუ არა მას საკმარისი განმარტება და საკმაოდ ადრე გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული საქმის თავისებურებანი ( Fox, Campbell et Hartley c. Royaume-Uni, 1990 წ. 30 აგვისტოს დადგენილება, სერია №182, §40). ნებისმიერს აქვს უფლება შეიტანოს საჩივარი მისი დაკავების კანონიერების ნაჩქარევ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც ეფექტურად ვერ იმუშავებს თუ პიროვნებას რაც შეიძლება მოკლე ვადებში და საკმარის დონეზე არ აუხსნიან მიზეზებს, რომელთა გამო მოხდა მისი თავისუფლების აღკვეთა ( Van der Leer c. Pays-Bas, 1990წ. 21 თებერვლის დადგენილება, სერია A # 170- A, \$ 28).

414. ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელების უფლებები პარაგრაფ 2-თან დაკავშირებით არ დარღვეულა ხოლო პარაგრაფი 4 არ ანსხვავებს დაკავების გზით თავისუფლებააღკვეთილ პირებს იმ პირებისგან ვისი თავისუფლება აღკვეთილია პატიმრობაში აყვანის გზით (იგივე).

415. რადგანაც ამ შემთხვევაში შესაძლებელია მე-5 მუხლის § 2-ის გამოყენება სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელები დაკავებულ იქნენ 2002 წ. 3 და 7 აგვისტოს (§§ 57-59 ზემოთ). სასამართლომ ზემოთ უკვე დაადგინა, რომ მათი პატიმრობა ექსტრადიციის მიზნით იწყება 2002 წ. 19 აგვისტოდან (§405 ზემოთ). ამგვარად დასადგენია, ამ თარიღიდან დაწყებული, იყვნენ თუ არა მოსარჩელები ინფორმირებული ამ პატიმრობის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლის §2-ის შესაბამისად.

416. სასამართლოს ხელთ არსებული მასალებიდან გამომდინარეობს, რომ პირველ ცდას შეეტყობინებინათ მოსარჩელებისათვის, რომ მათ მიმართ დაწყებული იყო ექსტრადიციის პროცედურა ადგილი ჰქონდა 2002 წ. 23 აგვისტოს (§§ 162, 171 და 392 ზემოთ). ამ თარიღამდე მოსარჩელები ფლობდნენ ინფორმაციას მათი დაპატიმრების შესახებ ექსტრადიციის მიზნით მხოლოდ გავრცელებული ხმების და ჟურნალისტების მეშვეობით ამ საქმის მედიაში გახმაურებული ხასიათიდან გამომდინარე (§§ 136, 145, 176 და 183 ზემოთ). თუ

დავუშვებთ იმას, რომ 2002 წ. 23 აგვისტოს დარბაიძემ და ნადარეიშვილმა მოსარჩელებს მიაწოდეს საკმარისი ინფორმაცია მათი 2002 წ. 19 აგვისტოდან პატიმრობაში ყოფნის მიზეზებთან დაკავშირებით, ამ საქმის სპეციფიკური კონტექსტიდან გამომდინარე გასულია ოთხი დღე, რაც წინააღმდეგობაში მოდის იმ მოკლე ვადებთან რასაც ითვალისწინებს მე-5 მუხლის § 2 (იხ. Fox, Campbell et Hartley, ადრე დასახ., გვ. 19-20, §§ 41-43 და Murray c. Royaume-Uni, 1994 წ. 28 ოქტომბრის დადგენილება, სერია A № 300-, §78).

417. სასამართლოს ზედმეტად მიაჩნია იმის გარკვევა აძლეოდა თუ არა პროკურორ-სტაჟიორის სტატუსი დარბაიძეს და მის კოლეგებს უფლებას გადაეღვა ნაბიჯები აღნიშნული ექსტრადიციის საქმესთან დაკავშირებით. იგი ითვალისწინებს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მათ გენერალური პროკურატურის კომპეტენტური ორგანოებისგან დაევალოთ მისულიყვნენ საპატიმროში და შეეცდნენ მოსარჩელებისთვის, რომ მიმდინარეობდა მათ ექსტრადიციასთან დაკავშირებული პროცედურა (§§162 და 176 ზემოთ). აღნიშნულ პროკურორ-სტაჟიორებს გარდა ამისა ევალებოდათ გენერალური პროკურატურის ფარგლებში მოსარჩელების ექსტრადიციასთან დაკავშირებული სხვადასხვა დავალებების შესრულება (§§ 162 და 171 ზემოთ). საქართველოს სახელმწიფო ადმინისტრაციაში მათი სტატუსის მიუხედავად, მათზე დაკისრებული ფუნქციებიდან გამომდინარე, პროკურორ-სტაჟიორები ასრულებდნენ სახელმწიფო ვალდებულებას რასაც ითვალისწინებს კონვენცია ( Assanidze c. Georgie [GC], # 71503/01, § 146 ; CEDH 2004-...).

418. მოსარჩელეთა წარმომადგენლებისგან განსხვავებით სასამართლოს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ დარბაიძე და მისი კოლეგები 2002 წ. 23 აგვისტოს და 13 სექტემბერს მართლაც იმყოფებოდნენ საპატიმროში. გარდა იმისა, რომ ამას ადასტურებს მრავალი მოწმე (§§ 162 და 171 და 176 ზემოთ), ეს ყოფნა უპირველეს ყოვლისა დადასტურებულია “პატიმრის საგამოძიებო ოთახში გაყვანის მოთხოვნების სარეგისტრაციო წიგნიდან” ამონაწერებით, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა (§392 ზემოთ). ამგვარად სასამართლო თითოეულ ვიზიტთან დაკავშირებით გაარკვევს თუ რამდენად საკმარისი ინფორმაცია მიეწოდათ მოსარჩელებს კონვენციის მე-5 მუხლის § 2-ის გათვალისწინებით.

419. უპირველეს ყოვლისა იგი აღნიშნავს, რომ ხელისუფლების ვერსია და ზემოაღნიშნული წიგნებიდან ამონაწერები არ შეესაბამებიათ ერთმანეთს იმ ნაწილში, რომელიც ეხება პიროვნებების სახელებს და რაოდენობას, რომლებსაც პროკურორ-სტაჟიორები შეხვდნენ 2002 წ. 23 აგვისტოს და 13 სექტემბერს (§392 ზემოთ). სასამართლოს სარწმუნოთ მიაჩნია ინფორმაცია, რომელსაც იძლევიან წიგნის ამონაწერები. ამ დოკუმენტს ყოველდღიურად ადგენს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაცია, რასაც ადასტურებენ ბაკაშვილის და საიდაევის მტკიცებები (§§ 187, 190 და 192 ზემოთ). სასამართლო, აქედან გამომდინარე ადგენს, რომ 2002 წ. 23 აგვისტოს პროკურორ-სტაჟიორები შეხვდნენ ისაევს, ხანჩუკაევს, აზიევს, შამაევს და ხაჯიევს. 2002 წ. 13 სექტემბერს ისინი შეხვდნენ გელოგაევს, ადაევს, ხანჩუკაევს, მაგომადოვს, ხაჩიევს და ბაიმურზაევს.



420. ამგვარად მარგოშვილი, კუშტანაშვილი და ვისიტოვი არ მონაწილეობდნენ ორ შეხვედრაში, რომელიც ითვალისწინებდა მოსარჩელების ინფორმირებას მათი ექსტრადიციის პროცედურასთან დაკავშირებით.

421. რაც შეეხება იმ მოსარჩელებს, ვისაც 2002 წ. 23 აგვისტოს შეხვდნენ პროკურორ-სტაჟიორები, მათგან მხოლოდ ხანუკაევს ჰქონდა პირედი შეხვედრა დარბაიდესთან (§163 ზემოთ). ამ შეხვედრის ოქმის თანახმად, რომელსაც ხელს აწერენ მხოლოდ დარბაიძე და ნადარეიშილი ამ უკანასკნელებმა მოინახულეს მოსარჩელები მათგან “ახსნა-განმარტების მოსაპოვებლად მათ ექსტრადიციასთან დაკავშირებით”. ამასთანავე ამ “ახსნა-განრმატებაში”, რომელიც რუსულ ენაზე შეადგინა ნადარეიშილიმ, და ხელს აწერს დარბაიძე არცერთ მომენტში არ არის მოხსენიებული ექსტრადიციის პროცედურა. იგი ეხება ხანუკაევის ვინაობასთან დაკავშირებულ მონაცემებს, რომელიც იმ დროისათვის ცნობილი იყო ხანოევის სახელით (იგივე). ამ მოსარჩელემ უარი საჩივარა ხელი მოეწერა დეკლარაციაზე ისევე როგორც შეხვედრის პროტოკოლზე, ამტკიცებდა, რომ იგი მხოლოდ მისი ადვოკატის თანდასწრებით მისცემდა განმარტებებს (დარბაიძის თქმით თანჯმნის თანდასწრებით). ამ უარის გამო, რომელიც შემდგომში გაიზიარეს საგამოძიებო ოთახში მყოფმა სხვა მოსარჩელებმა (შამაევი, ხაჯიევი, ისაევი და აზიევი), დარბაიძემ და მისმა კოლეგამ დატოვეს ადგილი (§ 165 ზემოთ).

422. ამ გარემოებების გათვალისწინებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წ. 23 აგვისტოს არანაირი საკმარისი ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული ხანუკაევის, შამაევის, ისაევის და აზიევისთვის არც მათ პატიმრობასთან დაკავშირებით ექსტრადიციის პროცედურის ფარგლებში, არც რუსეთის ორგანოების მიერ მათთვის წაყენებული ბრალდებების შესახებ.

423. 2002 წ. 13 სექტემბერს მეორე შეხვედრა, ამჯერად ხერიანოვას თანხლებით, ჩატარდა საიდაევის თანდასწრებით, რომელიც კონტრაქტით დაიქირავა უშიშროების სამინისტრომ მოსარჩელების სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით (§§166, 189 და 192 ზემოთ), რომელიც იმყოფებოდა საპატიმროს საგამოძიებო ოთახში გარკვეული გარემოებების გამო (იგივე) ან მსხილაძესა და ბაკაშვილს შორის არსებული შეთანხმების გამო (§ 165 ზემოთ). ბატონი საიდაევი დათანხმდა დარბაიძისთვის გაეწია შემთხვევითი სამსახური და შეესრულებინა თარჯმნის მოვალეობა.

424. თბილისში სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტებიდან გამომდინარეობს, რომ გაცნობის მომენტში დარბაიძემ საიდაევს გააცნო მისი ფუნქციები და ის ფაქტი, რომ იგი მოსული იყო მოსარჩელებთან შესახვედრად “ექსტრადიციის პროცედურასთან დაკავშირებით” (§§ 166 და 192 ზემოთ). თარჯმნის მოთხოვნაზე დაეზუსტებინა ის თუ რა უნდა გადაეთარგმნა მოსარჩელებისათვის, დარბაიძემ უფასუხა, რომ მას სურდა, რომ მოსარჩელებს მიეწოდებინათ ინფორმაცია მათ ვინაობასთან დაკავშირებით. მოსარჩელებმა ამ მოთხოვნას უარით უფასუხეს და დარბაიძემ დატოვა ადგილი. მას არანაირი დოკუმენტი არ წარუდგენია მოსარჩელებისათვის (§192 ზემოთ). შედგომში იმის გამო, რომ დასჭირდა უფროსებთან თავის გამართლება, რომ იგი ამ დღეს მართლაც იყო მისული მოსარჩელებთან, დარბაიძე დაუკავშირდა საიდაევს (§§ 170 და 195 ზემოთ) და მას შეადგენინა დადასტურება ნოტარიუსის წინაშე. იმავე სანოტარო აქტში დარბაიძემ თარჯმანს დადასტურებინა ის, რომ მან

მოსარჩელებს შეატყობინა მათი ექსტრადიციის პროცედურის შესახებ. თბილისში სასამართლოს წინაშე გამოცხადებულმა საიდაევმა დაადასტურა 2002 წ. 13 სექტემბერს დარბაიძის ყოფნა საპატიმროში, მაგრამ მან კატეგორიულად უარყო ის ფაქტი, რომ მან მიაწოდა მოსარჩელებს ინფორმაცია მათი ექსტრადიციის პროცედურის შესახებ. მის ხელთ არსებული მასალების ერთობლიობიდან გამომდინარე, სასამართლოს სარწმუნოდ მიაჩნია საიდაევის განმარტება ნოტარიულ აქტში მცდარი ჩანაწერის შესახებ იმასთან დაკავშირებით თითქოს მოსარჩელებმა მიიღეს ინფორმაცია მათი ექსტრადიციის შესახებ (§§ 195-198 ზემოთ).

425. სასამართლოსათვის საკითხი არ მდგომარეობს იმაში, რომ გაირკვეს შეეძლოთ თუ არა მოსარჩელებს სხვადასხვა მონაცემების საფუძველზე გამოეტანათ დასკვნა, რომ მათ მიმართ მიმდინარეობდა ექსტრადიციასთან დაკავშირებული პროცედურა, ან რამდენად კარგად გაუწია ოფიციალური სამსახური საიდაევმა სახელმწიფო მოხელეს. სინამდვილეში საკითხი მდგომარეობს იმის გარკვევაში თვით ამ მოხელემ, რომელსაც უფროსობამ დაავალა შეესრულებინა გარკვეული მისია, რამდენად კარგად მიიტანა მოსარჩელების ცნობიერებამდე, რომ ისინი დაკავებული იყვნენ რუსეთში მათი ექსტრადიციის მოთხოვნის შესაბამისად. სასამართლოს არ რჩება მხედველობიდან ის, რომ დარბაიძეს არ შეეძლო შეეფასებინა თარგმანის სისწორე ჩეჩნურ ენაზე. მისი საპასუხო მისიიდან გამომდინარე და იმ სერიოზული წინააღმდეგობის გათვალისწინებით რაც შეიძლებოდა გამოეწვია მოსარჩელებში ექსტრადიციის საკითხს, მას უფრო ზუსტად და გულმოდგინედ უნდა ჩამოეყალიბებინა ის, რისი თარგმნაც სურდა. სასამართლო ადგენს, რომ ამ შემთხვევაში ამას ადგილი არ ჰქონია.

426. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა, რომ 2002 წ. 23 აგვისტოს და 13 სექტემბერს თავისი ვიზიტების დროს საქართველოს გენერალური პროკურატურის პროკურორ-სტაჟიორები შეხვდნენ მხოლოდ ათ მოსარჩელეს (§§ 418-420 ზემოთ), რომლებსაც არ მიუღიათ საკმარისი ინფორმაცია კონვენციის მე-5 მუხლის §2-ის შესაბამისად, რომელიც ეხებოდა მათ დაპატიმრებას ექსტრადიციის მიზნით.

427. რაც შეეხება ექსტრადიციის საქმეებთან დაშვებას, ხელისუფლება არ უარყოფს, რომ მოსარჩელების ადვოკატებს ამაზე უარი ეთქვათ. ამასთან დაკავშირებით მსხილაძის მიერ მოყვანილ არგუმენტთან დაკავშირებით (§177 ზემოთ) სასამართლოს ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ გენერალური პროკურატურის თანამშრომლებს თვითონ ესაჭიროებოდათ რუსეთის ხელისუფლების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში საგულდაგულოდ გარკვევა. თუმცა, ამავე დროს ეს მოტივი როგორც ასეთი არ არის საკმარისი უარი ეთქვას მოსარჩელებს დოკუმენტებთან ნებისმიერ დაშვებაზე, რომელიც პირდაპირ კავშირშია მათ უფლებებთან და რომელზეც დამოკიდებულია ჩივილის უფლების გამოყენება, რასაც ითვალისწინებს მონვენციის მე-5 მუხლის § 4. სასამართლო არ ღებულობს ხელისუფლების არგუმენტს იმასთან დაკავშირებით თითქოს კონვენცია არ ანიჭებს პიროვნებას უფლებას არ იყოს ექსტრადირებული, იგი არ უშლის ხელს პროკურატურას დაუშვას მოსარჩელები თავიანთ საქმეებთან (§395 ზემოთ). იგი შეახსენებს, რომ თუ მე-5 მუხლის §2 არ მოითხოვს პიროვნებისათვის მთელი პირადი საქმის გაცნობას,

ყველა შემთხვევაში ამ უკანასკნელს უნდა მიეწოდოს საკმარისი ინფორმაცია იმისათვის, რომ მან მიეცეს შესაძლებლობა წარადგინოს სარჩელი სასამართლოში რასაც ითვალისწინებს მე-5 მუხლის §4 (Fox, Campbell et Hartley, *adre dasax.*, § 40 ; ჩონკა, ადრე დასახ. დადგენილება, §50).

428. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მოსარჩელების უფლებების დარღვევას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის მე-5 მუხლის §2-ით.

429. ამ დასკვნის საფუძველზე მას საჭიროდ არ მიაჩნია მე-6 მუხლის § 3ის კუთხით ასევე განიხილოს ხაჯიევის სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-5 მუხლის §2-იდან (§388 ზემოთ).

430. რაც შეეხება ამ მოსარჩელის საჩივარს იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს სამოქალაქო კოსპიტალში დაკითხვის დროს არ იმყოფებოდა თარჯიმანი და ამავე დროს საქართველოს ხელისუფლების მხრიდან არ არსებობდა ინფორმაცია თუ რა ბრალდებებს უყენებდა საქართველოს ხელისუფლება მოსარჩელეს, სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ უკავშირდება არსებული სარჩელის წარმოებაში მიღების გადაწყვეტილებას რომელიც განსაზღვრავს სარჩელის მოქმედების ფარგლებს (Guzzardi, ადრე დასახ., § 06). ამგვარად სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის მისი გაცნობა.

431. რაც შეეხება კონვენციის მე-5 მუხლის § 4-დან გამომდინარე სარჩელს სასამართლო თავიდანვე აღნიშნავს, რომ ამ საქმეში კანონიერებაზე კონტროლი, რომელსაც ითვალისწინებს ეს დებულება ერთიანობაში არ იყო თავისუფლების აღკვეთის დადგენილებასთან, რომელიც რუსეთის სასამართლომ გამოიტანა (§ 64(3) ზემოთ). ეს დადგენილებები ეხებოდა მოსარჩელების პატიმრობაში აყვანას იმ სისხლის სამართლის საქმიდან გამომდინარე, რაც მათ მიმართ აღიძრა რუსეთში და რომელიც საქართველოში სცნეს როგორც აღსრულებას დაქვემდებარებული, რომელიც ექსტრადიციის მოთხოვნასთან ერთად ლეგალურ საფუძველს ქმნიდა მათი დაპატიმრებისათვის ექსტრადიციის მიზნით (§§ 404-405 ზემოთ). პროცედურა, რომელსაც ითვალისწინებს მე-5 მუხლის §4, მოითხოვს პიროვნებას მიეცეს შესაბამისი გარანტიები თავისუფლების აღკვეთის ბუნებიდან გამომდინარე (De Wilde, Ooms et Versyr, ადრე დასახ., §76), რუსული მხარის მიერ მიღებული მე-5 მუხლის §1 ც-ს შესაბამისი დადგენილებებით, ვერ განხორციელდებოდა კონტროლი მოსარჩელეთა დაპატიმრების კანონიერებაზე მათი ექსტრადიციის მიზნით, რადგან საქმე ეხებოდა საქართველოს კანონმდებლობას.

432. სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელები არ იყვნენ ინფორმირებული მათი პატიმრობაში აყვანასთან დაკავშირებით ექსტრადიციის პროცედურის ფარგლებში და რომ საქმის არცერთი ნაწილი მათ არ გააცნეს. ამავე ფაქტიდან გამომდინარე მათი უფლება სასამართლოში წარედგინათ სარჩელი ამ პარიმრობასთან დაკავშირებით შინაარსს იყო მოკლებული.

433. ამ პირობებში სასამართლოს საჭიროდ არ მიაჩნია გაარკვიოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სარჩელის ფორმები მათ მისცემდა საკმარის გარანტიებს კონვენციის მე-5 მუხლის §4 შესაბამისად.

434. სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის §4-ის დარღვევას.

#### IV. საქართველოს მიერ კონვენციის მე-13 მუხლის მე-2 და მე-3 მუხლებთან კომპინაციაში დარღვევის შესახებ

435. სასამართლო შეახსენებს, რომ 2002 წ. 5 ნოემბერს მან გადაწყვიტა ეს ოფიციალურ შეესწავლა ექსტრადიციასთან დაკავშირებული საჩივრები, რომლებსაც მოსარჩელები აფუძნებდნენ კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლებზე და მე-5 მუხლის §§ 1, 2 და 4 კუთხით, ლეს სპეციალის დაპატიმრების (§16 ზემოთ). ეს საჩივრები მთლიანობაში მისაღებად გამოცხადდა 2003 წ. 16 სექტემბერს. თავის დასკვნებში საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებით მუხაშავრიამ განმეორებით აღნიშნა, რომ მოსარჩელეთა საჩივრები ეფუძნებოდნენ არა მარტო მე-5 მუხლს, არამედ კონვენციის მე-13 მუხლსაც.

436. სასამართლო შეახსენებს, რომ მისი ამოცანის შესასრულებლად სასამართლოს აქვს უფლება საქმიდან გამომდინარე ფაქტებს, რომლებსაც ის დადგენილად მიიჩნევს მის ხელთ არსებული სხვადასხვა მასალების მიხედვით, მისცეს მოსარჩელისაგან განსხვავებული შეფასება, ან საჭიროების შემთხვევაში, განიხილოს ისინი სხვა კუთხით (Comenzid c. Suisse, 1997 წ. დადაგენილება, კრებული 1997-VIII, გვ. 2895-28906, §50). თბილისში ფაქტების დადგენის შემდეგ მის ხელთ არსებული სხვადასხვა მასალების საფუძველზე, სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია მისაღები სარჩელის კონვენციის მე-13 მუხლის კუთხით განხილვა, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად:

“ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, ექნება ეფექტური ზომის მიღების უფლება ეროვნული ხელისუფლების წინაშე, თუნდაც ეს დარღვევა ჩადენილი იქნეს იმ პირობის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ოფიციალური უფლებამოსილებით”

#### 1. მხარეთა ვერსიები

437. მოსარჩელეთა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ექსტრადირებულმა მოსარჩელებმა გაიგეს მათი ექსტრადიციის შესახებ აეროპორტში მათ გადაყვანამდე. 2002 წ. 2 ოქტომბრის ექსტრადიციის გადაწყვეტილების შეტყობინების არარსებობის გამო მათ არ ჰქონდათ საშუალება სასამართლოსთვის კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად მიემართათ სარჩელით. ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესახებ შეტყობინება არ მიუღიათ არც მოსარჩელეთა ადვოკატებს შიდა კანონმდებლობის წინაშე. ამ უკანასკნელმა 2002 წ. 3 ოქტომბერს შემთხვევით გაიგეს ექსტრადიციის გარდაუვალობის შესახებ.

438. მოსარჩელეთა წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ექსტრადიციის საკითხში საქართველოს კანონმდებლობა ბუნდოვანია და არ იძლევა გარანტიებს უკანონობის წინააღმდეგ. არ არსებობს სააპელაციო საჩივრის შეტანის არანაირი საშუალება ექსტრადიციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელსაც სრულიად დამოუკიდებლედ იღებს გენერალური პროკურორი.

439. თავის სარჩელის ფორმულარში (პარაგრაფი 235 ზემოთ) ხაჯიევი ასევე ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ მისი ექსტრადიცია გადაწყდა ყოველგვარი

გასამართლების გარეშე. ამასთან დაკავშირებით მას მოჰყავს № 4 პროტოკოლის მუხლი 2§1.

440. მისაღებობასთან დაკავშირებით გამართულ მოსმენაზე საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ ის ფაქტი, რომ მოსარჩელებს არ შეატყობინეს მათი ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესახებ არ ნიშნავს მათი უფლებების არანაირ დარღვევას კონვენციის თვალსაზრისით. მოგვიანებით მან შეცვალა თავისი პოზიცია და ამტკიცებდა, რომ თუ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს გენერალური პროკურატურის მხრიდან პიროვნებისათვის ექსტრადიციის გადაწყვეტილების შეტყობინებას მოსარჩელები ამის შესახებ ინფორმირებული იყვნენ 2002 წ. 23 აგვისტოს და 13 სექტემბერს დარბაიდის მიერ, ხოლო 2002 წ. 2 ოქტომბერს მსხილაძის მიერ. ფაქტების ასეთი ვერსიას ადასტურებენ დარბაიძე და მსხილაძე თბილისში ჩატარებული მოსმენის დროს.

441. სათანადოდ რომ ყოფილიყვნენ ინფორმირებული, მოსარჩელები არ აღძრავდნენ არავითარ სარჩელს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად არც პროკურატურის და არც სასამართლოს წინაშე კონსტიტუციის 42-ე მუხლის §1 და სისხლის სამართლის კოდექსის 259 მუხლის § 4 თანახმად. ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ეს დებულებები უზრუნველყოფდნენ ექსტრადიციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ სარჩელის შეტანის უფლებას. მაგალითად, სამმა მოსარჩელემ, რომლის ექსტრადიცია გადაწყვეტილი იყო 2002 წ. 28 ნოემბერს, გამოიყენა ეს უფლება და მიაღწია ამ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებას (§§ 84 და შემდ. ზემოთ). გარდა ამისა ხელისუფლება სასამართლოს ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებაზე და ამტკიცებს, რომ სურვილის შემთხვევაში მოსარჩელებს შეეძლოთ ესარგებლათ თავიანთი უფლებებით ალიევის მსგავსად შიდა იურისდიქციის პირობებში.

442. საქართველოს ხელისუფლებამ წარმოადგინა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის პროექტი, რომელიც შემუშავების პროცესში იყო, რომელიც აძლევს უფრო მყარ გარანტიებს ექსტრადიციას დაქვემდებარებულ პიროვნებებს.

## 2. სასამართლოს შეფასება

443. სასამართლომ უკვე დაასკვნა კონვენციის მე-5 მუხლის § 2-ის საფუძველზე, რომ 2002 წ. 2 ოქტომბრამდე მოსარჩელები არ იყვნენ ინფორმირებული მათი ექსტრადიციის პროცედურის შესახებ და რომ მათ არ ჰქონდათ არანაირი დაშვება იმ საქმეებთან, რომლებიც წარმოადგინა რუსეთის ხელისუფლებამ (§428 ზემოთ). მას შემდეგ გასარკვევია შეატყობინეს თუ არა ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მიღებულ 2002 წ. 2 ოქტომბერს, რათა მათ მიემართათ “ეროვნული ინსტანციისათვის” საჩივრი, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებიდან.

444. სასამართლო შეახსენებს, რომ მისი ფორმულირების მიუხედავად მუხლი 13 შეიძლება შევიდეს მოქმედებაში კონვენციის სხვა დებულების დარღვევის გარეშე, რომელსაც ეწოდება “ნორმატიული” (Klass et autres c. Allemagne

1978 წ. 6 სექტემბრის დადგენილება, სერია A, №28, გვ.29, §64). იგი შიდა კანონმდებლობაში უზრუნველყოფს სარჩელის არსებობას, რომელსაც უპირატესობა ენიჭება – და ამგვარად შეუძლია დაარღვიოს კონვენციაში მოცემული უფლებებთან და თავისუფლებებთან დაკავშირებული დებულებები (Lithgow et autres c. Royaume-Uni, 1986 წ. 8 ივლისის დადგენილება, სერია A, №102, გვ.74, §205). ამავე დროს მუხლი 13 არ შეიძლება განიხილებოდეს ისე, თითქოს ყველა საჩივარი უნდა განიხილებოდეს შიდა კანონმდებლობით რამდენად უსამართლოც არ უნდა იყოს ის. პიროვნებას კონვენციის საფუძველზე განსახილველად შეუძლია წარმოადგინოს ისეთი საჩივრები, რომელთა დაცვა შესაძლებელია ამ უკანასკნელის ნიადაგზე (Leander c.Suède, 1987 წ. 26 მარტის დადგენილება, სერია A, № 116, გვ.29, §77 ა).

445. ამ საქმესთან დაკავშირებით, მოსარჩელეთა შიშის საფუძველიანობიდან გამომდინარე (§340 ზემოთ) რასაც ემატება სასამართლოს მოსაზრება იმ კონტექსტთან დაკავშირებით რა პირობებშიც ჩატარდა მათი ექსტრადიცია, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე შემოტანილი საჩივრები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც არსებითად დაცვას არდაქვემდებარებულები (Boyle et Rice c.Royaume-Uni, 1988 წ. 27 აპრილის დადგენილება, სერია A №131, §52). ამგვარად, მე-13 მუხლი გამოსაყენებელია ამ საქმესთან დაკავშირებით. ამ საკითხს სხვათა შორის არ გამოუწვევია კამათი სასამართლოში.

446. მე-13 მუხლი მოითხოვს შიდა საკასაციო სარჩელის არსებობას, რომელიც უფლებას მისცემს კომპეტენტურ ეროვნულ “ინსტანციას” გაეცნოს სარჩელის შინაარსს, რომელიც კონვენციას ეყრდნობა, გარდა ამისა შიტანოს შესაბამისი შესწორებები (Soering, ადრე დასახ., გვ. 47, §120; Vilvarajah et autres, ადრე დასახ., §122). ამავე დროს ეს არ ნიშნავს სარჩელის განსაკუთრებული ფორმის მოთხოვნას, ხელშემკერებელ სახელმწიფოებს რჩებათ შეფასების გარკვეული ფარგლები მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. გარდა ამისა “ეფექტურობა”, რომელსაც იგი სარჩელისგან მოითხოვს არ არის დამოკიდებული აუცილებელ სასურველ შედეგზე (Syndicat suédois des conducteurs de locomotives c.Suède, 1976 წ. 6 თებერვლის დადგენილება, სერია A №20, გვ.18, §50). ზოგიერთ პირობებში შიდა კანონმდებლობის მიერ შეთავაზებული სამართლებრივი დაცვის საშუალებების ერთობლიობა შეიძლება პასუხობდეს მე-13 მუხლის მოთხოვნებს (Jabari, ადრე დასახ., §50).

447. სარჩელის ფორმა, რომელსაც მოითხოვს მე-13 მუხლი უნდა იყოს “ეფექტური” როგორც პრაქტიკული, ისევე სამართლებრივი მნიშვნელობით, რაც ნიშნავს იმას, რომ მის გამოყენებას არ უნდა აბრკოლებდეს გაუმართლებელი სახით მოპასუხე სახელმწიფოს ხელისუფლების აქტები და გამონაკლისები (Aksoy c.Turquie, 1996 წ. 18 დეკემბრის დადგენილება, კრებული 1996-VI, §95).

448. სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მოსარჩელის საჩივარი რომლის მიხედვით მის ექსტრადიციას ექნება კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საწინააღმდეგო შედეგები აუცილებლად უნდა გახდეს “ეროვნული სასამართლოს” გაძლიერებული კონტროლის საგანი (mutatis mutandis, Chahal, ადრე დასახ., გვ.1855, §79 და გვ.1859, §96; ჟაბარი, ადრე დასახ., §39).

449. ამ საქმესთან დაკავშირებით სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ სარჩელის შემოტანის შემდეგ, საქართველოს ხელისუფლება იცდიდა მთელი ერთი წ. განმავლობაში და მერე დაიწყო იმის მტკიცება, რომ მოსარჩელეთა ადვოკატებმა მიიღეს შეტყობინება 2002 წ. 2 ოქტომბრის ექსტრადიციის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. სინამდვილეში, წერილი, რომელიც მსხილაძემ მათ გაუგზავნა 2002 წ. 2 ოქტომბერს სასამართლოში წარმოდგენილ იქნა მხოლოდ ამ პიროვნების თბილისში მოსმენის დროს (§178 ზემოთ). სასამართლოს ხელისუფლების ეს თეორია არადაამაჯერებლად მიაჩნია, რადგან არ გააჩნია სხვა ამასთან დაკავშირებული მამტკიცებელი საბუთები და მასალები.

450. პირველ რიგში სასამართლო აღნიშნავს, რომ მისაღებობის მოსმენის დროს საქართველოს ხელისუფლებამ საჩივარა, რომ მოსარჩელეებისათვის ექსტრადიციის გადაწყვეტილების შეტყობინების არარსებობა არ იწვევდა კონვენციის არანაირ დარღვევას. მოგვიანებით მან წამოაყენა მსხილაძის თეორია, რომელიც ამტკიცებდა რომ მოსარჩელეების ადვოკატები დროულად იყვნენ ინფორმირებული არა მარტო ტელეფონით, არამედ წერილობითაც. მსხილაძე სასამართლოს წინაშე ამტკიცებდა, რომ შეტყობინების წერილი მან მიანდო დარბაიძეს, რომელმაც ის მიიტანა აღნიშნული ადვოკატების ოფისში (§178 ზემოთ). თვით დარბაიძე იხსენებს თითქოს იგი თვითონ იყო მისული ამ მიზნით ადვოკატების ოფისში (§168 ზემოთ).

451. ის ფაქტი, რომ ხელისუფლება ცვლის თავის თავდაპირველ პოზიციას რათა მიიღოს დიამეტრალურად საპირისპირო პოზიცია და რომ დარბაიძე ყოყმანობს უსიტყვოდ დაადასტუროს მსხილაძის მოსაზრებები სერიოზულ ეჭვს ბაღებს ხელისუფლების მიერ მისაღებობის საკითხთან დაკავშირებული მოსმენის შემდეგ წამოყენებული თეორიის სარწმუნოებასთან დაკავშირებით.

452. გარდა ამისა სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო შეტყობინების წერილის მიღების საბუთზე არსებული ხელმოწერა არ იკითხება და ვერ ამოიცნო მოსარჩელეთა სამმა ადვოკატმა, რომ ეს ხელმოწერა ეკუთვნოდა მათი ოფისის რომელიმე თანამშრომელს (§213 ზემოთ). ამ უკანასკნელებმა ერთხმად უარყვეს ხელისუფლების ვერსია და ამტკიცებდნენ, რომ მათთვის არასდროს შეუტყობინებიათ მათი კლიენტების ექსტრადიციის გადაწყვეტილება (იგივე). თუ რა პირობებში შეიტყო დარბაიძემ გარდაუვალი ექსტრადიციის შესახებ, ისევე როგორც ამას მცდელობა გენერალურ პროკურატურაში მოეპოვებინა უფრო ვრცელი ინფორმაცია დადასტურებულია ტელეკომპანია “რუსთავი-2“-ის 23 საათის სატელევიზიო გადაცემის მიერ (§216 ზემოთ). იმის საწინააღმდეგოდ, რის დამტკიცებას ცდილობს ხელისუფლება, ამ გადაცემის ჩანაწერი ამტკიცებს, რომ ადვოკატმა არ იცოდა მოსარჩელეთა ზუსტი რაოდენობა და გვარები, რომლებსაც ექსტრადიცია ემუქრებოდათ. მან ასევე არ იცოდა როდის იყო მიღებული გადაწყვეტილება და რა სტადიაზე იყო ექსტრადიციის პროცედურა. მისი გამოკითხვიდან გამომდინარეობს, რომ ტელევიზიაში მისვლით მას განზრახული ჰქონდა საჯაროდ ემხილა ის სიბნელე და საიდუმლოება რითიც გარემოცული იყო ეს პროცედურა.

453. სასამართლო მნიშვნელობას ანიჭებს თბილისში მოსმენილ საპატიმროს თანამშრომლების მტკიცებებსაც, რომ მათ წინასწარ არ იცოდნენ პატიმართა გარდაუვალი ექსტრადიციის შესახებ და რომ ერთმანეთს

ეკითხებოდნენ იმ ამბოხის მოტივების შესახებ, რომელიც №88 საკანში დაიწყო (§§ 145, 147 *in fine*, 154 და 156 ზემოთ). თვით დალაქიშვილმაც, რომელსაც ჩვეულებრივად ევალება პატიმრების გადაყვანის მომზადება და მათი ინფორმირება, არ იცოდა, რომ მოსარჩელები უნდა წაეყვანათ (პარაგრაფი 154 ზემოთ). მოწმეების ამ ჩვენებებიდან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ საპატიმროს უფროსი და ციხის ადმინისტრაციის სამი თანამშრომელი იყო საქმის კურსში იმ ოპერაციის შესახებ რომელიც მზადდებოდა (§§ 145 და 148 ზემოთ).

454. სასამართლოს თვალსაზრისით, გადაწყვეტილების ასეთი აღსრულება არ შეიძლება გამჭვირვალედ ჩაითვალოს და სულაც არ ამტკიცებს, რომ კომპეტენტური ხელისუფლების ორგანოები ზრუნავდნენ დაეცვათ მოსარჩელეთა უფლებები ინფორმირებული ყოფილიყვნენ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ მიმართ ექსტრადიციის ზომები ხორციელდებოდა.

455. მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ №5 საპრობილის მოსარჩელე პატიმრებმა ზოგიერთი მათგანის მათი გარდაუვალი ექსტრადიციის შესაძლებლობის შესახებ გაიგეს მხოლოდ მას შემდეგ რაც მოისმინეს დარბაიდის ინტერვიუ ტელევიზიაში 2002 წ. 3 ოქტომბერს (§§ 98, 124, 152 და 216 ზემოტ). ეს ადვოკატი ამტკიცებს, რომ ექსტრადიციის ოპერაციის მომზადების შესახებ მან გაიგო უშიშროების სამინისტროში მომუშავე მეგობრისგან. მოსარჩელები ნამდვილად დარწმუნდნენ ამ ინფორმაციის სისწორეში, როდესაც რამდენიმე საათის შემდეგ ციხის ადმინისტრაციამ მოსთხოვა მათ დაეტოვებინათ საკანი ფიქტიური მიზეზების მოყვანით (§ 378 ზემოთ).

456. რაც შეეხება ადაევს, მეხუთე საექსტრადაციო მოსარჩელეს, იგი იმყოფებოდა საპატიმროს საავადმყოფოში და სხვა მოსარჩელებისგან განსხვავებით, მას ხელი არ მიუწვდებოდა ამ მოკლე ინფორმაციასთან, რომელიც გადაიცა ზემოხსენებული სატელევიზიო არხით.

457. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე სასამართლო არ იზიარებს საქართველოს ხელისუფლების მტკიცებას, რომლის მიხედვით მოსარჩელეთა ადვოკატებმა მიიღეს მსხილადის სატელეფონო გამოძახება 2002 წ. 2 ოქტომბრის დღის განმავლობაში, ისევე როგორც შეტყობინება მათი კლიენტების მიმართ ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღების შესახებ. ის ფაქტი, რომ თვით მოსარჩელები არ იყვნენ ინფორმირებული ამ გადაწყვეტილების შესახებ მხარეებში არავითარ დავას არ იწვევს.

458. ამ პირობებში უსარგებლოა იმის შესვენება, რომ ექსტრადიციის გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის კონსტიტუციის 42 მუხლის §1-ის და სისხლის სამართლის კოდექსის 259§4-ის თანახმად, როგორც ამას ითვალისწინებს ხელისუფლების ვერსია, მოსარჩელებს და მათ ადვოკატებს უნდა ჰქონოდათ საკმარისი ინფორმაცია საჭირო დროს, რომელსაც მათ მიაწვდიდნენ ხელისუფლების კომპეტენტური ორგანოები (იხ. Bozano, ადრე დასახ., §59). აქედან გამომდინარე ხელისუფლებას არ აქვს უფლება ადვოკატებს და მოსარჩელებს დუპირისპიროს ის ფაქტი, რომ მათ არ ჩამოყალიბეს სარჩელი იმ ღონიძიებასთან დაკავშირებით, რომლის არსებობის შესახებ მათ ხელისუფლების ორგანოდან ინფორმაციის გაკონვის შედეგად გაიგეს.

459. გარდა ამისა, თუ დავუშვებთ იმასაც, რომ დროის ძალზე მცირე მონაკვეთში №5 საპრობილესში მყოფ ოთხ მოსარჩელეს თუნდაც თეორიულად



შეეძლო მიემართა სასამართლოსთვის 2002 წ. 3 ოქტომბერს 23 საათის ტელეგადაცემის ყურების შემდეგ, სასამართლო აღნიშნავს, რომ ისინი რეალურად მოკლებული იყვნენ ამ საშუალებას რადგან ისინი მოთავსებული ჰყავდათ იზოლაციის პირობებში და უარყეს მათი მოთხოვნა ადვოკატების მოწვევასთან დაკავშირებით (§§ 124 და 135 ზემოთ).

460. სასამართლოს მოვალეობას არ შეადგენს აბსტრაქტულად განსაზღვრის დროის მონაკვეთი, რომელიც გავიდა ექსტრადიციის გადაწყვეტილების მიღებასა და მის შესრულების შორის. თუმცა როდესაც ერთი სახელმწიფოს ხელისუფლება ჩქარობს გადასცეს პიროვნება მეორე სახელმწიფოს გადაწყვეტილების მიღებიდან მეორე დღესვე, მან ასეთივე სისწრაფით და გულმოდგინებით უნდა იმოქმედოს, რათა საშუალება მისცეს დაინტერესებულ მხარეს ერთის მხრივ მოახდინოს მისი სარჩელის, რომელიც ემყარება მე-2 და მე-3 მუხლებს, დამოუკიდებელი და მკაცრი შეფასება და მიადწიოს ამ სადავო დონისძიების გადავადებას (უბარი, ადრე დასახ., §50). სასამართლოს დაუშვებლად მიაჩნია, რომ პიროვნება გაიგოს მისი ექსტრადიციის შესახებ ზუსტად აეროპორტში მიყვანის დროს, მაშინ, როდესაც იგი გამოიტკაცმას იმ ქვეყნიდან, სადაც მას ახლა აგზავნიდნენ, იმ შიშების გამო, რომლებსაც ითვალისწინებენ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლები.

461. რეზიუმეს სახით სასამართლომ დაასკვნა, რომ 2002 წ. 4 ოქტომბერს ექსტრადირებული მოსარჩელები და მათი ადვოკატები არ იყვნენ ინფორმირებული ექსტრადიციის გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მათ მიმართ მიღებული იყო 2002 წ. 2 ოქტომბერს და რომ ხელისუფლების კომპეტენტურმა ორგანოებმა უმართებულოდ შეუშალეს ხელი თუნდაც თეორიულად გამოეყენებინათ მათი უფლება სარჩელის შეტანასთან დაკავშირებით.

462. ამ დასკვნიდან გამომდინარე სასამართლოს ზედმეტად მიაჩნია გადავიდეს სარჩელის ეფექტურობის საკითხზე თუ მას განიხილავდა რომელიმე სასამართლო კონსტიტუციის 42-ე მუხლის §1 და სისხლის სამართლის კოდექსის 259 მუხლის §4 თანახმად, რასაც ამტკიცებს ხელისუფლება. იგი მხოლოდ აღნიშნავს იმას, რომ ეს დებულებები (§§ 253 და 254 ზემოთ), ერთადერთი სამართლებრივი ნორმები, რომლებზეც შეეძლოთ დაეფუძვნებინათ თავიანთი საჩივარი მოსარჩელებს, ატარებენ ძალზე ზოგად ხასიათს და არ აწესებენ არანაირ წესს არც სარჩელის გამოყენებასთან დაკავშირებით და არც იმაზე მიუთითებენ თუ რომელ სასამართლოს და რა ვადებში უნდა წარედგინოს ეს სარჩელი. სხვათა შორის არანაირი სხვა შიდა კანონმდებლობის დებულება არ განსაზღვრავს გენერალური პროკურორის მიერ მიღებული ექსტრადიციის გადაწყვეტილების გამოცხადების ან აღსრულების ფორმას.

463. ამ სიტუაციას საქართველოს უზენაესი სასამართლოს მხრიდან მიეცა “ხარვეზის” კვალიფიკაცია, ეს ის სასამართლოა, სადაც მოხდა ალიევის საქმის გარჩევა და რომელსაც მაგალითად განიხილავს ხელისუფლება (§ 258 ზემოთ). გაბრიხიძე, მსხილაძე და დარბაიძე, რომლებსაც სასამართლომ მოუსმინა, ასევე აღიარებენ, რომ ალიევის საქმის გარდა ისინი არ იცნობდნენ შიდა დებულებების გამოყენების სხვა შემთხვევებს, რომლებიც ითვალისწინებენ ექსტრადიციის გადაწყვეტილების გასაჩივრებას სასამართლოს წინაშე (§§ 169, 176 და 185 ზემოთ). საქართველოს ყოფილმა გენერალურმა პროკურორმა

ხაზგასმით აღნიშნა შიდა კანონმდებლობაში რეფორმების ჩატარების აუცილებლობა ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით.

464. სასამართლო არ იზიარებს ხელისუფლების მოსაზრებას, რომლის მიხედვით მოსარჩელებს თუ სურვილი ექნებოდათ შეეძლოთ ალიევის მსგავსად ესარგებლათ მათი უფლებებით შიდა იურისდიქციის პირობებში. იგი აღნიშნავს, რომ 2002 წ. 28 ოქტომბერს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ალიევის საქმესთან დაკავშირებით გამოტანილი დადგენილება მიღებულ იქნა მხოლოდ მას შემდეგ, რაც აღნიშნული სარჩელი გადაეგზავნა მოპასუხე ხელისუფლებას და მას თან არ ახლდა მოსარჩელების ინტერესების დარღვევის აღიარება (*mutatis mutandis, Bourdov c. Russie, # 59498/00, \$ 31, CEDH 2002-III*). ამან პრაქტიკაში გზა გაუხსნა იურიდიული სარჩელის შეტანას ექსტრადიციის გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რომელიც გამოაქვს გენერალურ პროკურორს, ამ სასამართლო გადაწყვეტილებამ საშუალება მისცა გელოგაევს, ხაჩიევს და ბაიმურზაევს გაესაჩივრებინათ 2002 წ. 28 ნოემბერს გათვალისწინებული მათი გადაცემა რუსეთის ხელისუფლებისთვის (§ 84 ზემოთ). ეს არაფერს ცვლის იმ დასკვნასთან დაკავშირებით, რომ შამაევს, ადაევს, აზიევს, ხაჯიევს დავისიტოვს, რომლებიც ექსტრადირებული იყვნენ 2002 წ. 4 ოქტომბერს არ ჰქონდათ არანაირი საშუალება სარჩელით მიემართათ ეროვნულ სასამართლოში კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად.

465. ახალი სისხლის სამართლის კოდექსის დებულებები ჯერ არ არის მიღებული და როგორც არ უნდა იყოს სათანადოდ ველარ აუნაზღაურებს ზარალს უკვე ექსტრადირებულ მოსარჩელებს.

466. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 2002 წ. 4 ოქტომბერს ექსტრადირებულ ხუთ მოსარჩელებთან დაკავშირებით უგულვებელყოფილ იქნა კონვენციის მე-13 მუხლი.

467. ამ დასკვნიდან გამომდინარე სასამართლოს არ მიაჩნია საჭიროდ ხაჯიევს იგივე სარჩელი რომელიც ასევე განიხილება №4 პროტოკოლის მე-2 მუხლის §1-ის საფუძველზე.

## V. საქართველოს მიერ კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევის შესახებ

468. მოვლენათა ქრონოლოგიის გათვალისწინებით, როგორც ეს მოცემულია პარაგრაფებში 5-12 ზემოთ, სასამართლომ გადაწყვიტა *ex officio* საქართველოს მხრიდან მისი ვალდებულებების შესრულების საკითხში კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: “სასამართლოს შეუძლია მიიღოს საჩივარები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელმომწერი მხარეები მოვალენი არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების მაქსიმალურ გამოყენებას.”

469. სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი ადგენს:

“1. დიდ პალატას, ან საჭიროების შემთხვევაში მის თავმჯდომარეს, რომელიმე მხარის, სხვა დაინტერესებული პირის ან დაწესებულების საჩივარის საფუძველზე შეუძლია მიუთითოს

მხარეებს ყველა დროებითი ზომის შესახებ, რომლის მიღება მას საჭიროდ მიანჩნია მხარეების ინტერესებიდან ან პროცედურის კარგად ჩატარებიდან გამომდინარე.

2. მინისტრთა კომიტეტი ამის შესახებ ინფორმირებულია.

3. დიდ პალატას შეუძლია მოუწოდოს ყველა მხარეს მიაწოდოს მას ყველა ინფორმაცია მის მიერ რეკომენდირებული დროებითი ზომების გამოყენების საკითხთან დაკავშირებით.”

470. 34-ე მუხლი განიხილავს ვალდებულებას ხელი არ შეუშალონ პიროვნებას გამოიყენოს თავისი უფლება სასამართლოში შეიტანოს სარჩელი და ეფექტურად დაიცვას თავისი საქმე, ამით სასამართლო მოსარჩელეს აძლევს პროცედურული ხასიათის უფლებას, რომლის გამოყენება მას შეუძლია კონვენციით დაწესებული პროცედურების დროს და ამავე დროს მატერიალური უფლებების განსხვავების დროს, რომლებიც ჩამოთვლილია კონვენციის პირველ თავში და მის დამატებით პროტოკოლებში (Crus Varas et autres, ადრე დასახ., §99; Akdivar et autres c.Turquie, 1996 წ. 16 სექტემბრის დადგენილება, კრებული 1996-IV, § 103).

471. იმისათვის, რომ სასამართლოში ინდივიდუალური გასაჩივრების მექანიზმმა ეფექტურად იმუშაოს, რაც გათვალისწინებულია 34-ე მუხლში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმას, რომ მოსარჩელებს, არსებულს თუ პოტენციურს, ჰქონდეთ სასამართლოსთან თავისუფალი კავშირი ისე, რომ ხელისუფლება არ ახორციელებდეს არანაირ მათზე ზეწოლას იმ მიზნით, რომ მათ უკან გამოიტანონ ან შეცვალონ სარჩელი. “ზეწოლის” ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს არა მარტო პირდაპირი იძულება და აშკარა ქმედებები არსებული თუ პოტენციური მოსარჩელების, მათი ოჯახების ან მართლმსაჯულების წინაშე მათი წარმომადგენლების დაშინების მიზნით, არამედ ირიბი ქმედებები ან კონტაქტები და ცუდი მოპყრობა რომელიც მიზნად ისახავს გადაარწმუნოს ის ან წაუხდინოს სურვილი შეიტანოს სარჩელი სასამართლოში, რის უფლებას მას ანიჭებს კონვენცია (იხ., სხვათა შორის, mutatis mutandis, Kurt c. Turquie, 1998 წ. 25 მაისი, კრებული 1998-III, გვ.1192, §159; Sarli c. Turquie, # 24490/94, §§ 85-86, 2001 წ. 22 მაისი).

472. განაჩენის გასაჩივრების უფლებას, რომელიც გარანტირებულია კონვენციის 34-ე მუხლით, თავისთავად, შიდა კანონმდებლობის ფარგლებში არ გააჩნია არანაირი შემაჩერებელი ეფექტი, სახელდობრ, ასეთი ეფექტი ადმინისტრაციული ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებაზე. ამგვარად, გასარკვევია საკითხი თუ სახელმწიფომ არ გაითვალისწინა სასამართლოს მითითება, რომელიც გამომდინარეობს კონვენციის რეგლამენტის 34-ე მუხლიდან, შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ ეს ფაქტი კონვენციის 34-ე მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევად. ასეთი ფაქტის შეფასება უნდა მოხდეს ამ საქმესთან დაკავშირებული სპეციფიური გარემოებების გათვალისწინებით.

473. ცოტა ხნის წინ სასამართლომ აღნიშნა, რომ ისეთ საქმეებში, სადაც არსებობს რისკი გამოუსწორებელი ზიანი მიადგეს მოსარჩელის ერთერთ უფლების გამოყენებას, რომელიც კონვენციით არის დაცული და მიეკუთვნება იმ უფლებების რიგს, რომლებიც კონვენციის ძირითად საფუძველს წარმოადგენენ და ეს ნათლად არის დადასტურებული ასეთ შემთხვევაში დროებით ზომა მიზნად ისახავს status quo-ს შენარჩუნებას იმ დრომდე სანამ სასამართლო არ დაადგენს ამ ზომის სამართლიანობის საკითხს. იქიდან გამომდინარე, რომ დროებითი ზომა მიზნად ისახავს იმ საკითხის

გახანგრძლივებს, რომელიც სარჩელის საგანს შეადგენს, იგი იგი წვდება კონვენციით გათვალისწინებული სარჩელის არსს. თავისი სარჩელით მოსარჩელე ცდოლობს გამოუსწორებელი ზიანისგან დაიცვას კონვენციით აღიარებული უფლება, რომელსაც იგი ეყრდნობა. შესაბამისად, მოსარჩელე ითხოვს დროებით ზომას, ხოლო სასამართლო იძლევა თანხმობას იმ მიზნით, რომ გაადვილდეს კონვენციის 34-მუხლით გარანტირებული ინდივიდუალური სარჩელის უფლების “ეფექტური გამოყენება”, ანუ დაიცვას სარჩელის საგანი, როდესაც მას მიაჩნია, რომ არსებობს იმის საშიშროება, რომ მას მიაღვეს გამოუსწორებელი ზიანი მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან განხორციელებული ქმედების ან შეუსრულებლობის მიზეზით. გასაჩივრების უფლების გამოყენების ეფექტურობა ასევე ითვალისწინებს იმას, რომ სტრასბურგში გამართული პროცედურის განმავლობაში სასამართლოს შეუძლია გააგრძელოს სარჩელის განხილვა ჩვეულებრივი პროცედურით (Mamatkulov et Askarov, ადრე დასახ., §108). სასამართლოს მიერ მიცემული დროებითი ზომის მიღების მითითება ამ უკანასკნელს საშუალებას აძლევს არა მარტო ეფექტურად განიხილოს სარჩელი, არამედ დარწმუნდეს კონვენციით გათვალისწინებული მოსარჩელის დაცვის ეფექტურობაში და ბოლოს იგი საშუალებას აძლევს მინისტრთა კომიტეტს თვალი ადევნოს საბოლოო განაჩენის აღსრულებას. ასეთი ზომა ასევე საშუალებას აძლევს მოპასუხე სახელმწიფოს შეასრულოს თავისი ვალდებულება სასამართლოს მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენის შესაბამისად, რომელიც იურიდიული თვალსაზრისით იძულებას წარმოადგენს კონვენციის 46-ე მუხლის შესაბამისად (იგივე §125). ამგვარად სასამართლომ დაასკვნა, რომ მამატკულოვის და ასკაროვის ადრე დასახელებულ საქმეში, დროებითი ზომების უგულვებელყოფა ხელშეკრულებაში მონაწილე ქვეყნის მხრიდან მიჩნეულ უნდა იქნას როგორც მოსარჩელის სარჩელის ეფექტური განხილვისათვის ხელის შეშლა რაც ასევე ხელს უშლიდა მისი უფლების გამოყენების ეფექტურობას და აქედან გამომდინარე შეიძლება მივიჩნიოთ კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევად (იგივე §128).

474. ამ საქმესთან დაკავშირებით იგივე პრინციპების გამოყენებით სასამართლო აღნიშნავს, რომ 2002 წ. 4 ოქტომბერს, ოთხი საექსტრადაციო მოსარჩელე გამოიყვანეს მათი საკანიდან დაახლოებით დილის 4 საათზე მათი ექსტრადაციის მიზნით. ადაევი, მეხუთე მოსარჩელე, დაახლოებით იმავე დროს წაიყვანეს ციხის საავადმყოფოდან. რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენების შესახებ საჩივარი თერთმეტი მოსარჩელის სახელით (ადაევის და ხანჩუკაევის გამოკლებით) სასამართლომ მიიღო იმავე დღეს 15 საათსა და 35 წუთსა და 16 საათსა და 20 წუთს შორის რამდენიმე ფაქტის სახით.

475. იმავე დღის 18 საათსა და 00 წუთზე (სტრასბურგის დროით), საქართველოს ხელისუფლებას, მისი გენერალური წარმომადგენლის საშუალებით ეცნობა სასამართლოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილის გადაწყვეტილების შესახებ გამოყენებინა რეგლამენტის 39-ე მუხლი. რამდენიმე წუთის შემდეგ იმ პირთა სახელები, რომლებმაც მიმართეს სასამართლოს ტელეფონის საშუალებით უკარნახეს მის თანაშემწეს. კავშირის პრობლემების გამო (§§ 9 და 10 ზემოთ) და სასამართლოს მდივნის უშუალო თხოვნის შემდეგ გადაეწვიტათ ეს პრობლემები, სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ ოფიციალურად ტელეფონით შეატყობინეს იუსტიციის

მინისტრის მოადგილეს 19 საათსა და 45 წუთზე (სტრასბურგის დროით) (იგივე). მისი ფაქსით დადასტურება მოხერხდა მხოლოდ 19 საათსა და 59 წუთზე (სტრასბურგის დროით). საქართველოს ხელისუფლებამ მოახდინა მოსარჩელების ექსტრადიცია იმავე დღის 19 საათსა და 10 წუთზე (სტრასბურგის დროით).

476. ექსტრადირებული მოსარჩელები მათი ექსტრადიციის შემდეგ პატიმრობაში ჰყავდათ სრული იზოლაციის პირობებში. მათი პატიმრობის ადგილის მოსაპოვებლად სასამართლოსაც კი მოსთხოვეს კონფიდენციალობის გარანტიები (§15 ზემოთ). მოსარჩელებმა ვერ შეძლეს თავიანთ ადვოკატებთან კონტაქტის შენარჩუნება, ხოლო ამ უკანასკნელებს რუსეთის ხელისუფლებამ არ მისცა ნებართვა მოენახულებინათ ისინი მიუხედავად სასამართლოს საგანგებო მითითებისა ამასთან დაკავშირებით (§§ 228, 229 და 310 ზემოთ). მიუხედავად ამისა რუსეთის ხელისუფლება დაჟინებით ამტკიცებდა, რომ ექსტრადირებულ პიროვნებებს არასდროს ჰქონიათ განზრახვა მიემართათ სასამართლოსთვის, ყოველ შემთხვევაში რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სარჩელით და რომ მთლიანად სარჩელის არსებითი განხილვა შეუძლებელია პროცედურული თვალსაზრისით. ამგვარად დაცვის უფლებების თანასწორობის პრინციპი, რომელიც სასამართლოში წარმართული პროცედურის დროს გასაჩივრების ეფექტური გამოყენების განუყოფელი ნაწილია, დარღვეულ იქნა მიუღებელი ფორმით (§518 ქვემოთ).

477. გარდა ამისა, თვითონ სასამართლოს არ ჰქონდა არანაირი საშუალება შეესრულებინა საგამოძიებო მისია რუსეთში, რომელიც გადაწყვეტილი იყო კონვენციის 38-ე მუხლის § 1 ა) შესაბამისად (თუმცა ეს არ შეიძლება ბრალად დავდოთ საქართველოს; §504 ქვემოთ), და იმის გამო, რომ სასამართლოს ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე წერილობითი კონტაქტი ექსტრადირებულ მოსარჩელებთან (§§ 235 და 238 ზემოთ), მან ვერ შეძლო დაესრულებინა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული სარჩელის არსებითი განხილვა (§491 ქვემოთ). ამგვარად ხელი შეეშალა მამტკიცებელი საბუთების შეგროვებას.

478. სასამართლოს მიაჩნია, რომ გართულებებმა, რომელთა წინაშე აღმოჩნდნენ შამაევი, აზიევი, ხაჯიევი და ვისიტოვი რუსეთში მათი ექსტრადიციის შემდეგ ისეთ დონეს მიაღწიეს, რომ კონვენციის 34-ე მუხლით მათთვის მინიჭებული გარანტიის გამოყენების ეფექტურობას სერიოზულად შეეშალა ხელი (Mamatkulov et Askarov, ადრე დასახ., §128). ის ფაქტი რომ სასამართლომ შეძლო საქართველოს წინააღმდეგ მიმართული მათი სარჩელის არსებითი განხილვა არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ამ უფლების გამოყენების დროს შექმნილი დაბრკოლებები შევაფასოთ კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევად (Akdivar et autres, ადრე დასახ., §105).

479. აქედან გამომდინარე, სასამართლოს მიერ კონვენციის რეგლამენტის 39-ე მუხლის შესაბამისად მიცემული მითითებების უგულვებელყოფით შეეჩერებინა შამაევის, აზიევის, ხაჯიევის და ვისიტოვის ექსტრადიცია საქართველომ დაარღვია თავისი ვალდებულებები რაც მას აკისრია კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით.

## VI. რუსეთის მიერ კონვენციის მე-2, მე-3 და მე-6 მუხლების §§ 1, 2 და 3 დარღვევის შესახებ

### 1. მხარეთა ვერსიები

480. როდესაც ყურადღებას ამახვილებენ კონვენციის მე-2 მუხლზე მოსარჩელეთა წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ აზიევი რუსეთში დაიღუპა. თავიანთ მოსაზრებას ისინი აფუძნებენ იმ მოტივებზე, რომლებიც მოყვანილია 318-ე პარაგრაფში ზემოთ.

481. გარდა ამისა, ადვოკატებს მიაჩნიათ, რომ 2002 წ. ექსტრადიციის დროს მოსარჩელების მიმართ რუსეთის ხელისუფლების გამოყენებული იყო მოპყრობა, რომელიც ეწინააღმდეგება კონვენციის მე-3 მუხლს. ისინი ძირითადად მოიხსენიებენ იმას თუ როგორ ჩამოიყვანეს ისინი თვითმფრინავიდან რუსეთში, თვალშეშებული და ორადმოკეცილი (§74 ზემოთ). მათი შემდგომი პატიმრობა მკაცრი კონფიდენციალობის პირობებში (§§15, 17, და 246 ზემოთ) აძლიერებდა სამართლიან ეჭვს იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელების მიმართ საპატიმროში გამოყენებული იყო და კიდევაც იყენებენ ცუდ მოპყრობას.

482. ადვოკატების მიხედვით რუსეთში ჩასვლის შემდეგ ექსტრადირებულ მოსარჩელებს არ მიეცათ ადვოკატების თავისუფალი შერჩევის საშუალება. მათ ფორმალურ დახმარებას უწევენ სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატები მაგრამ ეს, მათი სრული იზოლაციის პირობებიდან გამომდინარე რასაც ემატება ის, რომ მათ ეკრძალებათ მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გაცნობა, არ შეიძლება ჩაითვალოს ეფექტურ დაცვად რასაც ითვალისწინებს კონვენციის მე-6 მუხლი §§ 1 და 3. მისაღებობასთან დაკავშირებულ მოსმენამდე ადვოკატები ამბობდნენ, რომ ექსტრადირებული მოსარჩელების ნათესავებმაც არ იცოდნენ სად იხდიდნენ პატიმრობას ეს პაროვნებები.

483. სხვათა შორის მოსარჩელების წარმომადგენლები აპროტესტებენ “ტერორისტების” და “საერთაშორისო ტერორისტების” კვალიფიკაციას რომელსაც მიმართავენ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლები და პროკურატურის ორგანოები 2002 წ. 8, 16 ოქტომბერს და 5 დეკემბერს გამოგზავნილ წერილებში (§§ 76, 77 და 227 ზემოთ). ასეთი განცხადებები იწვევენ კონვენციის მე-6 მუხლის §2-ის დარღვევას და საფრთხეს უქმნიან მოსარჩელეთა უფლებას ჩატარდეს სამართლიანი პროცესი.

484. სარჩელის ფორმულარში (§235 ზემოთ) ხაჯიევი ამტკიცებს, რომ რუსეთის ხელისუფლებამ მას უკანონოდ დასდო ბრალი სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში, რომ სტავროპოლის მხარის სასამართლოს არ ჰქონდა არანაირი კომპეტენცია გარკვეული მის საქმეში, რომ რუსეთში მისი პატიმრობაში აყვანა 2002 წ. 5 ოქტომბრიდან 2 დეკემბრამდე იყო უკანონო და რომ მის დედას არ შეატყობინეს მისი დაპატიმრების შესახებ რაც ეწინააღმდეგება რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მოთხოვნებს.

485. რუსეთის ხელისუფლებამ სასამართლოს წარმოუდგინა ექსტრადირებული მოსარჩელების სურათების რამდენიმე სერია ისევე როგორც მათი პატიმრობის პირობების ამსახველი სურათები და ვიდეო ჩანაწერი (§§ 20, 109 და 242 ზემოთ). მან სასამართლოს ოთხჯერ წარმოუდგინა მოსარჩელების

სამედიცინო დასკვნები, რომლებიც არა მარტო ციხის ექიმების მიერ იყო შედგენილი არამედ ქალაქ B-ს სამოქალაქო ჰოსპიტალის მედიკოსების მიერაც (პარაგრაფები 246 და შემდ. ზემოთ).

486. რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ექსტრადირებული მოსარჩელები, რუსეთში მათი ჩასვლის დღიდან, სარგებლობენ ადვოკატების მომსახურებით და ასევე წარმოადგინა მათი სახელები და მისამართები (§§ 218 და შემდ. ზემოთ). ამასთანავე მან წარმოადგინა დოკუმენტები ამ ადვოკატების თითოეულ ექსტრადირებულ მოსარჩელესთან შეხვედრის რაოდენობასა და ხანგრძლივობასთან დაკავშირებით. ეს შეხვედრები მიმდინარეობდნენ დაცვის მეთვალყურეობის ქვეშ, რომლებსაც შეეძლოთ მხოლოდ პაემანის პროცესის დანახვა და არ შეეძლოთ იმის გაგება თუ რაზე იყო საუბარი.

## 2. სასამართლოს შეფასება

487. სასამართლომ უკვე დაასკვნა, რომ აზიევის უფლება სიცოცხლეზე არ დარღვეულა (§§ 320-323 ზემოთ). მას ზედმეტად მიაჩნია ამ საკითხთან კიდევ ერთხელ დაბრუნება.

488. სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-3 მუხლიდან გამომდინარე სარჩელი იმასთან დაკავშირებით თუ როგორ ექცეოდნენ ექსტრადირებულ მოსარჩელებს რუსეთში გადაყვანის შემდეგ, პირველად მოსარჩელების წარმომადგენლების მიერ შემოტანილი იყო 2004 წ. 8 აგვისტოს საქმის არსებითად განხილვის უკანასკნელი დასკვნების ფორმატში. ეს საჩივარი არ ხდება 2003 წ. 16 სექტემბრის მისაღებობის გადაწყვეტილების კადრში, რომელიც ითვალისწინებს იმ ფარგლებს, რომელ ფარგლებშიც ექცევა სასამართლო დავის არსის დადგენის დროს (Assanidz é c.Géorgie [GC], #71503/01 § 162, CEDH 2004-...). აქედან გამომდინარე სასამართლოს არ გააჩნია მისი განხილვის კომპეტენცია.

489. რაც შეეხება მოსარჩელეთა უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას სასამართლოს უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის მიერ ნახმარი ტერმინები თავის 2002 წ. 5 დეკემბერს გამოგზავნილ წერილში გაკრიტიკებულ იქნა 2003 წ. 16 სექტემბერს მოსმენის დროს მისაღებობასთან დაკავშირებით. იგივე ტერმინები და სხვა გამონათქვამები რომლებიც რუსეთის პროკურატურის წარმომადგენლებმა იხმარეს დაგმობილ იქნა 2004 წ. 8 აგვისტოს საქმის არსებითი განხილვის დასკვნებში. იქიდან გამომდინარე, რომ ამ დასკვნებში საჩივარი არგუმენტირებული და მოტივირებული იყო (§483 ზემოთ), სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი არა მარტო უბრალო დაცვის საშუალებას წარმოადგენს არამედ აშკარა სარჩელი დაფუძნებული კონვენციის მე-6 მუხლის § 2-ზე. ამგვარად რადგან იგი არ შედის მისაღებობის გადაწყვეტილების არეალში (§483 ზემოთ) სასამართლოს მიაჩნია, რომ მას არ გააჩნია მისი არსებითად განხილვის კომპეტენცია.

490. იგივე ეხება სარჩელებს, რომლებიც 2003 წ. 27 ოქტომბერს ხაჯიევმა შემოიტანა რუსეთის წინააღმდეგ (§ 484 ზემოთ).

491. რაც შეეხება იმ მოპყრობას, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-3 მუხლთან რასაც განიცდიდნენ და განიცდიან რუსეთის

საპატიმროში სრული იზოლაციის პირობებში მყოფი ექსტრადირებული მოსარჩელები ისევე როგორც ის, რომ მათ არა აქვთ ეფექტური დაცვის საშუალება მათი ექსტრადიციის შემდეგ, სასამართლო აღნიშნავს, რომ მას არ ჰქონდა რუსეთში ფაქტების დადგინის საშუალება (§§ 27 და შემდ. ზემოთ) მის ხელთ არსებული მასალების საფუძველზე მას არ შეუძლია გაერკვეს არგუმენტებში, რომლითაც მხარეები უპირისპირდებიან ერთმანეთს რუსეთის მხრიდან კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების §§ 1 და 3-ის დარღვევასთან დაკავშირებით. ამგვარად სასამართლომ უნდა დაადგინოს, როდესაც რუსეთმა სასამართლოს არ მისცა მუშაობის საშუალება, დაარღვია თუ არა მან თავისი ვალდებულებები რომლებიც გამომდინარეობენ კონვენციის 34-ე და 38-ე § 1 ა) მუხლებიდან.

## VII. რუსეთის მხრიდან კონვენციის 38-ე მუხლის §1-დან გამომდინარე ვალდებულებების უზუღვებელყოფა

492. კონვენციის 38-ე მუხლის § 1-ის შესაბამის დებულებებში ნათქვამია:

“ თუკი სასამართლო გამოაცხადებს, რომ საჩივარი მიღებულია, იგი

ა) შეუდგება საქმის განხილვას მხარეთა წარმომადგენლებთან ერთად, და თული საჭირო იქნება, ჩაატარებს გამოძიებას, რომლის ეფექტური განხორციელებისათვის შესაბამისი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ყველა აუცილებელ საშუალებას; (...).”

493. სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია ხაზგასმით აღნიშნოს იმ პრინციპის ფუნდამენტალური მნიშვნელობა, რომელსაც ეძღვნება ეს მუხლი და მისი აბზაცი ა) *in fine*, რომლის მიხედვით ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ სასამართლოსთან (ირლანდ ც. დოკაუმე ნი 1978 წ. 18 იანვრის გადაწყვეტილება, სერია A №25, §148).

494. სასამართლო ასევე შეახსენებს, რომ ამ საქმეში ამ ვალდებულების გარდა, რუსეთის ხელისუფლებას ევალება სცნოს ის განსაკუთრებული ვალდებულებები, რომლებიც მან მიიღო 2002 წ. 19 ნოემბერს სასამართლოს წინაშე (§18 ზემოთ). ამ ვალდებულებებს შორის სახელდობრ ფიგურირებდა გარანტია იმასთან დაკავსირებით, რომ სასამართლოს ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიეცემოდა ექსტრადირებულ მოსარჩელებთან მისვლის საშუალება და ეს სხვათა შორის ითვალისწინებდა შესაძლო საგამოძიებო მისიასაც. რუსეთის ხელისუფლების შემდგომი რწმუნებების საწინააღმდეგოდ (§38 ზემოთ), 2002 წ. 19 ნოემბრის წერილი არ ზღუდავდა ამ ვალდებულებების გავრცელების არეს პროცედურის რომელიმე განსაკუთრებული სტადიით და არ იყო ორაზროვანი. სასამართლომ საჭიროდ მიიჩნია ამ ვალდებულებების მოპოვება იმ თავისებურებების გათვალისწინებით თუ როგორ მიმდინარეობდა პროცედურა სარჩელის იმ ნაწილში რომელიც რუსეთს უკავშირდებოდა (§151 ზემოთ).

495. ამ გარანტიებზე დაყრდნობით, 2002 წ. 26 ნოემბერს სასამართლომ გადაწყვიტა საქართველოსთვის მოეხსნა დროებითი ზომა მითითებული 2002 წ. 4 ოქტომბერს (§21 ზემოთ). 2003 წ. 16 სექტემბერს სასამართლომ გადაწყვიტა საქართველოსა და რუსეთში ჩაეტარებინა საგამოძიებო მისია, მაგრამ ამ მისიის მხოლოდ ქართული ნაწილის შესრულება გახდა შესაძლებელი (§§ 15-17 ზემოთ).



496. სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ ხელშეკრულების მხარეებმა უნდა უზრუნველყონ “ყველა საჭირო პირობა” გამოძიების ეფექტური ჩატარებისთვის, ამ “პირობებში” პირველ რიგში იგულისხმება თავისუფალი დაშვება მოსარჩელებთან, რომელთა მოსმენას გადაწყვეტს სასამართლო რაც ასევე ითვალისწინებს იმ ადგილების მონახულებას რომლებსაც სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს. ამ შემთხვევაში სასამართლოს რამდენჯერმე ეთქვა უარი მოსარჩელებთან დაშვებაზე. სასამართლო დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის ხელისუფლებისგან მიეცა მისთვის ფაქტების დადგენის საშუალება და შეესრულებინა ის ვალდებულებები რასაც მას აკისრებს კონვენციის 38-ე მუხლის § 1 ა). რუსეთის ხელისუფლებამ სათანადო რეაგირება არ მოახდინა ამ მოთხოვნაზე (§§ 27 და შემდ. ზემოთ).

497. სტავროპოლის სამხარეო სასამართლოს უარზე დაყრდნობით ((§§ 29, 30 და 47 და შემდ. ზემოთ) და შიდა კანონმდებლობის მოშველიებით ((§§ 31 და 34 ზემოთ), 2003 წ. ოქტომბრიდან რუსეთის ხელისუფლება შეუძლებლად მიიჩნევს რუსეთში სასამართლოს მიერ საგამოძიებო მისიის შესრულებას. მეორეხარისხოვანი მოტივების მოშველიებით (საპრეზიდენტო არჩევნები, შესაძლო ტერორიტიული აქტები ჩრდილოეთ კავკასიაში, კლიმატური პირობები ან დღესასწაულები), უარის ძირითადი მიზეზები იმაში მდგომარეობდა, რომ სასამართლოს დელეგაციის კონტაქტი რუსეთში პატიმრობაში მყოფ მოსარჩელებთან, სანამ მათი საქმე განიხილებოდა რუსეთის სასამართლოებში, წინააღმდეგობაში იქნებოდა შიდა სისხლის სამართლის საპროცედურო ნორმებთან და დაარღვევდა სუბსიდიარობის პრინციპს, რომელიც კონვენციის მექანიზმის განუყოფელი ნაწილია. აქვე გაიხსენეს ის, რომ არ არსებობდა ამ მოსარჩელების სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ (§29 ზემოთ). სტავროპოლის სამხარეო სასამართლოს დადგენილების მოშველიებით, რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებდა, რომ მას როგორც აღმასრულებელ ორგანოს არ შეეძლო ამ იურიდიული ორგანოს მიერ ფაქტების დამოუკიდებელ შეფასებაში. მან სასამართლოს ურჩია პირდაპირ მიემართა ამ სამხარეო სასამართლოსთვის რათა ეს უკანასკნელი დაბრუნებოდა 2003 წ. 14 ოქტომბრის თავის გადაწყვეტილებას (§35 ზემოთ).

498. ამასთან დაკავშირებით სასამართლო რაც შეიძლება ნათლად განმარტავს, რომ მისი მოსაუბრეები არ უნდა იყვნენ ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ან სასამართლოს წარმომადგენლები და რომ საქმე ეხება რუსული სახელმწიფოს პასუხისმგებლობას და არა მისი ხელისუფლების ან ორგანოების პასუხისმგებლობას სასამართლოს წინაშე (*mutatis mutandis, Assanidzé, ადრე დასახ. §149*). სასამართლოს შესაფასებელი არ არის სტავროპოლის სამხარეო სასამართლოს უარის გადაწყვეტილების საფუძველიანობა, რომლის უკან დგას რუსეთის მთავრობა. მისი საქმიანობა უნდა შემოიფარგლებოდეს რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლის ვერსიის განხილვით და იმ საკითხის გარკვევით იცავს თუ არა ეს სახელმწიფო, რომელიც კონვენციის მაღალ ხელშემკვრელ მხარეს წარმოადგენს, ამ კონვენციის დებულებებიდან გამომდინარე მის ვალდებულებებს.

499. ამგვარად ეს ვერსიები სასამართლოს არადამაჯერებლად მიაჩნია.

500. პირველ რიგში იგი შენიშნავს, რომ იმის საწინააღმდეგოდ რასაც რუსეთის ხელისუფლება ამტკიცებს, რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, ისევე

როგორც სისხლის სამართლის კოდექსი, სცნობს საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატს შიდა ნორმებზე და სახელდობრ იმ ნორმებზე, რომლებიც განსაზღვრავენ სისხლის სამართლის პროცედურის მოქმედებას (§§ 259 და 264 ზემოთ). როგორც არ უნდა იყოს, საგამოძიებო მისიის განხორციელება, რომელიც გადაწყვეტილია სასამართლოს მიერ კონვენციის 38-ე მუხლის § 1 ა) საფუძველზე არ არის დამოკიდებული შიდა პროცედურის მიმდინარეობაზე. მთავრობის პოზიციისაგან განსხვავებით (§§ 34 და 35 ზემოთ), სასამართლოს ასეთი მისია ეჭვს ქვეშ არ აყენებს სუბსიდიარობის პრინციპს, რომელიც კონვენციის სისტემის განუყოფელი ნაწილია. სინამდვილეში, სასამართლოს საგამოძიებო მისიის პირობებში, ევროპული კონტროლი, რომელიც დაწესებულია კონვენციის მიერ, არ ექვემდებარება ეროვნულ კონტროლს და წარმოადგენს პროცედურული სახის ღონისძიებას ამ კონტროლის ფარგლებში. უფლებათა კოლექტიური გარანტიების მისი სისტემით, რომლებსაც იგი ეძღვნება, სუბსიდიარობის პრინციპიდან გამომდინარე, იგი აძლიერებს დაცვას ეროვნულ დონეზეც (*Parti communiste unifie de Turquie et autres c. Turquie*, 1998 წ. 30 იანვრის დადგენილება, კრებული 1998-I, §28), ისე რომ მას არ უწესებს არანაირ საზღვრებს (კონვენციის 53-ე მუხლი).

501. ამგვარად სასამართლოსთვის მიუღებელია ძირითადი მოტივი (§497 ზემოთ) რომელზეც რუსეთის მთავრობამ დააფუძვნა თავისი არაერთგზის უარი მიეცა სასამართლოს წარგზავნილებისათვის დაშვება რუსეთში პატიმრობაში მყოფ მოსარჩელებთან. გარდა ამისა, მას ზედმეტად მიაჩნია დაასახელოს ამასთან დაკავშირებული მეორეხარისხოვანი მოტივები (საპრეზიდენტო არჩევნები და ა.შ.), მით უმეტეს, რომ საჭირო დროს მან ყველა ეს მოტივი გაითვალისწინა, შესაბამისად გადადო თავისი მისია და რიგრიგობით შესთავაზა სამი შესაძლო თარიღი მისიის განსახორციელებლად, 2003 წ. ოქტომბერი, 2004 წ. ფებერვალი და 2004 წ. ივნისი (§27 და შემდ. ზემოთ). რაც შეეხება ექსტრადირებული მოსარჩელების მიერ სასამართლოში საჩივრის შეტანის არარსებობას ამისათვის შეუძლიათ გაეცნონ იმ შეფასებებს, რომლებიც ფიგურირებენ პარაგრაფებში 292-297 ზემოთ.

502. სასამართლოს თვალსაზრისით რუსეთის მთავრობის მიერ წამოყენებული არცერთი მოტივი არ არის ისეთი ხასიათის, რომ გაათავისუფლოს რუსეთის სახელმწიფო - მოპასუხე - მისი ვალდებულებებისგან ითანაშრომლოს მასთან ჭეშმარიტების დასადგენად (*Artico c. Italie*, 1980 წ. 13 მაისის დადგენილება, სერია №37, § 30). გარდა ამისა მას მიაჩნია, რომ მთავრობის მცდელობა სამხარეო სასამართლოს გადაწყვეტილებებს უართან დაკავშირებით მისცეს უპირატესობა ნიშნავს იმის აღიარებას, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ხელს უშლიან კონვენციით დადგენილი კოლექტიური გარანტიის სისტემის ფუნქციონირებას. ამგვარად იმისათვის, რომ ეფექტური იყოს ეს სისტემა პირიქით მოითხოვს თითოეული ხელშეკრულებაში მონაწილე სახელმწიფოს თანამშრომლობას სასამართლოსთან (*Chypre c. Turquie*, ადრე დასახ., კომისიის 1983 წ. 4 ოქტომბრის მოხსენება (DR), გვ. 73 § 49).

503. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს მიაჩნია, რომ მას შეუძლია გამოიტანოს დასკვნები რუსეთის მთავრობის ქცევასთან დაკავშირებით არსებულ საქმეში (თეპე ც.თურქიე, № 27244/95, §135, 2003 წ. 9 მაისი).

504. მას მიაჩნია, რომ საგამოძიებო მისიის შესრულებისათვის დაბრკოლებების შექმნის დროს და რუსეთში პატიმრობაში მყოფ მოსარჩელებთან დაშვებაზე უარის თქმით, რუსეთის მთავრობამ მიუღებელი ფორმით ხელი შეუშალა ამ საქმეში ფაქტების დადგენას და აქედან გამომდინარე არ შეასრულა თავისი ვალდებულებები, რომლებიც გამომდინარეობენ კონვენციის 38-ე მუხლის §1 ა)-დან.

### VIII. რუსეთის მხრიდან კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევის შესახებ

505. თავიანთ დასკვნებში საქმის არსებითად განხილვასთან დაკავშირებით (§50 ზემოთ) მოსარჩელეთა წარმომადგენლები რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ წარმოადგენენ სარჩელს კონვენციის 34-ე მუხლის შესაბამისად, რომელიც შემდეგნაირად იკითხება: “სასამართლოს შეუძლია მიიღოს საჩივარები ნებისმიერი პირისაგან, არასამთავრობო ორგანიზაციისა და ფიზიკურ პირთა ჯგუფისაგან, რომლებიც ამტკიცებენ, რომ ისინი არიან ერთ-ერთი მაღალი ხელშემკვრელი მხარის მიერ კონვენციითა და მისი ოქმებით აღიარებული უფლებების დარღვევის მსხვერპლნი. მაღალი ხელმომწერი მხარეები მოვალენი არიან არ შეუშალონ ხელი ამ უფლების მაქსიმალურ გამოყენებას.”

506. სახელდობრ, ისინი აღნიშნავენ, რომ ერთი თვის განმავლობაში მათი ექსტრადიციის შემდეგ, ექსტრადირებული მოსარჩელები პატიმრობაში ჰყავდათ ინცომმუნიცადო და რომ შემდგომში რუსეთის ხელისუფლებამ მათ უარი უთხრა უფლებაზე მოენახულებინათ ისინი. ამავე ფაქტის გამო ამ მოსარჩელებს ხელი შეუშალეს დაეცვათ თავიანთი სარჩელი და მონაწილეობა მიეღოთ სასამართლო პროცედურაში.

507. სასამართლო უპირველეს ყოვლისა აღნიშნავს, რომ თარიღი, როდესაც მოსარჩელებმა წარადგინეს სარჩელი 34-ე მუხლის შესაბამისად არ აღძრავს არავითარ საკითხს მისაღებობასთან დაკავშირებით კონვენციის კუთხით (Ergi, ადრე დასახ. გვ. 1783-84, § 105).

508. 470-473 პარაგრაფებში, ზემოთ მოყვანილი პრინციპების გარდა სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ კონვენციით გათვალისწინებული პროცედურა, ისევე როგორც ეს სარჩელი, ყოველთვის არ ითვალისწინებს პრინციპის უსიტყვო გამოყენებას, რომელიც მოითხოვს, რომ ყველამ უნდა დაადასტუროს ის რასაც აცხადებს და რომ კონვენციის 34-ე მუხლით დაწესებული ინდივიდუალური დაცვის მექანიზმის გამართული მუშაობისათვის მთავარია, რომ სახელმწიფოებმა შექმნან ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს სარჩელების სერიოზული და ეფექტური განხილვა (Tanrikuli, ადრე დასახ., § 70; Tahsin Acar c.Turquie [GC], # 26307/95, § 253, CEDH 2004-...).

509. ეს ვალდებულება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებისაგან მოითხოვს შეუქმნან სასამართლოს ყველა საჭირო პირობა იმისათვის, რომ მან ადგილზე ჩაატაროს გამოძიება ან შეასრულოს ზოგადო ხასიათის ამოცანები

რის შესრულებაც მას ევალება სარჩელის განხილვის თვალსაზრისით. ის ფაქტი, რომ რომელიღაც მთავრობამ როგორ ამ შემთხვევაში არ მისცა სასამართლოს საშუალება ჩაეტარებინა მოსარჩელეთა მოსმენა და დაედგინა ფაქტები ისე, რომ ამისათვის დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება არ მიუცია შეიძლება ჩაითვალოს მოპასუხე სახელმწიფოს მხრიდან მისი ვალდებულებების დარღვევად, რომელიც მას ეკისრება კონვენციის 34-ე მუხლის § 1 ა)-ის თანახმად (*mutatis mutandis*, *Ipek c.Turquie*, # 25760/94, § 112, CEDH 2004-...(ამონარიდები); *Tekadag c.Turquie*, №27699/95, §57, 15 იანვარი 2004; *Tahsin Acar*, ადრე დასახ., §254).

510. ამ საქმეში სასამართლო უპირველესად აღნიშნავს, რომ კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე მისი ვალდებულებების გარდა რუსეთის მთავრობას ევალებოდა შეესრულებინა თავისი სპეციფიური ვალდებულებები, რომელიც მან სასამართლოს წინაშე აიღო 2002 წ. 19 ნოემბერს. ამ ვალდებულებების შორის სახელდობრ, ფიგურირებდა გარანტია, რომ მოსარჩელები, გამონაკლისის გარეშე, დაიშვებოდნენ ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე სასამართლოში (§18 ზემოთ). ამ აშკარა ვალდებულებებიდან გამომდინარე 2002 წ. 26 ნოემბერს სასამართლომ საქართველოს მოუხსნა დროებითი ზომა, რომლის შესრულება მითითებული ჰქონდა 2002 წ. 4 ოქტომბერს (§§ 18 და 21 ზემოთ).

511. 2003 წ. 17 ივნისს სასამართლომ გადაწყვიტა დაევალებინა რუსეთის ხელისუფლებისათვის მისი რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენებით მიეცა მუშავრის და ძამუკაშვილისთვის ექსტრადირებულ მოსარჩელებთან თავისუფალი შესვლის საშუალება მისაღებობის მოსმენასთან დაკავშირებით (§228 ზემოთ). 2003 წ. 4 აგვისტოს მუხაშავრიამ პირდაპირ მიმართა რუსეთის ფედერაციის წარმომადგენელს სასამართლოში, და სთხოვა მიეღო საჭირო ზომები ვიზების მოსაპოვებლად, და თავისუფალი დაშვების უფლება მოსარჩელებთან. 2003 წ. 21 აგვისტოს ამ უკანასკნელმა შეატყობინა სასამართლოს, რომ იგი ვერ უკავშირდება მუხაშავრიას და რომ მოსარჩელებთან დაშვების საკითხი მხოლოდ სტავროპოლის სამხარეო სასამართლოს კომპეტენციას შეადგენდა, რომლისთვისაც პირდაპირ უნდა მიემართა ამ ადვოკატს.

512. სასამართლოს გადაწყვეტილების მიუხედავად ქალბატონები მუხაშავრია და ძამუკაშვილი არ დაუშვეს ექსტრადირებულ მოსარჩელებთან. თვით სასამართლოს უარი ეთქვა ამ პიროვნებების მოსმენაზე. წერილობითი კონტაქტი იშვიათი და არასაკმარისი იყო მათი საქმის არც თუ ისე უმნიშვნელო ნაწილის ეფექტურად განხილვისათვის (*Akdivar er autres*, ადრე დასახ., §103). ამ პირობებში რუსეთის მთავრობამ დამატებით ეჭვს ქვეშ დააყენა ექსტრადირებული მოსარჩელების განძრახვა მიემართად სასამართლოში ისევე როგორც მათი სარჩელის და უფლებამოსილების მანდატის სინამდვილე (§ 290 და შემდ. ზემოთ).

513. სარჩელის ჭეშმარიტების შეფასება სასამართლოს ექსკლუზიურ კომპეტენციას შეადგენს და არა რომელიმე მთავრობის (*Orhan*, ადრე დასახ., §409). თვითონ სასამართლომ სცადა დაკავშირებოდა ექსტრადირებულ მოსარჩელებს, მათი რუსი ადვოკატის მეშვეობით. ამგვარად მის მიერ 2002 წ. 20 ნოემბერს ადვოკატისათვის გაგზავნილი წერილის პასუხად მან მიიღო რუსეთის

მთავრობის წერილი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ეს ადვოკატები პროტესტს აცხადებდნენ სასამართლოს მცდელობების წინააღმდეგ დაკავშირებოდნენ მათ (§232 ზემოთ). 2003 წ. აგვისტოში ამ ადვოკატებიდან ორმა მაინც გამოგზავნა პასუხი რათა დაემტკიცებინათ, რომ მათ კლიენტებს არასდროს ჰქონიათ სურვილი მიემართათ სასამართლოსათვის (§241 ზემოთ).

514. სასამართლოს გზავნილი, რომელიც პირდაპირ ექსტრადირებულ მოსარჩელებს გადაეგზავნათ საპრობილეში მიიღო პენიტენციურმა ადმინისტრაციამ 2002 წ. 24 დეკემბერს. მიუხედავად ამისა პირველ დღეებში რუსეთის ხელისუფლება უარყოფდა მის მიღებას (§233 ზემოთ). 2003 წ. 14 ოქტომბრის და 2004 წ. 21 აპრილის დადგენილებებში სტავროპოლის სამხარეო სასამართლო იმასაც კი ამტკიცებდა, რომ ამ პიროვნებებს არასდროს შეუტანიათ სარჩელი რუსეთის წინააღმდეგ. ამავე დროს ოთხმა ექსტრადირებულმა მოსარჩელემ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოგვიანებით დაადასტურა, რომ მათ საქართველოდან მიმართეს სასამართლოს (§§ 238 და 240 ზემოთ).

515. ამ გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლოს მიაჩნია, რომ არსებობს სერიოზული ეჭვის საფუძველი იმისა, რომ ექსტრადირებულ მოსარჩელებს ჰქონდეთ თავისუფლება დაუბრკოლებლივ დაუკავშირდნენ სასამართლოს და განავითარონ მათი სარჩელები, რაშიც ხელი შეეშალათ დაჩქარებული ექსტრადიციის მიზეზით (§479 ზემოთ).

516. რაც შეეხება ბაიმურზაევს და ხაჩიევს მათ ვერ შესძლეს თბილისში სასამართლოს წინაშე გამოცხადება მათი გაუჩინარების მიზეზით 2002 წ. 16 ტებერვალს. ამ დღეს არანაირი სარწმუნო ახსნა-განმარტება არ მოუწოდებია ორიდან არცერთ მოპასუხე მთავრობას არც მათ გაუჩინარებასთან დაკავშირებით თბილისში სასამართლოს დელეგაციის ჩამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე არც მათი დაკავების მიზეზებთან დაკავშირებით სამი დღის შემდეგ რუსეთის ხელისუფლების ორგანოების მიერ. ექსტრადირებული მოსარჩელების მსგავსად სასამართლომ ვერ მოახერხა მათი მოსმენა რუსეთში (პარაგრაფები 46-49 ზემოთ). ამ დღემდე ისინი რუსეთში დაპატიმრების შემდეგ არცერთხელ არ დაკავშირებიათ სასამართლოს.

517. სასამართლომ ამის მიუხედავად მაინც დაასრულა საქართველოს ხელისუფლების მიერ მოწოდებული დოკუმენტებზე დაყრდნობით და თბილისში მისი საგამოძიებო მისიის დროს შეგროვებული ფაქტების საფუძველზე სარჩელის არსებითი განხილვა იმ ნაწილში, რომელიც საქართველოს შეეხება. ეს სულაც არ ნიშნავს, რომ არანაირი პრობლემა არ ჩნდება 34-ე მუხლის კუთხით იმ ნაწილში, რომელიც მთლიანად სარჩელს ეხება (Orhan, ადრე დასახ., §406). მოსარჩელების სარჩელის ეფექტურ განხილვაზე, რომელიც მიმართული იყო საქართველოს წინააღმდეგ, ცუდი გავლენა იქონია რუსეთის ხელისუფლების მოქმედებამ იმ დროს, როდესაც სარჩელის მისაღებობის ნაწილის განხილვა, რომელიც მიმართული იყო რუსეთის წინააღმდეგ, შეუძლებელი გახდა (§491 ზემოთ).

518. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსეთის ხელისუფლების მიერ მიღებულმა ზომებმა ხელი შეუშალა შამაევის, აზიევის, ვისიტოვის, ხაჯიევის, ადაევის, ხაჩიევის (ელიხაჯიევი, მულკოევი) და ბაიმურზაევის (ალხანოვი) სარჩელის უფლების გამოყენების ეფექტურობას,

რომლის გარანტიას იძლევა კონვენციის 34-ე მუხლი. ამგვარად ეს მუხლი დარღვეულ იქნა.

## IX. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების შესახებ

519. კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით,

“თუკი სასამართლო დაადგენს, რომ მოხდა კონვენციისა და მისი ოქმების დარღვევა, და თუკი მაღალი ხელშემკრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო მხოლოდ ნაწილობრივი დაკმაყოფილების საშუალებას იძლევა, სასამართლო აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფს დაზარალებული მხარის სამართლიან დაკმაყოფილებას.”

### A. ზიანის ანაზღაურება

#### 1. მხარეთა არგუმენტები

520. 2003 წ. 17 ნოემბერს და 2004 წ. 29 იანვარს მუხაშაერიამ და კინწურაშივილმა მოითხოვეს, რომ თანხა 500.000 ევროს (EUR) გადაეხადათ 2002 წ. 4 ოქტომბერს ექსტრადირებული ხუთივე მოსარჩელეს, 100.000 ევრო შვიდი არაექსტრადირებული მოსარჩელისათვის და 68.455,84 EUR მარგოშივილისთვის, რომელიც 2003 წ. 8 აპრილს გაათავისუფლეს. სახელდობრ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ იმის გამო, რომ მათ ორი თვის განმავლობაში 2002 წ. აგვისტოში დაკავების შემდეგ ამყოფებდნენ მუდმივი შიშის და გაურკვეველობის მდგომარეობაში და მათი მატიმრობა ითვალისწინებდა შესაძლო ექსტრადიციას, რომლის შესახებ ისინი არასათანადოდ იყვნენ იმფორმირებული მოსარჩელებმა განიცადეს მნიშვნელოვანი მორალური ზიანი. შემდგომ ხუთი მოსარჩელე გახდა იძულებითი ექსტრადიციის ობიექტი, ძალადობის და დამცირების პირობებში. ამ მოსარჩელებისათვის მიყენებული ზარალი უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლებამ არ მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი 4.000-ზე მეტ ჩეჩენს ჩეჩნეთში მეორე ომის შემდეგ და მან საეხსებოთ კარგად იცოდა იმ საშიშროების შესახებ, რომელიც მათ იქ ელოდა.

521. საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ეს მოთხოვნები დამყარებულია ირიბ შეფასებებზე და აქედან გამომდინარე სათანადოდ არ არიან ჩამოყალიბებული და უკუგდებულ უნდა იქნენ. გარდა ამისა არ არსებობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ძალადობასა და იმ ზიანს შორის, რაც თითქოს განიცადეს მოსარჩელებმა და ის თანხები, რომელიც მოითხოვეს მათმა ადვოკატებმა “ძალზე გადაჭარბებულია”. თუ სასამართლო მაინც გამოიტანს დასკვნას კონვენციის დარღვევის შესახებ, საქართველოს ხელისუფლებას მიაჩნია, რომ ასეთი აღიარება თავისთავად ანაზღაურებდა მორალურ ზიანს.

522. რაც შეეხება რუსეთის ხელისუფლებას, რომელიც ამტკიცებს, რომ ექსტრადირებულ მოსარჩელებს (ხაჯიევის გარდა) არასდროს მიუმართავთ სასამართლოსთვის, მან უარი საჩივარა მორალური ზიანის სამართლიან ანაზღაურებაზე, რომელსაც აყენებენ “ეგრეთწოდებული მოსარჩელები”

## 2. სასამართლოს შეფასება

### A. მორალური ზიანი

523. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან უკვე გააკეთა დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ 11 მოსარჩელე გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი ხუთი მათგანის ექსტრადიციის მცდელობის დროს და რომ ყველა მოსარჩელის უფლება, რომელიც გარანტირებულია მე-5 მუხლის §§ 2 და 4-ით დარღვეულ იქნა საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. გარდა ამისა, 2002 წ. 4 ოქტომბერს ხუთი ექსტრადირებული მოსარჩელე მოკლებული იყო ყველანაირ შესაძლებლობას სარჩელით მიემართა ეროვნული სასამართლოსთის კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად. სასამართლომ დაუშვებლად სცნო ის გარემოებები, რაც ახლდა ექსტრადიციის მთელ პროცედურას და ასევე ის სიჩქარე, რა სისწრაფითაც მოახდინეს ხუთი მოსარჩელის ექსტრადიცია.

524. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ როგორც საქართველომ, ისევე რუსეთმა დაარღვიეს კონვენციის 34-ე მუხლი.

525. მას ეჭვი არ ეპარება, რომ მოსარჩელებმა მიიღეს მორალური ზიანი, რომელიც არ ანაზღაურდება ძალადობის უბრალო კონსტატაციით. დადგენილი ძალადობის სერიოზულობიდან და ზიანის ანაზღაურებიდან გამომდინარე სასამართლო ადგენს მოსარჩელებს გამოეყოს შემდეგი ქვემოთ მოყვანილი თანხები ბეგარის გათვალისწინებით:

ა) შამაევს, აზიევს, ხაჯიევს და ვისიტოვს, რომლებიც ექსტრადირებული იყვნენ 2002 წ. 4 ოქტომბერს 8.000 ევრო თითოეულს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კონვენციის მე-3, მე-5 მუხლის §§ 2, 4 და 13-ის, მე-2 და მე-3 მუხლებთან კომბინაციაში დარღვევის გამო (§§ 386, 428, 434 და 466 ზემოთ);

ბ) ადაევს, რომელიც ექსტრადირებული იყო 2002 წ. 4 ოქტომბერს, 6.000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, კონვენციის მე-5 მუხლის §§ 2 და 4-ის და იმავე კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებთან კომბინაციაში დარღვევის გამო (§§ 428, 434 და 466 ზემოთ);

გ) ისაევს, კუშტანაშვილს, ხაჭიუკაევს, მაგომადოვს, გელოგაევს, ხაჩიევს (ელიხაჯიევი, მულკოევი) და ბაიმურზაევს (ალხანოვი) 4.000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კონვენციის მე-3, მე-5 მუხლის §§ 2, 4 და 13-ის, მე-2 და მე-3 მუხლებთან კომბინაციაში დარღვევის გამო (§§ 386, 428 და 434 ზემოთ);

დ) მარგოშვილს 2.500 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად კონვენციის მე-5 მუხლის §§ 2 და 4-ის დარღვევის გამო (§§ 428 და 434 ზემოთ);

ე) შამაევს, აზიევს, ხაჯიევს და ვისიტოვს, რომლებიც ექსტრადირებული იყვნენ 2002 წ. 4 ოქტომბერს, 3 000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს მიერ 34-ე მუხლის დარღვევიდან (§479 ზემოთ);

ვ) შამაევს, აზიევს, ხაჯიევს, ადაევს და ვისიტოვს, რომლებიც ექსტრადირებული იყვნენ 2002 წ. 4 ოქტომბერს და ხაჩიევს (ელიხაჯიევი, მულკოევი) და ბაიმურზაევს (ალხანოვი), დაპატიმრებულებს რუსეთში 2004 წ. 19

თებერვალს, 6.000 ევრო თითოეულს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად რუსეთის მიერ კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევის გამო (§ 518 ზემოთ).

526. რაც შეეხება გელოგაევის ექსტრადიციას მე-3 მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა სასამართლომ დაადგინა, რომ 2002 წ. 28 ნოემბრის მისი ექსტრადიციის გადაწყვეტილების აღსრულებამ გამოიწვია ასეთი დარღვევა (§368 ზემოთ). აქედან გამომდინარე უნდა მივიჩნიოთ, რომ ამ საქმეში შესაძლებელია 41-ე მუხლის გამოყენება (Ahmed, ადრე დასხ., § 49). სასამართლოს მიაჩნია, რომ ამ პიროვნებას შეეძლო განეცადა მორალური ზიანი, მაგრამ ამ ზიანის ასანაზღაურებლად საკმარისია სასამართლოს მიერ გამოტანილი დასკვნა.

## B. ხარჯები

527. 2004 წ. 29 იანვარს მუხაშავრიამ მოითხოვა 34.080,70 ევრო ჩაერიცხათ მოსარჩელებისათვის ხარჯების ასანაზღაურებლად. ამავე დროს ამ საჩივარის გასამყარებლად არ წარმოუდგენია არანაირი დოკუმენტი. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს თანხა ზუსტად შეესაბამება ციფრებში გაწერილ საჩივარს, რომელიც მან წარმოადგინა 2003 წ. 21 აგვისტოს გაწეული იურიდიული დახმარებისათვის.

528. საქართველოს ხელისუფლებამ ამ თანხას უზომოდ გადაჭარბებულის კვალიფიკაცია მისცა და მიიჩნია, რომ ასეთი ხარჯები რეალურად არ გაწეულა. ყოველ შემთხვევაში იგი აცხადებს, რომ მზად არის გადაუხადოს მოსარჩელებს მნიშვნელოვანი თანხა გონიერების ფარგლებში იმ დანახარჯებისათვის, რომლებიც რეალურად იქნა გაღებული, სადაც არ იქნება გათვალისწინებული იმ იურიდიული დახმარების ხარჯები, რომელიც სასამართლომ გასწია.

529. რუსეთის ხელისუფლებამ ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი კომენტარი არ გააკეთა.

530. მოსარჩელეთა წარმომადგენლების 2004 წ. 29 იანვრის მოთხოვნას არ მოყოლია არანაირი მამტიციცებელი საბუთები. მისი ვარაუდით, რომ ამ მოთხოვნის გასამყარებლად ადუოკატები წარმოადგენდნენ დეტალურ ანგარიშს 2003 წ. 21 აგვისტოს გაწეული იურიდიული მომსახურებისათვის, სასამართლო აღნიშნავს, რომ არც ამ ბოლო რიცხვში მათ არ წარმოუდგენიათ დოკუმენტები მათი მოთხოვნის გასამყარებლად. მიუხედავად ამისა, 2003 წ. 28 აგვისტოს გადაწყვეტილებით სასამართლომ საჭიროდ ჩათვალია გამოეყო შვიდი მოსარჩელესათვის შესაბამისად 2.546,54 და 1.126,54 ევრო მუხაშავრიას და კინწურაშვილის იურიდიული მომსახურებისთვის.

531. ეს იურიდიული დახმარება შეზღუდული იყო მისაღებობის სტადიაზე, საქმეს შემდგომში მოჰყვა წერილობითი შენიშვნების მთელი სერია ხოლო სამი დღის განმავლობაში ხდებოდა მოწმეების ადგილზე მოსმენა (§43 ზემოთ), სასამართლოს მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ამ მოთხოვნაში არ არსებობს დაზუსტება, ევროსაბჭოს მიერ დაინტერესებული მხარისთვის გადახდილი თანხა იურიდიული დახმარებისათვის არ შეიძლება განიხილებოდეს ისე თითქოს იგი მთლიანად ფარავდეს სტრასბურგში ჩატარებულ პროცედურებთან



დაკავშირებულ დანახარჯებს, ისევე როგორც იმ ხარჯებს რომლებიც თბილისში ჩატარებულ მისიას მოხმარდა.

532. ამგვარად, სამართლიანი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ და იმის გათვალისწინებით, რომ უკვე გადარიცხულია გარკვეული თანხა იურიდიული მომსახურებისათვის, სასამართლომ გამოუყო მოსარჩელებს 3.000 ევრო მუხაშავრიასთვის, 1.500 ევრო კინწურაშვილისთვის და 1.500 ევრო ძამუკაშვილისათვის, პლუს ის თანხა, რომელსაც ითვალისწინებს დღე. იმის გათვალისწინებით, რომ სასამართლომ რუსეთის ფედერაციის მხრიდან დააფიქსირა კონვენციის დარღვევის სხვადასხვა ფაქტები, რუსეთის ფედერაცია გადაიხდის ამ თანხების მესამედს ხოლო დანარჩენი უნდა გადაიხადოს საქართველომ.

### C. საურავი

533. სასამართლოს მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი

### X. სასამართლოს მიერ გაღებული ხარჯები

534. სასამართლო აღნიშნავს, რომ რუსეთში საგამოძიებო მისია, რომელიც გათვალისწინებული იყო 2003 წ. 27 ოქტომბერს, მთლიანად იყო ორგანიზებული და მისი განხორციელებისათვის საჭირო ყველა თანხა დრულად იქნა გამოყოფილი. მიუხედავად ამისა იგი არ შედგა რუსეთის ხელიფლებისაგან 2003 წ. 20 ოქტომბერს მიღებული შეტყობინების გამო (§§ 28 და 29 ზემოთ).

535. მგზავრობის ხარჯების უმეტესი ნაწილი ითვალისწინებდა დაზღვევას, სასამართლოს მოუწია დელეგაციის მთელი შემადგენლობის თვითმფრინავის ბილეთების გაუქმების ხარჯების გაღება (561,13 ევრო) ისევე როგორც რუსეთში დაქირავებული ორი თარჯმნისათვის გასამრჯელოს გადახდა (1.019,57 ევრო).

536. ამ მისიის შეუსრულებლობა გათვალისწინებულ რიცხვში რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების პოზიციით იყო გამოწვეული (§§ 499 და შემდ. ზემოთ) სასამართლოს მიაჩნია, რომ რუსეთის ფედერაციამ უნდა აანაზღაუროს სასამართლოს მიერ გაწეული ხარჯები, რომელიც ჩამოთვლილია ზემოთ, რომლის საერთო თანხა შეადგენს 1.580,70 ევრო და უნდა გადაირიცხოს ევროპის საბჭოს ბიუჯეტში.

### მოსამართლე კოლეჯის საწინააღმდეგო მოსაზრება

ვწუხვარ, რომ ვერ ვიზიარებ დიდი პალატის უმრავლესობის რამდენიმე დასკვნას ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, რომელიც საკმაოდ გაურკვეველად მიმაჩნია. საქმის განხილვის დაწყების დღიდან, სახელდობრ მას შემდეგ რაც 2002 წ. 4 ოქტომბერს გამოყენებული იყო სასამართლოს

რეგლამენტის 39-ე მუხლი (“დროებითი ზომები”), პროცედურა წარიმართა რამდენიმე დარღვევით: მოსარჩელეთა წარმომადგენლებმა შეგნებულად მოგვაწოდეს მოსარჩელეთა მოგონილი სახელები, ზოგიერთი მოსარჩელის მოქალაქეობა გაურკვეველია, 2002 წ. 22 ნოემბერს ხუთი ექსტრადირებული მოსარჩელის სახელით მათ წარმომადგენლებზე გაცემული უფლებამოსილების მანდატებში მხოლოდ საქართველო მოიხსენიება მოპასუხე მხარედ და ა.შ. მართლაც, ქართული და რუსული პრესის მიერ გადაცემილი აღიარების მიხედვით, რომელიც გამეორდა მათ შემდგომ გამოსვლებში, სასამართლოს ჩათვლით, მათმა კლიენტებმა შეცდომაში შეიყვანეს გამომძიებლები როგორც საქართველოში, ისე რუსეთში: ექსტრადიციის თავიდან ასაცილებლად მათ მიმართეს “სამხედრო ეშმაკობას გამოგონილ სახელებთან დაკავშირებით” (იხ. ადვოკატ გაბაიძის აღიარებები მისადებობის გადაწყვეტილების ტექსტში), იმის გამო, რომ მათ შეიცვალეს გვარები, მისამართები, დაბადების თარიღები მოსარჩელების ვინაობის სათანადო დადგენა ჩვენს სასამართლოში ვერ მოხერხდა. ამ შემთხვევაში კონვენციის 35-ე მუხლის §2 ა) ადგენს: “სასამართლო არ განიხილავს არცერთ ინდივიდუალურ სარჩელს კონვენციის 34-ე მუხლის საფუძველზე როდესაც: ა) როდესაც ის არის ანონიმური...”. ამასთან დაკავშირებით თავს უფლებას ვაძლევ მოვიშველიო ბრიტანელი ადვოკატნ პ. ლინჩის სიტყვები, რომელმაც, სხვათა შორის, სასამართლოში წარმოადგინა პირველი სარჩელები, რომლებსაც ჩეჩნური ეწოდათ ისე, რომ არცერთ პროცედურულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია: ნებისმიერი სარჩელის წარდგენის დროს ევროპულ სასამართლოში დადგენილი უნდა იყოს მოსარჩელის ვინაობა (მუხლი 35 (2) ა). თუ ეს ასე არ არის მარტო ამის გამო იგი შეიძლება გამოცხადდეს მიუღებლად” (Leach, “Taking a Case to the European Court of Human Rights”, London, 2001, p. 85). ჩვენ შემოვიღეთ საკმაოდ მკაცრი წესები პროცედურული ფორმალობის დაცვასთან დაკავშირებით ამ ორი მთავრობის მხრიდან. პროცედურის სიმკაცრე და დაცვის თანასწორი უფლებების პრინციპი იგივე მიდგომას მოითხოვს მოსარჩელეთა წარმომადგენლების მიმართ. მე ვერ ვიპოვე დადგენილებაში ამ შეღავათთან დაკავშირებით სარწმუნო არგუმენტები. შედეგი: განაჩენის გამოტანის დროსაც კი სასამართლო ზოგჯერ იძულებული იყო ეხსენებინა გამოგონილი სახელები და ცდილობდა არ ეხსენებინა ამა თუ იმ მოსარჩელის მოქალაქეობა.

ადვოკატების უფლებამოსილების ისტორია ამ დადგენილებაში კიდევ უფრო მეტი საიდუმლოებით არის მოცული. თუ ვიმსჯელებთ დადგენილების მე-14 პარაგრაფით, “2002 წ. 22 ოქტომბერს სარჩელის ფორმულარი ცამეტი მოსარჩელის სახელზე მიმართული საქართველოს და რუსეთის წინააღმდეგ, წარმოდგენილ იქნა მათი წარმომადგენლების მიერ, რეგლამენტის 47-ე მუხლის თანახმად”. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ წარმოადგინეს ადვოკატებმა “ფაქსის საშუალებით უმღებამოსილებანი, რომლებიც მათ აძლევდა უფლებას სასამართლოში წარმოედგინათ ექსტრადირებული მოსარჩელები. ეს ზემოხსენებული უფლებამოსილებანი საქართველოს მოიხსენიებდნენ მოპასუხე მხარედ და მასზე ხელს აწერდნენ რუსეთში მცხოვრები მოსარჩელეთა ოჯახის წევრები და ახლობლები” (§225). იმ დროს როდესაც სასამართლო ამ შეუსაბამობას ამართლებს “უკიდურესი აუცილებელობის შემთხვევით, რომელიც მოსარჩელების ბრალი არ იყო” (§312), იგი ქმნის ისეთ შთაბეჭდილებას თითქოს

ამართლებს პროფესიონალი ადვოკატების მიერ დაშვებულ დარღვევებს იმ დასკვნის გამოსატანად, რომ მოსარჩელები “სრულფასოვნად არიან წარმოდგენილი (ზუსტად ასე)”. როგორ შეიძლება შეფასდეს სრულფასოვნად ადვოკატთა “ურთიერთგამომრიცხავი” მტკიცებულებები (მეტი რომ არ ვთქვათ) ხელმოწერებთან დაკავშირებით. მისაღებობის გადაწყვეტილება დეტექტიური რომანის ლეგენდას ჰგავს: “უფლებამოსილებაზე ხელი მოაწერეს თვით მოსარჩელებმა 2002 წ. 22 ნოემბერს (კარგად დავაკვირდეთ: უკვე ექსტრადირებულებს- A.K.) და მოპოვებულია რუსეთში მცხოვრები ჩინური წარმოშობის პირების საშუალებით, ზოგიერთ შემთხვევაში, ხელს აწერენ ამ მოსარჩელების რუსეთში მცხოვრები ამ მოსარჩელების ოჯახის წევრები”. მხოლოდ გრაფოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ უძლებამოსილებები არ არის ხელმოწერილი ექსტრადირებული მოსარჩელების მიერ და ადვოკატებიდან ერთერთმა აღიარა, რომ “მიმართა ოჯახის წევრებს და ახლობლებს, რომლებიც ხელმოწერის ავტორები არიან” (პარაგრაფი 231). ვწუხვარ, რომ დიდმა პალატამ ანგარიში არ გაუწია სასამართლოს კანონმდებლობას უკანონო სარჩელის მიუღებლობასთან დაკავშირებით (იხ. *mutatis mutandis*, *Stamulakatos c. Royaume-Uni* (dec.), № 27567/95 1997 წ. 9 აპრილი) მათ შორის “განზრახ დარღვევით წარმოდგენისათვის” კ. რეიდის გამონათქვამის მიხედვით (ix. K. Reid, “Practitioner Guide to the ECHR” London. 1998).

მე ყურადღებას ვაჩერებ ამ სამწუხარო ფაქტებზე რათა აღვნიშნო, რომ თითოეული მოსარჩელე ან მისი წარმომადგენელი ხელს აწერს სარჩელის ფორმულარს შემდეგი განცხადებით: “მე ვაცხადებ სრული შეგნებით და პატიოსნებით, რომ სარჩელის ფორმულარში მოცემული მონაცემები ზუსტია”. ამგვარად, ისინი ადასტურებენ ინფორმაციის სინამდვილეს და არის საშიშროება იმისა, რომ მოექცნენ კონვენციის 35-ე მუხლის § 3-ს მოქმედების ქვეშ: უკანონო სარჩელის მიუღებლობიდან გამომდინარე სასამართლოს აქვს უფლება პროცედურის ნებისმიერ სტადიაზე, ამ მოტივით სარჩელი მიუღებლად გამოაცხადოს (კონვენციის 35-ე მუხლის §4), ან თავიდანვე მიმართოს საგამოძიებო ზომებს რასაც ითვალისწინებს რეგლამენტის 42-ე მუხლი).

არ მინდა “ჩამთვალონ” მორალისტად და მიუხედავად ამისა მსურს კარგად გამიგონ ჩემს მოქმედებაში: მკაცრი მოსამართლის მხრიდან პროცედურის ყველა წვრილმანის საგულდაგულო დაცვა, რაც უნდა იყოს სასამართლო, ეს არის კოზირი მისი განაჩენის დასაბუთებისათვის. თუ თამაშში მოსამართლე დათმობაზე მიდის რომელიმე მხარის მიმართ, მაშინ სხვები ფიქრობენ რომ მათ შეუძლიათ მოიქცნენ ისე, როგორც მათ სურთ - ეს საქმე სასესია მსგავსი დამადასტურებელი მაგალითებით.

იძულებული ვარ გამოვთქვა ჩემი მოსაზრება საქმის არსებით განხილვასთან დაკავშირებით, ჩემი მტკიცე რწმენის მიუხედავად, რომ სარჩელი მიუღებელია მისი ანონიმურობიდან და უკანონობიდან გამომდინარე. მე შევეცდები მოკლედ ჩამოვაყალიბო ჩემი პოზიცია.

მთლიანად ვეთანხმები ჩემი კოლეგების დასკვნებს იმასთან დაკავშირებით, რომ არ არსებობს საქართველოს მხრიდან მე-3 მუხლის დარღვევა ხუთი ექსტრადირებული მოსარჩელის მიერ შემოტანილ სარჩელთან დაკავშირებით. იგივე ეხება იმ მოსაზრებას, რომ არ არის საჭიროება იმისა რომ გაგრძელდეს იმ სარჩელების განხილვა, რომლებიც შემოტანილია მე-2 და მე-3 მუხლების

დარღვევასთან დაკავშირებით და ეხება ხაჩიევის და ბაიმურზაევის ექსტრადიციას რუსეთში. აქ მე ვერ დავეთანხმები მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევას, რადგან მიღებული იყო გადაწყვეტილება გელოგაევის რუსეთში ექსტრადიციის შესრულების შესახებ. ჩემი აზრით ეს დასკვნა ეფუძვნება ფაქტობრივ (“საერთო სიტუაცია ჩეჩნეთში” როგორც ეს აღწერილია პარაგრაფებში 364 და 366) და იურიდიული ხასიათის სპეკულაციებს (რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს 1999 წ. 2 თებერვლის დადგენილების საკმაოდ ზედაპირული ინტერპრეტაცია), რაც ემყარება რეგიონში სიტუაციის დაძაბვის გათვალისწინებას (§367) და ამავე დროს არავითარი გამართლება არ მოეპოვება სასამართლოს იურისპრუდენციაში. მეჰემის (№1) საქმესთან დაკავშირებულ დადგენილებაში სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის შესაძლო დარღვევა – პირად და ოჯახურ ცხოვრებაზე უფლების დაცვა – მოსარჩელის შესაძლო ექსტრადიციის შემთხვევაში საფრანგეთში მისი ოჯახური კავშირებთან დაკავშირებით (Mehemi c. France (№1), 2003 წ. დადგენილება), ამ შემთხვევაში საქმე ასე არ არის. მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევის კონსტატაციის მაგალითები, რამდენადაც მე ვიცი, ეხებიან მხოლოდ იმ სახელმწიფოებს, რომლებსაც ხელი არა აქვთ მოწერილი კონვენციაზე (Soering c. Royaume-Uni, 1989 წ. 7 ივლისის დადგენილება, სერია №161; Cruz et autres c. Suede 1991 წ. დადგენილება, სერია №201).

ჩემი აზრით სასამართლოს აკლია მამტიციცებელი საბუთები, რასაც ის “დამტიციცებულად” მიიჩნევს, იმასთან დაკავშირებით, რომ მოსარჩელის ექსტრადიციის შემთხვევაში იმ ქვეყანაში, რომელსაც ხელი აქვს მოწერილი კონვენციაზე, მას შემდეგ რაც საქართველოს მთავრობას ისევე როგორც სასამართლოს მისცა ყველა გარანტია, რომ დაიცავდა კონვენციას ყველა მოსარჩელესთან დაკავშირებით, გელოგაევის ჩათვლით, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი.

რაც შეეხება 2002 წ. 3 დან 4 ოქტომბრის დამის მოვლენებს (პატიმართა ამბოხი და მისი ჩახშობა ქართული წესრიგის დამცველი ძალების მხრიდან), სასამართლომ, ჩემი აზრით, დაიკავა ძალზე უცნაური პოზიცია “მოსარჩელეთა განსაკუთრებით მოწყვლადი მდგომარეობით” სპეკულირებით (არ დაგვავიწყდეს, რომ ისინი შეიარაღებულები იყვნენ აგურებით და ლითონის ნაჭრებით) და იმის მომიზეზებით, რომ მათ ჰქონდათ “კანონიერი შიში” ,რომელიც გამომდინარეობდა ექსტრადიციასთან დაკავშირებული აზრებიდან”. იმ შემთხვევაშიც კი თუ სასამართლოს “შხედველობის არედან არ რჩება საპატიმროს თანამშრომლები, ისევე როგორც სპეცდანიშნულების რაზმის მეომრები, რომლებმაც მიიღეს ჭრილობები მოსარჩელეებთან “ხელჩართულ ბრძოლაში” და რომ შვიდიდან ოთხ მოსარჩელეს 2002 წ. 25 ნოემბერს ქართულმა სასამართლომ მიუსაჯა ორი წელი და ხუთი თვით პატიმრობა, მიუხედავად ამისა იგი ადასტურებს “ფიზიკურ და მორალურ ტკივილს, რომელიც შეიძლება შეფასდეს არაადამიანურ მოპყრობად”. დღეიდან დაწყებული არის საშიშროება იმისა, რომ ყველანაირი ამბოხის ჩახშობა საპატიმროში შეფასდეს როგორც უფლებამოსილების გადამეტება...

მე ასევე იძულებული ვარ ვადიარო, რომ მე არ მესმის საქართველოს მიერ 34-ე მუხლის დარღვევის კონსტატაციის ლოგიკა არის კი დამნაშავე საქართველო იმაში, რომ თვითმფრინავს მისცა გაფრენის უფლება

მოსარჩელებთან ერთად დაახლოებით 19 საათსა და 10 წუთზე (სტრასბურგის დროით) როდესაც ოფიციალური შეტყობინება რეგლამენტის 39-ე მუხლის გამოყენების შესახებ მიიღო ნახევარი საათის შემდეგ; ასევე დამნაშავეა თუ არა ის იმაში, რომ რუსეთში საგამოძიებო მისია არ ჩატარდა (რაგაგრაფები 477-478)? გარდა ამისა მე ამასთან დაკავშირებით მომყავს მოსამართლეების კაფლიშის, ტურმენის და ჩემს მიერ გამოთქმული საერთო საწინააღმდეგო მოსაზრება Mamatkulov et Askarov c.Turquie ([GC], # 46827/99 da 46951/99, 2005 წ. 4 თებერვალი) საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც ჩვენ ეჭვს ქვეშ ვაყენებთ სასამართლოს მიერ დროებითი ზომების მითითების მიცემის უფლებამოსილებასთან დაკავშირებით როგორც ის არის ჩამოყალიბებული დღეისათვის რეგლამენტის 39-ე მუხლში, განსაკუთრებით §3-ში ფრანგულ ვარიანტში (“რეკომენდირებული დროებითი ზომები...”).

რუსეთის მხრიდან კონვენციის 34-ე მუხლის დარღვევის კონსტატაცია გამომდინარეობს რუსეთის მთავრობის და სასამართლოს შეურიგებელი პოზიციებიდან: სასამართლო ფარად იყენებს ოპტაციას რჰან “სარჩელის ჭეშმარიტების შეფასება სასამართლოს ექსკლუზიურ უფლებას წარმოადგენს და არა რომელიმე მთავრობის” ( რჰან ც.თურქიე, № 25656/94, 2002 წ. 18 ივნისის დადგენილება; არსებული დადგენილების პარაგრაფი 513). თავის მხრივ ხელისუფლება არ სცნობს “ეგრეთწოდებული წარმომადგენლების” უფლებამოსილებას და ეწინააღმდეგება მოსარჩელებთან მათ დაშვებას. დასაბუთებულია, რომ სასამართლოში წარმართულ პროცედურას აკლია სიმკაცრე, რომლის შესახებაც ზემოთ არის ნახსენები და ამან ცუდი დალი დაასვა საქმის დანარჩენ განხილვას. თითოეულმა მხარემ უნდა დაიცვას თავისი ღირსება თუნდაც საქმე ეხებოდეს მოპასუხე მთავრობას. მიუხედავად ამისა, მე ვიზიარებ სასამართლოს რამდენიმე დასკვნას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე მთავრობების მხრიდან ნაკლები იყო თანამშრომლობა, რუსეთისა საგამოძიებო მისიის ოგანიზაციის საქმეში, მაგრამ მე არ ვიზიარებ პარაგრაფ 500-ში მოყვანილ მოსაზრებებს, რომლის მიხედვით “სასამართლოს მიერ გადაწყვეტილი საგამოძიებო მისიის განხორციელება [...] არ არის დამოკიდებული შიდა პროცედურების მსვლელობაზე”. მე ცუდად წარმომიდგენია ეროვნული სასამართლოს რეაქცია იმ შემთხვევაში თუ ევროსასამართლოს დელეგაცია ჩავა მის ქალაქში საქმის სრული გამოძიების მიზნით და გამოკითხავს ბრალდებულებს...

და ბოლოს, რაც შეეხება მოსარჩელებისათვის გამოყოფილ თანხებს ეგრეთწოდებული მორალური ზიანის ასანახლაურებლად მე საჭიროდ მიმაჩნია იმის აღნიშვნა, რომ ორი მოპასუხე ქვეყნის მთავრობა მოიქცა ევროპული კონვენციის ტერორიზმთან ბრძოლის, (1977), სისხლის სამართლის საკითხში იურიდიული ურთიერთდახმარების გაწევის (1999) დებულებების შესაბამისად, დადგენილებაში მოხსენიებული მინსკის კონვენციის გათვალისწინებით (1933), რომელიც ავალდებულებს ხელშეკრულის მონაწილე ქვეყნებს დაიცვან მისი სახელშეკრულებო დებულებები. მე ძლიერ ვეჭვობ, რომ ამ დებულებების მითითებები ინტერპრეტირებული უნდა იყოს როგორც მორალური ზიანის მიზეზი, მათთვის ვინც ამ კონვენციების მოქმედების ქვეშ არიან. ამ მიზეზებიდან გამომდინარე ჩემი პოზიციის მსგავსად მამატკულოვის და ასკაროვის საქმეში

მე საკმარისად მიმაჩნია დარღვევის კონსტატაცია (თუ ასეთს აქვს ადვილი)  
მორალური ზიანის ასანაზღაურებლად ასეთი სახის საქმეებში.